სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველთაგან ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

ტიტე მოსია

ფიქრები ივანე გეგიას პოეზიაზე

თბილისი
2015

ტიტე მოსია - „ფიქრები ივანე გეგიას პოეზიაზე - გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 240 გვ.

ივანე გეგიას ცხოვრება და მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა დამაჯერებლად არის შესწავლილი. მცირე გამონაკლისის გარდა, ამას ვერ ვიტყვით მის პოეტურ მემკვიდრეობაზე. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების პირველ ცდას წარმოადგენს. მასში საფუძვლიანად არის დამუშავებული და გაანალიზებული სხვადასხვა მოტივზე შექმნილი თხზულებანი, მათი იდეურ-თემატური სამყარო, მხატვრულ-ესთეტიკური ასპექტები, ფილოსოფიურ-დიდაქტიკური წიაღსვლანი, სახისმეტყველებით-პოეტიკური სივრცე, მეტრიკული სტრუქტურა, რითმა. გათვალისწინებულია სათანადო ლიტერატურული წყაროებიც.

წიგნი დახმარებას გაუწევს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის I მეოთხედის ქართული კულტურის მკვლევართ, ივანე გეგიას შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებულ პირთ.

რედაქტორი: ოთარ ჭილაძე
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: მერი გაგოშვა
პროფესორი, ისტორიის დოქტორი

ირმა ხაჭაპურაია
ფილოლოგიის დოქტორი

ISBN 978-9941-25-095-8

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მრავლისმეტყველად ჟღერს, როცა ვამბობთ: ივანე გეგია იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბურჯი აფხაზეთში, დიდი ილია ჭავჭავაძის თანამდგომი, პოეტი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. სწორედ ამიტომ აყენებენ მას XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის აფხაზეთის თვალსაჩინო მოღვაწეთა გვერდით: **გიორგი შარვაშიძე** (1846-1918), **დავით ჩქოტუა** (1849-1929), **თედო ჟორდანია** (1854-1916), **პეტრე ჭარაია** (1861-1919), **ამბროსი ხელაია** (1861-1927), **თედო სახოკია** (1868-1956), **ნიკო ჯანაშია** (1872-1918), **აკაკი ჩხენკელი** (1874-1959) და სხვ.

ივანე გეგია აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. მას მხარი დაუმშვენებია აფხაზეთში თედო სახოკიას მიერ დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციის „ქართული პარტიის" ელიტისათვის (1895-1904): **ანთიმოზ ივანეს ძე ჯუღელი, გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკი, ივანე გაბრიელის ძე ბურჭულაძე, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაია, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძე.** საგულისხმოა, რომ საერო პირებთან ერთად „ქართულ პარტიაში" გაწევრიანებულან სასულიერო პირები: დეკანოზი **დავით მაჭავარიანი,** მღვდელი **ბესარიონ ხელაია** (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), მღვდელი **აქვსენტი სახოკია,** მღვდელი **ივანე ჩხენკელი.**[1]

ისეთი მისაბაძი და სამაგალითო მამულიშვილი, როგორიც ივანე გეგია იყო, მუდამ უნდა ახსოვდეს შთამომავლობას, განსაკუთრებით აფხაზეთის ქართველობას, თვითონ აფხაზებსაც

[1] **ა. სილაგაძე, ვ. გურული,** საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, თბ., 1999, გვ. 16.

კი, რომელთა კეთილდღეობისთვისაც მზრუნველი გახლდათ იგი. ივანე გეგიას დამფასებლები მეტნაკლებად არც სიცოცხლეში აკლდა და არც გარდაცვალების შემდეგ.

XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ივანე გეგიას ღვაწლსა და ამაგს პირველი სერიოზული დამფასებელი და მკვლევარი გამოუჩნდა ოთარ ჭურღულიას სახით. მან თავის ვრცელ ნარკვევში „ივანე გეგია" ფართოდ წარმოაჩინა ამ უბადლო პატრიოტი კაცის ცხოვრება-მოღვაწეობის მთელი რიგი ასპექტები.[1]

მკვლევარი თავის ნარკვევს ასე იწყებს: „ივანე კონსტანტინეს ძე გეგია ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც ერის კულტურის, პროგრესის საქმეს უდრტვინველად ემსახურებოდნენ. იგი იყო გასული საუკუნის დასასრულისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე აფხაზეთში. ქართული ეროვნული კულტურის დიდი პროპაგანდისტი, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის მქადაგებელი, მეფის ბიუროკრატიული მთავრობის კოლონიური პოლიტიკის დევნისგან ქართული ენისა და სკოლის დამცველი, უანგარო მასწავლებელი და ალალმართალი პოეტი... ავტორი მიგვანიშნებს ივანე გეგიას მსოფლმხედველობის, ეროვნულ და ლიტერატურულ საკითხებზე კონცეფციების ჩამოყალიბების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლებთან (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე; ახლო მეგობრები: თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, ანთიმოზ ჯუღელი) ურთიერთობით.[2]

---

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, სოხუმი, 1966, გვ. 61-67; მისივე, ერთი უცნობი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან, სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, XVII, სოხუმი, 1964.

[2] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 61.

ოთარ ჭურღულიამ ივანე გეგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტის დოკუმენტურ ჭრილში წარმოსაჩენად პირველმა წამოსწია წინ დღემდე გამოუქვეყნებელი „მოგონებები", რომელიც ინახებოდა საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში. ივანე გეგიას "ჩემი მოგონებები" დაუწერია 1939 წელს: „ივანე გეგია, ჩემი მოგონებები 1870-იანი წლებიდან დღემდე". საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმი, ივანე გეგიას არქივი, საბუთი N6280. სამწუხაროდ, ეს არქივი დღეს არ არსებობს. იგი განადგურდა 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში დატრიალებული ტრაგედიის დროს, ცეცხლმა შთანთქა მოგონებებთან ერთად მისი გამოუქვეყნებელი ლექსები, ანდაზები, აფორიზმები, სამურზაყანოს ეთნოგრაფიაზე გამოკვლევა-ნარკვევი და სხვ.

ასე რომ, ოთარ ჭურღულიამ 25 წლით ადრე იღბლიანად დაასწრო რუსთაველის გამზირზე უგუნურთა და გაბოროტებულთა მიერ აელვარებულ ცეცხლის ენებს და შემოგვინახა მთელი რიგი საინტერესო ბიოგრაფიული ეპიზოდები ამ დიდებული ქართველისა.

მკვლევრის მართებული შენიშვნით: ივანე გეგიას საზოგადოებრივ საზრუნავ საგანს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. სკოლა და განათლება, მშობლიური ენა და გამათავისუფლებელი მოძრაობა, – აი, ის საკვანძო საკითხები, რომელთაც უშუალოდ ეძღვნებოდა მაშინდელი პროგრესული ადამიანების და მათ შორის ივანე გეგიას მთელი მოღვაწეობა. ამ დიდ ეროვნულ საქმეს იგი არა მარტო პრაქტიკულად, არამედ კალმით ხელში იდეურადაც ემსახურებოდა.[1] მკვლევრის ნაშრომში კომპაქტურად, მაგრამ ღრმაშინაარსიანად არის მოხაზული ივანე გეგიას ბიოგრაფიული ესკიზები, მისი თანამშრომლობა ჟურნალ-

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 63.

გაზეთებთან, დაუნდობელი ბრძოლა ცარისტული ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკისა და რეჟიმის წინააღმდეგ, თანამებრძოლებთან ერთად (თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშია, ანთიმოზ ჯუღელი, ფარნა დავითაია...). მეცნიერი წერს: „ამ ჯგუფის პოზიციები მშობლიური ენის, სკოლისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი პროგრესის დარგში ექვემდებარებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პოზიციებს."[1] აქვე მოტანილია ციტატა იაკობ გოგებაშვილის ნააზრევიდან:

„სახელმწიფო ენის შესწავლა ხალხს არ მიაჩნია საშიშრად თავის ნაციონალურ არსებობისათვის. მკითხველს მოეხსენება, რომ ბევრმა კერძო პირმა იცის რამდენიმე ენა, მაგრამ ეს გარემოება არამც თუ არ ასუსტებს მათში მამულიშვილობას, არამედ კიდევაც აძლიერებს... სახალხო სკოლა მაშინ ხდება საშიში, როცა საგნები ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ სახელმწიფოზე".[2] აქვე ავტორი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ იაკობ გოგებაშვილის დარად არც ივანე გეგია ყოფილა არასოდეს რუსული ენისა და რუსული კულტურის წინააღმდეგი, ვინაიდან ისინი რუსი ხალხის მოწინავე მოაზროვნეების იდეებზე აღიზარდნენ. საგულისხმოა, რომ ივანე გეგიას თავის ბიბლიოთეკაში ილიას, აკაკის, გოგებაშვილის წიგნების გვერდით მოთავსებული ჰქონდა ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის... მხატვრული შემოქმედებითი ნიმუშები რუსულ ენაზე. ისინი ხაზს უსვამდნენ რუსული ენის შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდნენ მშობლიური ენისთვის კუთვნილ ადგილს სასწავლო დაწესებულებებსა და სახელმწიფო მმართველობაში".[3]

[1] ო. ჯორჯოლიანი, ნარკვევები, გვ. 67.
[2] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1940, გვ. 453.
[3] ო. ჯორჯოლიანი, ნარკვევები, გვ. 67.

სათანადო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ოთარ ჭურღულია ვრცლად ჩერდება იმ სავალალო ვითარებაზე, რაშიც განსაკუთრებით 1893 წლიდან ქართული ენა ჩავარდა აფხაზეთში: აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევების დაწყება, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" და „Русское слово"-ს აკრძალვა, რომლის მეშვეობით ბავშვები კარგად ეუფლებოდნენ რუსულ ენასაც; ლევიცკის სახელმძღვანელოს შემოღება, რომელიც „გონებრივად ამახინჯებდა ბავშვებს" (თ. სახოკია), ასევე დაკანონება უშინსკის „Родное слово"-სი.

ოთარ ჭურღულია მხედველობიდან არ უშვებს ივანე გეგიას კეთილ განწყობას უშინსკის „Родное слово"-ს მიმართ. იგი აანალიზებს „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილს "მცირე შენიშვნა უშინსკის „Родное слово"-ზედ". სტატიის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ამ სახელმძღვანელოს როლს რუსული სკოლების ისტორიაში. თუმცა იგი მიუღებლად მიაჩნია ქართველი მოსწავლეებისათვის, ვინაიდან მასში წარმოდგენილი ლექსიკა სრულიად გაუგებარიაო ქართველი მოზარდებისათვის. ამიტომ თავდადებით ითხოვდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს დატოვებას.

ოთარ ჭურღულია ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ივანე გეგიას ბრძოლას ადგილობრივი შავრაზმელი მღვდლის იოანე ქავჟარაძის წინააღმდეგ, რომელიც კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ზედამხედველად დაუნიშნავთ. ავადსახსენებელი ქავჟარაძე თურმე სასტიკად დევნიდა მშობლიურ ენას რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად, მეფის მოხელეთა საამებლად. ივანე გეგია ხალხში გამოდიოდა და სასტიკად ამხელდა დაქირავებულ აგენტს. თედო სახოკია ამ გადამდგარ ქართველზე წერდა: "მამა ამბროსი კავკასიძის შემდეგ აფხაზეთ-სამურზაყანოში

„ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების" სკოლების ზედამხედველად დაჰნიშნეს მღვდელი ქავჟარაძე. ქართულს ენას სწორედ მამა ქავჟარაძის ზედამხედველად დანიშვნის შემდეგ დაუდგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში".[1]

ქრისტეს ფეხის მკვნეტელი მღვდლის ქავჟარაძის ანტიქართულ ქმედებებს აფხაზეთში რომ მავნე შედეგები მოჰქონდა, ამის კონკრეტულ ფაქტზე მიგვანიშნებს დაუღალავი მამულიშვილი თედო სახოკია: „პირველი მსხვერპლი მამა ქავჟარაძესი ოქუმის სკოლის მასწავლებელი ივანე გეგია შეიქმნა – კაცი ერთგული თავისი საქმისა, ყოვლად უანგარო, ყველასი საყვარელი და ყველასაგან გამორჩეული. ეს მასწავლებელი თავისის თანამდებობიდან მაშინვე იქნა გადაყენებული, როგორც კი მამა ქავჟარაძე აქეთკენ გამოჩნდა. ქართული არ უნდა გესწავლებინა სკოლაშიო, სწორედ იმ სკოლაში, რომლის პროგრამაში ქართულს ენას პირველი თუ არა, უკანასკნელი ადგილი მაინც უჭირავს".[2]

გადაგვარებულ ქავჟარაძესთან ერთად თედო სახოკიას არც მისი „აშორდისტი" თანამოძმე ვინმე ბორის ხორავა „ავიწყდება": „ბატონ ბორის ხორავას ეს ამბავი (სამურზაყანოს სოფლებში ჩატარებული კრებები ქართული ენის სასარგებლოდ – ტ. მ.) რო გაუგია, დატრიალებულა: – თუ გამოვიჩენ თავსა, ახლა! – შეუდგენია მოხსენება სოხუმის ეპისკოპოსთან, სადაც ამტკიცებს, მეგრელთათვის ქართული ენა უფრო ძნელი გასაგები და შესათვისებელია, ვიდრე რუსულიო".[3]

ივანე გეგიაზე დაწერილ თავის ვრცელ ნარკვევში ოთარ ჭურღულია სათანადო ადგილს უთმობს ე. წ. „აშორდიზმის" პრობლემას სამეგრელოში, როგორც ქართული ენის დევნის

[1] თ. სახოკია, „პროვინციის ცხოვრება (აფხაზეთი)", ჟურნ. „მოამბე", 1895, №11, გვ. 122.
[2] იქვე, გვ. 124.
[3] იქვე. შდრ. ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 71.

უმთავრეს იარაღს. ამის შესახებ მკვლევარს ერთი საყურადღებო ნაწყვეტი მოაქვს ივანე გეგიას „მოგონებებიდან": „აი, ამ გარემოებამ დამაახლოვა ილიასთან (ი. გეგია ილია ჭავჭავაძეს იცნობდა 1885 წლიდან – ტ. მ.). ვინახულებდი და მთელი საათობით მეკითხებოდა ქართული ენის ავსა და კარგს აფხაზეთ-სამურზაყანოში და ნაწილობრივ სამეგრელოსაც შევეხებოდი ხოლმე. იმ დროს სამეგრელოში მთავრობის დახმარებით მძვინვარებდა აშორდიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სამეგრელოს ჩამოშორება საქართველოსგან და მეგრულ ენაზე წერა-კითხვის შემოტანა სამეგრელოში. რაც შეეხება აფხაზეთ-სამურზაყანოს გარუსების პოლიტიკას, თვით მთავრობის გავლენით ვითარდებოდა. აქ დაწყებული უბრალო ურიადნიკიდან უმაღლესი სამღვდელოება და ადმინისტრაციამდე ქართველებს სდევნიდნენ, ქართულ ენას სპობდნენ სკოლებში, ქართული ენის სწავლებას რომელ მასწავლებელსაც შენიშნავდნენ, ადგილიდან ითხოვდნენ, რაც მე თვით ორ-სამგზობით შემხვდა ამნაირი დასჯა. როდესაც ილიას გადავცემდი ამ ნახულ და მომხდარ ამბავს, ღრმად ამოიხვნეშდა და მეტყოდა: არაფერია, ყმაწვილო, **они далеко не пойдут, пусть говорят, что хотять**".

თავის ნარკვევში ოთარ ჭურღულია ლაპარაკობს ივანე გეგიასა და მისი თანამოაზრეების მიერ ოქტომში ჩამოყალიბებულ პატარა რევოლუციურ ორგანიზაციაზე, რომელშიც შედიოდნენ: ივანე გეგია, ნ. შენგელია (მასწავლებელი), ალექსანდრე შენგელაია, მ. შენგელია. ამ ჯგუფს კონსპირაცია სასტიკად ჰქონია დაცული. მათ თბილისიდან ლიტერატურას აწვდიდნენ მიხა ცხაკაია, ზაქარია ჭიჭინაძე და თედო სახოკია, ხოლო ქუთაისიდან სამსონ კილაძე. ეს ჯგუფი გაეცნობოდა რა ამ ლიტერატურას, შემდეგ მას გადასცემდა სოფ. გუფის მასწავლებელს პეტრე ჭარაიას, ის კი გადასცემდა სოხუმის სამთო სკოლის მასწავლებელს ა. ჭედიას.

მკვლევარს საამისო სათანადო მასალები მოაქვს ივანე გეგიას „მოგონებებიდან".

ოთარ ჭურღულიას „ნარკვევებში" საუბარია ივანე გეგიას, როგორც „გაუსწორებელი და მავნე ელემენტის" გადასახლებაზე რუსეთის შორეულ გუბერნიაში 1904 წლისთვის. 1905 წელს სამშობლოში დაბრუნებაზე, პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელებაზე; 1890 წელს სამურზაყანოში სცენის მოყვარეთა წრის ჩამოყალიბებაზე, დაბა ოქუმში უფასო ბიბლიოთეკის გახსნაზე, ჟურნალ-გაზეთებში აქტიურ თანამშრომლობაზე, სოფლის მეურნეობაში ენერგიულად ჩაბმაზე და ა.შ.

თავის ნაშრომში ოთარ ჭურღულია მოკრძალებულ ადგილს უთმობს ივანე გეგიას ლიტერატურულ მოღვაწეობას. სტატიის ავტორი წერს: „ივანე გეგიას მხატვრული შემოქმედება, მართალია, არ არის დიდი საკაცობრიო იდეალების გამომხატველი, მხატვრული სიტყვის თვალსაზრისითაც მისი ლექსები არ არის დახვეწილი და სრულყოფილი, მაგრამ, რაც მთავარია, იგი ეპოქის სულისკვეთების გამოძახილია. ამიტომ, ცხადია, მათში იგრძნობა რევოლუციური პათოსი, მომავლის მტკიცე რწმენა და თანაც აქაიქ პესიმისტური განწყობილებაც. მის ლექსებში იგრძნობა, რომ ავტორი ერის უანგარო შვილია, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლი".[1]

ივანე გეგიას ნამოღვაწარის პირველ მასშტაბურ მკვლევარს გაუანალიზებია ისეთი ლექსები, როგორიცაა: „ნებას არ მივცემ ჩემს გულის სურვილს", „ნეტა რათ არის მაგრე სუსტი კაცის გონება", „ნატვრა", „გაუმაძღარ სვავს", „გაზაფხულის მოლოდინში", „განთიადი". ამათგან გარკვეული ნაწილი გამოუქვეყნებელი იყო და ოთარ ჭურღულიას ისინი არქივიდან ამოუღია. იგი ასევე ივანე გეგიას არქივში მუშაობისას დაინტერესებულა მისივე

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 93.

აფორიზმებით: „ივ. გეგიას ხალხში შეუკრებია აფორიზმები და ანდაზები, დაუხვეწია ისინი და გამოსაცემად გაუმზადებია. სულ არქივში დაცულია 260 აფორიზმი და ანდაზა, რომელთაგან ზოგიერთი საკუთარია, ავტორისეულია. ბევრი მათგანი ძალიან სუსტი და ხატოვანია".[1] მკვლევარს იქვე დაფიქსირებული აქვს 10-მდე აფორიზმი. სტატიის დასასრულს ნათქვამია: „ივ. გეგიას არქივში ინახება ძალიან საინტერესო ეთნოგრაფიული ნარკვევი სამურზაყანოს შესახებ, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს".[2]

ოთარ ჭურღულიას დასკვნით: „მართალია, ივ. გეგიას დიდი კვალი არ გაუვლია ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მდინარე პატარა შენაკადებისაგან შედგება. ამდენად გასული საუკუნის დასასრულისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთ პატარა შენაკადად შეიძლება ჩავთვალოთ ივანე გეგიას ღვაწლიც".[3]

ამრიგად, ოთარ ჭურღულია იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც XX საუკუნის 60-იან წლებში ფართოდ წარმოაჩინა ივანე გეგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული ასპექტები. 40-გვერდიან ნარკვევში თითქმის არ დარჩენილა საკითხი, რომელიც არ განეხილოს ივანე გეგიას ღვაწლთან დაკავშირებით. პირველად გამოამზეურა მან უმუალოდ საარქივო მასალები, რომელიც დოკუმენტის ხასიათს ატარებს. ნარკვევში ამ შესანიშნავი სამურზაყანოელი კულტურტრეგერის ღვაწლის გამოვლინებანი წარმოებს მისივე ეპოქაში მიმდინარე პროცესების ფონზე. ოთარ ჭურღულიას ნარკვევი განსაკუთრებით იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ შემოგვინახა ივანე გეგიას რამდენიმე ლექსი და მისი შემოქმედება-მოღვაწეობის ამსახველი აწ უკვე დაღუპული საგულისხმო მასალები.

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 96.
[2] იქვე, გვ. 97.
[3] იქვე, გვ. 92.

ოთარ ჭურღულიას შემდეგ ივანე გეგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ოთარ ჟორდანიამ. ამ აკადემიაში არსებობს დიმიტრი გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და კულტურის ინსტიტუტი, სადაც მომზადდა ის დიდად მნიშვნელოვანი წიგნი, რომელზეც ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით. ოთარ ჟორდანიამ გარს შემოიკრიბა ივანე გეგიას პიროვნებით დაინტერესებული მკვლევარნი, რომელთა შორის გამოვყოფდით ისტორიის დოქტორს მერი გაბედავას და ფილოლოგიის დოქტორს ირმა ზაქარაიას. სწორედ მათ მოამზადეს გამოსაცემად მშვენიერი წიგნი „ივანე გეგია, გაზაფხულის მოლოდინში",[1] რომელიც დაისტამბა ოთარ ჟორდანიას საერთო რედაქციით 2011 წელს. ასე შეხვდნენ ისინი ხელდამშვენებულნი ივანე გეგიას დაბადების 150-ე წლისთავს.

ეს წიგნი იმიტომ ჩაითვლება უნიკალურ გამოცემად, რომ იგი შედარებით ყველაზე სრულად ასახავს ივანე გეგიას შემოქმედებას. მასში თავმოყრილია 46 მხატვრული თხზულება. პუბლიცისტური და საგაზეთო წერილები, პირადი მიმოწერა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ახალი საარქივო დოკუმენტური მასალები.

წიგნს უძღვის ოთარ ჟორდანიას ვრცელი წერილი – „ივანე გეგია – პოეტი და საზოგადო მოღვაწე". წერილის დასაწყისში ავტორი მსჯელობს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერების მავნე შედეგებზე: ქართველთა დეზინტეგრაცია, ეროვნული თვითშეგნების მოშლა, საქართველოს მოსახლეობის

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გამოსაცემად მოამზადეს: მერი გაბედავამ, ირმა ზაქარაიამ, ოთარ ჟორდანიამ, ოთარ ჟორდანიას საერთო რედაქციით, თბ., 2011.

რუსულ ენობრივ და კულტურულ სივრცეში ინტეგრირება, ქართული ენის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა დევნა და ა.შ. სტატიის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ: „კუთხური ნაციონალიზმის გაღვივებას ემსახურებოდა სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობის მოწყვეტა ერთიანი ქართული კულტურული სივრციდან – სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში მეგრულისა და სვანურის სწავლების შემოღება, საღვთო წიგნების თარგმნა და ეკლესიებში წირვა-ლოცვის მეგრულად და სვანურად აღსრულება. მძიმე ვითარება იყო აფხაზეთშიც, – განაგრძობს მკვლევარი, – ცარისტული ადმინისტრაცია ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და ქართული მოსახლეობა აქ მხოლოდ ახალ დროში ჩასახლდა".[1] ავტორი აქვე საუბრობს იმაზე თუ ცარისტული ხელისუფლების კოლონიურ პოლიტიკას როგორ დაუპირისპირდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც გვერდით ედგა აფხაზეთის საზოგადოება.

ამის შემდეგ ოთარ ჟორდანია მსჯელობს ივანე გეგიას შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ასახელებს იმ ადამიანებს და მკვლევართ (სოლ. ცაიშვილი, ო. ჭურღულია, ვ. ზუხბაია, ნ. შონია, ო. აკიშბაია, ვლ. ალფენიძე, ა. სილაგაძე, გ. გურული, ლ. გოდერიძე, ტ. ხუნდაძე, თ. ცაცუა), რომელთაც თავიანთი წვლილი მეტნაკლებად შეიტანეს ივანე გეგიას ღვაწლის წარმოჩენის საქმეში. გადმოსცემს ბიოგრაფიულ მომენტებს და ეპიზოდებს: „ივანე გეგიას ცხოვრების ძირითადი არსი, მისი შინაგანი მოთხოვნა ქართული კულტურის დაცვა და პროპაგანდა. ხალხში განათლების შეტანა, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის

[1] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 5.

მხილება იყო".[1] ხაზგასმით ლაპარაკობს ავტორი ივანე გეგიას პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, სკოლის გახსნაზე, ბიბლიოთეკის დაარსებაზე, სცენისმოყვარეთა დასის ჩამოყალიბებაზე, ივანე გეგიას წერილზე "მცირე შენიშვნა უშინსკის „Родное слово"-ზედ", ჟურალ-გაზეთებში თანამშრომლობაზე, თედო სახოკიას "ქართულ პარტიაში" აქტიურობაზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობაზე, საქართველოს პირველი ეროვნული კრების მუშაობაში მონაწილეობაზე და სხვ.

ოთარ ჟორდანიამ თავის მრავალმხრივ საყურადღებო წერილში მოგვცა შედარებით ვრცელი მიმოხილვა ივანე გეგიას პოეტური მემკვიდრეობისა. ხაზი გაესმის იმ სასიამოვნო ფაქტს, რომ ივანე გეგია პირველთაგანი იყო აფხაზეთის მკვიდრთაგან, რომელმაც თბილისში დასტამბა ლექსების კრებული 1890 წელს: „იგი პირველი და უკანასკნელი წიგნი აღმოჩნდა პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. როგორც გაირკვა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ორი ათეული წლის მანძილზე მიზანმიმართულად უქმნიდნენ დაბრკოლებას მისი ნაწერების ცალკე კრებულად გამოცემას".[2]

ოთარ ჟორდანიას თანახმად: „ივანე გეგიას პოეზია გამსჭვალულია პატრიოტული და ფილოსოფიურ-ესთეტიკური მოტივებით. ქვეყანაში არსებული მკაცრი ცენზურის გამო პოეტის ნააზრევი ალეგორიულ-სიმბოლური ხერხებითაა გადმოცემული, თუმცა ზოგიერთ ნაწარმოებში დაუფარავად ისმის რევოლუციური მოწოდებები".[3]

მკვლევარი უპირველესად აანალიზებს სამშობლოს თემაზე

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 11.
[2] ო. ჟორდანია, ივანე გეგია – პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წიგნში: ივანე გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 25.
[3] იქვე, გვ. 26.

შეთხზული ლექსებს („ბაღანა", „მოზარდი", „ჩემი ლოცვა"), მიგვანიშნებს აღნიშნულ თემაზე მსჯელობისას პოეტის ორგანულ კავშირზე ქართული პოეზიის ტრადიციებთან. დასახელებულ ლექსებში ხაზი გაესმის მამულის გათავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებას, სამშობლოს ბედსა და მის მომავალზე ფიქრს, ქართული ენისა და კულტურის სიყვარულის დანერგვას მკითხველებში. მათ პოეტი შთააგონებს ეროვნული ძალების გაერთიანების მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, შინაური და გარეშე მტრის დათრგუნვის საჭიროებას.

სტატიის ავტორი ასევე მსჯელობს ივანე გეგიას შემოქმედებაში საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ასახვაზე, საზოგადოებაში დამკვიდრებული მგლური კანონების წარმოჩენაზე, მუშის მძიმე ხვედრზე, ადამიანის ექსპლუატაციის, გლეხისადმი არაადამიანური დამოკიდებულების გმობაზე, პოეტის მოქალაქეობრივ პოზიციაზე და ა.შ.

ოთარ ჟორდანია ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ივანე გეგიას მიერ ადამიანის სულის გამუდმებული მეტამორფოზის მხატვრულ-ფილოსოფიურ გააზრებას ლექსში „ნეტა რად არის აგრე სუსტი კაცის გონება": „სამყაროში ყველა მოვლენა, მათ შორის, ყველაზე ფაქიზი ადამიანური გრძნობები მუდმივ ცვალებადობას ექვემდებარება, მაგრამ მთავარია ცხოვრებაში ადამიანმა არ და-კარგოს ოცნების უნარი და მომავლის რწმენა: „ოცნება არის მისი დროშა წინ მიმავალი".[1]

ოთარ ჟორდანია ზოგადად ეხება XX საუკუნის დასაწყისში ივანე გეგიას მიერ დაწერილ იმ ათ ლექსს, რომელშიც გამოკვეთილია პოეტის დამოკიდებულება იმჟამინდელ საქართველოში მიმდინარე რევოლუციური პროცესისადმი. ასევე ყურადღებუ-

[1] ო. ჟორდანია, ივანე გეგია – პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წიგნში: ივანე გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 29.

ლია რუსეთში გადასახლებული ივანე გეგიას ლექსებისათვის დამახასიათებელი ნოსტალგია, სამშობლოდან მოწყვეტის მწარე განცდა. საუკეთესო ლექსად ესახება „განთიადი", რომელშიც გადასახლებიდან დაბრუნებული პოეტი მიესალმება 1905 წლის რევოლუციას, ოცნებობს მის გამარჯვებაზე. თუმცა ეს ოცნება ამაო გამოდგა, რევოლუცია დამარცხდა, რასაც ალეგორიულად გამოხატავს ლექსში „გაუმაძღარ სვავს". მასში აღწერილია სინათლეზე ბნელეთის ძალების გამარჯვება.

წერილის დასასრულს ოთარ ჟორდანიას მართებული დასკვნით. ივანე გეგია იმ სახელოვან მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობელი ხალხისა და მამულის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებთან. მისი საქმიანობა თავისი მასშტაბებით გასცდა რეგიონის ფარგლებს და სრულიად საქართველოს კუთვნილებად იქცა.[1]

ივანე გეგიას გარდაცვალების (1941) შემდეგ მის პირველ შემფასებლად მოგვევლინა სოლომონ ცაიშვილი, რომელმაც შეისწავლა ამ უბადლო საზოგადო მოღვაწის ამაგი განათლების დარგში. 1953 წელს გამოქვეყნდა თბილისში ფრიად მნიშვნელობანი წიგნი – „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", კრებული I, ვ. ქაჭაიას რედაქციით. სწორედ აქ არის მოთავსებული სოლომონ ცაიშვილის სტატია „ივანე გეგია" (გვ. 367-371).

სოლომონ ცაიშვილი აფხაზეთის სკოლების ისტორიაში ივანე გეგიას საპატიო ადგილს აკუთვნებს. წერილში ძირითადად

---

[1] ო. ჟორდანიას დასახ. წერილი, გვ. 32; შდრ. მისივე, ივანე გეგიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შრომები, I, თბ., 2011, გვ. 237; მისივე, ლექსი არ იწვის, გაზ. "ჩემი აფხაზეთი", ივნისი, №14, 2011; გაზ. "24 საათის" დამატება, 29 ივნისი, 2011.

საუბრობს მასზე, როგორც სახალხო მასწავლებელზე. დაბა ოჩამჩირეში კერძო სკოლის გახსნაზე და იქ მასწავლებლობის დაწყებაზე, ოქუმის ორკლასიან სასწავლებელში პედაგოგად მუშაობაზე, 1905 წელს გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე ისევ სასკოლო მუშაობაში ჩაბმაზე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გალის 9-წლიან სკოლაში აგრონომ-მასწავლებლად მსახურებაზე. გარდა ამისა, წერილის ავტორი ზოგადად ეხება ივანე გეგიას აქტიურ მუშაობას საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებაში, მის საქმიან ურთიერთობას ილიასთან, აკაკისთან, გოგებაშვილთან, ყაზბეგთან, ცახელთან, დავითაშვილთან, რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმას, ოქუმში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნას. მკვლევარი ასახელებს ილიას, აკაკის, ყაზბეგის, რაფ. ერისთავის... ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, პუშკინის, ალფონს დოდეს... წიგნებს, რომლებიც ამ ბიბლიოთეკაში ყოფილა მობილიზებული ივანე გეგიას მიერ, ასახელებს 200-მდე საკუთარ წიგნს, რომელიც ბიბლიოთეკის დამაარსებელს შეუწირავს. ამასთანავე, სოლ. ცაიშვილის აღნიშვნით: „ივანე გეგიამ საკუთარი შრომით მოაწყო კოლმეურნეობაში მექათმეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მებაღეობა... იყო მუდმივი კორესპონდენტი გაზეთ „დროების", „ივერიის", „ცისკრის", „მოგზაურის", „ჯეჯილის", „ცნობის ფურცლის" და სხვ. წერდა ეთნოგრაფიულ-საყოფაცხოვრებო თუ საზოგადო ხასიათის წერილებს, ლექსებს".[1]

1969 წელს თბილისში დაისტამბა წიგნი „თედო სახოკია". მასში შეტანილია ტ. ხუნდაძის სტატია „თედო სახოკია".[2] იგი ჩვენ-

[1] **სოლ. ცაიშვილი**, "ივანე გეგია", სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული პირველი, ვ. ქაჭაიას რედაქციით, თბ., 1953, გვ. 367-371.

[2] **ტ. ხუნდაძე**, თედო სახოკია, წიგნში: "თედო სახოკია", თბ., 1969.

თვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ავტორი რამდენიმეჯერ ახსენებს ივანე გეგიას, როგორც თედო სახოკიას ერთ-ერთ ერთგულ თანამებრძოლს. ის ლაპარაკობს XIX საუკუნის II ნახევარში აფხაზეთ-სამურზაყანოში შექმნილ ქართველი ინტელიგენციის ჯგუფზე, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველ მოსახლეობაში ქართული ენისა და ქართული კულტურის დაცვას. ამ ჯგუფს ცარიზმი „ქართულ პარტიად" ნათლავდა. ტ. ხუნდაძე ჩამოთვლის „ქართული პარტიის" აქტიურ წევრებს; ანთიმოზ ჯუღელი (სოხუმის მთიელთა სკოლის მასწავლებელი). თედო სახოკია, სპირიდონ ნორაკიძე (ადგილობრივი მრეწველი, რომელიც აღნიშნულ რევოლუციურ ორგანიზაციას ნივთიერ დახმარებას უწევდა) ივ. ბურჭულაძე. გრიგოლ კანდელაკი (ოქუმის მეაფთიაქე), ივანე გეგია (ოქუმის ბიბლიოთეკის გამგე, ყოფილი მასწავლებელი), ს. კანდელაკი (ოქუმის სკოლის მასწავლებელი), ფარნა დავითაია (ოჩამჩირის წვრილი ვაჭარი). ამ წრის თანამგრძნობი იყვნენ: პეტრე ჭარაია (მასწავლებელი და აფხაზური ენის მკვლევარი), ნიკო ჯანაშია (გუდაუთის სკოლის მასწავლებელი, ჟურნალისტი) და სხვ.[1] ამ საქმიანობაზე მეფის მთავრობას ცნობებს აწვდიდნენ ცარიზმის აგენტები; სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, ბლაღოჩინი მარღანია, დრანდის მღვდელი ხუციშვილი, ოქუმის მდივანი ივ. ქავჟარაძე.[2]

ამავე წერილში ტ. ხუნდაძე ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს ივანე გეგიას ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდზე, თუ როგორ უთვალთვალებდა და დევნიდა მას ჟანდარმერია: „სოფელ ოქუმის სამკითხველოს გამგეს ივ. გეგიას ჟანდარმებმა გაჩხრეკისას უპოვეს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომელშიც ის აძაგებს მდივან ქავჟარაძეს და მასწავლებელ ბორის ხორავას, რომელთაც ის ქართული ენის დევნისთვის ქართველი ხალხის საზიზღარ

[1] ტ. ხუნდაძის დასახ. წერილი, გვ. 35-66.
[2] იქვე.

შვილებს უწოდებს. ამასთანავე, ზაქარია ჭიჭინაძე აცნობებს ივანე გეგიას, რომ მან გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანს (სოფრომ მგალობლიშვილს) დაუტოვა ათასი ცალი ქართული წიგნი და სთხოვდა გეგიას წიგნები უფასოდ დაერიგებინა სოხუმის მახლობელ მცხოვრებთათვის.[1]

ნოდარ შონიამ 1970 წელს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" გამოაქვეყნა რეცენზია-გამოხმაურება „ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავებზე". იგი იწონებს ამ წიგნის გამოცემას და კუთვნილ შეფასებას აძლევს. თუმცა მის ავტორს უწუნებს აფხაზეთის წიგნსაცავების იგნორირებას. ნოდარი ჩემი მეგობარი იყო. ეს რეცენზია დაბეჭდვამდე წამაკითხა. პირად საუბარში უფრო აღშფოთებული იყო. ამ წიგნის ავტორს ლევან მენაბდის დიდებული წიგნი „ძველი ქართული მწერლობის კერები" (ტ, I, ნაკვ. II, 1962) მაინც გადაეშალა, საიდანაც ამოიკითხავდაო უტყუარ ცნობებს, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან აფხაზეთში არსებობდა არაერთი წიგნსაცავი, როგორიც იყო ბედიის, მოქვის (იქვე ლევან მენაბდის წიგნის გვერდიც დამისახელა ზეპირად - 364). სარეცენზიო წიგნის ავტორს საერთოდ არ ჰყავდა მოხსენიებული ივანე გეგია, რაზეც წუხილს გამოხატავდა რეცენზენტი. მან კიდევ ერთხელ შეახსენა აფხაზეთის საზოგადოებას ივანე გეგიას ღვაწლი.

თავის გამოხმაურებაში ნოდარ შონია წერს: „სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი XIX საუკუნის II ნახევრიდან ბედიიდან ოქუმში გადმოიტანეს. ამას მოჰყვა აფხაზეთში პირველად აქ სკოლის გახსნაც. ოქუმი იცვლიდა სახეს. აქ ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწეები. ოქუმს მაინც აკლდა ყველაზე აუცილებელი – ძირითადი წიგნსაცავი. ამ მნიშვნელოვანი საქმის პრაქტიკულად განხორციელებას

[1] ტ. ხუნდაძის დასახ. წერილი, გვ. 68.

სათავეში ჩაუდგა ივანე გეგია. იგი ცნობილი იყო როგორც პოეტი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, დაუღალავი პედაგოგი, თვითნასწავლი აგრონომი".[1]აქვე იხსენებს ივანე გეგიას სიტყვებს, რომ მის მიერ შექმნილი ბიბლიოთეკა პირველი იყოო სოხუმისა და სამეგრელოს რაიონში. ნოდარ შონია მკითხველს შეახსენებს: ივანე გეგიას ბიბლიოთეკას ჰქონდაო ქართული და რუსული განყოფილება, სადაც დაცული იყო XIX საუკუნის ქართველი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების წიგნები, რომელთა რაოდენობა თავიდანვე 500 აღწევდა. ბიბლიოთეკას 35 წლის მანძილზე სათავეში ედგა თვითონ ივანე გეგია. 1929 წელს ეს ბიბლიოთეკა თუ წიგნსაცავი ქოხ-სამკითხველოდ გადაკეთდაო.

ვლადიმერ ალფენიძემ 1972 წელს გალის რაიონულ გაზეთ „ლენინელში" დაბეჭდა სტატია „სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის შესახებ", სადაც საუბრობს ივანე გეგიაზე, როგორც სამურზაყანოს სცენის მოყვარეთა თავკაცზე, რეჟისორზე, მსახიობზე, დრამატურგზე. ამ წერილიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ივანე გეგიას მემუარულ ნაშრომში „ჩემი მოგონებანი 1870 წლიდან დღემდე" („მოგონებანი" დათარიღებულია 1939 წლის 1 ივლისით) გადარჩენილი შთამბეჭდავი ეპიზოდი ამ კოლორიტული მოღვაწის ცხოვრების ფურცლებიდან. გადარჩენილს იმიტომ ვამბობთ, რომ ეს მოგონებანი დღეისათვის უკვე ფიზიკურად არ არსებობს. როგორც ზემოთაც იყო მითითებული, იგი შეიწირა ივანე გეგიას მთელ არქივთან ერთად 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში მიმდინარე ტრაგიკულმა მოვლენებმა.

სტატიიდან ჩანს, რომ ვლადიმერ ალფენიძეს საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში (ფონდი 6280) გულმოდგინედ

[1] **ნ. შონია**, ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავებზე, გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 10 იანვარი, 1970.

ჰქონია დამუშავებული ივანე გეგიას არქივი, მათ შორის „მოგონებანის" ხელნაწერები. თავის წერილში ავტორს ამ მემუარული ნაწარმოებიდან სამზეოზე გამოაქვს ერთ-ერთი თავი, რომელსაც რქმევია „სასცენო მოღვაწეობა აფხაზეთ-სამეგრელოში". მინიშნებულია თუ რამ უბიძგა სამურზაყანოსთვის დამაშვრალ კაცს სცენისმოყვარეთა დასის ჩამოყალიბების საქმის სისრულეში მოყვანა. გავეცნოთ ვლადიმერ ალფენიძის მიერ მოხმობილ შესაბამის ციტატას: „ხშირად თბილისში მოგზაურობამ, იქ ჩვენი მსახიობების გაცნობა-დაახლოებამ მეც შემაყვარეს ეს დიდი საქმე, სურვილი მქონდა ხალხისთვის სცენა და ხელოვნება გამეცნო".

როგორც ვლადიმერ ალფენიძე შენიშნავს, ივანე გეგიას ნაცნობობა და ურთიერთობა ჰქონდა ქართულ თეატრალურ საზოგადოებასთან, გამოჩენილ მსახიობებთან და რეჟისორებთან: ვალერიან გუნიასთან, ვასო აბაშიძესთან, ალექსი მესხიევთან და სხვ. ამასთან „მოგონებანის" დახმარებით სტატიის ავტორი გამოყოფს ერთ ბედნიერ შემთხვევას ივანე გეგიას ცხოვრებიდან: "ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ სრულიად შემთხვევით შემიწყო ხელი სცენის საქმისთვის სული ჩამედგა და სურვილი სისრულეში მომეყვანა. სამურზაყანოს უბნის (ე.ი. მაზრის) უფროსს პეტერბურგიდან ესტუმრა მისი ნათესავი მოხუცი ქალი – მსახიობი, რომელიც ახალგაზრდობის დროს თურმე მსახურობდა პეტერბურგის სამეფო თეატრის სცენაზე არტისტად. მსახიობთა შორის ამ მოხუც ქალს თურმე პირველი ადგილი ეჭირა, რაც ახალი გაცნობის შემდეგ მან ძველი ნაწერი ქაღალდებით დამიდასტურა".[1]

ვლადიმერ ალფენიძე „მოგონებებზე" დაყრდნობით განაგრძობს საუბარს, რომ ივანე გეგიას პეტერბურგელი ეს მოხუცი მსახიობი მოუწვევია რეჟისორად და შედგომია პირველი

[1] ვლ. ალფენიძე, სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის შესახებ, გაზ. "ლენინელი", 5 სექტემბერი, 1972.

სამურზაყანული თეატრალური დასის შემოკრებას თავის გარშემო. დასში შეუყვანია ოქტმელი ი. ჩხენკელის ვაჟები და ქალიშვილები, რომლებიც თურმე რუსეთის, თბილისის და ქუთაისის სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები ყოფილან. დასში თავისი და თეკლეც ჩაურიცხავს. ბუნებრივია, დასის სული და გული თვითონ ივანე გეგია იყო. მას დავით ერისთავის „სამშობლოს" ინსცენირებისას ერთ-ერთი მთავარი როლიც შეუსრულებია.

ვლადიმერ ალფენიძის მიხედვით, ივანე გეგიას დრამატურგიაშიც უცდია კალამი. მისი პოეტური ნიმუშების წიგნში „ლექსთა კონა" შეტანილია ერთმოქმედებიანი პიესა-ვოდევილი „სიყვარულის მონა". სტატიის ავტორი გვამცნობს, რომ საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში ინახება (სამწუხაროდ, უკვე ვამბობთ, ინახებოდა – ტ.მ.) ივანე გეგიას მეორე პიესის ფრაგმენტები. ეს არის კომედია „მოდი ჭკუაზე", რომელიც სამ მოქმედებად დაუწერია. მასში გამოყვანილნი არიან ბოლშევიკები: მათია, სერგო, გრიშა... ვაჭარი არტემ გასპაროვი, მილიციელები ალექსი და პეტრე, მოსამსახურე გოგო და სხვ.[1]

1973 წელს ვლადიმერ ალფენიძემ გამოსცა წიგნი „ფიქრიანი გზები", სადაც მოთავსებულია წერილი ივანე გეგიაზე, სახელწოდებით „მივიწყებული სამურზაყანოელი პედაგოგი და მგოსანი". თუმცა ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული მასალები ადასტურებს, რომ 1973 წლისთვის ივანე გეგია მთლად მივიწყებულ მოღვაწედ არ გამოიყურება (რად ღირს მარტო ო. ჭურღულიას ვრცელი ნარკვევის გახსენება, ან სოლ. ცაიშვილის, ტ. ხუნდაძის, ნ. შონიას წერილები).

ვლადიმერ ალფენიძე XIX საუკუნის II ნახევარში აფხაზეთში მოღვაწე ქართველ კულტურტრეგერიდან გამოყოფს სამ პი-

[1] ვლ. ალფენიძე, სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის შესახებ, გაზ. "ლენინელი", 5 სექტემბერი, 1972.

როვნებას: „გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი, ახალგაზრდა ილიასა და აკაკის თანამედროვე და თანამებრძოლი, ს. მესხის „დროების" ერთ-ერთი ბურჯი დავით ჩქოტუა, ნიკო მარის მოწაფე, ენათმეცნიერი, პედაგოგი და კრიტიკოსი პეტრე ჭარაია, მგოსანი, პედაგოგი და პუბლიცისტი, ილია ჭავჭავაძის „ივერიის" თანამშრომელი ივანე გეგია".[1] ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ივანე გეგიას გამოქვეყნებულ სტატიებსა და საარქივო ფონდებში განფენილია მისი პედაგოგიური შეხედულებები. მისი პედაგოგიური კონცეფციები იაკობ გოგებაშვილის თანაგრძნობას იმსახურებდა. ასევე მის კალამს ეკუთვნის გამოუქვეყნებელი მოგონებები მის თანამედროვე ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. იგი იყო სამურზაყანოს ეთნოგრაფი, მისი მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული ნაწერები ინახება საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში[2] (რაოდენ დასანანია, ეს ყველაფერი ისე დაიღუპა, რომ ვერ ეღირსა მზის სინათლეს – ტ. მ.).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვლადიმერ ალფენიძემ მოკლედ, მაგრამ მისთვის ჩვეული სტილით, შთამბეჭდავად მიმოიხილა ივანე გეგიას პოეტური შემოქმედება. ოთარ ჭურღულიას შემდეგ იგი იყო მეორე ლიტერატურათმცოდნე, რომელიც დაინტერესდა პირველი სამურზაყანოელი ქართველი მგოსნის ლექსებით. ლექსების გაანალიზებამდე ვლადიმერ ალფენიძე სამართლიანად შენიშნავს: "დღეს ივანე გეგიას ყველა ლექსს ვერ მივუდგებით უმაღლესი ესთეტიკური კრიტერიუმებით. მისი ლექსები პატრიოტი მამულიშვილის, ერთი სამურზაყანოელი ტრუბადურის, გულმართალი და ალალმართალი ქართველის სიმღერებია, რომელმაც თავის დროზე

[1] ვლ. ალფენიძე, ფიქრიანი გზები, თბ., 1973, გვ. 408.
[2] იქვე.

უდაოდ გარკვეული როლი ითამაშეს. დღეს შეიძლება მათ უპირატესად კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეთ, ვიდრე ესთეტიკურ-მხატვრული".[1]

ვლადიმერ ალფენიძეს, ივანე გეგიას ლექსების მიმოხილვისას, ერთ-ერთმა ნაწარმოებმა „მოზარდი" ლაიბნიცის ფილოსოფიური მრწამსი მოაგონა („აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა"), ალბათ, ილიას ცნობილი ნაწარმოების გავლენით, რომელსაც გერმანელი ფილოსოფოსის ეს სიტყვები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული". სტატიის ავტორი ივანე გეგიას ლექსს „ბაღანა" XIX საუკუნეში დაწერილ „სამურზაყანულ იავნანას" უწოდებს.[2] ასევე ყურადღება მახვილდება ივანე გეგიას ლექსების მაღალ ადამიანურ ეთიკურ საწყისებზე. აქცენტირებულია ივანე გეგიას პოეზიაში მეფის დროინდელი სამურზაყანოს, მაშინდელი საქართველოს ავბედითი სინამდვილის რეალისტური პოეტური ასახვა: „პოეტი ხატავს მისი თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივ დაცემას და გადაგვარების სურათებს. ნიღაბს ხდის ცხოვრების სოციალურ და მორალურ დეგრადირებას მეფის პერიოდის სამურზაყანოში და არა მარტო სამურზაყანოში".[3]

წერილში საყურადღებოა ლექსი „ენუქას სინანული", რომელშიც წარმოსახულია ფულისა და მორალის დიალექტიკა კაპიტალისტურ სინამდვილეში, ოჯახური ურთიერთობის ფულით გაპიროვნება; ივანე გეგიას ნეგატიური დამოკიდებულება თავადაზნაურობისადმი („ძველი თავადი"). პუბლიცისტი ეხება სატრფიალო ლექსებსაც, რომელშიც შეჭრილია სოციალური მოტივები. გამოკვეთს ივანე გეგიას სახეს, როგორც პოეტი – პეიზაჟისტისა. სანიმუშოდ ილუსტრირებულია მშვენიერი ლექსი „კავკასიის ქება". ვლ. ალფენიძე ორიოდე სიტყვით შეეხო ივანე

[1] ვლ. ალფენიძე, ფიქრიანი გზები, თბ., 1973, გვ. 409-410.
[2] იქვე, გვ. 411.
[3] იქვე, გვ. 412.

გეგიას აფორისტულ-სენტენციურ გამოთქმებს და ვოდევილს „სიყვარულის მონა".

სამურზაყანოელი რაფინირებული ინტელიგენტი, შესანიშნავი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან ზუხბაია ივანე გეგიას ნამოწაფარი იყო. მან გულთბილი წერილით გამოხატა მადლიერების გრძნობა განუმეორებელი მასწავლებლის მიმართ. 1998 წლის 14 აგვისტოს გაზეთ „აფხაზეთის ხმაში" გამოქვეყნდა ვალერიან ზუხბაიას სტატია „ივანე გეგია" (ეს წერილი განმეორებით დაბეჭდა გაზ. „მახარიამ" 2004 წელს, N6). ავტორი ამ წერილში ივანე გეგიას დაბადების თარიღად ასახელებს 1860 წელს, ხოლო გარდაცვალებისა – 1940 წელს. ივანე გეგიას იგი უწოდებს რევოლუციამდელ სამურზაყანოს განმანათლებელს. სტატიაში გამორჩეულად აქცენტირებულია მნიშვნელოვანი მომენტები ამ უბადლო მოღვაწის ბიოგრაფიიდან: სცენისმოყვარეთა დასის ჩამოყალიბება, მის მიერ ჩატარებული სპექტაკლები, გაზეთ „ივერიის" დადებითი გამოხმაურება, წიგნსაცავის თუ ბიბლიოთეკის დაარსება სოფ. ოქუმის შუაგულში, რასაც ასევე გაზ. „ივერია" გამოეხმაურა.

ვალერიან ზუხბაია წერს: „1917 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „ალიონში" დაიბეჭდა სამურზაყანოს წარმომადგენლის ივანე გეგიას მისასალმებელი სიტყვა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობისადმი, სადაც გამოთქვა სურვილი, რომ საქართველო და აფხაზეთი მუდამ ერთად უნდა იყოს, აფხაზეთი კი ავტონომიური ერთეულის უფლებით".[1] ასევე სტატიის ავტორი აფიქსირებს ერთ საყურადღებო ფაქტს: „1918 წლის 28 მაისს გალში შედგა სამურზაყანოელთა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ზღვა ხალხის

[1] ვ. ზუხბაია, ივანე გეგია, გაზ. „აფხაზეთის ხმა", 14 აგვისტო, 1998; შდრ. გაზ. „მახარია", №6, 2004.

წინაშე სხვებთან ერთად მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ფედერალისტი ივანე გეგია".[1]

1999 წელს დაისტამბა აპოლონ სილაგაძის და ვახტანგ გურულის წიგნი „საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვეთი მეორე (თედო სახოკიას „ქართული პარტია" აფხაზეთში, 1895-1904). მასში ვეცნობით ქართული პარტიის ელიტას, რომელთა შორის, ბუნებრივია, მოხსენიებულია ივა-ნე გეგიაც. დასახელებული წიგნიდან ორიოდე ცნობას ამოვწერთ: „ქართული პარტიის" საპროგრამო მოთხოვნა იყო აგრეთვე აფხაზების აღზრდა ქართულ სკოლებში, აფხაზი მრევლისათვის ღვთისმსახურების აღსრულება ქართულ ენაზე"... „ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ცნობით, 1900 წლისათვის სოხუმში ცხოვრობდა 1658 მეგრელი, 1300 იმერელი, 200 ქართველი და 100 აფხაზი".[2]

2001 წელს გამოიცა ოთარ აკიშბაიას წიგნი „გალი", სადაც ღირსეული ადგილი ეთმობა ივანე გეგიას ღვაწლს, მის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, მის დამსახურებას ქართველი საზოგადოების წინაშე, როგორც პოეტისა, სახალხო მასწავლებლისა, პუბლიცისტისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრისა...[3]

2005 წელს გამოვიდა ლ. გოდერიძის წიგნი „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში". მასში სათანადო ადგილი ეთმობა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების საქმიანობის წარ-

---

[1] ვ. ზუხბაია, ივანე გეგია, გაზ. „აფხაზეთის ხმა", 14 აგვისტო, 1998; შდრ. გაზ. „მახარია", №6, 2004..

[2] ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, თბ., 1999.

[3] ო. აკიშბაია, გალი, თბ., 2001.

მოჩენას. ეს განყოფილება გალში დაარსებულა 1916 წელს. მისი შექმნის ინიციატორები ყოფილან ივანე გეგია, დიმიტრი ემუხვარი, მღვდელი მ. ქეცბაია და სხვ. ივანე გეგიას ავტორიტეტიდან გამომდინარე, იგი გალის განყოფილების თავმჯდომარედ აურჩევიათ. როგორც ლ. გოდერიძე აღნიშნავს, თავიდანვე განყოფილების წევრთა რაოდენობა 165 კაცს შეადგენდა, 1917 წლისთვის ეს ციფრი 205-მდე გაზრდილა. ამავე წელს თურმე განყოფილების შემოსავალი 2488 მანეთს შეადგენდა.[1]

ლ. გოდერიძე წერს: „1917 წელს, მიუხედავად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილებამ შეძლო შვიდი უფასო სამკითხველოს გახსნა შემდეგ სოფლებში: ოტობაია, ბარღეფი, ჯუბურხინჯი, აჩიგვარა, ოქუმი, საბერიო. განყოფილება მართავდა ქართულ წარმოდგენებს, რუსეთში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას ქართულ წიგნებს უგზავნიდა, ხოლო ახლად კურსდამთავრებულებს ქართულ სკოლებში აწყობდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა". სათანადო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით მკვლევარი ივანე გეგიაზე საინტერესო ცნობას აფიქსირებს თავის წიგნში: „სამურზაყანოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ივანე გეგია არაერთგზის თხოვდა დახმარებას საზოგადოების მთავარ გამგეობას, განსაკუთრებით მიუთითებდა იმ ფაქტორზე, რომ სამურზაყანო ყოველთვის უყურებდა საქართველოს, როგორც თავის დედას და ამიტომაც მეტ ყურადღებას იმსახურებდა. მისი აზრით, ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო სამურ-

[1] ლ. გოდერიძე, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, თბ., 2005; შდრ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 1576, ფურ. 2.

ზაყანოში ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, ქართული ენის კურსების გახსნა".[1]

ივანე გეგიაზე თბილი მოგონება დაწერა სოხუმში კარგად ცნობილმა პედაგოგმა თამარ ცაცუამ. თავის წიგნში "შეხვედრა წარსულთან"[2] შეტანილია მოცულობით მომცრო, მაგრამ შინაარსით შთამბეჭდავი წერილი „ივანე გეგია". მასში გადმოცემულია სიყმაწვილის პერიოდის შთაბეჭდილებანი, როგორიც უნახავს და ახსოვს ეს ბრწყინვალე პიროვნება, როგორც თანასოფლელს: „ივანე გეგია ბავშვობიდანვე მახსოვს, როგორც მუდამ მოწესრიგებული, მოკლედ შეკრეჭილი წვერ-ულვაშით, ჭაღარა მოძალებული (XIX საუკუნის ინტელიგენტთა სტილზე), ჰალსტუხით, ჟილეტიანი ნაცრისფერი პიჯაკით, შავი ცილინდრითა და ხელში მუდამ განუყრელი ტროსტით (რომელსაც ხანდახან ეზოში შემოსული შეათამაშებდა ხოლმე ხელში), ნელი, მსუბუქი მიხვრა-მოხვრით".

თამარ ცაცუა ივანე გეგიას სახავს XIX საუკუნის ინტელიგენციის სწორუპოვარ განსახიერებად, გარეგნობით, ჩაცმულობით, დახვეწილი მანერით, ცხოვრების სტილით და ერუდიციით: "არასდროს მინახავს ბატონი ივანე შინაურულად, მსუბუქად ჩაცმული. მუდამ საზეიმო ელფერი ედო მის ჩაცმა-დახურვას ევროპულ სტილზე, ასევე ევროპულად ჰქონდა მოწყობილი სახლკარი".[3] ამასთანავე, თამარ ცაცუა იგონებს ამ „ევროპულ სტილზე" ჩაცმული კაცის სახელოსნოს: „ივანე გეგიას სახლის პირველ სართულზე მოწყობილი იყო სახელოსნო, სადაც V-VII კლასის მოსწავლეები გადიოდნენ შრომის გაკვეთილებს და სკოლის-

[1] ლ. გოდერიძე, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყსში, თბ., 2005; შდრ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 1576, ფურ. 2. .

[2] თ. ცაცუა, შეხვედრა წარსულთან, თბ., 2008, გვ. 212.

[3] იქვე, გვ. 213.

თვის აკეთებდნენ ინვენტარს (მერხები, სკამები...). ალბათ, შრომის გაკვეთილებს თვითონ ბ-ნი ივანე უძღვებოდა".[1]

როგორც მკითხველმა დაინახა, ზემოთ შევეცადეთ ზოგად ფარგლებში განგვეხილა ის მასალები, რაც დღემდე შექმნილა ივანე გეგიაზე, როგორც პოეტზე, პედაგოგზე, ჟურნალისტზე, ბიბლიოთეკარზე, სამურზაყანოში სცენისმოყვარეთა დასის შემქმნელზე, „ქართული პარტიის" წევრზე. სამურზაყანოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეზე, თვითნასწავლ აგრონომზე და ა.შ. მადლიერების გრძნობასთან ერთად იბადება უკმაყოფილების გრძნობაც, განსაკუთრებით იმათ მიმართ, ვისაც საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში უმუშავია ივანე გეგიას არქივში: რატომ არ დაინტერესდნენ „მოგონებანის" პუბლიკაციით, რაც მათივე ინფორმაციით, საინტერესო ცნობებს შეიცავდა მის თანამედროვე ქართველ მწერლებზე და საზოგადო მოღვაწეებზე. ასევე, რატომ არ იზრუნეს იმ საინტერესო ეთნოგრაფიული ნარკვევის გამოქვეყნებაზე, რომელიც, მათივე ცნობით, იმავე არქივში ინახებოდა. იგივე ითქმის მგოსნის გამოუქვეყნებელ ლექსებზე, აფორიზმებზე და სხვა მასალებზე. ამით ხომ გამოვტაცებდით ამ იშვიათ საგანძურს 1991-1992 წლების მიჯნაზე რუსთაველის გამზირზე სამარცხვინოდ აგიზგიზებულ ძმათამკვლელ და შთანმთქმელ ცეცხლს. ეს საგანძური ხომ იმჟამინდელმა ტრაგიკულმა მოვლენებმა შეიწირეს. თუმცა, როგორც იტყვიან, უკვე გვიანღაა თითზე კბენანი. ახლა კი ვალდებული ვართ, ივანე გეგიას სულიერი მემკვიდრეობიდან რაც გადარჩა, იმას მოვუაროთ და შთამომავლობას გადავცეთ ამ სამაგალითო პიროვნების ნაღვაწ-ნაამაგარი. ამ მიმართულებით, როგორც ზემოთაც ითქვა, სანიმუშო ნაბიჯი გადაიდგა 2011 წელს პროფ. ოთარ ჟორდანიას

[1] თ. ცაცუა, შეხვედრა წარსულთან, თბ., 2008, გვ. 213.

თავდადებული შრომით, როდესაც დაისტამბა მშვენიერი წიგნი „გაზაფხულის მოლოდინში", რომელიც ყველაზე სრულად ასახავს ივანე გეგიას შემოქმედებას. სასურველია ამ მხრივ მუშაობა მომავალშიც გაგრძელდეს.

2012 წლის 17 ოქტომბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყო ზემოთ დასახელებული წიგნის – "ივანე გეგია, გაზაფხულის მოლოდინში" – წარდგენა. სწორედ აქ დაგვებადა სურვილი წინამდებარე მოკრძალებული წიგნის შექმნისა, რათა გარკვეულწილად ამოგვევსო ის ხარვეზი, რაც დღემდე არსებობდა ივანე გეგიას პოეზიასთან მიმართებაში.

ივანე გეგიას პოეტური შემოქმედება აქამდე არ ყოფილა საფუძვლიანი განსჯისა და ანალიზის საგანი. ზემოთ დავაფიქსირეთ ამ მიმართულებით ოთარ ჭურღულიას, ვლადიმერ ალფენიძის და ოთარ ჟორდანიას მიერ კეთილი განწყობით გადადგმული ნაბიჯები. თუმცა მათი მცდელობანი მხოლოდ ზოგადი ასპექტებით შემოიფარგლა. ისინი თავიანთ ნარკვევებში ივანე გეგიას მოღვაწეობის უფრო სხვა სფეროებით იყვნენ დაინტერესებულნი და პრეტენზია არც ჰქონიათ სამურზაყანოელი მგოსნის პოეზიის ყოველისმომცველი განხილვისა, კვლევისა და შესწავლისა.

წინამდებარე ნაშრომში მსჯელობა წარმართულია ივანე გეგიას პოეზიის იდეურ-შინაარსობრივი მხარის, სხვადასხვა მოტივის, თემის წარმოჩენისაკენ, აქცენტირებულია პოეტის მიერ სათანადო ლიტერატურული ტრადიციებითა და წყაროებით სარგებლობა. საკითხებთან დაკავშირებით სკრუპულოზურად არის გაანალიზებული ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი. დამუშავებულია დაწვრილებით პოეტიკის საკითხები, ავტორის ტროპული მეტყველება, მეტრიკული სტრუქტურა, რითმა და ა.შ.

ივანე გეგიას ცხოვრების გზა

წარმოშვაველობა. ივანე გეგია არ იყო ძირძველი სამურზაყანოელი. იგი აქ არ დაბადებულა. სოციალური წარმოშობით მამამისი კონსტანტინე (ადგილობრივი მკვიდრნი თურმე „დიდ კოსტას" უწოდებდნენ) გლეხი ყოფილა, სამეგრელოს, კერძოდ, მარტვილის მკვიდრი. მას დაუტოვებია მშობლიური კუთხე და 1865 წელს სამურზაყანოში, კონკრეტულად – დაბა ოქუმში დასახლებულა. ეტყობა, საცხოვრებლად ოქუმი „დიდ კოსტას" შემთხვევით არ აურჩევია.

როგორც ისტორიულად ცნობილია, სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ბედიიდან გადმოუტანიათ ოქუმში. ე. ი. ოქუმი გამხდარა რეგიონის ცენტრი 1840 წლიდან 1906 წლამდე. სწორედ ამან შეუწყო ხელი ამ ხნის მანძილზე ამ ულამაზეს სოფელს ფერი და სახე ეცვალა როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ივანეს მამას უჭირდა მარტვილში ოჯახის რჩენა და ამიტომაც მიაშურა ოქუმს, რათა ვაჭრობისთვის მიეყო ხელი და მატერიალურად წელში გამართულიყო. სხვათა შორის, პატარა ივანესაც შთააგონებდა მამა ვაჭრობის უპირატესობას, მაგრამ ამაოდ.

კონსტანტინე გეგიას ოჯახი მრავალწევრიანი იყო. დედამამასთან ერთად ივანეს ჰყავდა და და ძმები. სამწუხაროდ, მამას დიდხანს არ დასცალდა წუთისოფელში ყოფნა. იგი გარდაიცვალა 1885 წელს. და-ძმებში ივანე უფროსი ყოფილა და უმამოდ დარჩენილი ოჯახის სიმძიმე მას დააწვა მხრებზე.

დაბადების თარიღი. სოლომონ ცაიშვილი ივანე გეგიას დაბადების თარიღად ასახელებს 1860 წელს,[1] იგივეს იმეორებს

[1] სოლ. ცაიშვილი, "ივანე გეგია", სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებ. I, თბ., 1953, გვ. 367.

ვალერიან ზუბბაია.[1] ამ უკანასკნელს ალბათ დაეჯერება, რადგან ივანე გეგიას ნამოწაფარი იყო და, ამდენად, ახლო ურთიერთობა ჰქონდა საყვარელ მასწავლებელთან. ოთარ ჭურღულიას მიხედვით, სამურზაყანოს პირველი ქართველი მგოსანი დაბადებულია 1861 წელს.[2] მისი ცნობა უფრო სანდოა, ვინაიდან უშუალოდ უმუშავია საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში დაცულ ივანე გეგიას არქივში, სადაც ინახებოდა თვით პოეტის მიერ დაწერილი მემუარული ნაშრომი „მოგონებანი", საიდანაც, ცხადია, მკვლევარი ამოიკითხავდა მისივე დაბადების თარიღს. ამავე თარიღს იმეორებს ოთარ ჟორდანიაც.[3] ასე რომ, ივანე გეგიას დაბადების თარიღად უფრო მისაღები და გავრცელებული ცნობაა 1861 წელი. გამოდის, რომ მამის ოჭუმში გადმოსახლებისას პატარა ივანე უკვე 4 წლისა ყოფილა.

სასულიერო სასწავლებელში. მამას თურმე არ აინტერესებდა თავის შვილს ივანეს სათანადო სწავლა-განათლება მიეღო, რაც ბავშვის დაუოკებელი წყურვილი ყოფილა. ეტყობა, მამა უფრო მატერიალური სიკეთისკენ იყო მიდრეკილი და შვილსაც შთააგონებდა ვაჭრად ჩამოყალიბებას. პატარა ივანე კი ჩარჩვაჭრული მისწრაფებისგან შორს იდგა. ოთარ ჭურღულიას მოვუსმინოთ: „მართალია, ივანე გეგია ვაჭრის ოჯახში აღიზარდა, მაგრამ ჩარჩ-ვაჭრულ საზოგადოებას ვერ ეგუებოდა. ეს არაერთხელ აღუნიშნავს თავის კორესპონდენციებსა თუ მოგონებებში. მაგალითად, 1895 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ჩარჩ-ვაჭრების უსულგულობაზე შემდეგს წერდა: „არსებობისთვის ბრძოლა აიძულებს უფულო კაცს

---

[1] **გ. ზუბბაია**, "ივანე გეგია", გაზ. "აფხაზეთის ხმა", 14.VIII.1998; შდრ. "მახარია", №6, 204.

[2] **ო. ჭურღულია**, ნარკვევები, თბ., 1966, გვ. 62.

[3] **ო. ჟორდანია**, ივანე გეგია - პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წიგნში: "ივანე გეგია, გაზაფხულის მოლოდინში", თბ., 2011, გვ. 9.

სულთამხუთავ მევახშესთან მიიქცეს ფულის სასესხებლად. მოვახშენიც ხედავენ მათ გაჭირვებას და ტყავს აძრობენ".[1] ერთ-ერთ ლექსშიც ამბობს: „არ მახარებს ოქრო-ვერცხლი ფულები".[2]

მამის სურვილის საწინააღმდეგოდ, ივანე გეგია ჩაირიცხა ახალ-სენაკის ე. წ. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაუმთავრებია 1881 წელს. ე. ი. 20 წლის ასაკში. საინტერესოა, რომ მასთან ერთად სასწავლებელში სწავლობდნენ თურმე თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, მიხა ცხაკაია. თუმცა, როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას მიხა ცხაკაიას სკოლის მერხის მეგობრობა ვერაფერში გამოადგა. როგორც ირკვევა, 1924 წლისთვის ივანე გეგიას გადაუწყვეტია თავისი ლექსების, აფორიზმების, ანდაზების და მოგონებების ცალკე წიგნად გამოცემა თბილისში. ოთარ ჭურღულიამ გაარკვია, რომ საბუთებიდან ჩანდა მთავლიტის მიერ 24 ლექსისთვის ვიზის მიცემა დასაბეჭდად უკვე 1927 წლისთვის. იგი მაინც ვერ ეღირსა გამოცემას. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს მოაქვს ზაქარია ჭიჭინაძისადმი ივანე გეგიას მიერ მიწერილი ბარათის ტექსტი: "ძვირფასო ძმაო ზაქარია! გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ზაქრო, შენი წერილი მივიღე, ალაგ-ალაგ ამოვიკითხე, ალაგ კი სრულებით ვერაფერი გაუგე. რაშია საქმე, და ვიცი „გლავლიტმა" თუ უარი გითხრა ნებართვაზე, ეცადე ამბ. მახარაძე ან ცხაკაია მოიხმარე ნებართვის ასაღებად".[3] წერილის ბოლოს კვლავ შეახსენებს ზ. ჭიჭინაძეს: „მიხას უთხარი: ამბ. გეგია შენი ნაამხანაგარი ყოფილაო". ივანე გეგიას მიხა ცხაკაია ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილ სხვა წერილშიც არ „ავიწყდება": „კიდევ: ამხანაგ მიხა ცხაკაიას ჩემი ამხანაგური მოკითხვა გადაეცი. თედო სახო-

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 63.

[2] ივ. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 48.

[3] ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 92; შდრ. ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 139.

კიაც არ დამივიწყო".[1] როგორც ჩანს, სკოლის მერხის მეგობარს „ამხ. ცხაკაიას" უკვე აღარ ეცალა ივანე გეგიას ნაწერებისთვის, იქნებ იმიტომ, რომ „ზოგიერთი ნაწერები თანამედროვე შინაარსისანი არ იყვნენ" (ი. გეგიას სიტყვებია). „თანამედროვე შინაარსის" არმქონე ნაწარმოებებს როგორ მიხედავდნენ „ამხ. მახარაძე და ცხაკაია"... ვერ უშველიდა საქმეს: „მიხას უთხარი: ამხ. გეგია შენი ნაამხანაგარი ყოფილაო".

უმაღლესი სასწავლებლისკენ გზის ჩახერგვა. როგორც ითქვა, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ივანე გეგიას 1881 წელს დაუსრულებია. სურდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. საამისოდ მზადებას შეუდგა, ნაშოვნი ფული სახარჯოდ არ ყოფნიდა. სურვილების ამაო ორომტრიალში ოჯახს უბედურება დაატყდა თავს, ივანეს მამა 1885 წელს გადაიცვალა. ოჯახის წინამძღოლობა უფროს შვილს ივანეს უნდა ეკისრა, დედისთვის, დისთვის, ძმებისთვის უნდა ეპატრონა. იძულებული შეიქნა მეურნეობისთვის მოეკიდა ხელი. ასე ჩაიხერგა უმაღლესი სასწავლებლისკენ მიმავალი გზა.

თვითნასწავლი აგრონომი. საუბარს ოთარ ჟორდანიას წერილიდან დამოწმებული ციტატებით გავაგრძელებთ, რომელიც წარმოაჩენს ივანე გეგიას პიროვნებას, როგორც თვითნასწავლი აგრონომისა. წერილის ავტორი საქართველოს ისტორიულ არქივში მოძიებული მასალებიდან ამოდის: „ივანე გეგია გაეცნო სპეციალურ აგრონომიულ ლიტერატურას, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს და დაიწყო მათი დანერგვა საკუთარ მეურნეობაში; სხვადასხვა კუთხიდან იწერდა ახალი ჯიშის ხეხილსა და ყურძნის ნერგებს, ატარებდა ექსპერიმენტებს... მის სახელს უკავშირდება აფხაზეთში ჩაის კულტურის გავრცელება და მეაბრეშუმეობის განვითარება... ოქუმში დააარსა

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 141.

აბრეშუმის პარკსაშრობი ქარხანა, რასაც მოჰყვა სამურზაყანოს სოფლებში მეაბრეშუმეობით დაინტერესება... ივანე გეგიამ ახალი წესებით გააშენა დაბლარი ვენახი... იგი გახდა სოხუმის ოლქიდან ქუთაისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის წევრი"[1].

ივანე გეგიას მიერ სამურზაყანოში მეაბრეშუმეობის გავრცელებას თურმე სირთულეები ახლდა თან, რასაც მისივე „მოგონებებში" ვეცნობით: „ხალხი შეპყრობილი იყო სხვადასხვა ცრუმორწმუნეობით და მკვიდრი არ ბედავდა დაჯენასა და მოვლას („იგულისხმება აბრეშუმის ჭია), ვერ დაარწმუნებდი იმაში, რომ ყაჭის მოვლისთვის „წმინდა გიორგი" არ გაანადგურებდა მეყაჭე ოჯახს".[2] ოთარ ჭურღულია შენიშნავს; ივანე გეგიამ სამურზაყანოში დიდი ბიძგი მისცა მეღორეობის განვითარებას. მას თავის მეურნეობაში ჯიშიანი ღორები – წმინდა სისხლის იორკშირის ნეზვები შეუჯვარებია ადგილობრივ ტახებთან, გამოუყვანია ახალი ჯიში, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა ინგლისურ ჯიშს. ზოგიერთი ნასუქი ეგზემპლარი 20 ფუთამდე აღწევდა თურმე.[3]

სასკოლო-პედაგოგიური საქმიანობა. სასკოლო-პედაგოგიური მოღვაწეობისკენ პირველი ნაბიჯი ივანე გეგიას 1883 წელს გადაუდგამს. ამის დასადასტურებლად მოვუხმობთ ციტატას, რომელიც „მოგონებებიდან" ამოუწერია ოთარ ჭურღულიას: "სასწავლებლის (იგულისხმება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი – ტ. მ.) დამთავრების შემდეგ მოვშორდი მშობლებს და 1883 წელს ოჩამჩირეში კერძო სკოლა გავხსენი, სადაც ნორმალური პირობები ამ დროს სრულიად არ არსებობდა. ავიყვანე 20-მდე მოწაფე, სულ ოჩამჩირის მოქალაქეთა შვილები.

[1] ო. ჟორდანიას დასახ. წერილი, გვ. 9-10.
[2] ციტატა მოტანილია ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 88.
[3] იქვე, გვ. 89.

ვასწავლიდი ქართულ და რუსულ წერა-კითხვას. ამათგან აღებული ფული სახარჯოდ არ მყოფნიდა. იძულებული შევიქენი ოჯახში დავბრუნებულიყავი".[1] როდესაც 1883 წელს ოჩამჩირეში ივანე გეგიას მიერ სკოლის გახსნაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ საყურადღებო ფაქტს. მხედველობაში გვაქვს 1851 წელს დაბა ოქუმში პირველი სამრევლო სკოლის გახსნა. ჯემალ გამახარიას მოვუსმინოთ: „აფხაზეთის ისტორიაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც ქართველი მისიონერების სახელებთან არის დაკავშირებული. 1854 წელს დაბა ოქუმში სამურზაყანოსა და მთელი აფხაზეთის მასშტაბით პირველი სამრევლო სკოლა გაიხსნა... სკოლის დაარსება ცნობილი სასულიერო მოღვაწის დავით მაჭავარიანის სახელს უკავშირდება.[2]

ივანე გეგიას ნათქვამი „მოვშორდი მშობლებს" უნდა აღვიქვათ როგორც შეუთავსებლობა მამის გადაწყვეტილებასთან შვილის ვაჭრობის გზაზე დასაყენებლად, რაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა მისივე სულიერი მოთხოვნილებებისადმი. ახალგაზრდა კაცს განათლება, ცოდნის შეძენა და დაგროვება იტაცებდა, რათა მომავალში ეს ყველაფერი მოეხმარა თანამემამულეთა კეთილდღეობისათვის. ამიტომ შეუდგა იგი მშობლებისაგან დამოუკიდებელ საქმიანობას. ეტყობა, სიყმაწვილიდანვე ჰქონდა გულში ჩანერგილი სკოლა და განათლება, ქართული ენის დაცვა...

პედაგოგიური მოღვაწეობა განუგრძია ივანე გეგიას მშობლიურ ოქუმში. აქ არსებობდა ორკლასიანი სკოლა, სადაც ის დაუნიშნავთ 1891 წელს მასწავლებლად, კერძოდ, მეორე მასწავლებლის თანამდებობაზე. ეს ქვემოთ დამოწმებული დოკუმენტიდანაც ჩანს. ოთარ ჭურღულიას მიხედვით კი „ივანე გეგია 1887

[1] ციტატა მოტანილია ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 62-63.
[2] ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005, გვ. 418.

წელს დანიშნეს ოქუმის სკოლის ქართული ენის მასწავლებლად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ რევოლუციური მოღვაწეობისთვის სამსახურიდან დაითხოვეს... მართალია, იგი მალე აღადგინეს სამსახურში, მაგრამ გაძლიერებული ფარული მეთვალყურეობა დაუწესეს და 1904 წლიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას სამუდამოდ აღუკვეთეს მასწავლებლობა.[1] შესაძლოა, მკვლევარი ამას წერს ივანე გეგიას „მოგონებების" მიხედვით, რაც ჩვენთვის უცნობია ან უკვე მისი არარსებობის გამო. ო. ჭურღულია არაფერს ამბობს 1891 წელს ივანე გეგიას დანიშვნაზე ოქუმის სკოლის მასწავლებლად. არც მის გათავისუფლებაზე 1893 წელს.

1891 წლის მარტის 19 კავკასიაში მართლამდიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სასწავლებელთა ინსპექტორის, არქიმანდრიტ ამბროსის შეტყობინება ივანე გეგიასადმი მის ოქუმის სკოლის მეორე მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, N34. შეტყობინებაში ვკითხულობთ: „Вы назначены вторым учителем Окумской школы ведомства Обш. восст. христианства на Кавказе и утверждены в сей должности экзархом Грузии и председателем Совета Общества Высокопреосвященнейшим Палладием, с назначением годового содержания в размере 300 рублей.

Давая об этом знать, предлагаю немедля, вступить в исправление своей обязанности, о чем предварительно сообщить старшему учителю школы Петру Камкия".[2]

სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა ივანე გეგიას პედაგოგიური საქმიანობა ოქუმის ორკლასიან სკოლაში. ოთარ ჟორდანიას მიერ საქართველოს ისტორიულ არქივში (ფონდი 493, აღწ. I, საქ. 937, ფურც. 4) მოძიებული საბუთის თანახმად, იგი

[1] ო. ჭურღულია დასახ. ნაშრომი, გვ. 63.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 143.

გაუთავისუფლებიათ 1893 წელს, თითქოს და მასწავლებლის დამადასტურებელი ატესტატის უქონლობის გამო. სინამდვილეში კი ამის მიზეზი იყო ივანე გეგიას ეროვნულ-პატრიოტული ძალისხმევა, ქართული ენის და ქართველი ერის ინტერესების დაცვა, ცარიზმის მომაკვდინებელი კოლონიური პოლიტიკის მხილება.

სწორედ ივანე გეგიას მასწვლებლობიდან გათავისუფლების წლიდან, ანუ 1893 წლიდან, დაიწყო აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევება, მისი დევნა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" და „Русское слово"-ს აკრძალვა, სკოლებში ბავშვების გონებრივად დამმახინჯებელი ლევიცკის ე.წ. სახელმძღვანელოს შემოღება, ასევე უშინსკის „Родное слово"-ს დაკანონება. რადგან უშინსკი ვახსენეთ, ბუნებრივია, ვრცლად შევჩერდებით ივანე გეგიას მიერ 1893 წელის 11 ივნისის გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილზე – „მცირე შენიშვნა უშინსკის „Родное слово"-ზედ. იგი დაიბეჭდა ფსევდონიმით „ო-მელი ვ-ნო".

უშინსკის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით სტატიის დასაწყისშივე ივანე გეგია გულწრფელად აღიარებს: „თავის დროზე უშინსკის „Родное слово"-ს რუსეთის პედაგოგიურ ლიტერატურაში პირველობას ვერავინ წაართმევდა რუსეთის ახალი თაობისთვის მას დიდი სარგებლობა მოჰქონდა, თუმცა საყმაწვილო წიგნების მომრავლებამ შეასუსტა მისი სახელი. ეს იმიტომ, რომ ეს საყმაწვილო წიგნები მოზარდებისთვის უფრო გონივრულად არის დაწერილი და ადვილად გასაგები. ავტორი აქვე სვამს კითხვას: დავუშვათ, რომ უშინსკის სახელმძღვანელოს დღემდე ტოლი და სწორი არ გამოჩენია, რომ „Родное слово" უკეთესი სახელმძღვანელოა, „საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ,

ასევე კარგია თუ არა ეს წიგნი ქართველთა ყმაწვილებისთვისაც?" სვამს კითხვას და უკომპრომისოდ თითონვე პასუხობს:

„ჩვენთვის, ქართველებისათვის, უშინკის „Родное слово" არც ეხლაა და არც უწინ იყო სასარგებლო, მაგრამ სხვა ამ გვარი წიგნების გამო, უშინსკის წიგნსა ვჯერდებოდით. ჩვენი მოზარდი თაობის სწავლების საქმე თუ გვინდა გაადვილდეს, უთუოდ უნდა უარვყოთ უშინსკის სახელმძღვანელო".[1] უარყოფის საფუძვლიან არგუმენტებსაც ქვემოთ ასახელებს პუბლიცისტი. ბოლოს კატეგორიული ტონით წერს: "უშინსკის მიერ შედგენილი საყმაწვილო წიგნი სრულიად გამოუსადეგარია ჩვენი ბავშვებისათვის. წარსულ წლებში სწავლის საქმე უფრო მარჯვედ მიდიოდა ჩვენს სკოლებში, რადგანაც ბ-ნ ი. გოგებაშვილის "Русское слово" და მისივე „დედა ენა" გვქონდა სკოლებში სახელმძღვანელოდ. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, შარშან ამ წიგნების წყალობით შეგირდებმა სამი თვის განმავლობაში ისწავლეს ქართულ-რუსული წერა-კითხვა. რუსული ენის ლექსიკურ ვარჯიშობაშიც ეტყობოდათ გამარჯვება ბავშვებს. ამ სამოსწავლო წლიდან მოსპეს ქართული ენის სწავლება ჩვენ სკოლებში, აგრეთვე უარ-ჰყვეს ბ-ნ გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნების ხმარება. ნაცვლად ამ წიგნებისა, გამოგვიგზავნეს შეგირდების დასარიგებლად მთელი ერთი ურემი უშინკის „Родное слово"-ები".[2]

წერილის ბოლოს ივანე გეგია წუხს სწავლის საქმის დიდ შეფერხებაზე სკოლებში მომავლისათვის, თუ უშინსკის სახელმძღვანელო წიგნის ხმარებას არ დაშლიან, თუ უარს არ იტყვიან მასზე. ოთარ ჭურღულიას ენით რომ ვთქვათ, ივანე გეგიას შენიშვნებში ხაზგასმით აღნიშნულია ნაციონალური სკოლების სპეციფიკა და ამავე დროს დიდი აღშფოთებაცაა

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 112.
[2] იქვე, გვ. 113-144.

გამოთქმული მშობლიური ენის სწავლების აკრძალვის გამო.[1] ივანე გეგია ამ სტატიაში ახსენებს 1892 წლის სექტემბრიდან სოხუმის ოლქისთვის დაარსებული ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას, რომლის სკოლებში დაუწყიათ პირველად მოზარდი თაობის სწავლება უშინსკის სახელმძღვანელო წიგნებით. ოთარ ჭურღულიას თქმისა არ იყოს, სამურზაყანოს სკოლებში განსაკუთრებით ცუდი დღე დადგა მას შემდეგ, რაც აქ კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ზედამხედველად დანიშნეს შავრაზმელი მღვდელი იოანე ქავჟარაძე. იგი იყო ცარისტული ხელისუფლების აგენტი, ქართული ენის მდევნელი, ქართული ცნობიერების ამოძირკვისთვის მებრძოლი. რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისთვის ამ „შავრაზმელ მღვდელს" პატრიოტმა ქართველებმა იმთავითვე გამოუცხადეს ბრძოლა. მათ შორის იყო ივანე გეგიაც, რომელიც ოქუმშივე ებრძოდა მას, ხალხში გამოდიოდა ამ დაქირავებული აგენტის წინააღმდეგ.

1993 წელს ოქუმის ორკლასიანი სკოლის მასწავლებლობიდან გათავისუფლებული ივანე გეგიას პედაგოგობის საკითხი თურმე შვიდი წლის შემდეგაც „აქტუალური" ყოფილა. კერძოდ, დაუშვებლად მიაჩნდათ ამ პატრიოტი კაცის კვლავ სკოლაში შეშვება. ოთარ ჟორდანიას მიერ მიკვლეული დოკუმენტური მასალიდან ჩანს, რომ 1900 წლის 22 იანვარს საქართველოს ეგზარქოსის სახელზე შესულა ანონიმური წერილი კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ოქუმის სკოლის მეორე მასწავლებლის თანამდებობის ივანე გეგიას მიერ დაკავების დაუშვებლობის შესახებ: „Несколько лет тому назад в наше училище был определен вторым учителем м. Окум Иван Гегия, который спустя несколько месяцев был устранен

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 69.

от учительской должности за малоспособность и ненадёжность, увольнение состоялось летом 1893 г., ...В настоящее время открывается место второго учителя, на таковую дольжность, носятся слухи, что назначается Советам Общества назначенный Гегия, чем население Окума сильно возмущено и в случае, если оправдаются эти слухи намерено не пускать свойх детей в школу... Не допустит назначения Гегия – человека, как уже признанного малоспособным в учительской деятельгности"...[1]

საქართველოს ისტორიულ არქივში ოთარ ჟორდანიამ აღმოაჩინა კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტური მასალა, რომელიც თარიღდება 1900 წლის 24 ივნისით. მასში ვეცნობით ოქუმის ხარების ეკლესიის მღვდლის იოანე ჩხენკელის მიმართვას კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების მისიონერ-ინსპექტორის, სოხუმის ეპარქიის მღვდლის ტ. ივანიცკისადმი. მასში მოცემულია ივანე გეგიას დახასიათება: „Когда я узнал, Окумский житель купеческий сьн Иван Гегия просит Ваше Высокоблагословение о предоставлении ему вакантного места 2-го учителя Окумс(кой) двухлассной школы. Поэтому я, как местный священник и председатель здешнего школьного Совета, за не лишнее же считаю дать свое мнение о названным просителе Гогия, не смотря на то, что сомной состоит в близком родстве: Он по моему усмотрению, человек и способностью достаточно соответствующей просимой должности, добросоветно и аккуратно относящийся к школьному делу, как это было усмотрено в бытность его учителем при сказанной школе, - притом спецяльно знающий нотное пение, - поведения же безукаризненного и честного. О чём честь имею сообщить Вам. Священник Иванн Чхенкели".[2]

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ 146-147.
[2] იქვე, გვ. 148.

მართალია, ცარიზმის კოლონიური რეჟიმი ყოველმხრივ ავიწროებდა ივანე გეგიას, როგორც პედაგოგს, დიდ პატრიოტს, ქართული ენის მტკიცედ დამცველს, მაგრამ მიზანს მხოლოდ დროებით აღწევდა, სამურზაყანოელი განმანათლებელი მოწოდებით პედაგოგი იყო და ასე დარჩა სიკვდილამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ცნობილია, რომ იგი გალის ცხრაწლიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად მუშაობდა წლების განმავლობაში.

ივანე გეგიას პედაგოგიურ მოღვაწეობაზე საუბარს ოთარ ჭურლულიას სიტყვებით დავასრულებთ: „ივანე გეგია 1883 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ იგი არ ყოფილა უბრალო მენტორი. ივანე კარგად იყო დაუფლებული პედაგოგიური აზროვნების ისტორიას, სწავლებისა და აღზრდის პრინციპებს და სკოლაში როდესაც მოზარდ თაობას ასწავლიდა, ხელმძღვანელობდა მოწინავე მოღვაწეების შეხედულებებით".[1]

სცენისმოყვარეთა დასის დამფუძნებელი. უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ 1893 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციას – „წერილი სამურზაყანოდან": „ერთად-ერთი სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ ამ მოკლე ხანში ქართველი სცენის მოყვარულთაგან ბ-ნ ივანე გეგიას მოთავეობით გამართულ იქნა ქართული წარმოდგენები, ოჩამჩირესა და ზუგდიდში თითოჯერ, ოქუმში – ორჯერ. წარმოადგინეს: 1. სამი მოქმედება „სამშობლოსი"; 2. „უჩინ-მაჩინის ქუდი"; 3. „რაც გინახავს – ველარ ნახავ"; 4. „ცოლი თუ გინდა, ეს არის" და გაჰმართეს დივერტისმენტები. საზოგადო წარმოდგენებმა ყველგან კარგად ჩაიარა. როლები ყველამ იცოდა და გრძნობითაც თამაშობდნენ. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქა-ნნი: ნეონილა ჩხენკელი და თეკლე გეგია და ბ-ნი ივანე გეგია. საზოგადოება ყველგან ნასიამოვნები დარჩა;

[1] ო. ჭურლულიას, ნარკვევები, გვ. 67.

ყველგან თანაგრძნობას უცხადებდნენ, მადლობას უხდიდნენ და სთხოვდნენ, კიდევ გვასიამოვნეთო".[1]

ამ კორესპონდენციიდან ვრცელი ამონაწერი იმაზე მეტყველებს თუ რა გულისხმიერად გამოხმაურებია ილია ჭავჭავაძის „ივერია" სამურზაყანოში 1890 წელს წამოწყებულ დიდ საქმეს სცენისმოყვარეთა წრის ოქუმში დაარსების თაობაზე. ასეთი დიდი კულტურული საქმის სულისჩამდგმელი სწორედ ივანე გეგია გახლდათ. იგი თვითონ ყოფილა სცენარისტი, რეჟისორი, დეკორატორი და მსახიობიც.

ვლადიმერ ალფენიძეს ივანე გეგიას "მოგონებებდან" მოაქვს ასეთი ციტატა: „ხშირად თბილისში მოგზაურობამ, იქ ჩვენი მსახიობების გაცნობა-დაახლოებამ მეც შემაყვარეს ეს დიდი საქმე. სურვილი მქონდა ხალხისთვის სცენა გამეცნო".[2] ივანე გეგია, გარდა ამისა, ასახელებს კიდევ ერთ ბედნიერ შემთხვევას, რომელიც უკავშირდება პეტერბურგიდან სამურზაყანოში მოხუცი მსახიობი ქალს ჩამოსვლას. იგი სამურზაყანოს უბნის (ე.ი. მაზრის) უფროსის ნათესავი ყოფილა. ეს ქალი თურმე თავის დროზე პეტერბურგის სამეფო თეატრის სცენაზე, როგორც მსახიობი-არტისტი, წარმატებით გამოდიოდა, მსახიობთა შორის პირველობით გამოირჩეოდა. ივანე გეგიას სწორედ ეს პეტერბურგელი მსახიობი მოუწვევია რეჟისორად და სამურზაყანოს ისტორიაში პირველად შედგომია თეატრალური დასის ჩამოყალიბებას. სცენისმოყვარეთა წრეში გაუერთიანებია ოქუმელი სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც რუსეთის, თბილისის, ქუთაისის სასწავლებლებში სწავლობდნენ. აქვე ჩა-

[1] ა. ენგურელი, „წერილი სამურზაყანოდან", გაზ. „ივერია", №237, 1893; შდრ. ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[2] ვლ. ალფენიძე, სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის შესახებ, გაზ. „ლენინელი", 5 სექტემბერი, 1972.

ურიცხავს საკუთარი და თეკლეც. საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებას თვითონვე კისრულობდა.

როგორც აღინიშნა, ივანე გეგია დრამატურგიაშიც ცდიდა კალამს. მის მიერ 1890 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში „ლექსების კონა" შესულია ერთმოქმედებიანი პიესა – ვოდევილი „სიყვარულის მონა". ვლადიმერ ალფენიძეს საქართველოს სახალდო განათლების მუზეუმში უნახავს მეორე პიესის ფრაგმენტები. იგულისხმება სამმოქმედებიანი კომედია „მოდი ჭკუაზე". ივანე გეგიას სოფელ ოქუმში სცენისმოყვარეთა წრე ანუ სოფლის თეატრი დაუარსებია 1890 წელს. ოთარ ჟორდანიას შენიშვნით, იგი სცენიდან ეროვნულ იდეებს ქადაგებდა, სამურზაყანოს მოსახლეობას ქართული ენისა და მამულისადმი სიყვარულს უღვივებდა.[1]

თეატრალური დასის საქმიანობა მხოლოდ სოფ. ოქუმით არ იფარგლებოდა. ივანე გეგიას თეატრალური წარმოდგენები გაჰქონდა ოჩამჩირეში, ზუგდიდში, ფახულანში... იგი, როგორც სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი, სახალხო თეატრის სცენაზე აცოცხლებდა ქართველი მწერლების შემოქმედებით ნიმუშებს: „სამშობლო", „და-ძმა", „უჩინმაჩინის ქუდი", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „დილა ქორწილის შემდეგ". აქვე განსაკუთრებით უნდა დავასახელოთ ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში დასმა მაყურებელს უჩვენა შექსპირის „ჰამლეტი". აღსანიშნავია, რომ წარმოდგენების გასამართავად საჭირო მასალას (საქონელი კოსტიუმებისათვის, დეკორაციისათვის) თვითონ ყიდულობდა საკუთარი სახსრებით.

ოთარ ჭურღულია წერს: „ადვილი წარმოსადგენია გასული საუკუნის 90 და 900-იანი წლები, უგზოობა, ცუდი მიმოსვლა აფხაზეთის დაბებს შორის. ამ უგზოობის დროს ივ. გეგიას „დასი"

[1] ო. ჟორდანიას დასახ. ნარკვევი, გვ. 11.

საგასტროლოდ ურმით გამგზავრებულა ოქუმიდან ოჩამჩირეში. ქალები მოკალათებულან ცალკე ურემზე, ხოლო მამაკაცები ცალკე. რაოდენი მონდომება, სიყვარული და სითბო უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი ივანე გეგიას წამოწყებაში, რომ სცენისმოყვარეთა ამ პატარა დასს იმდროისათვის საკმაოდ დიდ მანძილი ურმით გადაელახა და თავისი წარმოდგენები ეჩვენებინა ხალხისთვის".[1] წარმოდგენების გამართვაში სცენისმოყვარულებისათვის დიდი დახმარება აღმოუჩენიათ ოჩამჩირელებს. კერძოდ, ქალთაგან – ანა თურქიას და ტ. ზუხბაიას, მამაკაცთაგან – თეიმურაზ ჩაჩავას, ვლადიმერ თოფურიძეს, ჩანთა ჩიჩუას, სამსონ და ნესტორ დავითაიებს, ჯორჯიკიას. სპექტაკლს ოჩამჩირის საზოგადოება დიდი სიყვარულით შეხვდა. წარმოუდგენიათ ორი პიესა, შემოსავალი მიუღიათ 120 მანეთის ოდენობით.[2]

ოქუმში ბიბლიოთეკის დამაარსებელი. თედო სახოკია ჟურნ. „მოამბეში" წერდა: „ყველაზე სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენა ოქუმის ცოტა არ იყოს მდორე ცხოვრებაში აქაური წიგნსაცავია. ოქუმის შუაგულ გამორჩინებულ ადგილას წარმოდგენილი, გაშენებული აქაური მკვიდრის ივანე გეგიას საფასითა... სულ ერთ წელიწადი თუ არის, რაც ამ წიგნსაცავის დაარსების შესახებ აღიძრა ლაპარაკი „ივერიაში". ვინც კი გაიგო, ყველამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა. წიგნსაცავის დაარსების მოთავეს ივანე გეგიას შეძლების კვალად ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გაუწია ყველამ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან".

როგორც ნოდარ შონია შენიშნავდა, XIX საუკუნის II ნახევრიდან ბედიიდან ოქუმში სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრის გადმოტანის შემდეგ ამ სოფელს აკლდა ყველაზე

---

[1] ო. ჯურღულია, ნარკვევები, გვ. 82.
[2] იქვე, გვ. 84.

აუცილებელი რამ – ეს იყო წიგნსაცავის უქონლობა. ამ მნიშვნელოვანი საქმის პრაქტიკულ განხორციელებას სათავეში ჩაუდგა ივანე გეგია.[1] რევოლუციამდელი სამურზაყანოს განმანათლებელი თვითონვე მიუთითებდა, რომ ოქუმის ბიბლიოთეკა პირველი იყო, საერთოდ, სოხუმის და სამეგრელოს რაიონში.

მოვუსმინოთ ოთარ ჭურლულიას: „1893 წელს ივ. გეგიამ განიზრახა დაბა ოქუმში გაეხსნა უფასო ბიბლიოთეკა და წიგნის პატარა მაღაზია. ამ წამოწყების მიზანი ნათელია. იმ შავბნელ დროში ხალხში წიგნის გავრცელება, განათლების შეტანა დიდი საზოგადოებრივი საქმე იყო. მაგრამ ამ ღონისძიების გატარება აწყდებოდა ბევრ დაბრკოლებას. ბოლოს, 1894 წლის 22 თებერვალს, ივ. გეგიამ მიიღო ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის ნებართვა ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. ბიბლიოთეკის გახსნას გამოეხმაურა ფართო საზოგადოებრიობა, მაშინდელი ქართული პრესა. პირველი ცნობა ოქუმში ქართული წიგნთსაცავის დაარსების თაობაზე დაიბეჭდა 1893 წლის „ივერიაში" (N237).[2] ზემოთ დავიმოწმე ციტატა თედო სახოკიას წერილიდან ოქუმის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნ. „მოამბეში".

მოწინავე საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევდა ივანე გეგიას მიერ გადადგმულ ამ საშვილიშვილო ნაბიჯს. ამას აფასებდნენ ისინი, რომლებმაც იცოდნენ წიგნის ღირსება და მისი მნიშვნელობა ხალხში განათლების შესატანად. თუმცა, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ისეთებიც ოქუმის ბიუროკრატთა მხრიდან, რომლებიც არაფრად აგდებდნენ წიგნთსაცავ-სამკითხველოს. ეს „თავგალაყებული ხალხი" კარგად ხედავდა თუ როგორ მოაგროვა ამ კეთილშობილმა ოქუმელმა ბიბლიოთეკის გასახსნელად

[1] ნ. შონია, ნამრომი საქართველოს წიგნსაცავებზე, გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 10 იანვარი, 1970.

[2] ო. ჭურლულია, ნარკვევები, გვ. 84-85.

200 მანეთი, როგორ დაუმატა მას თავისი ჯიბის ფული, როგორ შოულობდა წიგნებს ბიბლიოთეკისათვის თვითონ თბილისელთა დახმარებითაც კი, მაგრამ უწიგნურთ, გონებადამახინჯებულთ ეს ყველაფერი სასაცილოდ არ ყოფნიდათ. თუმცა ივანე გეგია ამით გულს არ იტეხდა და სისრულეში მოჰყავდა თავისი მამულიშვილური ჩანაფიქრი. მოვუსმინოთ მისი „მოგონებებიდან" ერთ ნაწყვეტს:

„სულ მოკლე ხანში ნაცნობ-ამხანაგების დახმარებით მოვაგროვე 200 მანეთამდე, რაც დააკლდა ჩემი ჯიბის ფული დავუმატე... მაგრამ ოქუმის ბიუროკრატებს ბევრ არაფრად მიაჩნდათ ჩემი სამკითხველო: „Что за курятник построил И. Гегия в Окуме", – იძახდა სოფლის თავგალაყებული ხალხი... აგრე იწამლებოდა ჩემ მიერ დაწყებული კეთილი საქმე; მე გულს არ ვიტეხდი, წელიწადში ორ-სამ გზობით ჩავდიოდი თბილისში, იქ ვეცნობოდი თავ-კაცებს, ვიხმარებდი მათ, მაძლევდნენ ბიბლიოთეკისთვის წიგნებს".[1]

როგორც ცნობილია, ივანე გეგიას მიერ დაწყებული ამ კეთილი საქმის განსახორციელებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ქართველთაშორისწერა-კითხვისგამავრცელებელისაზოგადოება, საზოგადო მოღვაწეები ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა სახით. როგორც ოთარ ჭურღულია შენიშნავს, მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის განკარგულებით ოქუმის ბიბლიოთეკას გამოუყო 300 მანეთის წიგნი. ოთარ ჟორდანიას მიერ მოძიებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ოქუმის ბიბლიოთეკისთვის ფინანსური დახმარება გაუწევიათ ლავრენტი ბერძენიშვილს, ივანე კუკულავას, პავლე გეგენიძეს, ნესტორ სიხარულიძეს, კოლონიკე გოგოლაძეს,

[1] ი. გეგია, "მოგონებები", ს.მ.გ. №5280; შდრ. ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

ილარიონ და ერმალონ ბერძენიშვილებს, სანდრო გოცირიძეს და სხვ.[1]

საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომლითაც ის ივანე გეგიას აცნობებს, რომ მან გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანს (იგულისხმება სოფრომ მგალობლიშვილი) დაუტოვა ათასი ცალი ქართული წიგნი და სთხოვდა ივანე გეგიას წიგნები უფასოდ დაერიგებინა სოხუმის მახლობელ მცხოვრებთათვის.

ივანე გეგიამ არა მარტო საკუთარი ჯიბიდან ამოიღო ბიბლიოთეკის ხის შენობის ასაგებად გარკვეული ოდენობის სახსრები, არამედ ორასამდე თავისი წიგნი შესწირა მას. იმ დროისათვის თავისი ოჯახური წიგნთსაცავიდან 200 წიგნის გატანა სოფლის ბიბლიოთეკისათვის თუ რამხელა პატრიოტული გადაწყვეტილებაა, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს. ივანე გეგიას თავდაუზოგავმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ბიბლიოთეკაში დასაწყისშივე თავი მოიყარა ხუთასზე მეტმა წიგნმა ქართულ და რუსულ ენებზე. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის... თხზულებებს გვერდი დაუმშვენა ტოლსტოის, ლერმონტოვის, პუშკინის, დოსტოევსკის, ალფონს დოდეს და სხვათა წიგნებმა.

რუსულ ადმინისტრაციას და მის აგენტ ადგილობრივ მკვიდრთ კარგად ესმოდათ, რომ ივანე გეგიას მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა ემსახურებოდა ხალხში განათლების შეტანას. ეროვნული კულტურის გამოღვიძებას, პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებას. გამომდინარე აქედან, ივანე გეგიას სიცოცხლეს უმწარებდნენ ავადსახსენებელი რუსი ეპისკოპოსი არსენი, მღვდლები: იასტრებოვი, გოლუბცოვი, სკოლების

[1] გაზ. „ივერია", 1896, 15 მარტი, №74; შდრ. ო. ჟორდანიას დასახ. წერილი, გვ. 16.

მეთვალყურე ალფეროვი, შავრაზმელი მღვდელი იოანე ქავჟარაძე. ამასთან დაკავშირებით გვინდა დავიმოწმოთ ოთარ ჭურღულიას მიერ ივანე გეგიას „მოგონებებიდან" ამოწერილი ერთი ნაწყვეტი:

„რაც დრო და ხანი გადიოდა, ჩემი ბიბლიოთეკა საერო და უფრო სასულიერო საქმეში მოკალათებულ რუს მოხელეებს თვალში ეკალივით ეჩხირებოდა და მე, პოლიტიკურად არასაიმედო პირს, ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ეპარქიის მეთაურმა უმაღლეს სასულიერო მთავრობამ, მისმა ხელქვეითებმა გაიჩინეს დამხმარედ მღვდლები და მასწავლებლები, დააკისრეს მათ ჯაშუშობა. გათახსირებული ეპისკოპოსი არსენი, მისი ერთგული მეკუდენი-მღვდლები იასტრებოვი, გოლუბცოვი, სკოლების მეთვალყურე ალფეროვი. ვინ იცის, რას არ თხზავდნენ ჩემი მასწავლებლობის და სამკითხველოს შესახებ. მათ მე დამაბეზღეს სოხუმის ჟანდარმის როტმისტრთან".[1]

ტ. ხუნდაძე წერს: „სოფ. ოქუმის სამკითხველოს გამგეს ივანე გეგიას ჟანდარმებმა გაჩხრეკისას უპოვეს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომელშიც ის აძაგებს ქავჟარაძეს და მასწავლებელ ბორის ხორავას, რომლითაც ის ქართული ენის დევნისთვის ქართველი ხალხის საზიზღარ შვილებს უწოდებს".[2]

ასე რომ, საქართველოს დაპყრობით, მოსახლეობის დამონებით, ქართველი საზოგადოების გარუსების ვირუსით შეპყრობილი რუსი მოხელენი, ადგილობრივი გადაგვარებული ქართველთა ნაწილის ხელშეწყობით ყოველმხრივ ცდილობდნენ, გასაქანი არ მიეცათ ივანე გეგიას დარი მედგარი ქართველი პატრიოტებისთვის ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისათვის გამიზნული ნებისმიერი ქმედებისათვის: ქართული ენის დაცვა, წიგნებისკენ მიდრეკილება, პატრიოტუ-

1 ი. გეგია, „მოგონებები", ს.გ.მ. №6280, გვ. 24-25; შდრ. ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 86.

2 ტ. ხუნდაძე, თედო სახოკია, წიგნში: „თედო სახოკია", თბ., 1969, გვ. 68.

ლი მასწავლებლობა და ა.შ. ივანე გეგიას და მისი მსგავსი პროგრესულად მოაზროვნე ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი უკან არ იხევდნენ და საკუთარი სიცოცხლის ფასად მიიწევდნენ დასახული მიზნისკენ. ისინი ვერ შეაფერხა ვერც მუქარამ, დაშინებამ, მუდმივმა თვალთვალმა, დევნამ, გადასახლებამ. მათ ხომ ორ ფრონტზე უხდებოდათ ერთბაშად ბრძოლა-ცარისტული ავისმოსურნე ხელისუფლებისა და ადგილობრივი, რუსების მიერ მოსყიდული და გადაბირებული ჯაშუშების, ანუ იასტრებოვ-გოლუბცოვებისა და ქავჟარაძე-ხორავების წინააღმდეგ.

ივანე გეგიას თავგანწირული ბრძოლის შედეგად შენარჩუნებულ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რასაც გზადაგზა ამდიდრებდა წიგნებით. ბიბლიოთეკას თვითონვე ედგა სათავეში, მისი სარგებლობა უფასო იყო. სოლომონ ცაიშვილის მიხედვით. ბიბლიოთეკის არსებობის ძირითად წყაროს საწევრო გამოსაღები და შემოწირულობანი შეადგენდა.[1]

ივანე გეგიას მის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა კომუნისტების მოსვლის შემდეგაც, შეიძლება ითქვას, „კბილებით ეჭირა". იგი ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა დაარსებიდან ანუ 1894 წლიდან 1929 წლამდე, ვიდრე იგი ქობ-სამკითხველოდ არ გადაკეთდა. სამწუხარო ფაქტია, რომ 1993 წელს აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ეს ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავიც შეიწირა. აფხაზმა ვანდალებმა დაწვეს და გაანადგურეს. დაიწვა ქართველ მოღვაწეთა ავტოგრაფებით დამშვენებული წიგნები.

რეფორმაციაში ორგანიზაციაში. თანამოაზრეებთან ერთად, ივანე გეგია თავგანწირვით ებრძოდა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას, მის სხეულში მედგრად ტრიალებდა

[1] ს. ცაიშვილის დასახელ. წერილი, გვ. 370.

რევოლუციური სული და განწყობილება. როგორც ცნობილია, თედო სახოკია და მიხა ცხაკაია მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ, ზაქარია ჭიჭინაძე კი – უერთგულესი მეგობარი. მათთან ურთიერთობით იმშვიდებდა სულს, შეძლებისამებრ მათგან ხშირად იძენდა აკრძალულ გაზეთებს: „Народная воля", „Земля и воля". ჩამოჰქონდა ეს გაზეთები სამურზაყანოში.

XX საუკუნის დასაწყისში ოქტომში ივანე გეგიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს პატარა რევოლუციური ორგანიზაცია. მასში გაწევრიანებული იყვნენ: ივანე გეგია, ნ. შენგელია (მასწავლებელი), ი. გიორგაძე, გ. ოქროპირიძე (მასწავლებელი), ალექსანდრე შენგელაია, მ. შენგელაია. ამ ჯგუფს კონსფირაცია სასტიკად ჰქონია დაცული. მათ თბილისიდან ლიტერატურას აწვდიდნენ ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია და მიხა ცხაკაია, ქუთაისიდან კი – სამსონ კილაძე.[1]

ამასთან დაკავშირებით, თავისი ცხოვრების მიწურულს აი, რას იხსენებდა ივანე გეგია: „ადგილობრივი სკოლის მასწავლებლობა ყველანი შემოვუსხდებოდით მაგიდას და სულგანაბული ვკითხულობდით, შევისწავლიდით და შემდეგ გადავცემდით ს. გუფში მასწ. პ. ჭარაიას, ის გადასცემდა სოხუმის სამთო სკოლის მასწავლებელ ა. ჭედიას. და ასე ამ რიგით ნელ-ნელ ინერგებოდა სოციალისტური შეგნება ხალხში. იმ დროს ძალიან ჭირდა საიდუმლო ფოსტის გაგზავნა, მაგრამ ორი თვის განმავლობაში ყველა ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციებს დაივლიდა არალეგალური ლიტერატურა".[2]

ივანე გეგიას და მის ჯგუფს ეგონათ, რომ მკაცრად გასაიდუმლოებით მოქმედებდნენ, მაგრამ არ ეძინა მტერს, ჟანდარმერიას რას გამოაპარებდნენ. მათ დატუსაღება და გადასახლება

[1] ო. ჭურლულია, ნარკვევები, გვ. 80.

[2] ი. გეგია, "მოგონებები", ს.გ.მ. №6281, გვ. 28-29; შდრ. ო. ჭურლულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ელოდათ. ისინიც უკვე მიხვდნენ, რომ მათ თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. ივანე გეგიას რჩევის მისაღებად თბილისში ჩავიდა ილია ჭავჭავაძესთან. დიდმა ილიამ იცოდა, რომ ეკატერინე გაბაშვილი დაახლოებული იყო მეფის მოხელეებთან და სწორედ მას მისწერა წერილი ივანე გეგიას გადასარჩენად: „პატივცემულო ეკატერინე რევაზის ასულო! სალამი! ამ წერილის მომტანი ჩემი კარგი ნაცნობია და სამურზაყანოს ერთერთი სკოლის მასწავლებელი. დედა-ენისათვის თავდადებული მოღვაწეა. რაც გითხრას, მოუსმინე და შენებურად საქმე მოუგვარე".[1] ეკატერინე გაბაშვილმა, მართალაც, მისებურად მოაგვარა საქმე და ივანე გეგია თანამოაზრეებთან ერად გადასახლებას გადაურჩა.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამ ნათელ ეპიზოდშიც კარგად ჩანს მისი დიდბუნებოვნება, სწორუპოვარი მამულიშვილობა, განსაცდელში ჩავარდნილისთვის დახმარების ხელის გაწოდება. მას გულთან ახლოს მიჰქონდა საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთა გასაჭირი, განსაკუთრებით – აფხაზეთის მკვიდრთა. ივანე გეგიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავის "მოგონებებში" გულმართლად წარმოაჩინა დიდი ილიას სახე-ხატი, მისი ღვაწლი და ამაგი, თავდაუზოგავი ბრძოლა ცარისტული ხელისუფლების ავი ზრახვების წინააღმდეგ. ქართველი ერის ინტერესების და ქართული ენის დაცვა, საქართველოს მთლიანობის იდეის განხორციელება. დიდ ილიას განსაკუთრებით ადარდებდა ქართული ენის მდგომარეობა აფხაზეთ-სამურზაყანოში თუ სამეგრელოში. ყველას გულში უნერგავდა იმ ჭეშმარიტებას, რომ აფხაზეთსა და სამეგრელოში ქართული ენის პოზიციების შერყევა, მისი დევნა და მოსპობა საქართველოს ერთიანობის დაშლის

[1] ი. გეგია, „მოგონებები", ს.გ.მ. №6281, გვ. 28-29; შდრ. ო. ჭურლულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

უმთავრესი იარაღი იყო, რაც ცარისტული ვაიხელისუფლების ოცნებას წარმოადგენდა.

„ძაძათულ პაპტიაში". რაც დრო გადიოდა, რუსოფილური სამთავრობო გადაწყვეტილებების არსს შეადგენდა საქართველოს დანაწევრება ცალკეულ კუთხეებად, ეროვნული კულტურის დაკნინება და იავარყოფა, ქართული ენის დევნა-შევიწროება, ეროვნული მოძრაობის აქტივისტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. ეს ყველაფერი სულს უწამლავდა ქართველ საზოგადოებას და ზრდიდა მასში ცარიზმის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობას. საზოგადოების მოწინავე და პროგრესული ძალების მხრიდან გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა ილია ჭავჭავაძის თავკაცობით. ამ მიმართულებით თავგანწირული ბრძოლა იყო გასაშლელი განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც ცარიზმის რეჟიმი სასტიკად დევნიდა ქართულ ენას და ყოველივე ქართულს, შთააგონებდნენ აფხაზებს, რომ აფხაზეთი ისტორიულად არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი, რომ აფხაზებს ქართველებთან საერთო არაფერი აკავშირებს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი დამწერლობა ორიგინალური კულტურის განსავითარებლად და ა. შ.

ეს ყველაფერი მკვიდრ პატრიოტ ქართველებში იწვევდა სასტიკ პროტესტს რუსული კოლონიზატორული პოლიტიკისადმი. მწიფდებოდა მოთხოვნილება სამურზაყანო-აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ამოქმედებისა. აფხაზეთში ეროვნული ძალების გაერთიანების სათავეში მოექცა თედო სახოკია. ისინი ვერ ეგუებოდნენ მოსახლეობის რუსიფიკაციას, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის სკოლებში და ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვას და განდევნას. სამურზაყანო-აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ბურჯებად 1895 წლიდან გვევლინებიან: თედო სახოკია, ივანე გეგია, ანთიმოზ ჯუღელი, სპირიდონ ნორაკიძე,

ივანე ბურჭულაძე, გრიგოლ კანდელაკი, ს. კანდელაკი, ფარნა დავითაია. ამ ჯგუფის თანამგრძნობი იყვნენ პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშია.

ეს პატრიოტული ჯგუფი პირველად "ქართულ პარტიად" მონათლა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა თბილისში მეფისნაცვლისთვის წარდგენილ ასეთი სახელწოდების ტექსტში, რომელიც დაბეზღების ხასიათს ატარებდა. მასში მოხსენებული არიან: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი. ივანე გეგია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა დავითაია, სპირიდონ ნორაკიძე:

„Об исследовании политической благонадёжности проживающих в Сухумской округ Редома Тимофеевича Сахокия, Антимозе Ивановича Джугели, Ивана Константиновича Гегия, Григория Ивановича Канделаки, Ивана Гавриловича Бурчуладзе, Парны Николаевича Давитая и Спиридона Левановича Наракидзе, являющихся главными представителями груяинской партии, противодействующей мероприятиями правительства по населения округа, и принятия против них административных мер воздействия". ამ დოკუმენტს მიაკვლია ოთარ ჭურღულიამ საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში, რომელიც შეიცავდა თურმე თაბახის 50 გვერდს.[1]

მკვლევარს ამ დოკუმენტიდან მოაქვს ნაწყვეტი, სადაც საუბარია თედო სახოკიაზე: „Он путем печати старается добиться препмдавания грузинского языка, как родного, в селах Сухумского округа с мингрельским населением, признавая что этим путем он способствует легчейшему изучению русского языка".[2]

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით აპოლონ სილაგაძემ და

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 65.
[2] იქვე, გვ. 65-66.

ვახტანგ გურულმა გაარკვიეს სპეციალურად აღნიშვნის ფაქტი, რომ "ქართული პარტიის" წევრნი გამხდარან სასულიერო პირნიც: დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდეგში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), მღვდელი აქვსენტი სახოკია, მღვდელი ივანე ჩხენკელი. ქართულ პარტიაში დაუწყია თავისი მოღვაწეობა ცნობილ პოლიტიკურ ფიგურას, შემდეგში ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ საგარეო საქმეთა მინისტრს, ივანე ჩხენკელის შვილს – აკაკი ჩხენკელს.[1]

დასახელებული მკვლევარნი მიუთითებდნენ, რომ თედო სახოკიას მიერ შექმნილ ქართულ პარტიასთან იყვნენ დაკავშირებულნი და მას თანაუგრძნობდნენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ეპისკოპოსი კირიონი (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე), ქუთაისის ეპისკოპოსი ლეონიდი (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) და სხვ. ქართული პარტია მარტო აფხაზეთში არ მოქმედებდა, ქსელი ჰქონდა გაბმული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.[2]

საინტერესოა, რომ „ქართული პარტიის" საპროგრამო მოთხოვნაში შედიოდა აგრეთვე ყურადღების გამახვილება აფხაზების ხვედრზე. მათი აღზრდა ქართულ სკოლებში, აფხაზი მრევლისთვის ღვთისმსახურების აღსრულება ქართულ ენაზე და სხვ.

„ქართული პარტიის" მამულიშვილურ საქმიანობას მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ თვითონ რუსეთის დემოკრატიული ძალებიც. ამ მხრივ, საგულისხ-

[1] ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, 1999, გვ. 16.

[2] იქვე.

მოა თედო სახოკიას თანამშრომლობა პეტერბურგის ბეჭდვით ორგანოებში. მან 1900 წელს (№17) „პეტერბურგსკიე ვედომოსტ"-ში გამოაქვეყნა კორესპონდენცია "სოხუმიდან". ამ ვრცელი წერილით იგი ამცნობდა რუსეთის მოწინავე პროგრესულ საზოგადოებას თუ როგორ იქცეოდნენ აფხაზეთში მეფის მოხელენი, თუ როგორ უკრძალავდნენ ქართველ მრევლს ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას.

სწორედ ამ პუბლიკაციამ გამოიწვია ადგილობრივი ადმინისტრაციის შეშფოთება, – წერს ოთარ ჟორდანია, – ის სოხუმის ოლქში ქართული მოძრაობის არსებობის შესახებ ალაპარაკდა, რომელიც რუსი მოხელეების მტკიცებით, მიზნად ისახავდა ქართული სამეფოს აღდგენას, აფხაზეთიდან რუსული ენის განდევნას, აფხაზების გაქართველებას, სკოლებში ქართულის სწავლებითა და ეკლესიებში ღვთისმსახურების ენად ქართულის შემოღებით. კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ ეს მოძრაობა ამიერკავკასიაში გავლენის მქონე „ქართულ პარტიად", ხოლო აფხაზეთელი ნაციონალები ამ პარტიის ადგილობრივ აგენტებად მონათლა".[1]

როგორც ა. სილაგაძე და ვ. გურული მიუთითებენ, "ქართული პარტიის" წევრებს რუსული ადმინისტრაცია ბრალად სდებდა რუსოფილური სამთავრო ღონისძიებების ჩაშლის მცდელობას. საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის ხელყოფას.[2] კავკასიის ადმინისტრაცია მოითხოვდა მათ გაძევებას აფხაზეთიდან. ჟანდარმერიამ დიდი ხნის გამოძიების მიუხედავად ვერ შეძლო სამხილის პოვნა „ქართული პარტიის" წევრთა დასასჯელად. თუმცა ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა. თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯუღელს, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკს, ივანე ბურჭუ-

[1] ო. ჟორდანიას დასახ. წერილი, გვ. 19.

[2] ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლ. ბრძოლის ისტორიდან, ნაკვ. II, გვ. 71.

ლაბეს, ფარნა დავითაიას, სპირიდონ ნორაკიძეს წილად ხვდათ რუსეთში გადასახლება უვადოდ. ა. სილაგაძის და ვ. გურულის მიერ მოძიებული დოკუმენტის მიხედვით, ივანე გეგია გადაუსახლებიათ სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ოდესაში. ეს მოხდა 1904 წელს. თუმცა 1905 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. ეს გამოწვეული იყო რუსეთ-იაპონიის ომით და უკვე დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით. ამის გამო ცარისტული ხელისუფლება უკან იხევს და ივანე გეგიას, სხვა გადასახლებულებთან ერთად, საქართველოში გაისტუმრებს.

ამან ვერ გატეხა „ქართული პარტიის" წევრები. ისინი ჩვეული ენერგიით აგრძელებდნენ ბრძოლას რუსული კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ასე ჩაიწერეს მათ თავი საქართველოს ისტორიაში, როგორც ცარიზმის ანტიქართული მოქმედებების წინააღმდეგ შეუპოვარმა მებრძოლებმა. ივანე გეგია სულიერად არ გატეხილა. 1905 წლიდან იგი არ მოწყვეტილა თავისი სამაშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ერთხანს ივანე გეგია დაამწუხრა იმ რევოლუციის დამარცხებამ, რომელსაც თანაუგრძნობდა და რომლის დიდი იმედი ჰქონდა, ვინაიდან იგი მიაჩნდა ცარიზმის მსახვრალი ხელებიდან საქართველოს გათავისუფლების გარანტად. ეს იყო პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ამას დაემატა 2 წელიწადში ქვეყნისთვის თავს დამტყდარი უბედურება – ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობა. დიდ ილიასთან ის ხომ 1885 წლიდან მეგობრობდა. ივანე გეგიას კარგად ესმოდა, რომ ილიას ტრაგიკული აღსასრული შეასუსტებდა საქართველოში ეროვნულ მოძრაობას, რაც ასეც მოხდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშუალოსანოს განყოფილების გამგე.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას,

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ პარტიას ფაქტიურად ერთი და იგივე საბრძოლო პროგრამა ჰქონდათ: საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლა, ქართველი ერის ინტერესების დაცვა, ქართული ენის დაცვა და მისი სწავლების გაუმჯობესება, ქართული კულტურის მოვლა-შენახვა და განვითარება, მოსახლეობაში წიგნების და ჟურნალ-გაზეთების შეტანა და გავრცელება, საქართველოს ძირძველი მხარის – აფხაზეთის ინტერესების დაცვა და ა.შ. ასე რომ, „ქართული პარტია" ფაქტიურად აღნიშნული „მოძრაობისა" და „საზოგადოების" იდეოლოგიიდან ამოდიოდა.

ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. ამ საზოგადოებას იმთავითვე დაუკავშირდნენ აფხაზეთის პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტი ქართველები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ივანე გეგია. იგი, როგორც „ივერიის" მუდმივი კორესპონდენტი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იდეების ერთგული, დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს 1885 წლიდან. კვლავ მოვუსმინოთ ერთ ნაწყვეტს ივანე გეგიას „მოგონებებიდან": „აი ამ გარემოებამ დამაახლოვა ილიასთან, ვინახულებდი და მთელი საათობით მეკითხებოდა ქართული ენის ავსა და კარგს აფხაზეთ-სამურზაყანოში და ნაწილობრივ სამეგრელოსაც შევეხებოდით ხოლმე.. იმ დროს სამეგრელოში მთავრობის დახმარებით მძვინვარებდა აშორდიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სამეგრელოს ჩამოშორება საქართველოსგან და მეგრულ ენაზე წერა-კითხვის შემოტანა. რაც შეეხება აფხაზეთ-სამურზაყანოს გარუსების პოლიტიკას, თვით მთავრობის გავლენით ვითარდებოდა. აქ დაწყებული

უბრალო ურიადნიკიდან უმაღლესი სამღვდელოება და ადმინისტრაციამდე ქართველებს სდევნიდნენ, ქართულ ენას სპობდნენ სკოლებში, ქართული ენის სწავლებას რომელ მასწავლებელსაც შენიშნავდნენ, ადგილიდან ითხოვდნენ, რაც მე თვით ორ-სამგზობით შემხვდა ამნაირი დასჯა. როდესაც ილიას გადავცემდი, – განაგრძობს ივანე გეგია, – აქ ნახულ და მომხდარ ამბავს, ღრმად ამოიხვნეშდა და მეტყოდა: არაფერია, ყმაწვილო, они далеко не пойдут. пусть говорят, что хотят. წამოსვლისას ილიას დავუტოვებდი ადრე დამზადებულ კორესპონდენციებს სხვადასხვა საკითხებზე, გამოვემშვიდობებოდი და წამოვიდოდი. გზად შევიარდი მიხა ცხაკაიასთან, თედო სახოკიასთან. ზაქარია ჭიჭინაძესთან. მიხა და თ. სახოკია ჩემი სკოლის ამხანაგები იყვნენ. ზაქრო კი ჩემი ერთგული ამხანაგი. ამათგან ხშირად ვიძენდი აკრძალულ გაზეთებს „Народная воля"-სა და „земля и воля"-ს, ჩამომქონდა ოქუმში".[1]

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, თავის დროზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის განკარგულებით ოქუმის ბიბლიოთეკას გამოუყო 300 მანეთის სხვადასხვა წიგნი. როგორც სოლომონ ცაიშვილი აღნიშნავს, ივანე გეგია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით გაეცნო და დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ყაზბეგს, ცახელს, დავითაშვილს.[2]

გავიდა დრო, მომწიფდა აზრი და მოთხოვნილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების დაარსებისა. ეს დიდი საქმე გადაწყდა 1916 წელს. ლ. გოდერიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ქართველთა

[1] ციტატა ამოღებულია ო. ჭურღულიას დასახ. წიგნიდან, გვ. 79-80.
[2] სოლ. ცაიშვილის დასახელებული სტატია, გვ. 307.

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილება დაარსდა 1916 წელს დაბა გალში. დიმიტრი ემხვარის, მღვდელ მ. ქეცბაიას, ივანე გეგიას და სხვათა ინიციატივით. განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე გეგია".[1] ოთარ ჟორდანიას მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ამ მამაშვილურ საქმეში თავიანთი წვლილი შეუტანიათ ასევე პეტრე ჭარაიას და სამსონ სვანიძეს".[2]

როგორც ლ. გოდერიძე შენიშნავს, თავიდანვე ქ.შ.წ.კ.გ.ს. სამურზაყანოს განყოფილების წევრთა რიცხვი 165 კაცს შეადგენდა. ივანე გეგიას ძალისხმევით 1917 წლისთვის ეს ციფრი 205-მდე გაიზარდა. ამავე წელს განყოფიელბის შემოსავალი 2488 მანეთს შეადგენდა.[3] 1917 წელს მიუხედავად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, სამურზაყანოს განყოფილებამ შეძლო გაეხსნა შვიდი უფასო სამკითხველო. აქ უნდა დავასახელოთ ის სოფლები, სადაც ეს გამხდარა შესაძლებელი: ოტობაია, ბარღეფი, ჭუბურხინჯი, აჩიგვარა, ოქუმი, საბერიო.[4]

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილება ივანე გეგიას მეთაურობით აქტიურ მოღვაწეობას და შრომატევად საქმიანობას ეწეოდა: მართავდა ქართულ წარმოდგენებს, ქართულ წიგნებს უგზავნიდა რუსეთში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას, ახალკურსდამთავრებულებს აწყობდა ქართულ სკოლებში, უწევდა მატერიალურ დახმარებას, მოსახლეობას აწვდიდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ზრუნავდა სამურზაყანოში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის, აწყობდა

---

[1] **ლ. გოდერიძე,** კულტურულ საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX ს. II ნახ. და XX საუკ. დასაწყისში, 2005 წელი.

[2] საქართველოს ისტ. არქ. ფონ. 481, საქმე 1576, ფურც. 4-5; შდრ. **ო. ჟორდანიას** დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[3] ცსსა, ფონ. 484, ფონ. 1576, ფურ. 2; შდრ. **ლ. გოდერიძის** დასახ. წიგნი.

[4] **ლ. გოდერიძის** დასახ. ნაშრომი.

ეროვნულ სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქმედებით საღამოებს და სხვა სახის ღონისძიებებს.

მართალია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობა არ აკლებდა ყურადღებას სამურზაყანოს განყოფილებას, მაგრამ, ეტყობა, ივანე გეგიას არ აკმაყოფილებდა ეს „ყურადღება". ლ. გოდერიძეს საკითხზე მუშაობისას ეს არ გამოპარვია მხედველობიდან. მან მიაგნო ამ მხრივ საგულისხმო ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ სამურზაყანოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ივანე გეგია არაერთგზის თხოვდა დახმარებას საზოგადოების მთავარ გამგეობას, განსაკუთრებით მიუთითებდა იმ ფაქტორზე, რომ სამურზაყანო ყოველთვის უყურებდა საქართველოს, როგორც თავის დედას და ამიტომაც მეტ ყურადღებას იმსახურებდა მისი აზრით, ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო სამურზაყანოში ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და ქართული ენის კურსების გახსნა.[1]

მიტინგზე სიტყვით გამოსვლის ეძო. ქართველ ხალხს, ასევე სამურზაყანოს მკვიდრთ თებერვლის 1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დიდი იმედი ჰქონდათ. სჯეროდათ, რომ იწყებოდა საქართველოს რუსეთისგან გამოხსნის ბედნიერი დღეები, რაც ქვეყნის თავისუფლების გარანტად მიაჩნდათ. გამომდინარე ამ საზეიმო განწყობილებიდან, 1917 წლის 26 მარტს სამურზაყანოში იქუხა მრავალათასიანმა მიტინგმა, სადაც სიტყვით გამოვიდა ივანე გეგია, რომელმაც იქ დამსწრეთ მიულოცა რევოლუციის გამარჯვება.[2]

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ნანატრი დღე გაუთენდა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1576, ფუ. 2; იხ. ლ. გოდერიძის დასახ. წიგნი, გვ. 283.

[2] **ვ. ზუბბაია**, ივანე გეგია, გაზ. "მახარია", 2004 წელი, №6.

ჩვენმა ქვეყანამ აღიდგინა დიდი ხნით დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობა. ზეიმობდა ქართველი ერი, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე, ბუნებრივია, სადღესასწაულო განწყობამ მოიცვა სამურზაყანოც. მთელი საქართველოს მასშტაბით გამართულ მრავალათასიან მანიფესტაციებს და მიტინგებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახლად შექმნილი მთავრობის მხარდასაჭერად შეუერთდა სამურზაყანოც. 1918 წლის 28 მაისს გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ივანე გეგიამ.[1]

აღსანიშნავია, რომ ივანე გეგიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში, სადაც სამურზაყანოელთა სახელით სიტყვაც წარმოთქვა.[2] მისი გამოსვლა განპირობებული იყო აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირში გაწევრიანების თაობაზე სამურზაყანოს მოსახლეობის დამოკიდებულების წარმოჩენით. ბუნებრივია, ივანე გეგიამ მხარი დაუჭირა აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) საქართველოსთან გაერთიანების აუცილებლობას და მისთვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მინიჭებას, რამეთუ სამურზაყანოელები და აფხაზები ძმები იყვნენ და მომავალშიც ასე დარჩებიან.[3] 1918-1921 წლებში ივანე გეგია იყო გალის რაიონის ერთობის წევრი და განაგებდა სასწავლო ნაწილს.[4]

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხებამ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული

---

[1] ო. ჟორდანიას დასახ. წერ. გვ. 23.

[2] ეს სიტყვა დაიბეჭდა 1917 წლის 30 ნოემბრის გაზ. "ალიონში". შდრ. ვ. ბუბბაია, ივანე გეგია, გაზ. "აფხაზ. ხმა", 14 აგვისტო, 1998.

[3] გაზ. "ერთობა", 1917, 12 აპრილი №21; შდრ. ო. ჟორდანიას დასახ. წერილი. გვ. 23.

[4] წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებ. შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006, გვ. 243.

რესპუბლიკის დამხობამ ანუ დამოუკიდებლობა-თავისუფლების კვლავ დაკარგვამ, ბუნებრივია, მომაკვდინებელი დაღი დაამჩნია ივანე გეგიას ოპტიმიზმს, მაგრამ გულს არ იტეხდა, კვალვ მომავლის იმედით აგრძელებდა ცხოვრებას.

ე.წ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი არ განდგომია ცხოვრებას, საზოგადოებას. კვლავ მასწავლებლობას დაუბრუნდა, გალის ცხრაწლიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად დიდხანს მოღვაწეობდა. ეწეოდა ჩვეულ ფიზიკურ შრომას. სოლ. ცაიშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, საკუთარი შრომით მოაწყო კოლმეურნეობაში მექათმეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა. მრავალფეროვანი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მხცოვანი მასწავლებელი ბევრჯერ დაჯილდოვდა სიგელით, პრემიებით, ფულადი სახსრებითაც კი.[1] თუმცა საბჭოთა ხელისუფლებას ივანე გეგიას პიროვნება გულზე რომ არ ეხატა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან სიკვდილამდე (1941) ვერაფრის გამოქვყენება ვერ მოახერხა. ალბათ, „გლავლიტი" იყო მუდამ უარზე. ოთარ ჟორდანიამ ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივის ზაქარია ჭიჭინაძის ფონდში აღმოაჩინა 1924 წელს ივანე გეგიას მიერ ზ. ჭიჭინაძისადმი მიწერილი ბარათი, სადაც წუხილია გამოხატული, თუ რატომ არ იბეჭდებოდა მისი ნაწერები: „რაშია საქმე არ ვიცი, "გლავლიტმა" თუ უარი გითხრა ნებართვაზე, ეცადე ამხ. მახარაძე და ცხაკაია მოიხმარიო ნებართვის ასაღებად. ზოგიერთი ნაწერები თუ თანამედროვე შინაარსისანი არ არიან, თავის დროზე ხომ ამათ ფასი და პატივი ჰქონდა და თუ მაშინვე ვერ გამოვეცი, ისეთი დრო იყო, ახლა რა თუნდა დაუდგეს წინ მის გამოქვეყნებას."[2] მის გამოქვეყნებას ბარიერს უქმნიდა სწორედ ის, რომ თურმე ეს

[1] სოლ. ცაიშვილის დასახ. წერილი, გვ. 369.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 139.

ლექსები „თანამედროვე შინაარსიანი" არ იყო. ეტყობა, "საბჭოურ" თემატიკას სათოფედ არ ეკარებოდა ივანე გეგია, ამიტომაც დარჩა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მისი ნაწარმოებები გამოუქვეყნებელი.

როგორც 1926 წელს ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, იმ დროისათვის ივანე გეგიას 40 ლექსი. 80-მდე აფორიზმი და ანდაზა, მოკლე ავტობიოგრაფია, მოგონებები ჰქონია გამოსაცემად მომზადებული, უნდოდა „სიკვდილზე დაესწრო და სიცოცხლეში დაებეჭდა"[1] ისინი, მაგრამ ამაოდ. ივანე გეგიამ კომუნისტური რეჟიმის სინამდვილეში ზუსტად 20 წელი იცხოვრა, მაგრამ ეტყობა, მისი პოეტური ჩანგი ბოლშევიკური წყობილების ამსახველ თემებზე არ დახურდავებულა, არ უმღეროდა დითირამბებს წითელ ბელადებს და პარტიას, იმ ანტიადამიანურ ქმედებებს, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა.

საბჭოთა წყობილების დამყარებას 1921 წლიდან საქართველოსთვის სიკეთე რომ არ მოუტანია, ამას ივანე გეგია სხვებზე უკეთ ხედავდა. პროგრესულად მოაზროვნე ქართველებთან ერთად, იგი იმედგაცრუებულია და ამას ლექსშიც ამხელდა. 1928 წელს დაწერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ თავის ერთ-ერთ ლექსში „სინამდვილე" მოთქმის ტონით ამბობს:

„იმედები გამიცრუვდა,
დავრჩი ბოლოს მაჩანჩალა.
ოცნებით გატაცებულსა
გამომევლო პირში ჩალა".[2]

ოთარ ჟორდანიას მოვუსმინოთ: „საბჭოთა იმპერიისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური დევნა-შევიწროება ივანე გეგიასაც შეეხო. 1937 წელს, თითქმის 80 წელს მიტანებულ მხცოვან

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 140.
[2] იქვე, გვ. 84.

მოღვაწეს ბრალად სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრობა წაუყენეს. საბედნიეროდ, მან შეძლო თავის გამართლება.[1]

ოჯახი. ივანე გეგია არა მხოლოდ უბადლო საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ თურმე დიდებული მეოჯახეც. იგი დაქორწინებულა 1890-იანი წლების დამდეგს. მისი მეუღლე ყოფილა მარიამ გიორგაძე, სათნო, გონიერი და კეთილშობილი მანდილოსანი. მათ სახელოვანი შვილები აღზარდეს კონსტანტინე და თამარ გეგიების სახით. როგორც ოთარ ჯორდანია შენიშნავს, კონსტანტინემ (1893-1963) და თამარმა (1900-1969) ღირსეულად გააგრძელეს ოჯახური ტრადიცია და ერთგულად ემსახურნენ თავიანთ ქვეყანას. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი თამარ გეგია-ჭანტურია დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი – ლენინის ორდენით. საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს თამარ გეგიასა და გრიგოლ ჭანტურიას შვილებმა: რეჟისორმა ნელი ჭანტურიამ (1925-1987), ექიმმა მედეა ჭანტურიამ (დაბ. 1942).

ივანე გეგიას შვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე გეგია (1919-1998) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით საქმიანობდა პედაგოგიურ სფეროში. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სადაც მძიმედ დაიჭრა. დიდხანს იყო ოჩამჩირის N1 საშუალო სკოლის დირექტორი (იხ. გაზ. „აფხაზეთის ხმა", 17 აპრილი, 1998). ივანე გეგიას პირდაპირი შთამომავლები – თამარ ივანეს ასული (დაბად. 1944 წ.) და დავით ივანეს ძე გეგია (დაბად. 1960) შვილებთან ერთად თბილისში ცხოვრობენ.[2]

ივანე გეგია გარდაიცვალა 1941 წელს. დაკრძალულია სოფელ ოქუმში (გალის რაიონი).

---

[1] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 31.

[2] მონაცემები გადმოწერილია **ო. ჯორდანიას** დასახ. წერილიდან, გვ. 11.

ᲝᲛᲐᲜᲘ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ქრისტიანულ ღვთისმსახურებას საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთში, შეჰქონდა გიორგი მერჩულესა და რუსთაველის ენა, ქართული დამწერლობა ანუ ანბანი, ქართული კულტურა. ამ კულტურას ადგილობრივი ძალებიც ქმნიდნენ ერთიანი ქართული კულტურის განსავითარებლად. საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე IX საუკუნიდან (თუ უფრო ადრეც) გავრცელებულია ქართული დამწერლობის ნიმუშები (ლაპიდარული, ფრესკული, ჭედური). დამაფიქრებელი ფაქტია, ადრეული შუასაუკუნეებიდანვე ქართული ენის და ქართული ანბანის დამკვიდრება-განმტკიცებამ რატომ არ შეუწყო ხელი აფხაზეთში ქართული მწერლობის აღმოცენებას. ამ მხრივ შედარებით უკეთესი ვითარება იყო სამეგრელოში. განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში აქ შეინიშნება ქართული მწიგნობრობით გატაცება. რად ღირს მარტო ერთი ფაქტის დასახელება: ლევან მეორის (დადიანი) სამთავრო კარზე მამუკა თავაქალაშვილს 1646 წელს გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი", რომელიც პოემის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს შორის ყველაზე უძველესად ითვლება.

საკითხთან დაკავშირებით მსჯელობის გასაგრძელებლად უპირველესად თვალწინ დაგვიდგება ნიკოლოზ დადიანის ანუ „დიდი ნიკოს" (1780-1834) პიროვნების ნათელი სახე. იგი განსწავლული ყოფილა საეკლესიო მწერლობაში, ფილოსოფიაში, დიპლომატიაში, კარგად სცოდნია ქართული, აფხაზური, რუსული და თურქული ენები. ერთხანს ოდიშის სამთავროს ერთპიროვნული მმართველიც იყო, ასევე ოდიშის მთავრის ლევან მეხუთის (დადიანი) პირველი ვეზირი და მრჩეველი. ამჯერად ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, რომ დიდი ნიკო მწიგნობარი და

მწერალიც იყო. ვახტანგ მეექვსის „დასტურლამას" მიბაძვით 1818 წელს შეადგინა თავისივე „დასტურ-ლამა" (გამოიცა 1847 წელს), რაც ლევან მეხუთის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ნიკო დადიანის კალამს ეკუთვნის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები **„მიმოვლა"**, რომელშიც აღწერილია რუსეთში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ამით მან ფაქტიურად ხელი შეუწყო XVIII საუკუნის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული მემუარულ-მოგზაურული ჟანრის განვითარებას. შესაძლოა ამ თხზულების სათაური ტიმოთე გაბაშვილის ამავე ჟანრზე შექმნილი ნაწარმოების – „მიმოსვლა" – მიბაძვით შეირჩა.

ნიკო დადიანის მთავარ ლიტერატურულ ძეგლად მკვლევარები სამართლიანად მიიჩნევენ „ქართველთ ცხოვრებას", რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია დასაბამიდან ავტორის ეპოქამდე, როგორც „უწინდელთა მეისტორიეთა" გამგრძელებელი, იგი დამოკიდებულია წინამორბედი ქართული საისტორიო მწერლობის წარმომადგენლებზე, კერძოდ, დავით ბატონიშვილის „ნარკვევებზე".[1]

„დავბრუნდეთ" აფხაზეთში. რაც შეეხება თვითონ აფხაზებს, ისინი დამწერლობის უქონლობის გამო ვერ ქმნიდნენ ეროვნულ მხატვრულ ლიტერატურას. როგორც ისტორიულად ცნობილია, აფხაზები ანბანის უქონლობის გამო IX საუკუნემდე ლიტერატურულ ენად იყენებდნენ ბერძნულს, IX-XIX საუკუნეებში კი – ქართულს, XVIII საუკუნეში მიმართავდნენ გარკვეულწილად თურქულ ენას, ხოლო XIX საუკუნეში – რუსულ ენას. პირველ აფხაზ მწერლად აღიარებულია გიორგი შარვაშიძე (1846-1918), მაგრამ იგი იყო ქართულენოვანი აფხაზი შემოქმედი, თანაც

[1] შდრ. ტ. ზოსია, წერილები ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაზე, თბ., 2012, გვ. 91-92.

ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქმნიდა აფხაზეთის გარეთ – დანარჩენ საქართველოში (თბილისი, ქუთაისი, სამეგრელო). მან თურმე საფუძვლიანად იცოდა აფხაზური ენა, მაგრამ რატომღაც არ წერდა მშობლიურ ენაზე, მითუმეტეს, 1892 წელს გულიას და მაჭავარიანის მიერ შემოღებული აფხაზური ანბანის შემდეგ 26 წელი იცოცხლა, მაგრამ არ უცდია აფხაზურად რამე დაეწერა. ეს მაშინ, როდესაც 1907 წელს დიმიტრი გულიამ თბილისში გამოსცა აფხაზურ და რუსულ ენებზე აფხაზური ანდაზები და გამოცანები, ასევე, დიმიტრი გულიამ აფხაზ მოღვაწეებთან (დიმიტრი მალანია, ნიკოლოზ ლადარია, ალექსანდრე აჟიბა, კონსტანტინე მარშანია, ნიკოლოზ პატეიპა, ანტონ ჩუკბარი, თომა ეშბა) ერთად აფხაზურ ენაზე თარგმნა სახარება და 1907 წელს დაბეჭდა თბილისში. 1910 წელს კვლავ თბილისში ქვეყნდება დიმიტრი გულიას მიერ აფხაზურად თარგმნილი „მართლმადიდებელი ეკლესიის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულები". რაც მთავარია, 1912 წელს თბილისში გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას აფხაზურ ენაზე შექმნილი ლექსების პირველი კრებული, რითაც საფუძველი ჩაეყარა ოფიციალურად აფხაზური ლიტერატურის ისტორიას.[1]

ბუნებრივია, ყოველივე ამის მოწმე და თვითმხილველი იყო გიორგი შარვაშიძე, ეტყობა, პრინციპულად არ წერდა ლიტერატურულ ძეგლებს აფხაზურ ენაზე აფხაზური დამწერლობის საშუალებით. ვფიქრობთ, ამისი ახსნა არანაირ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. გიორგი შარვაშიძე მთელი ცხოვრების მანძილზე სიკვდილამდე დაუნდობელი მტერი იყო ცარიზმის რეჟიმის, რუსეთის ვაიხელისუფლების, რომელმაც ათეულობით წლების მანძილზე აფხაზ და ქართველ ხალხს დიდი უბედურებანი დაატეხა თავს. ასევე, ბუნებრივია, ვერ იტანდა იგი

[1] შდრ. ო. ჭურლულია, დიმიტრი გულია, თბ., 1974, გვ. 13.

რუსი მოხელეების ავისმომასწავებელ მცდელობას ქართველების და აფხაზების ერთმანეთთან დასაპირისპირებლად, ამ ორი ერის გახლეჩას, მათი ისტორიული ძმობა-მეგობრობის ხიდის ჩალეწვას. ამ დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ იარაღად მიაჩნდა სწორედ აფხაზური დამწერლობის შემოღება.

როგორც ჩანს, გიორგი შარვაშიძე ახლადშემოღებულ აფხაზურ ანბანთან დაკავშირებით იმავე აზრისა იყო (თუმცა ეს წერილობით არსად გამოუხატავს), როგორც მისივე თანამებრძოლი ნიკო ჯანაშია: „ქართველთა და აფხაზთა დასაპირისპირებლად რუსულმა ადმინისტრაციამ გამოიყენა ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორიც არის დამწერლობის შექმნა აფხაზურ ენაზე. როგორ შეიძლება ეს სასიამოვნო გარემოება იარაღად გამოიყენოს კაცმა, სხვათა შორის, შუღლისა და მტრობის დასათესად".[1]

თუ აფხაზებს XIX საუკუნის ბოლომდე არ ჰქონდათ დამწერლობა, რათა მშობლიურ ენაზე ეწერათ მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებები, აფხაზეთის ქართველობა ამ მხრივ უკეთეს პირობებში იყო ჯერ კიდევ XI საუკუნიდან მოკიდებული, მაგრამ არ ჩანს არანაირი დოკუმენტური მასალა აფხაზეთის ქართული მწერლობის არსებობის შესახებ 1890 წლამდე. სწორედ ამიტომ 1890 წელი უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთის ქართული ლიტერატურის დასაწყის თარიღად.

ივანე გეგია გახლავთ პირველი სამურზაყანოელი (და, საერთოდ, მთელი აფხაზეთის მასშტაბით) შემოქმედი, რომელმაც 1890 წელს თბილისში დასტამბა თავისი ლექსების კრებული სახელწოდებით „ლექსების კონა, თქმული ივანე გეგიას მიერ".[2] კრებული შეიცავს 50 გვერდს (ინახება თბილისის ეროვნულ

[1] გაზ. "დროება", 18 დეკემბერი, 1909.

[2] ლექსების კონა, თქმული ივანე გეგიას მიერ, თბილისი, გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1890.

ბიბლიოთეკაში). მასში თავმოყრილია 25 ლექსი და ერთი პიესა (ვოდევილი), ყველა ნაწარმოებს (მცირე გამონაკლისის გარდა) ახლავს დაწერის თარიღი, რაც არანაკლებ საყურადღებოა: „მოზარდთ“ (1888), უსათაურო („ნეტავ რათ არის აგრე სუსტი კაცის გონება“ – 1889), „ჩემი სურვილი“ (1888), უსათაურო („არ მახარებს ოქრო, ვერცხლი, ფულები“ – 1885), „ვუძღვნი კახელთ“ (1885), „ძველი თავადი“ (1885), „მოგონება“ (1885), „მთის წყალი“ (უთარიღოა), „ჩემს ვარსკვლავს“ (1887), „ხალხური“ (1885), „ხალხური“ (1885), „ენუქას სინანული“ (1886), „ჩემი ლოცვა“ (1888), „წინასწარ-მეტყველი“ (ლერმონტოვიდან – 1889), უსათაურო („მიჯობს ფიქრმა დამაღონოს“ – 1887), „ეშხით მთვრალს“ (1885), „გაყრა“ (1885), „მუშაობა“ (1884), „კავკავის ქება“ (1880), „ობოლი“ (1888), უსათაურო („გულ-მოსილსა შავი ფიქრით“ – 1884). „ჭაბუკი“ (1883), უსათაურო („ჩამოცხა და პაპანებს“ – 1887), უსათაურო („ისარ-მახვილად ჩემს სიყმაწვილეს“ – 1887), „ვირი და ბაყაყის ომი“ (1885), „სიყვარულის მონა“ (ვოდევილი, დაწერის თარიღი არ უზის).

ოთარ ჟორდანია წერს: „დღეისთვის დადგენილია, რომ ივანე გეგიას ლექსების წერა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს დაუწყია. ჩვენამდე მოაღწია მისმა ერთ-ერთმა პირველმა ლექსმა, რომელიც 1880 წლითაა დათარიღებული – „ქება კავკავის” (მოგვიანებით ეწოდა „კავკასის ქება”)”.[1]

როგორც ცნობილია, 1885 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა კრებული „ციცინათელა, ანუ ლექსთა კრება”. საინტერესოა, რომ ამ პოეტურ კრებულში დიდი აკაკი წერეთლის ლექსების („ციცინათელა”, „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა”) გვერდით დაბეჭდილია ივანე გეგიას 10-მდე ლექსი („ახალი მოდის ქალი”, „ქრისტე აღსდგა”, „შემოდგომა”, „შეხვედრა”, „ქება კავკავის”,

[1] ო. ჟორდანიას დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

„ბაღანა", „ნიკო გლეხის შვილი", „მუშა", „მხედარი", „მილოცვა").[1]

ასე რომ, 1885 წელს შედგა ივანე გეგიას დებიუტი ლიტერატურულ ასპარეზზე. 1887 წელს ივანე კერესელიძის გაზეთმა „ცისკარმა" დაბეჭდა სამურზაყანოელი მგოსნის პატარა ლექსი „მიჯობს ფიქრმა დამაღონოს".[2] მისი პოეტური ნიმუშები შევიდა აგრეთვე 1890 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებულ „ქართველი პოეტების ლექსთა კრებულში". 1898 წელს სამსონ ღონღაძემ გამოსცა „ქართული პოეზიის ნიმუშები", სადაც შესულია ივანე გეგიას ნაწარმოებები.

1890 წელს თბილისში გამოქვეყნებული ივანე გეგიას პოეტური წიგნი – „ლექსთა კონა", რითაც დაიწყო ფაქტიურად აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორია, სამწუხაროდ, პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში აღმოჩნდა პირველი და უკანასკნელი. ამის შემდეგ მან ნახევარ საუკუნეზე მეტი (51 წელი) იცოცხლა, მაგრამ ვერ მოასწრო მისი ნაწერების ცალკე წიგნად გამოცემა. ხელისშემშლელ მიზეზებზე თავის ადგილას იყო საუბარი და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. უბედურება ის არის, რომ ბევრი მისი ლექსი, ხელნაწერის სახით არქივში შენახული, განადგურდა 1992 წლის დამდეგს თბილისში გაჩაღებული ძმათამკვლელი ომის დღეებში. კვლავ გავიმეორებთ, რომ ივანე გეგია XX საუკუნის 20-იან წლებში ცდილობდა თავისი ნაწერების გამოცემას, მაგრამ საბჭოური ხელისუფლების ხელშეშლის შედეგად ეს ვერ მოახერხა. ეტყობა, გულაცრუებულმა შემდეგ წლებში არც კი სცადა საკუთარი წიგნის თუ წიგნების გამოქვეყნება და ყველა სახის ნაწერების ხელნაწერები არქივს ჩააბარა.

აფხაზურ შეგონებას გავიხსენებ: „ცხენი მოკვდება – მინდორი დარჩება, ადამიანი მოკვდება – სიტყვა დარჩება". დარჩა (რაც

[1] ციცინათელა, ანუ ლექსთა კრება, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1885, გვ. 8-10, 13-16.

[2] გაზ. "ცისკარი", №7, 22 იანვარი, 1887.

გადარჩა) ივანე გეგის პოეტური სიტყვა. კვლავ გავიმეორებთ: მას განსაკუთრებული დამფასებელი გამოუჩნდა დაბადებიდან 150-ე წლისთავზე პროფ. ოთარ ჟორდანიას სახით. სწორედ მისი ძალისხმევით 2011 წელს თბილისში დაისტამბა ივანე გეგიას ნაწერების ყველაზე სრული კრებული.[1] მასში მოთავსებულია 46 მხატვრული ნაწარმოები, პუბლიცისტური და საგაზეთო წერილები, პირადი მიმოწერა, ივანე გეგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ახალი საარქივო დოკუმენტური მასალა. სამურზაყანოს პირველი მგოსნის პოეტურ მემკვიდრეობაზე მსჯელობისას ვსარგებლობთ სწორედ ამ გამოცემით.

როგორც შესავალ ნაწილში ივანე გეგიაზე დაწერილი მასალების ზოგადი მიმოხილვისას შევნიშნეთ, მისი პოეტური შემოქმედება მოკლედ, კომპაქტურად, მაგრამ შთამბეჭდავად გააანალიზეს ოთარ ჭურღულიამ, ვლადიმერ ალფენიძემ და ოთარ ჟორდანიამ. დავიმოწმებ რამდენიმე ციტატას მათივე ნააზრევიდან: „ივანე გეგიას მხატვრული შემოქმედება, მართალია, არ არის დიდი საკაცობრიო იდეალების გამომხატველი. პოეტური მხატვრული თვალსაზრისითაც მისი ლექსები არაა დახვეწილი და სრულყოფილი, მაგრამ, რაც მთავარია, იგი ეპოქის სულისკვეთების გამომახატია".[2] მართალია, ივანე გეგია „საკაცობრიო იდეალებს" არ შესჭიდებია, მაგრამ გაჭირდება მთლიანობაში იმის გაზიარება, თითქოს პოეტის ლექსები არ იყოს დახვეწილი და სრულყოფილი. დახვეწა მართლაც აკლია ზოგიერთ ლექსს და არა, საერთოდ, მის პოეზიას. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით მგოსნის ლირიკის ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზის შედეგად.

ვლადიმერ ალფენიძე წერს: „დღეს ივანე გეგიას ყველა ლექსს

[1] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გამოსაცემად მოამზადეს: მერი გაბედავამ, ირმა ზაქარაიამ, ოთარ ჟორდანიამ, ოთარ ჟორდანიას რედაქციით,თბ., 2011.

[2] **ო. ჭურღულია,** ნარკვევები, გვ. 93.

ვერ მივუდგებით უმაღლესი ესთეტიკური კრიტერიუმებით. მისი ლექსები პატრიოტი მამულიშვილის, ერთი სამურზაყანოელი ტრუბადურის, გულმართალი და ალალმართალი ქართველის სიმღერებია, რომლებმაც თავის დროზე უდაოდ გარკვეული როლი ითამაშეს. დღეს შეიძლება მათ უპირატესად კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეთ, ვიდრე ესთეტიკურ-მხატვრული".[1] თუმცა ამ მიმართულებით ივანე გეგიას პოეტური ნაწარმოებების შესწავლა გვარწმუნებს მათი ესთეტიკურ-მხატვრულ მნიშვნელობაშიც. ცხადია, ეს არ ვრცელდება ყველა ლექსზე, მაგრამ გარკვეული ნაწილი ამ თვალსაზრისითაც ყურადსაღებია, რაც გამოწვლილვით იქნება ქვემოთ თავის ადგილას დამუშავებული.

უნდა დავეთანხმოთ ოთარ ჟორდანიას: „ივანე გეგიას პოეზია გამსჭვალულია პატრიოტული და ფილოსოფიურ-ესთეტიკური მოტივებით. ქვეყანაში არსებული მკაცრი ცენზურის გამო ივანე გეგიას ნააზრევი ალეგორიულ-სიმბოლური ხერხებითაა გადმოცემული".[2] სიამოვნების გრძნობით შევნიშნავთ, რომ ისტორიკოსმა ოთარ ჟორდანიამ ნამდვილი ლიტერატურათმცოდნის ალღოთი მიმოიხილა შედარებით ვრცლად და შთამბეჭდავად სამურზაყანოელი მგოსნის ნაწარმოებები. თუმცა არც ოთარ ჭურღულიას, არც ვლადიმერ ალფენიძეს და არც ოთარ ჟორდანიას ჰქონიათ პრეტენზია ივანე გეგიას პოეტური შემოქმედების სკრუპულოზური განხილვისა და ანალიზისა, მათივე ნარკვევებში აღძრული სხვა საკითხებიდან გამომდინარე. მათივე მხრიდან ამ შემოქმედის ლირიკაზე საუბარი საკვლევი პრობლემების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ასე რომ, დღემდე ივანე გეგიას პოეზია ყოველმხრივი შესწავ-

[1] ვლ. ალფენიძე, ფიქრიანი გზები, გვ. 409-410.
[2] ო. ჟორდანიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

ლის საგანი არ ყოფილა. ეს ითქმის მხატვრული ნაწარმოებების იდეურ-შინაარსობრივ მხარეზე, მხატვრულ-ესთეტიკურ ასპექტებზე, თემატიკურ რკალზე, ფილოსოფიურ-პედაგოგიკურ შეხედულებებზე, რელიგიურ მოტივებზე, პოეტიკაზე, მეტრსა და რითმაზე და ა.შ. ცხადია, ჩვენს დაკვირვებებსაც არ გააჩნია საკითხის ამოწურვის პრეტენზია. შევეცადეთ ამ ხარვეზების ნაწილობრივ მაინც ამოვსება. ისე საკვირველი კია, ივანე გეგიას დაბადებიდან 150 წელი უკვე შესრულდა და ამ ხნის მანძილზე არავინ დაფიქრებულა ან დაინტერესებულა ამ კოლორიტული პიროვნების პოეზიის საფუძვლიანი შესწავლისათვის მოეკიდა ხელი. ჩვენი მცდელობა ამ მხრივ უფრო იმ მიზანს ემსახურება, რომ მომავალში მეტი დაინტერესება გამოიჩინონ ამ მიმართულებით განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევარებმა.

„ჩემი ლოცვა"

ივანე გეგიას 1888 წელს, 27 წლის ასაკში, დაუწერია მშვენიერი ლექსი „ჩემი ლოცვა". სწორედ ამ ნაწარმოებით გვინდა საუბრის და მსჯელობის დაწყება მის პოეტურ შემოქმედებაზე. ეს თხზულება იმიტომ შევარჩიეთ, რომ მასში თვალნათლივ ჩანს ივანე გეგიას ეროვნული-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, მისი კრედო. რადგან ამ ლექსის განხილვას ვგეგმავთ დაწვრილებით, საჭიროდ ვცანით სრულად წინასწარ მისი დამოწმება, რათა მკითხველს ამთავითვე შეექმნას მასზე ამომწურავი წარმოდგენა, მითუმეტეს, იგი მცირე მოცულობისაა, მხოლოდ სამსტროფიანი:

„ღმერთო, შემოსე ძლიერებითა
შენი მორწმუნე ივერის ერი,
ერი კეთილი, ერი ჯვარისა,
შენი ერთგული და ფეხთა მტვერი!
გულს ჩაგვიმარხე შენი მცნებანი,
გვაღირსე ისევ სულით მშვიდობა,
ამრავლე ერი შენი მმოსავი
და დაგვიმტკიცე ძმობა, დანდობა.
ამრავლე, მამავ, თან დააყოლე
უშიშრად, მაგრად ფეხზე დადგომა...
და ნუღარ დასცემ მრავალ ჭირნახულს,
რომ ვერ შეიძლოს კვალად ადგომა".[1]

ქართული სიტყვა „ლოცვა" ისეთივე მიმზიდველია და ესთეტიკური, როგორც „სახარება", „სახისმეტყველება", „ხატწერა" და სხვ. ლოცვა ხომ სულის სუნთქვაა. „მცირე საეკლესიო ენციკლოპედიაში" განმარტებულია: „ლოცვა – მორწმუნის მიმართვა ღმრთისადმი, რომელთაც იგი აქებს და ადიდებს უფალს,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 66.

მადლობას სწირავს წყალობისთვის, მის წინაშე აღიარებს და ინანიებს მის უღირსობას, გამოთქვამს პირად საჭიროებასა და თხოვნას. ლოცვის დროს აუცილებელია სინანულის განცდა, ყურადღება წარმოთქმული სიტყვებისადმი და გულისხმისყოფა მასში გადმოცემული აზრისა".[1] აქვე მოვიხმობთ იესოს ლოცვის ტექსტს: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი". წმ. მამათა გადმოცემით, ამ ლოცვით ვედრება თვით მაცხოვრის მიერ არის დადგენილი (იხ. 14, 13, 13-14; 16, 23-24) და ამჟამად მას საზოგადოდ ბერმონაზვნებიცა და ერისკაცნიც იყენებენ. იესოს ლოცვა მორწმუნის სინანულს აღრმავებს და სულიერ სნეულებებს იმ მადლის ძალით კურნავს, რომელსაც უფალი იესო ქრისტეს საღმრთო სახელი იტევს".[2]

პეტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) არეოპაგიტიკის თანახმად, ლოცვა არის ღმერთთან მისვლის და მისი ხილვის ერთ-ერთი მთავარი გზა: „რამეთუ ჯერ არს ჩუენდა პირველად ლოცვისა მიერ აღსვლად მისსა მიმართ... ხოლო ჩუენ თავთა ჩუენთა ლოცვით აღვისევანებთ უმაღლესთან მიმართ აღხილვათა საღმრთოჲსა სახიერებისა შარავანდედთაჲსა".[3] იოანე დამასკელის თანახმად, "ლოცვაჲ არს აღსვლაჲ გონებისაჲ ღმრთისა მიმართ ანუ თხოვნა ჯეროვანთა ღმრთისაგან". ამერიკელი თჰოულესის მიხედვით, მისტიკოსი არის ადამიანი, რომელიც ლოცვას განიცდის სავსებით სპეციფიკურად. ლოცვის დროს პიროვნებაში ხდება ფსიქიკური ცვლილებები, ადგილი აქვს ე.წ. მისტიკურ მოქცევას, ხილვებს, თავისებურ გამოთქმებს... მაგრამ მისტიკური სულიერი მდგომარეობისათვის ზოგადად

---

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, შეადგინეს **გვ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ**, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2005, გვ. 185.

[2] იქვე, გვ. 163.

[3] **პეტრე იბერიელი** (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო **ს. ენუქაშვილმა**, თბ., 1961, გვ. 196.

მიჩნეულია ჭვრეტა (კონტემპლაცია). ჭვრეტას თვითონ მისტიკოსები ახასიათებენ როგორც ღვთის არსებობის ჩვენს შიგნით „გამოუთქმელ აღქმას", "ექსპერიმენტულ ცოდნას", ღვთის უშუალო წვდომას.[1]

შუა საუკუნეებიდან მოკიდებული დღემდე ლოცვას, ლოცვით ვედრებას მიმართავენ და იყენებენ სასულიერო პირები და საერო პირებიც. საერო შემოქმედთაგან ქართულ მწერლობაში ლოცვის მოტივი პირველად დაამკვიდრა შოთა რუსთაველმა. ამ მხრივ დაუვიწყარია „ლოცვა ავთანდილისა":

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!
ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელიც ჰფლობ ქვენათ ზესა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა.
ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე;
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა. ღამით მავნე განმარიდე!
თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენგან მსხვერპლსა შევსწირვიდე".

ავთანდილი ლოცვას წარმოთქვამს მას შემდეგ, რაც შერმადინს ანდერძის ტექსტი გადასცა და გამოსამშვიდობებლად ემზადება. ის არის ტომით არაბი (პოემის მიხედვით), მაგრამ ალეგორიულად მასში განსახიერებულია ქართველი ავთანდილის ლოცვით ვედრება მაცხოვრის წინაშე. როგორც ვხედავთ, პირველ სტროფში კატაფატიკურ-აპოფატიკური ატრიბუტების (ცოდნის

[1] შდრ. ვლ. ნორაკიძე, დავით გურამიშვილი (ფსიქოლოგიური პორტრეტი), თბ., 1980, გვ. 139.

მეთოდების) ძალისხმევით მოცემულია ქრისტიანული ღმერთის დახასიათება. მეორე სტროფში ავთანდილი ევედრება (ეაჯება) მაღალ ღმერთს, რომელიც განაგებს ცას და დედამიწას, რომელმაც დაბადა მიჯნურობა და „აწესებს მისსა წესსა", შეუნარჩუნოს თინათინისადმი სიყვარული („ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა"), არ დააშოროს ერთმანეთს მათი შეყვარებული გული. მესამე სტროფის მიხედვით, ავთანდილი, გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, მოწყალე ღმერთს თხოვს დახმარებას, შველას („შენგან ვითხოვ შეწევნასა"), მისცეს, ამასთანავე, მტერთა ძლევის უნარი, მავნე ძალა განარიდოს. სამაგიეროდ პირდება უფალს: თუ გადარჩა ფიზიკურად, მუდამ მის სამსახურში იქნება, არასდროს დაიზარებს მისთვის მსხვერპლის შეწირვას.

დამოწმებული სტროფებიდან გაირკვა: ავთანდილი ქებადიდებით მიმართავს უფალს, გამოთქვამს პირად საჭიროებას და თხოვნას. ცხადია, აქ არ ჩანს, ღმერთისთვის მადლობის შეწირვა წყალობისთვის, არც სინანულის განცდა, არც მისი უღირსობის აღიარება და მონანიება.

სასულიერო მწერლები (საერთოდ, სასულიერო პირები) ღმერთთან გასაუბრებას ახერხებენ ვედრებებით, ლოცვებით, ღმერთთან ათანხმებენ თავიანთ სულიერ განწყობილებებს, ღმერთთან მისაახლოებელ გზად მხოლოდ ლოცვა ესახებათ. ლოცვითი კანონს ქრისტიანი ყოველდღიურად ასრულებს. საერო მწერლების ლოცვები არ არის დაცლილი საღვთისმეტყველო შინაარსისაგან, მაგრამ ისინი აძლიერებენ, ანოყიერებენ მას ეროვნული შინაარსით, ეროვნული იდეალებით. მათი ლოცვა-ვედრებანი მიმართულია ღვთისკენ განსაკუთრებული მოთხოვნით: ყოვლად ძლიერმა უფალმა იხსნას შემოქმედის სამშობლო ქვეყანა მტრისგან, განსაცდელისაგან, დაუმკვიდროს მას მშვიდობა,

სიკეთე, სათნოება, სიყვარული, კეთილდღეობა. ამგვარი შინაარსის შემცველ ლოცვებს ვერ იპოვით შუასაუკუნეების ქართველი საერო მწერლების თხზულებებში. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ისინი შორს იდგნენ მშობლიური მიწის სიყვარულის განცდისაგან. ეროვნულ-პატრიოტული თემატიკით არის განაყოფიერებული შავთელის, ჩახრუხაძის, რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, არჩილ ბაგრატიონის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება. მაგრამ მათ მხატვრულ პრაქტიკაში აღარ ჩანს კონკრეტულად (რაც ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს), რომ ღმერთს ავედრებდნენ მამულს. ამას ვერ ვიტყვით XIX საუკუნის ქართულ მწერლობაზე.

ახალი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელნი თავიანთ „ლოცვებში" მაცხოვარს, ღვთისმშობელს ავედრებენ მამულს, რომ მოხედონ მას, ააცილონ უბედურება, გადაგვარება, დავრდომილება, დაუმკვიდრონ ქვეყანას თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სულის სიმშვიდე, კეთილდღეობა. სხვა საზრუნავი მათ ლოცვებს არ გააჩნია. ცხადია, ეს არის ლოცვა-ვედრება ღრმად მორწმუნე ქრისტიანი მწერლებისა, რომელთაც ქრისტიანობა სამშობლოს გადარჩენის უმთავრეს იარაღად ესახებათ. სწორედ ამ ტრადიციებით არის ნასაზრდოები ივანე გეგიას პოეზია და განსაკუთრებით მისი ლექსი „ჩემი ლოცვა". ახლა კი ქვემოთ ვნახოთ, ამგვარი ლოცვითი განწყობანი რამდენად არის განფენილი საანალიზო ნაწარმოებში. თუმცა მანამდე შეუძლებელია არ დავასახელოთ ილია ჭავჭავაძის მიერ 1858 წელს დაწერილი ლექსი „ლოცვა":

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა;
არცა სიმღერის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,

არ მინდა ამით შეურაცხვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"[1]

როგორც ვხედავთ, დიდი ილია მუხლმოდრეკილი ლოცულობს უფლის წინაშე. მას არც სიმღერას თხოვს და არც დიდებას, რადგანაც ამისი მოთხოვნა წმინდა ლოცვის შეურაცხყოფად მიაჩნია. მისი წყურვილია ცით სულის განათლება, ღვთის სიყვარულით გულის ანთება, რათა ამით მიენიჭოს მტერთათვისაც კი შენდობის უნარი. აქ ჩანს მისი შეუცნობელი სულგრძელობა. საუბარია არა პოეტის პირად მტრებზე, არამედ სამშობლოს მტრებზე, რათა ამ შენდობით იქნებ გონს მოეგოს დუშმანი და შეცვალოს ვერაგული ზრახვანი.

აკაკი წერეთელს გააჩნია ლექსი „ჩემი ლოცვა", რომელიც 1896 წელს შეუთხზავს. მასში წარმოსახულია წმინდა ნინოს, თამარ დედოფლის და ქეთევან წამებულის თაყვანისცემა. ადიდებს თამარ მეფის მზეობას, წმინდა ნინოს მიერ ქართლში ნაქადაგებ სარწმუნოებას, ქეთევანის მოთმინებას. მათ ეთაყვანება, როგორც ღვთაებას:

„თამარს, ქეთევანს და ნინოს
თაყვანს-ვცემ, როგორც იდეალს.
საკვერთხად ვუდგამ წმინდა გულს
და ვუკმევ ტრფიალების ალს.
დიდება ერთის მზეობას!
მეორის მოთმინებასა!
მესამის სარწმუნოებას...
და მათსა მოვლინებასა!..

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., I, თბ., 1987, გვ. 57.

ერთს არსებაში სამივეს
ვხედავ აქ მოთავსებულად!..
თაყვანს ვცემ, როგორც ღვთაებას
და თავს ვგრძნობ გაახლებულად".[1]

ირკვევა, რომ ივანე გეგია იცნობდა დიდი რუსი პოეტის, მიხეილ ლერმონტოვის მხატვრულ ნაწარმოებებს. ლერმონტოვს აქვს ორი ლექსი ერთი და იგივე სახელწოდებით „ლოცვა", რაც უსათუოდ წაკითხული ექნებოდა. პირველ „ლოცვაში" ომში მიმავალი ლირიკული გმირი ღვთისმშობელს შეავედრებს „უსათნოეს ქალწულს", რათა ამიერიდან მისი მწყალობელი გახდეს, მის სულს მოუვლინოს სათნო ანგელოსი:

„დედაო ღვთისაო, მუხლზე დაცემული,
შენი ხატების წინ ვიჩენ მოკრძალებას
შველას როდი შეგთხოვ ომში მიმავალი,
ანდა როდი ვითხოვ ღვთიურ მოწყალებას.
დედავ, როდი მინდა ვიყო კადნიერი,
ჩემი შეგავედრო სული ცარიელი.
დედავ, უსათნოეს ქალწულს შეგავედრებ,
მისი მწყალობელი იყავ ამიერით.
სული ღირსეული ჰყავი ბედნიერი,
მიეც ცხოვრებაში სათნო თანამგზავრი.
კალთით დაიფარე სული ლმობიერი
და მის მოხუცობას, ღმერთო, მომასწარი.
თუ გასვენების ჟამი მოახლოვდა,
დილა იქნება თუ ღამე სავსე ლოცვით,
დედავ მწყალობელო, სულთა უმანკოთა,
მის სულს მოუვლინე სათნო ანგელოსი".[2]

[1] აკ. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1988, გვ. 439.
[2] მ. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1987, გვ. 51; იხ. მეორე „ლოცვა", გვ. 64.

ივანე გეგიას „ჩემი ლოცვა" იწყება უფლისადმი მიმართვით: „ღმერთო, შემოსე ძლიერებითა"... (სხვათა შორის მის პოეზიაში ეს ფაქტი მხოლოდ ერთხელ დასტურდება). მიმართვის ეს ფორმა ქართულ საერთო მწერლობაში ფართოდ იყო დამკვიდრებული. მარტო „ვეფხისტყაოსნიდან" რამდენი ნიმუშის ამოწერა შეიძლება: „ჰე, ღმერთი, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა"... „მაღალი ღმერთო ხმელთა და ცათაო"... და ა.შ. ეს დაკანონებული ტრადიცია, ცხადია, გრძელდება XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ვგულისხმობ მიმართვას ღმერთთან ერთად წმ. მარიამ დედოფლისადმი.

როგორც ვხედავთ, ივანე გეგია მიმართვის ფორმად იყენებს ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედის ზოგად სახელს „ღმერთი". „მცირე საეკლესიო ენციკლოპედიაში" ვკითხულობთ: „ღმერთი – არსება უმიზეზო და მიზეზი ყოველივესი, ყოვლად ძლიერი და ყოვლის შემძლებელი, ყოველი მიზეზისა და ბუნების უზენაესი დამბადებელი. უმიზეზო მხოლოდ იგია, რადგან თვითმყოფი და დაუსაბამოდ არსებულია და არაფერში არავის შემწეობას არ საჭიროებს, ხოლო სხვათა მიზეზი იმიტომაა, რომ ყოველივეს, ხილულსა და უხილავს, ყოფიერება მის მიერ ენიჭება".[1]

რა თქმა უნდა, ივანე გეგია ზოგად ცნება „ღმერთში" კონკრეტულად მაცხოვარს გულისხმობს, როგორც ქრისტიანი შემოქმედი. წმინდა სამების მეორე პირის იესო ქრისტეს სახელი ებრაულ-ბერძნულია. „იესო" ებრაულად ნიშნავს „მაცხოვარს", „მხსნელს", „ქრისტე" კი ბერძნულად – „ცხონებულს".[2] სამურზაყანოელი მგოსანი სწორედ მაცხოვარს, თავის მამაპაპეულ ღმერთკაცს, ავედრებს თავის ბედკრულ ქვეყანას. „ჩემი ლოცვის"

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 270.
[2] იქვე, გვ. 162.

ბოლო სტროფის პირველ ტაეპში ლექსის დასაწყისში ნახსენებ „ღმერთს" ჩაენაცვლება „მამა": „ამრავლე, მამავ, თან დააყოლე"... ამ ტაეპში პოეტი ეაჯება „მამას", ანუ სამების ოჯახის პირველ წევრს. მკითხველს შევახსენებთ ცნება „სამების" განმარტებას: „სამება – სამპიროვანი ანუ სამგვამოვანი ერთი ჭეშმარიტი ღმერთი – მამა, ძე და სულიწმიდა, რომელსაც სამი განსხვავებული და შეურევნელი პირი, მაგრამ ერთი არსება და ბუნება აქვს... სამნივე თანასწორნი არიან. როცა იყო მამა, მაშინვე იყო ძე და მაშინვე იყო სულიწმიდა; მამა უშობელია, ძე-მამისაგან შობილი, ხოლო სულიწმიდა – მამისაგან გამოსული".[1]

„ჩემი ლოცვის" დასაწყისშივე ივანე გეგია ევედრება ღმერთს, რათა ძალმოსილებით აღავსოს მისივე მორწმუნე ქართველი ერი, კეთილი და ჯვარის ერი, უფლის ერთგულებით გამორჩეული და მისივე ფეხთა მტვერი ერი:

„ღმერთო, შემოსე ძლიერებითა
შენი მორწმუნე **ივერის ერი.**[2]
ერი კეთილი, ერი ჯვარისა,
შენი ერთგული და ფეხთა მტვერი!"[3]

უნებლიედ გაგვახსენდა აკაკი წერეთლის ნათქვამი: „რომ ჩვენი ერი სხვის ფეხთა მტვერი".

ამთავითვე გვინდა ყურადღების შეჩერება შესიტყვებაზე „ივერის ერი", რაშიც, ცხადია, საქართველოს ხალხი, ანუ ქართველი ერი იგულისხმება. ამან მოგვაგონა პირველი აფხაზი მწერალი გიორგი შარვაშიძე, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, „საქართველოს" ნაცვლად ხმარობს „ივერიას", „ქართველის" მაგივრად – „ივერს". ამასთან დაკავშირებით აკად. სიმონ ჯანაშია წერდა: „გიორგი შარვაშიძე „საქართველოს აღსანიშნავად

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 236.
[2] ხაზგასმა ყველგან ჩვენია - ტ. მ.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 66.

რჩეობს ტერმინს: „ივერია", ხოლო „ქართველი"-ს მაგიერ ხშირად ხმარობს „ივერს"... ქართული ფეოდალიზმის საერთო დეკადანსმა, როდესაც დაქსაქსული ეროვნული ორგანიზმი მრავალს ადგილობრივ პოლიტიკურ ნაჭუჭში მოემწყვდა... ის შედეგიც მოიტანა, რომ ძველმა ტერმინებმა, რომელნიც ზოგადი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცნებების გამომსახველნი იყვნენ, ერთგვარი დაქვეითება განიცადეს, ასე მოუვიდათ კერძოდ ტერმინებს: „ქართველი" და „საქართველო".[1]

ამასთან დაკავშირებით ხომ არ ჩნდება შესაძლებლობა ერთი მომაკვდინებელი ფაქტორის გათვალისწინებისა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ცარისტულმა რუსეთმა საქართველოში გააძლიერა კოლონიური პოლიტიკა, ერთიანი ეროვნული თვითშეგნების მოშლა, ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა, ხმარებიდან ამოიღეს სახელწოდებები: „საქართველო" და „აფხაზეთი". ნებადართული იყო მხოლოდ რუსული ადმინისტრაციული ერთეულების ოფიციალური სახელების – თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია, სოხუმის ოლქი – გამოყენება.[2]

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის ქართველი მწერლები და მოღვაწენი არც თუ იშვიათად ხმარობენ ცნებებს: „ივერია", „ივერი". გამოდიოდა გაზეთი და ჟურნალი „ივერია". დაკვირვებამ აჩვენა, რომ ივანე გეგია თავისი მხატვრულ-შემოქმედებით პრაქტიკაში არსად არ იყენებს ტერმინს „საქართველო". ეს არ ითქმის სიტყვაზე – „ქართველი". ასე რომ, ტრადიციის კვალდაკვალ ივანე გეგია „რჩეობს" სახელწოდებას „ივერი" („ივერის ერი", რაშიც საქართველო იგულისხმება, ისევე როგორც – ქართველი ერი).

---

[1] **ს. ჯანაშია,** გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: **გ. შარვაშიძე** ლირიკა, ეპოსი, დრამა, თბ., 1985, გვ. 59.

2 **ო. ჟორდანიას** დასახ. წერილი, გვ. 5.

როგორ გავიგოთ შესიტყვება „ერი ჯვარისა". შესაძლოა ამას ორნაირი ახსნა მიესადაგოს. 1. „ერი ჯვარისა" აუცილებლად მიგვანიშნებს ქრისტიან ქართველ ერზე. ჯვარი ხომ სიმბოლოა ხსნისა და სიკვდილის ძლევისა, იგი სწორუპოვარი საეკლესიო სიწმინდეა, ჯვარცმული მაცხოვრის მადლისმიერი ძალის მატარებელია, ეკლესიისა და მისი წევრებისთვის ხილული თუ უხილავი მტრებისაგან დასაცავ ზღუდესა და საჭურველს წარმოადგენს.[1] ქართველები ხომ უძველესი ქრისტიანი ხალხი ვართ, ჯვრის სიწმინდეს ზიარებულნი, რასაც ხაზს უსვამს ივანე გეგია. 2. შესაძლოა პოეტი გამოთქმაში "ერი ჯვარისა", გულისხმობდეს ჯვარცმულ ქართველ ერს. ჯვარცმა, უბედურება ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე დაებედა, XIX საუკუნეში კი ჯვარის თაყვანისმცემელი რუსების მსხვერპლი გახდა.

ივანე გეგია უფლისადმი მიმართვით: „შენი ერთგული და ფეხთა მტვერი" აფიქსირებს საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა ერთგულებას და თავგანწირვას ქრისტიანობისთვის, ქრისტეს რჯულის მიმართ მოწიწებას და თაყვანისცემას, მაცხოვრის რიდისთვის ფეხქვეშ ნებით გაგებას.

„ჩემი ლოცვის" მეორე სტროფში ავტორი ღმერთს შესთხოვს: „გულს ჩაგვიმარხე შენი მცნებანი", ანუ ზნეობრივი და სულიერი კანონები. „მცნებანში" არ იგულისხმება მხოლოდ ის ძირითადი ათი მცნება, ან მაცხოვრის მიერ მთაზე ქადაგებისას გადმოცემული მცნებანი (ნეტარებათა მცნებები), არამედ მთელი სახარება – მაცხოვრის სწავლებანი და მისი ცხოვრებით მაგალითები. გულწრფელია მგოსნის მუდარა: „გულს ჩაგვიმარხე შენი მცნებანი". ეს გამოწვეული იყო იმ უსიამოვნო ფაქტებით, რასაც ადგილი მუდამ ჰქონდა ბედკრულ საქართველოში ქრისტეს მოძღვრებისადმი უდიერი და გულგრილი დამოკიდებულებით, ქრსიტიანობის

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 290.

უარყოფით და მტრის სარწმუნოებასთან ზიარებით. ეს XIX საუკუნის II ნახევარშიც, სამწუხაროდ, შეინიშნებოდა, რაც გამოიხატებოდა უმთავრესად მამაპაპეულ რელიგიასთან შეუსაბამო დამოკიდებულებით.

მაცხოვრის მცნებების „გულში ჩამარხვა", ივანე გეგიას თანახმად, იყო გარანტი სულით მშვიდობის მოპოვებისა: „გვაღირსე ისევ სულით მშვიდობა". ამასთანავე, თავისი ქვეყნის სიყვარულით გათანგული პოეტი ღმერთს შესთხოვს ქართველი ერის ფიზიკურ გამრავლებას: „ამრავლე ერი შენი მმოსავი". ავტორს გული შესტკიოდა, რომ მშობელი ერი არ მრავლდებოდა, რასაც ცარისტული ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს. ქრისტიანი მტრის მიზანი იყო: რუსული სული ქართულ სხეულში, ან საქართველო ქართველების გარეშე.

„ჩემი ლოცვის" ავტორი საანალიზო სტროფის ბოლო ტაეპში კიდევ ერთ თხოვნას გაახმოვანებს: „და დაგვიმტკიცე ძმობა, დანდობა". საერთოდ, საუკუნეების მანძილზე ქართველთა შორის ძმობის და ურთიერთდანდობის დეფიციტი უკურნებელ სენად იქცა. „აღმა ხვნისა და დაღმა ფარცხვის" პრინციპით ქართველთა ქმედებანი მტერს მუდამ უადვილებდა შუა საუკუნეების პერიოდში ჩვენს დამონებას, დაჩაჩანაკებას. გურამიშვილისა არ იყოს, როცა „ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა", მაშინ „მტერთ კობალი თავში დასცხეს, ორნივ ერთად შებრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს: „არც XIX საუკუნეში იყო ერთსულოვნება ქართველებს შორის. როდესაც ქართველთა პატრიოტული ნაწილი თავგანწირვით უპირისპირდებოდა რუსი მოხელეების ანტიქართულ ქმედებებს. მეორე ნაწილი მოძალადე რუს ხელისუფალთა ქვეშევრდომად და აგენტად იყო ქცეული. ამ სისაძაგლის მოწმე და თვითმხილველი იყო ივანე გეგია, ამიტომაც ევედრებოდა ქართველთა შორის ძმობის განმტკიცებას და დანდობის უნარის გაძლიერებას.

„ჩემი ლოცვის" მესამე (ბოლო) სტროფის დასაწყისში ავტორი კვლავ ქართველთა გამრავლებას შესთხოვს უფალს, ამასთანავე, საქართველოს მაგრად ფეხზე დაყენებას: „ამრავლე, მამავ (იგულისხმება სამების პირველი წევრი), თან დააყოლე უშიშრად, მაგრად ფეხზე დადგომა"... არ დაატეხოს ქვეყანას ჭირი და უბედურება, რათა "ვერ შებლოს კვალად ადგომა".

მთელი XIX საუკუნის საქართველოს არსებობის დღის წესრიგში იდგა ერთადერთი პრობლემა: ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმის მიერ დამხობილი ქვეყნის ფეხზე დადგომა, რაც ურთულესი საქმე იყო. ივერიის მკვდრეთით აღდგომისათვის თავგანწირული ბრძოლა ითავეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტმა მწერლებმა და მოღვაწეებმა, მათივე შემოქმედებაში გააქტიურდა საქართველოს აღდგომის იდეა. ბეთანიის ეკლესიაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი დიდი თამარის ფრესკულ გამოხატულებას თავის ნატვრას უმხელს: „შენი ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის", როდესაც ივანე გეგიას „ჩემს ლოცვას" გაეცნობი, წარმოუდგენელია უნებლიედ არ გაგახსენდეს ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის" თანამდევი სულის ლოცვა-ვედრება ღვთისმშობლის წინაშე:

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა.
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა.
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მიეცი ძალა დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა".[1]

[1] **ი. ჭავჭავაძე,** თხზულებანი, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რ. კუსრაშვილმა, თბ., 1987, გვ. 197.

ტრადიციისამებრ ივანე გეგიაც ღმერთს ევედრება თავისი სამშობლოს ფეხზე დადგომას.

ამრიგად, ივანე გეგიას ლექსი „ჩემი ლოცვა" დაცლილია სასულიერო-საეკლესიო შინაარსისაგან. მასში არ იგრძნობა ავტორის მხრიდან ღმერთისათვის მადლობის შეწირვა წყალობის გამო, არც სინანულის განცდა, არც პოეტის უღირსობის აღიარება და მონანიება. შემოქმედი უფალს პირადად სთხოვს და ავედრებს თავის მამულს, ღვთისმორწმუნე, ერთგულ, კეთილ ქართველ ერს („ივერიის ერი"... „ერი ჯვარისა"); ემუდარება მაცხოვარს მშობელი ქვეყნისთვის ძლიერების მინიჭებას, სულით მშვიდობის დამკვიდრებას, მასში ღვთის მცნებების განმტკიცებას, ერის გამრავლებას, ქართველებში ძმობისა და ურთიერთდანდობის გამყარებას, კვლავ მოსალოდნელი უბედურების აცდენას; რაც მთავარია, მტრის მიერ მიწასთან გასწორებული ივერიის ფეხზე წამოყენებას, „კვალად ადგომას".

* * *

„ჩემი ლოცვის" ანალიზის დასრულების შემდეგ აქვე გადავწყვიტეთ საუბრის გაგრძელება ივანე გეგიას პოეტურ სამყაროში მეტნაკლებად განფენილ რელიგიურ მოტივებზე. როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით, პოეტს დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სასწავლებელი. რთული ოჯახური პირობების გამო უმაღლეს სასწავლებელში ვერ შეძლო განათლების მიღება. სასულიერო სასწავლებელდამთავრებული მგოსნის პოეზიაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ქრისტიანულ-რელიგიური მოტივების მეტი დატვირთულობით წარმოჩენა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუმცა ფრაგმენტულად ქრისტიანულ ასპექტებს მის ცალკეულ სტრიქონებში სათანადოდ უჩენია თავი.

თვალში საცემია, რომ ივანე გეგია უმეტესწილად აფიქსირებს

უფლის ზოგად სახელს – „ღმერთი", თუმცა, ბუნებრივია, მასში მაცხოვარს მოიაზრებს, როგორც ჭეშმარიტად ქრისტიანი შემოქმედი. ღვთისგან მადლიერებაა გამოხატული ტაეპში: „თუ ის არ მომაკლდება, ღვთისაგან მადლიერი ვარ".[1] ღვთისადმი გაწყრომა მიუღებელია მისთვის: „ან თავს რაღათ ვიწუხებ, ღმერთო, ხომ არ გიწყრები"; ახლადდაქორწინებულთ ავტორი ასე ლოცავს: „თქვენი უღელი სულ მტკიცედ ჰყოს ღმერთმა გამაგრებული".[2] მონანიე ენუქა იტყვის: „ღმერთმა იცის ცხოვრება მეძნელება".[3] ლექსში „შეხვედრა" ყმაწვილი თავის მოწყენას და უბედობას ღმერთს როდი აბრალებს: „რომ ღმერთს არ ვკადრებ მუდამ გმობასა".[4] თუმცა ლექსის გმირი მაინც ვერ აცდა უფლისადმი საყვედურს: „რომ ღმერთსა ჩემთვის კარგი ნდომოდა, ენა დაბმული არც მექნებოდა".[5] ბაბუა ომში მიმავალ შვილიშვილს მოუწოდებს, რათა ილოცოს და ღმერთი ადიდოს: „ილოცე, ღმერთი ადიდე, გამხნევდი, გაიხარეო".[6]

ზოგადად „ღმერთის" ცნების პარალელურად ივანე გეგია, ცხადია, ასახელებს „ქრისტეს", როგორც სამების მეორე წევრს: „ქრისტე ღმერთმა შეგივწყნარა, დაგვიდგა კარგი დარები".[7] „ქრისტე ღმერთო, გევედრები, მუშა ხალხის დღე ამრავლე, რომ მუდამ გაქონ, გადიდონ, იმღერონ ჰარი-ჰარალე".[8] „არვინ იყო ქრისტეს სიტყვის მომგონი".[9] პოეტი ზოგჯერ ხმარობს მაცხოვრის კატაფატიკურ-აპოფატიკურ ცნებებსაც: „ჩემს **გამჩენს** ვევედრები

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 36.
[2] იქვე, გვ. 38.
[3] იქვე, გვ. 57.
[4] იქვე, გვ. 55.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 77.
[7] იქვე, გვ. 39.
[8] იქვე.
[9] იქვე, გვ. 48.

მალე თქვენი ვაჟის ყოლას";[1] „აღქმას ვასრულებ მე უკვდავისას".[2]

ივანე გეგიას აქვს ერთი ლექსი „ქრისტე აღსდგა". სხვათა შორის, ანალოგიურ სახელწოდების ლექსები გააჩნიათ აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას და სხვ. ლექსის მიხედვით, სამურზაყანოელი მგოსანი ქრისტეშობას ულოცავს მეგობარს, გულკეთილს და საქებარს, უსურვებს ასეთი დღესასწაულის დასწრებას, შრომისმოყვარეობას, დიდ-პატარის სიყვარულის მოხვეჭას. იგი იმიტომ ულოცავს მეგობარს ბრწყინვალე დღესასწაულს, რომ დაინტერესებულია ღარიბთა ბედით, რათა მათ ხელი მოუმართოს. დარწმუნებულია უფლის ძალისხმევაში, შეასრულებინოს მის მეგობარს საწადელი, რითაც შეძლებს სახელის მოხვეჭასაც. ლექსი ექვსტაეპიანია და სრულად წავიკითხოთ:

„ქრისტეს შობას მოგილოცავ, ჩემო ახლო მეგობარო;
ათას აწმყოს დაესწარი, გულკეთილო, საქებარო.
ღმერთმა შრომა აგიყვავოს, ვით ბაღში რგული ყვავილი;
დიდს და პატარას უყვარდე, ვით დედას თავის გაზრდილი.
ღარიბთა ბედი გიცნია, გინდა მოუმართო ხელი;
ღმერთმა აგასრულებინოს, რომ დაგრჩეს ბოლო სახელი".[3]

როგორც ვნახეთ, ლექსის სათაურია „ქრისტე აღსდგა", დასაწყის ტაეპში კი პოეტი თავის მეგობარს ქრისტეშობის დიდ რელიგიურ დღესასწაულს ულოცავს. მკითხველს, ცხადია, გაუგებრობა მოიცავს: სად ქრისტეს აღდგომის დღესასწაული და სად ქრისტეშობის ზეიმი. ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. თუმცა ეს ასე არ არის. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ქრისტეშობის დღეს ფიზიკურად ქვეყნიერებას მოევლინა (განხორციელდა) კაცობრიობის ღვთაებრივი მხსნელი, მესია, რომელმაც თავს იდვა

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 38.
[2] იქვე, გვ. 85.
[3] იქვე, გვ. 53.

ბიბლიური მემკვიდრეობითი ცოდვის აღმოფხვრა, ბიბლიურ პირველ ადამიანთა ხორციელი ცოდვის გამოსყიდვა საკუთარი ხორცის ჯვარცმით. ქრისტეს ფიზიკურ ჯვარცმას მოჰყვა მისი სხეულის გარდამოხსნა და სამი დღით მიწაში დაფლვა (რაც სიმბოლურად განსახიერებს მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლას), შემდეგ კი მკვდრეთით აღდგომა. ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლე წავიკითხოთ: „დაეთესვის ჴორცი მშჯინვიერი და აღჰსდგების ჴორცი სულიერი. არს ჴორცი მშჯნვიერი და არს ჴორცი სულიერი" (I კორ. 15, 44), „ეგრეცა წერილ-არს: იყო პირველი იგი კაცი ადამ სამშჯნველად ცხოველად, ხოლო უკანასკნელი ადამ სულად განმაცხოვებლად" (I კორ. 15, 45). ასე რომ, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა მოასწავებდა მის სულიერ შობას. ივანე გეგია ერთმანეთში კი არ ურევს ქრისტეშობის და აღდგომის დღესასწაულს, არამედ გამოთქმაში „ქრისტეს შობას" სწორედ მის სულიერ შობას გულისხმობს, რაც განხორციელდა აღდგომის დღეს.

ივანე გეგია „ღმერთის", „ქრისტეს" ცნებებთან ერთად „ანგელოზსაც" მოიხსენიებს, ოღონდ სულ ორჯერ და ისიც განსხვავებული შინაარსით. „ანგელოზი" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „დესპანს", „მაუწყებელს". ანგელოზიც ღმერთივით უსხეულო სულია, უფლის ნების აღმსრულებელი და გამომცხადებელი. ანგელოზები განიყოფებიან ცხრა დასად და სამ იერარქიას (ხარისხს) ქმნიან: უმაღლეს საფეხურზე დგანან: სერაფიმები, ქერუბიმნი, საყდარნი; საშუალს ეკუთვნიან: უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი; უმდაბლეს საფეხურზე (ხარისხი) იმყოფებიან: მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.[1] სწორედ ესენი არიან ანგელოზთა ძალები, ანუ ნათელცისკროვანი ღმრთეებრივი სულები, რომლებიც ღმრთის დიდებულებას განუწყვეტლივ სწირავენ ქებას და მის ბრძანებებს აღასრულებენ.

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 111.

ერთ-ერთი საეკლესიო დღესასწაულია **ანგელოზის დღე**. ეს არის საეკლესიო დღესასწაული წმინდანისა, რომლის სახელიც ეწოდა ქრისტიანს ნათლისღების (ან აღკვეცის) დროს. აქვე უნდა დავასახელოთ „მფარველი ანგელოზი", როგორც ნათელღებული ადამიანისთვის ღმრთის მიერ დადგენილი ანგელოზი დაცვისა და კეთილ საქმეში შემწეობისათვის.[1]

ივანე გეგიას ერთ-ერთი ლექსის („ბაბუა") მიხედვით, ბაბუა ომში მიმავალ შვილიშვილს გამხნევებისაკენ მოუწოდებს, დალოცვისას ბოლოს ეტყვის:

„წადი, ბაბუას ჭირიმე,
გწყალობდეს ანგელოზიო,
შენთვის ყველანი ვილოცავთ,
ბერი და დეკანოზიო".[2]

გამოთქმაში „გწყალობდეთ ანგელოზი" იგულისხმება სწორედ მფარველი ანგელოზი. დროთა მანძილზე „ანგელოზმა" სასულიერო შინაარსისაგან განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. კერძოდ, იგი იქცა სიწმინდის, სილამაზის, მშვენიერების, მზეთუნახაობის სიმბოლო-მეტაფორად. ივანე გეგიას ეს ცნება ამავე მნიშვნელობითაც გამოუყენებია. ლექსში „ახალ-მოდის ქალი" პანსიონში გაზრდილი ქალი ამბობს:

„საქმრო უნდა მომიხდეს ყოვლისფერით შემკული,
ფულით, ვერცხლით მდიდარი, ვით ანგელოზის მსგავსი".[3]

„ღმერთის", „ანგელოზის" საპირისპირო ცნებებია: „ეშმაკი", „სატანა", „დემონი", „ბოროტი სული". წარმოშობით ეშმაკიც ანგელოზი იყო, უფლის მიერ შექმნილი არსება. არ დასჯერდა ანგელოზობას, ღმერთობა მოინდომა, ღმერთის წინააღმდეგ

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 208.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 77.
[3] იქვე, გვ. 56.

აჯანყდა. სატანა ამპარტავნობისთვის მხარდამჭერ და მაცდუნებელ ანგელოზებთან ერთად გადმოგდებულ იქნა ზეციდან.[1]

ივანე გეგიას პოეზიაში „ბოროტ სულს" და „ეშმაკს" ვხვდებით მხოლოდ ერთადერთ ლექსში „გაყრა", რომელიც სამიჯნურო განცდების მომცველია. ლირიკული გმირი ეთხოვება სატრფოს, ვერ ეგუება ცალმხრივ სიყვარულს, ვინაიდან მის სპეტაკ სასიყვარულო გრძნობებს არ თანაუგრძნობს. ამან იმდენად განარისხა, რომ „ბოროტ სულად" მონათლა მიჯნური. მოუწოდებს მას ეშმაკების გვერდით ლხინის გაზიარებისკენ:

„წადი, გამშორდი, სულო ბოროტო,
აწ ეშმაკებთან იყავ მომლხენი,
მყავდე, არ მყავდე, მაინც მიდიან
ჩემი სავალი ცხოვრების დღენი".[2]

მკითხველს, ალბათ, უნებლიედ მოაგონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გულმდუღარე სიტყვები: „განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო სულო ბოროტო". განსხვავება იმაშია, რომ „მერანის" ავტორი ბიბლიურ ბოროტ სულს შეუძახებს გაცლისაკენ, ხოლო „გაყრის" ლირიკული გმირი თავის მიჯნურს აიგივებს ბოროტ სულთან, უსაშველოდ მისგან განაწყენების გამო.

ივანე გეგიას ლექსებში აქა-იქ „ცოდვაც" იჩენს თავს. საუბარია არა მემკვიდრეობით ბიბლიურ ცოდვაზე, არამედ პირადულ ცოდვაზე. ძველი თავადი (ლექსში „ძველი თავადი") იგონებს წარსულ დღეებს: „მოწამლულ წუთისოფელში" ვინც ჩემსას არ მოისმენდაო, „აღვუგზნებდი ცოდვის ლუდსა". წარსულს ჩაბარებია ის დრო, „დიდ კაცს" რომ ეძახდნენ, ამით განცდილმა სიმწარემ გულში დამალული ცოდვები სამზეოზე გამოატანინა:

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 151, 242.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 42.

„ყველას ჩემი ეშინოდა, მიძახოდნენ – დიდსა კაცსა,
მოსაკითხად მიგზავნიდნენ ხშირად გასუქებულ ვაცსა.
აწი შემიპყრა სიკვდილმა და ჩამიზიდა სამარემ,
გულში მალული ცოდვები მათქმევინა დღეს სიმწარემ".[1]

„ობოლში" ლირიკული პერსონაჟი მდიდრის მიერ დაგროვილ განძსა და ქონებას ცოდვით შეკრებილ გესლს უწოდებს:

„დამიჯერე, შენი განძი ფინთად ყარს,
გესლი არის ცოდვით შენაგროვები".[2]

ერთგან ბიბლიური ადამიც გამოაჩენს თავს: „მოიგონე, მეც ადამის შვილი ვარ" („ობოლი"). რელიგიური იერი დაჰკრავს ლექსს „სულით ტანჯული", რომლის დასაწყისია: „სულით დატანჯული განდეგილი დავდივარ მარტო". ცნება „განდეგილი" ქართულ სიტყვახმარებაში პირველად ილია ჭავჭავაძემ შემოიტანა, რაც გააზრებულია, როგორც „მეუდაბნოე", „მწირი". განდეგილად იწოდება ის ადამიანი, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებას, საწუთროს განერიდა, უდაბნოში განმარტოვდა მარხვისა და მუდმივი ლოცვის ღვაწლისათვის. ივანე გეგიას მიერ ხმარებული ცნება „განდეგილი" გაიგივებულია სიტყვასთან „მარტოხელა", „მარტოკა":

„სულით დატანჯული განდეგილი დავდივარ მარტო,
რომ მოდუნებულ მაჯისცემას სიმხნე შევმატო".[3]

ლექსის სულით დატანჯული პირი მუდმივ ძიებაშია, რათა ოდესმე მაინც ელირსოს მშვიდობას, პოვოს კაცთა შორის სათნოება და თავისუფლება:

„ღონით მიმშრალმა სანუგეშოდ ცრემლი ვიდინო,
წარსული დრონი აწმყოს იღბლად წარმოვიდგინო,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 51.
[2] იქვე, გვ. 59.
[3] იქვე, გვ. 72.

მუდამ ვეძიო და ოდესმე ვპოვო მშვიდობა,
ვპოვო კაცთ შორის სათნოება, თავისუფლება".[1]

ეს სტრიქონები ასოცირდება სახარებისეულ გამოთქმასთან: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". პოეტი, ადამიანის მოუსვენარი ბუნებიდან გამომდინარე, დაეჭვებულია კაცთა შორის მუდმივ სათნოებაში:

„მუდმივ კაცთ შორის სათნოება არის ზღაპარი,
რადგან კაცშია თვით ბუნება მოუსვენარი".[2]

ამ მონაკვეთში საუბარს დავასრულებთ ივანე გეგიას დამოკიდებულებაზე **ბედის** რაობისადმი, ვინაიდან ის მის მრავალ ლექსში იჩენს თავს. რა არის ბედი. არის თუ არა იგი წინასწარ არსებული, წინასწარ განსაზღვრული, რა განაგებს ბედს, საიდან მოდის იგი, მიენდოს თუ არა მას ადამიანი, რა ადგილი უჭირავს ბედს ადამიანის ცხოვრებაში? ეს კითხვები უხსოვარი დროიდან აწვალებდა ადამიანს, ბრძენს, მითუმეტეს ფილოსოფოსებს და მწერლებს.

ძველი ჩინელები ცას ბედისა და ბედისწერის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ (დაუნ ჯუან-შუ, II ს. ძვ. წ. აღრ.). ძველი ჩინური ფოლკლორული წარმოშობის "შიძინის" (ძვ. წ. აღ. VI-V სს. შეკრებილი) მიხედვით, ცა განაგებს ხალხის ბედ-იღბალს, ბედი ცის წყალობაზეა დამოკიდებული. "შიძინის" თანახმად, ბედი და ბედისწერა (ფატუმი) არსებობს, წინასწარ განსაზღვრული ბედი გარდაუვალია. საინტერესოა, რომ "შიძინამდე" ძველი შუამდინარული პოეზია აქცენტს აკეთებს ბედსა და ბედისწერაზე, მის წინასწარ განსაზღვრულობაზე. ბედის გამრიგეზე, ადამიანის უბედობაზე, ბედის ანაბარა დარჩენაზე: „მართალს სიყვარუ-

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 72.
[2] იქვე.

ლით მოჰხედავს, კეთილ ბედისწერას დაუსაზღვრავს („ინანას ლიტურგია" – ძვ. წ. 2000 წლის წინანდელი ძეგლი); „მოწყალე ქალღმერთმა მისი უბნისამ ბედი განუსაზღვრა სიჩოებითვე" („ქება დედისა" (ძვ. წ. XVII ს. ნაწარმოები). „კაცი ენლილისგან (ღმერთი) ბედგარდაწყვეტილი ვარ".[1] ლექსი „ადაპა" ასე იწყება:

„ბედის გამრიგემ და სიბრძნის უფალმა,
ვისი ბრძანებაც ანუს ბრძანებაა.
საჭვრეტად ქვეყნის ბედისწერათა
ვრცელი გონებით სრულჰყო ადაპა".[2]

კონფუციზმში მთელი ყურადღება ადამიანს ეთმობა, რომლის ცხოვრება ბედზე დამოკიდებულად ცხადდება, სიმდიდრე, აღიარება და პატივისცემა ბედითაა განსაზღვრული".[3] სიუნ-ძი (III ს. ძვ. წ.) უარყოფდა ბედისწერას, როგორც ზეციური ძალით განსაზღვრულ აუცილებლობას. იგი ბედს თვითონ ადამიანით განსაზღვრავდა. ამ მხრივ, მერი ჭელიძე ჩვენს ყურადღებას მიაქცევს მოიზმის მსოფლაღქმას: "მოიზმი (V-IV სს. ძვ. წ.) უარყოფდა წინასწარ არსებულ ბედს. მოისტების კონცეფციით, ადამიანებს ახასიათებთ „საყოველთაო სიყვარული," ურთიერთდახმარება და ადამიანის ბედიც ამაზეა დამოკიდებული. მოისტების მიხედვით, არა აქვს აზრი ბედისადმი მორჩილებას. თუ უარვყოფთ ბედს, მაშინ უბედურებაც აღარ იქნება".[4]

თუ პარალელს გავავლებთ ძველ ქართულ პოეზიასთან, დავინახავთ, რომ რუსთაველი კონფუცივით აღიარებს ბედისა და ბედისწერის არსებობა-წინასწარგანსაზღვრულობას, ხოლო დავით გურამიშვილის პოეზიაში მოისტურ შეხედულებათა

[1] თამუზის სიზმარი (ძველი შუამდინარული პოეზია), შუმერულიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, თბ., 1969, გვ. 29, 61.

[2] თამუზის სიზმარი (ძველი შუამდინარული პოეზია), შუმერულიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, თბ., 1969, გვ. 103.

3 მ. ჭელიძე, მითოსიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ, თბ., 1977, გვ. 152.

[4] იქვე, გვ. 155.

აჩრდილი დადის. ჩვენი დიდი პოეტი ირონიულად იაზრებს ბედს, კატეგორიულად უარყოფს ბედის რაობას და მისადმი ბრმად მიდევნებას:

„ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნაობ-ბინდობა,
ავდარობა და დარობა, ცის მოღრუბლვა და წმინდობა.
ხან მოსწვავს ნამთა სიმცირე, ხან ალტობს ღვართა დიდობა.
დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს მინდობა".[1]

ბედის არსებობის, მისი წინასწარგანზრახულობის, მისი რაობის გადაძახილი ისმის XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მხოლოდ ალ. ჭავჭავაძით შემოვიფარგლებით: „ვჰმუნავთ ბედ-მწირნი, გვხვევიან ჭირნი ფოთოლთ უხშირნი"; „ვზი და ვსტირ ჩემსა ბედსა ცრემლით თვალ-ვსილი".

ბედის რაობას თავი უჩენია ივანე გეგიას ლირიკულ ნაწარმოებებში. ნიკო გლეხის შვილს დაბედებია მძიმე ფიზიკური შრომა, დღედაღამ მიწასთან ჰიდილი სამუშაო იარაღებით:

„თოხი ვიცი გლეხური, შავი მიწის მტერი ვარი,
მიწას ძირში ამოვთხრი, მას ჩავკითხავ ჩემს ბედსა".[2]

ლექსში „მუშაობა" პოეტი მოუწოდებს მშრომელებს გაზაფხულის დადგომისას გაისარჯონ, ოფლი დაღვარონ, რათა შემოდგომას მოსავლით სავსე ბეღლებით შეხვდნენ:

„ძმებო, ძალზე გავისარჯოთ, ავავსოთ ძველი ბეღლები,
ჩარჩებს ბედი გაეხსნებათ, მაგრამ დავსთხაროთ თვალები".[3]

როგორც ივანე გეგიას ბიოგრაფიის გაცნობისას ვნახეთ, პოეტს არ სწამდა ჩარჩ-ვაჭრები (მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ვაჭარი იყო). ავტორი „ჩარჩების ბედის გახსნაში" მათ ვაჭრულ გააქტიურებას გულისხმობს დიდი მოსავლის მოსვლისას. „დავსთხაროთ თვალები" პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება.

[1] დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980, გვ. 97.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 36.
[3] იქვე, გვ. 39.

მასში იგულისხმება: მშრომელთა მიერ მოწეული მოსავლის ხვავითა და ბარაქით ჩარჩებს შურისგან თვალები დაუდგებათო.

„ობოლი ასე იწყება":

„ობოლი ვარ, ბედის მოძულებული,
დავეთრევი ქვეყნად ახირებული".[1]

ლექსის ლირიკულ გმირს სწამს ბედის არსებობის და წუხს, რომ ის არ სწყალობს, მისგან მოძულებული დაიარება. ასევე ლექსში „გაუმაძღარ სვავს" საუბარია ობლის უბედობაზე. ობოლს თურმე სჯეროდა ბედისა, მაგრამ არ გაუმართლა, ბედმა უმტყუნა: „ობოლსა ბედმა უმტყუნა". ბედის ღალატი ადამიანში მწუხარებას ბადებს, გლოვას და ცრემლებს შობს: „მგლოვიარე ხარ ბედითა"; „დავღონებულვარ ბედშავი – თავის არ ძალმიძს ტარება"; „დაღონდა, ბედსა ემდურის" (აქ მურიაზეა ლაპარაკი, მაგრამ, ცხადია, მასში ალეგორიულად ბედით უმადური ადამიანი იგულისხმება).

პოეტი ნატრობს ბედით უმადური ადამიანის საამურად ამღერებას, ანუ დაუბრუნოს მას ბედის რწმენა:

„მდიდარს, ღარიბს ერთნაირად
გული ძმურად ავუძგერო,
თავის ბედის უმადური
საამურად ავამღერო".[2]

როდესაც მიზანი მიღწეულია, ადამიანი კმაყოფილია და ამას ბედს ემადლიერება:

„მაშინ გული ამეშვება
და დაიწყებს თვით სიმღერას,
თავის ბედით კმაყოფილი
სასიცოცხლოდ იწყებს ძგერას".[3]

ძველ თავადსაც სწამდა, რომ მისი პრივილეგიები და ფუ-

[1] ი. გუგია, გაზაფხულის მოლოდინში, 58.
[2] იქვე, გვ. 70.
[3] იქვე, გვ. 60.

ფუნებითი ყოფა ბედის მონიჭებული იყო: „მაშინ ვიყავ კმაყოფილი და ბედითა მოხარული". პოეტი ნატრობს წუხილის გაქრობას, სევდისაგან თავდახსნას, უნდა, რომ მის სიყმაწვილეს ბედმა გაუღიმოს, ანუ ბედმა მოანიჭოს ნანატრის აღსრულება: „გაქრეს წუხილი, მომშორდეს სევდა, დაღიმოს ბედმა ჩემს სიყმაწვილეს". თავის ხვედრს მედგრად მოუწოდებს:

„დაჰკარი, ხვედრო, ჩემს ფიქრს ლახვარი
და გამაღვიძე ოხვრით მძინარი,
რომ ჩემს ნორჩობას, ეჰვით შემოსილს,
შეაშრეს ადრე ცრემლი მდინარი".[1]

ასეთია ბედის გააზრების საკითხი ივანე გეგიას პოეზიაში. ჩვენ შევეცადეთ, ყველა სტრიქონი ამოგვეწერა, სადაც ბედის რაობა ფიგურირებს. ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში იგრძნობა ბედით უკმაყოფილება, მის მიმართ უმადურობა. თუმცა მათში არ ჩაკარგულა ბედის რწმენა.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 63.

„მსხვერპლი ოჯახით სამშობლოსი და დედაენის“

ზემოთ შეგნებულად ცალკე დაწვრილებით გავაანალიზეთ ივანე გეგიას ლექსი „ჩემი ლოცვა“, რომელსაც ასულდგმულებს ავტორის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია. გარდა ამისა, პოეტის ცალკეულ პოეტურ ქმნილებებში განფენილია ეროვნულ-პატრიოტული განწყობანი, სამშობლოს მწარე ხვედრზე ჩივილი, მისთვის ფიზიკური სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვის იდეა, მტრის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის წყურვილი, ქვეყნის სამსახურში კეთილი აზრის ჩაყენების მოტივი, სამშობლოს ხსნის და გახარების იდეა, ქართული ენის გადარჩენის, ქართველი ერისთვის დიდების მოპოვების მოტივები და ა.შ.

მოცემული თვალსაზრისით, განსაკუთრებით სიმძაფრით და შინაგანი წვით გამოირჩევა გადასახლებაში მყოფი პოეტის მიერ დაწერილი ლექსები: „გამოსალმება“, „ნახულის მოგონება“. პირველი ლექსის ბოლოს მიწერილია: „ქ. ახალი რუსეთი, 1904 წლის 1 აგვისტო, ხოლო მეორისა: “ქ. ოდესა, 1904 წლის 1 ნოემბერი”. როგორც ივანე გეგიას ბიოგრაფიაზე მსჯელობისას ვნახეთ, „ქართულ პარტიაში“ აქტიური საქმიანობის გამო იგი თანამებრძოლებთან ერთად (თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა დავითაია, სპირიდონ ნორაკიძე) უვადოდ იქნა გადასახლებული სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ოდესაში 1904 წელს.

რადგანაც უვადოდ გადაასახლეს, ივანე გეგია დარწმუნებული იყო, რომ სამშობლოს ვერასოდეს დაუბრუნდებოდა, ამიტომაც „გამოსალმების“ მიხედვით საბოლოოდ ეთხოვება საქართველოს, მშობლიურ მამულს. ამაზე მიგვანიშნებს ლექსის დასაწყისიც: „მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ“. ხაზგასასმელია სიტყვა „მშვიდობით“, რაც საბოლოო გამოთხოვებაზე მიგვითითებს.

პოეტმა სამშობლოს მიმართა სიტყვით – „მშვიდობით" და არა სიტყვით – „ნახვამდის". „ნახვამდის" ხომ იმას გულისხმობს: იმედი ძალაში რჩება მამულთან კვლავ შეხვედრისა.

თავისი ქვეყანა მგოსანს კეკლუც, ტურფა მხარედ ესახება, რომელთან დამშვიდობება მისთვის სიამოვნების ჩამშხამველია, მომსპობია. თუმცა ეს არაფრად მიაჩნია, თუ სამშობლო წინ წაიწევს, აღორძინდება და ამით დატკბება, გაიხარებს:

„მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ,
კეკლუცო, ტურფა მხარეო,
მე ხომ სიამე მომესპო,
შენ დასტკბი, გაიხარეო".[1]

ეს სტროფი ერთმნიშვნელოვნად ჩაგვრთავს დევნილი შემოქმედის პატრიოტულ განწყობაში: პირად ინტერესებზე, სიამოვნებაზე მაღლა სამშობლოს ინტერესების, სიტკბოების და გახარების დაყენება. გადასახლებაში ყოფნა მამულისთვის გაღებულ „მცირე მსხვერპლად" ესახება, რომელიც გულწრფელად შეწყნარებას ითხოვს მშობელი ქვეყნისგან:

„გული მიკვდება შენმა მზემ,
მსხვერპლი ვარ მეტად მცირეო,
შენი სანაცვლოდ მიმიღე,
გულწრფელად შემიწყნარეო".[2]

ნოსტალგიის ალში გახვეული „გამოსალმება" სამშობლოსგან, მშობელი ხალხისგან მოითხოვს მოღალატეთა მხილებას, მათივე ჭკუიდან გადაცდომის გამოაშკარავებას. ასევე მოითხოვს უკუღმართთა და ორპირთა მოსპობას, განადგურებას. ივანე გეგიას საუკეთესოდ ესმოდა, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოს არ ყოლია იმაზე უფრო დიდი მტერი, ვიდრე შინაური

[1] **ი. გეგია**, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 73.
[2] იქვე.

მტრები იყვნენ, ე.წ. „მოყვარე მტრები". ქართული შუა საუკუნეების ფარგლებში (დავითისა და თამარის ეპოქის გამორიცხვით) საქართველო იხრჩობოდა არა იმდენად გარეშე მტრებით, არამედ შინააშლილობით, ძმათამკვლელი ომებით, გადამდგარ-გადაგვარებულ ქართველთა ქვეყნის მოღალატეობით, სამშობლოს წინააღმდეგ შეთქმულებით, „უჩემოდ ვინ იმღერეთა"-ს მომაკვდინებელი სენით. ამაზე ამომწურავ პასუხს დავით გურამიშვილის თუნდაც ეს ერთი სტროფიც გვაძლევს:

„ჯახელების აღმა ხნული, ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს,
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში ჩასცხეს.
ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს".[1]

ეს შუასაუკუნეობრივი დაავადებანი გადმოედო XIX საუკუნის ქართველობას. ცარისტული ხელისუფლების ქართველმა აგენტებმა, პირადი ცხოვრების მოწყობით ცარიზმისთვის სულმიყიდულმა ქართველებმა (აფხაზებმაც) დააქციეს „კეკლუცი და ტურფა მხარე", რაც მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან ერთად სულს უხუთავდა აფხაზეთის ქართველ ერისკაცებს, რომელთა შორის ივანე გეგიაც გახლდათ. იგივე ითქმის გიორგი შარვაშიძის დარ აფხაზებზეც.

ივანე გეგია თავის სამშობლოს ოდესიდან მოუწოდებდა:

„მოღალატენი ამხილე,
ჭკუით შეცდომა მათიო,
მოსპე და გაანადგურე
ორპირი, უკუღმართიო".[2]

ივანე გეგია ნატრობს მშობელ მხარეში მხოლოდ გმირების, სახელოვანი შვილების, მტრების წინააღმდეგ მებრძოლი

[1] დ. გურამიშვილი, თხზ. სრული კრებული, გვ. 88.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ 73.

გამოცდილი მეომრების, ერთგული შვილების აღზრდას („უმღერდე იმას ნანასო"):

„აღზრდიდე მხოლოდ გმირებსა,
სახელოვან შვილებსო,
შენზე მისეულ მტრებისთვის,
მეომართ გამოცდილებსო.
აღზრდიდე ერთგულ შვილებსა,
უმღერდე იმათ ნანასო"...[1]

უნდა გავიხსენოთ, რომ XVII-XVIII საუკუნეების ქართველმა მეფე-პოეტებმა არაერთხელ იწვნიეს ნოსტალგიის სამსალა, მტერმა არაერთხელ მოწყვიტა ისინი მშობელ მხარეს, უცხოობაში ენატრებოდათ მათ მშობლიური სანახები, მშობლიური მიწის სუნთქვა, ნიავის ალერსი. შეუძლებელია უკეთესად გამოხატოს პოეტმა ეს მწარე განცდანი, ვიდრე არჩილ ბაგრატიონმა (1647-1713) გვაზიარა ამას:

„რა კაცსა მიჰხვდეს გრძლად ყოფნა
უცხო თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სასმელად,
ნაღველად აღმოიწებსა".

„უცხო თემსა და მიწებსა" ყოფნა ტანჯავდა ვახტანგ მეექვსესაც (1675-1737). სპარსეთში ტყვედ მყოფი და ქირმანში გადასახლებული უგანათლებულესი მეფე-პოეტი ნატრობდა მშობლიურ თბილისს, მაისის ვარდნარ თბილისს, ენატრებოდა სამშობლოს „მწვანედ მღელვარე მიდამო", მისი ცვარმოსხმული ბალახები, ლილოს ტბაზე წეროობა:

„რა სჯობს მაისში ტფილისსა ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს მიდამო, ცის ცვარი ბალახს ესხასა...
ლილოს ტბაზე წეროობას ნეტავ რამცა შეედარა".

[1] **ი. გეგია**, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 73.

ასევე ენატრებოდა რუსეთში უვადოდ გადასახლებულ ივანე გეგიას მშობლიური ქვეყნის ნიავი, რომელიც მის სოცოცხლეს ძალას შემატებდა, ააღორძინებდა, ნეტარებაში ჩააგდებდა, დაატკბობდა. გამომდინარე აქედან, სამშობლოს ევედრებოდა:

„ნუ დაიზარებ ჩემთვისაც
ნიავის გამოგზავნასო,
ნეტარებაში ჩამაგდებს,
დამატკბობს, დამაძინებსო".[1]

„გამოსალმებაში" ყოველივე ამას დევნილის მოთქმას უწოდებს მგოსანი, რაც ჯავრს უმატებდა მას, – სამშობლო კი „ყვავილოვან წალკოტად" ეხატებოდა გულზე:

„ასე მოთქვამდა დევნილი,
გულს ჯავრი ემატებოდა,
ყვავილოვან წალკოტად
სამშობლო ეხატებოდა".[2]

ეს ის დევნილი მგოსანია, რომელსაც უსამშობლოდ „მზის სხივი ჩრდილი ეგონა, ჩრდილი-საფლავის წყვდიადი, სიცოცხლით მოქანცულიყო, მზე გაქრობოდა დიადი". მიუხედავად ამისა, ის გულს არ იტეხს, მომავლის ეიმედება, ამით ნუგეშობს. ის ტანჯვა-წამება, რაც მის სულს და ფიზიკურ სიცოცხლეს მიადგა, სამშობლოს წინაშე ვალის მოხდად მიაჩნია და ეს ახარებს კიდეც:

„თანაც იტყოდა: ვნუგეშობ,
ჩემია მომავალიო,
რაც მე მაწამეს, მახარებს,
რომ მოვიხადე ვალიო".[3]

„გამოსალმების" გარდა, ივანე გეგიას გადასახლებაში ყოფნისას 1904-1905 წლებში კიდევ რამდენიმე ლექსი დაუწერია,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 73.
[2] იქვე. გვ. 74.
[3] იქვე.

რომელთაგან კონკრეტული საკითხისათვის მნიშვნელოვანია „ნახულის მოგონება". დაღონებული პოეტი მოგონებებში ცხოვრობს. ბედშავს თავის ტარება უმძიმს, ეეჭვება, რომ დევნილს ბოლომდის სიცოცხლე გაუმწარდება; წარსულის მოგონებით წყლულები ემატება,

თვალები ცრემლებით ევსება; მოხეტიალე ლტოლვილი თავის დღეს დასტირის, არ იცის, სად გაეთხრება სამარე, უპატრონოდ თუ სად დაასრულებს სიცოცხლეს. დევნილ პოეტს ხსოვნაში ჩაქსოვებია სამშობლოს ველები, მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულები:

„დავღონებულვარ ბედშავი –
თავის არ ძალმიძს ტარება,
ნუთუ დევნილსა ბოლომდი
სიცოცხლე გამიმწარდება.
წარსულის მოგონებითა
შემმატებიან წყლულები,
თვალები ცრემლში სცურავენ,
მოქანცულ-მოღალულები.
ვსტირი, დავსტირი ჩემს დღესა,
ლტოლვილი დავეხეტები,
სად გამეთხრება სამარე,
სად უპატრონო მოვკვდები.
ჩამქსოვებია ხსოვნაში
კეკლუც სამშობლოს ველები,
თან, მოჩუხჩუხე მაღლიდან
ანკარა ნაკადულები".[1]

გრიგოლ ორბელიანის ნათქვამის – „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა" კვალდაკვალ ივანე გეგიაც იტყვის საანალიზო ლექსის მომდევნო სტროფით:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 75.

„რომელი კუთხე ცის ქვეშა
მას შევადარო შვენებით,
სწორედ რომ ედემი არის,
მქუხარე შადრევანებით".[1]

ქართულ პოეზიაში პირველად მშობელი მხარე სამოთხესთან გააიგივა XVII საუკუნის პოეტმა გარსევან ჩოლოყაშვილმა. „ნარგიზოვანში" ვკითხულობთ:

„ქართლია მოთხე, ვითა სამოთხე,
ავნი არ სჭირან, ვით საამოთ ხე"...

„სამოთხე" და „ედემი" სინონიმური სიტყვებია, რომელიც იყო ადგილსამყოფელი პირველი ადამიანების – ადამისა და ევასი – პირველშობილი ცოდვის ჩადენამდე. ლიტერატურული ტრადიციების გაზიარებით, ივანე გეგიას თავისი სამშობლო ბიბლიურ მიწიერ სამოთხედ თუ ედემად ესახება. „ნახულის მოგონების" მომდევნო სტროფები პოეტის მშობელი ქვეყნის ბუნების სურათების წარმომსახველია:

„მთები ცას ებჯინებიან
თავს მოდებიან ჭაღარა,
ქურციკი დახტის სალ კლდეზე,
ჯიხვი იცოხნის გამძღარი.
და დაქანცული კლდიდანა
მოქუხს ნაკადი გრიალით
და აქაფებულ ტალღებით
ხევში მიცურავს ჩქრიალით.
იქვე, მთის ძირას, ფერდობზე,
ხმა ისმის სალამურისა,
გულს ატკბობს, სულსა ახარებს
სმენა, ხმა საამურისა".[2]

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 75.
[2] იქვე, გვ. 75-76.

ასე აღუდგენია პოეტს მოგონებებში სამშობლოს ბუნების სურათები, რომელიც მკითხველზე ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს, იკვეთება პეიზაჟისტი მგოსნის სახე, ესოდენ მიმზიდველი და შთამბეჭდავი. მისი ნათელი მეხსიერების ეკრანზე კინოკადრებივით ერთმანეთს ენაცვლებიან ცას მიბჯენილი ჭაღაროსანი მთები, სალ კლდეზე ქურციკის ხტომა. ყურში საამოდ ჩაესმის აქაფებული ტალღებით კლდიდან გრიალით მომქუხარე წყლის ნაკადები. ასევე მიყურადებულია იგი მთის ძირას სალამურის ხმას. მოგონებებში სალამურის საამური ხმის მოსმენა გულის დამატკბობელია და სულის გამხარებელი.

გულწრფელად ვიტყვით, რომ ივანე გეგიას ლექსები – „გამოსალმება" და „ნახულის მოგონება" XX საუკუნის დასაწყისის ქართული მელანქოლიური პატრიოტული ლირიკის შენაძენია. მათში განსაკუთრებით გამოჩნდა სამურზაყანოელი მგოსნის შემოქმედებითი ძალისხმევა, პოეტური შესაძლებლობანი, ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა.

ერთი სიტყვით, „ჩემი ლოცვა", „გამოსალმება", „ნახულის მოგონება" ის ნაწარმოებებია, რომელიც კონკრეტულად სამშობლოს თემაზეა დაწერილი. გარდა ამისა, მთელ რიგ ლექსებში მამულის სიყვარულის გრძნობაა ჩატანებული სხვა მოტივებთან ერთად. ეს ლექსებია: „ბაღანა", „გულმოსილსა შავი ფიქრით" (უსათაურო), „ვუძღვნი კახელთ", „შემოდგომა", „შეხვედრა", უსათაურო („ჩამოცხა და პაპანებს ზაფხულშია ქვეყანა"), „ჩემი სურვილი", „ჭაბუკი", „მოზარდი", „ბაღანა" (ეს მეორე ლექსია ერთი და იგივე სათაურით), „გაზაფხულის მოლოდინში", „ბაბუა", „ადამიანს".

ივანე გეგიას ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი მკვლევარი ოთარ ჭურღულია წერს: „ივ. გეგიას ლექსების უმრავლესობა ხასიათდება ღრმა პატრიოტიზმით, თავისი ხალხისა

და ქვეყნისადმი დიდი რწმენით, ნათელი მომავლის იმედით. ეროვნულ საკითხზე დაწერილი მისი ლექსების უმრავლესობა უკავშირდება 1905 წლის რევოლუციურ თემატიკას და უშუალოდ განიცდის ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ლექსების ზეგავლენას. ასეთი ნაწარმოებებია: „გაუმაძღარ სვავს", „ნატვრა", „მურია", „გაზაფხულის მოლოდინში", „დამჭკნარ იას", "განთიადი" და სხვ".[1]

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავეცნოთ იმ ლექსებს, სადაც სხვა მოტივებთან ერთად სულდგმულობს ივანე გეგიას ეროვნულ-პატრიოტული განწყობანი. ლექსი „ბაღანა" შექმნილია 1883 წელს. იგი ფაქტიურად ეროვნული სულისკვეთებით არის გაჯერებული. ბაღანის ანუ პაწაწინა მოზარდის გულში, ცხადია, ჯერ არ იგრძნობა მამულის სიავკარგის შემეცნება. პოეტი სამომავლოდ უსურვებს მას:

„თოფი და ხმალი გიყვარდეს და მისი ტკაცა-ტკუცია,
მამულს შენ მაინც უშველე, თათრებს იგი დაუციათ.
თათრისა სისხლი სასმელად გერჩივნოს წითელ ღვინოსა.
რომ ბოლოს შენსა მამულზე თათრებმა არ ილხინოსა...
ხსენება შენი გმირობის ზღაპრად ისმოდეს ქვეყნიერ"...[2]

ორიოდე სიტყვით გავერკვეთ, ცნება „თათარს" რა კონტექსტში მიმართავს ავტორი. როგორც ისტორიულად ცნობილია, ეთნონიმი „თათარი" პირველად გაჩნდა VI-IX საუკუნეებში ბაიკალის სახრეთ-აღმოსავლეთით მომთაბარე მონღოლურ ტომებში. XIII საუკუნეში მონთოლ-თათართა შემოსევებთან ერთად სახელწოდება „თათარი" ცნობილი გახდა ევროპაში. XIII-XIV საუკუნეებში ეს სახელწოდება გავრცელდა ოქროს ურდოში შემავალ ევრაზიის ზოგიერთ ხალხზე. XVI-XIX საუკუნეებში, რუსული წყაროების მიხედვით, თათრად იწოდება მრავალი თურქულენოვანი

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 95.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 95.

და ზოგიერთი სხვა ხალხი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეებში ცხოვრობდა (აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიის, ვოლგისპირეთის და სხვა ეროვნებანი).[1]

„ბაღანაში" დაფიქსირებული „თათრის" გაიგივება ეთნიკურ თათართან დაუშვებელია, საფუძველს მოკლებულია. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების საქართველოში (და შემდგომ პერიოდში) „თათარი" ორგვარი მნიშვნელობით გაიგებოდა. კონკრეტული მნიშვნელობით იგი გულისხმობდა საკუთრივ თათარ ხალხს, ზოგადი მნიშვნელობით კი მასში მოიაზრებოდა მუსლიმანი აგრესორი, მაჰმადიანი მტერი, ან, საერთოდ, გარეშე დამპყრობელი. „თათრების" თარეში საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოსთვის დასრულდა, ხოლო XIX საუკუნეში მას ჩაენაცვლა ქრისტიანი „თათარი" რუსის სახით. ივანე გეგია „თათარში" სწორედ ცარისტულ ხელისუფლებას გულისხმობს. ამ გაგებით ავტორი „თათარს" სხვა ლექსშიც („შეხვედრა") ახსენებს: „რომ გმირი ვიყო, თათარს მტვრად ვხდიდი, მით მექნებოდა სახელი დიდი".[2]

„ბაღანასთან" დაკავშირებით ოთარ ჟორდანია მართებულად შენიშნავს: „ბაღანა" იავნანას ვარიაციებს წარმოადგენს. „მასში კარგად ჩანს ორგანული კავშირი ქართული პოეზიის ტრადიციებთან, რომელიც ერის მხსნელ გმირებს მომავალ თაობებში ეძებს მამულის „თათრებისგან" გასათავისუფლებად".[3]

1884 წელს ივანე გეგიას შეუთხზავს უსათაურო ლექსი („გულმოსილსა შავი ფიქრით"). 23 წლის პოეტი უჩივის უღვთოდ ჩაგვრას, მკლავების უღონობას, რომელსაც ხმალი ვეღარ უჭრის. მას მონობაში ყოფნას სიკვდილი და სამარე ურჩევნია. ცხადია, აქ ვგულისხმობთ ცარიზმის მონობაში გმინვას. ამავე განწყობით იყო

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბ., 1979, გვ. 572.

[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 55.

[3] ო. ჟორდანია, ივანე გეგია – პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წიგნში: ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 26.

დაზაფრული მგოსნის თანამედროვე ქართველი საზოგადოება. ივანე გეგიას მოსისხლე მტერთან ბრძოლაში თავის გაწირვა ბედნიერებად მიაჩნია, მაგრამ ახალ „თათარს" ისე დაუბეჩავებია ერი, რომ პოეტი ამის შესაძლებლობას მოკლებულია:

„უღმრთოდ ჩაგრულს, უჩინოთა,
მტერთან გული მეზიდება
თუმცა ხმალი ველარ მიჭრის,
არც მკლავი მაქვს ღონიერი,
თავს შევაკლავ ჩემს მოსისხლეს,
ხომ დავრჩები ბედნიერი".[1]

პატრიოტიზმით დატვირთული ლექსია „ვუძღვნი კახელთ", რაც 1885 წელს დაწერილა. ივანე გეგია კახელებს მოუწოდებს სუფრის ირგვლივ შემოკრებისკენ, ღვინის სმით მოლხენისკენ, მაღალი ხმით „ჰარალი, ჰარი, ალალის" დაქუხებისკენ. სუფრა უნდა დაამშვენოს, გაამხიარულოს ზურნამ, ტაშმა, ღვინის ყანწით დალევამ და ა.შ. რაც უკვე ითქვა ლექსის გარშემო, ეს ყველაფერი მგოსანს სჭირდება ფონის შესაქმნელად ეროვნული განცდების აღსაზევებლად. სუფრის გარშემო მომლხენთა დარაზმვაში ალეგორიულად უნდა დავინახოთ ძალთა მობილიზება ეროვნული იდეალების გარშემო გასაერთიანებლად. ჰაერივით საჭიროა გმირი წინაპრების დარად ფოლადური სიმტკიცით ერთი მიზნისთვის თავგანწირვა, მტრის დასამარცხებლად სისხლის დაქცევა და ამით ვაჟკაცობის სახელის მოხვეჭა:

„ძველებურად გავფოლადდეთ,
მოღალატეს დავცეთ ზარი;
ვაქციოთ სისხლი, ვაქციოთ,
დავაყენოთ დღე საზარი...
სახელი ვაჟკაცობისა
სისხლის დაღვრით შევიძინოთ!"[2]

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ 41.
[2] იქვე, გვ. 45.

ივანე გეგიას ლექსზე („ვუბღვნი კახელთ") მსჯელობისას შეუბლებელია გვერდი ავუაროთ მის შეხმიანებას ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართვასთან კახელებისადმი, რითაც იხსნება პოემა „ბედი ქართლისა":

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად.
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად".

სოციალურ მოტივზე დაწერილ ლექსშიც („ჩამოცხა და პაპანებს ზაფხულში ქვეყანა" – 1887) პოეტს არ ავიწყდება სამშობლოსთვის ერთგულება: „გამარჯვება, მშრომელო, ერთგული ხარ ქვეყნისთვის".[1] ოთარ ჭურლულიას მიაჩნია, რომ ივანე გეგიას, როგორც პოეტის, კრედო გამოხატულია პატარა ლექსში „ჩემი სურვილი".[2] ლექსი დაწერილია 1888 წელს. პოეტის სურვილია ცბიერების დათრგუნვა, ჭეშმარიტი აზრისთვის, სინდისისთვის დამონება, ნამუსის ქუდის ტარება, კეთილი აზრებით ქვეყნის სამსახურში ყოფნა:

„ნებას არ მივცემ ჩემს გულის სურვილს,
რომ ცბიერებას ის ემსახუროს;
ჭეშმარიტ აზრსა, შურით დევნილსა,
კარი დაუგდოს, ბნელში დახუროს.
მწამს, ვემონები, ვისაც სინდისი
ნამუსის ქუდად დაუხურია;
ქვეყნიერების წინ წასაწევად
ვის აზრს კეთილად უმსახურია".[3]

დიდაქტიკურ ლექსში („ჭაბუკი" – 1888 წ.) ავტორი ჭაბუკის დამოძღვრისას აგვირგვინებს სამშობლოს ხსნისკენ მოწოდებით:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 62.
[2] ო. ჭურლულია, ნარკვევები, გვ. 94.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 64.

„მაშ, ძმობილო, ყური უგდე
ჩემგან თქმულსა აღსარებას,
იცი, სამშობლოც მოელის
შენგან შველას, გახარებას".[1]

თუ „ჯაბუკში" მგოსანი კონკრეტულად ერთ პიროვნებას მოძღვრავდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა, მეორე ლექსში „მოზარდთ" (დაწერილია 1888 წელს) ზოგადად ახალგაზრდობას შთააგონებდა: ისინი ქვეყნის მომავლის მშობელნი არიან, რომელთაც წინ უნდა წარიმძღვარონ თავიანთ საქმიანობაში მართალი და წმინდა აზრი, თავი გამოიჩინონ შრომისმოყვარეობით, იზრუნონ დროულად ცოდნის დასაგროვებლად, ღირსეული პატივი მიაგონ სამშობლო ენას, დიდებით აღადგინონ ქართველი ერი, თავიანთი ნიჭიერება ჩააყენონ მამულის სამსახურში, თამამად და წელგამართულად იარონ მიწის ზურგზე, ოხვრა-მოწყენა გაატანონ ქარს. მართებთ ქვეყნის გაუსაძლის მდგომარეობაში მედგრად გამოღვიძება, სამშობლოსა და დედაენის დასაცავად სამსხვერპლოზე მიიტანონ თავიანთი სიცოცხლე:

„ახალგაზრდობავ, მომავლისა თქვენ ხართ მშობელი,
წინ გაიყოლეთ აზრი წმინდა, მართლის მფარველი,
იშრომეთ, ძენო, მოეხმარეთ სწავლის შეძენას,
პატივი ეცით, ნუ ივიწყებთ სამშობლო ენას.
კვალად დიდებით აღადგინეთ ქართველი ერი,
გაიმართენით, გათამამდით, ხართ ნიჭიერი,
გამოიღვიძეთ, დრო აღარ გვაქვს ოხვრა-მოწყენის,
მსხვერპლი იყავით სამშობლოსი და დედაენის".[2]

იგრძნობა, რომ სამურზაყანოელი მგოსანი ახალი თაობის რჩევა-დარიგებაში თავის პატრიოტულ სულს ატანს თან იმ იმედით, რომ ახალგაზრდობამ უნდა შეძლოს ქვეყნის წინაშე

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 65.
[2] იქვე, გვ. 67.

ძველი თაობის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება. მათ უნდა იმოქმედონ წმინდა აზრითა და გონებით ცოდნა-განათლების შემწეობით. ვლადიმერ ალფენიძის თანახმად, ლექსში „მოზარდთ" ისმის ლაიბნიცის ფილოსოფიური მრწამსის („აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა") გამოძახილი. ალბათ, ილიას ცნობილი ნაწარმოების გავლენით, რომელსაც გერმანელი ფილოსოფოსის ეს სტრიქონები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული.[1] ლექსს წითელ გვირისტად გასდევს შთაგონება და მოწოდება განსწავლისკენ და გამოღვიძებისკენ. უნებლიედ გვახსენდება დავით გურამიშვილის შეგონება:

„აქ ნავთთ მდინარე ცეცხლ მონაკადი,
ზედ გასავლელი წვრილ საბლის ხიდი,
განისწავლენით, ჯამბაზთებრ წარეთ,
რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვნეთ მწარედ".[2]

ივანე გეგიას ორი ლექსი გააჩნია ერთნაირი სათაურით „ბაღანა". პირველი, რასაც უკვე გავეცანით, დაწერილია 1883 წელს (ანუ პოეტური მოღვაწეობის დასაწყისში), მეორე კი – 1889 წელს. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ მეორე „ბაღანაც" ეროვნულ მოტივზეა დაფუძნებული. პირველის დარად ამ ლექსშიც პოეტი ბავშვის დედის ენით გადმოსცემს სათქმელს, სამშობლოს სიყვარულით გაჯერებულს: პაწია როცა დავაჟკაცდება, სამშობლოს უნდა დაუმტკიცოს ერთგულება, მუდამ ახსოვდეს გმირული წარსული, რათა იცოდეს ქვეყნის მომავლის ფასი, რომლის გამომჭედელი თვითონ უნდა გახდეს. არ შეუშინდეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, მამულისთვის სისხლის დაღვრას:

„სამშობლოს ერთგული იყავ, ჩემო ქვეყნის მნათო...
გახსოვდეს ჩვენი წარსული, მიხვდი მომავალსო...
მტრის რაზმში ჩაერეოდე, სისხლ სველად დაღვრიდე".[3]

[1] ვლ. ალფენიძე, ფიქრიანი გზები, გვ. 411.
[2] დ. გურამიშვილი, თხზ. სრული კრებული, გვ. 311.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 69.

ოთარ ჯორდანია წერს: „ივანე გეგიას შემოქმედებაში ნათლად ჩანს დამოკიდებულება საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე რევოლუციური პროცესებისადმი. ჯერ კიდევ 1902 წელს, როდესაც ჟანდარმერია ივანე გეგიას ანტისამთავრობო საქმიანობას გულმოდგინედ იკვლევდა, პოეტი რევოლუციური ქარიშხალისა და დიდი გარდაქმნების მიახლოებას გრძნობდა. მას სწამდა ქვეყნის მომავლის, მისთვის გაზაფხული ძველის განადგურებისა და ახლის აღმოცენების მთავარი ფაქტორი იყო".[1] ამის დასტურად მკვლევარი სამართლიანად იმოწმებს ერთსტროფიან მშვენიერ ლექსს „გაზაფხულის მოლოდინში", რომელიც 1902 წელსაა შეთხზული:

„საცაა გაზაფხულდება,
თოვლიც დაიწყებს დნობასა,
ქვეყანა, ყინვით დაზრული,
იცოცხლებს, მოვა გრძნობასა".[2]

უსათუოდ ალეგორიული ლექსია. ყინვით დაზრულ ქვეყანაში რუსეთის მიერ დამონებულ-დაბეჩავებული საქართველო იგულისხმება, თოვლის დაწყებულ დნობაში კი მოიაზრება რევოლუციის ქარიშხლის მოახლოებით რუსეთის რღვევა, რითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი ტყვეობიდან სამშობლოს თავის დაღწევა, ანუ გაზაფხულის (თავისუფლების) მოსვლით გამოცოცხლება, ქვეყნის მოსვლა გონსა და გრძნობას. გასათვალისწინებელია ოთარ ჭურლულიას თვალსაზრისიც, რომ „გაზაფხულში" ალეგორიულად რევოლუცია იგულისხმება.[3]

გადასახლებაში ყოფნისას 1904 წელს ივანე გეგიას შეუქმნია ნ-სტროფიანი ლექსი „ბაბუა". ომში მიმავალ შვილიშვილს ბაბუა ამხნევებს. სალ კლდესავით სიმტკიცეს უსურვებს; მთავარია

[1] ო. ჯორდანიას დასახ. წერილი, გვ. 29.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 71.
[3] ო. ჭურლულია, ნარკვევები, გვ. 96.

ილოცოს, ღმერთი ადიდოს, ფლიდსა და ოხერს გულში ჩაარჭოს ხანჯალი. იგი თუ მტლად არ დაედება სამშობლოს, უმჯობესია სამარეში დაწვეს. არას დიდებით უკან არ უნდა დაიხიოს, რადგან მომავალი მას ეკუთვნის:

„წარსულთა დროთა ცხოვრება
ნიმუშად გაიხადეო,
მოკლე ჩაქური ჩაიცვი,
მაზარა გაიხადეო.
ილოცე, ღმერთი ადიდე,
გამხნევდი, გაიხარეო,
ან მტლად დაედე სამშობლოს,
ან მიწა გაითხარეო.
რისი უფროსი, უმცროსი,
რისი პატარა, დიდიო,
გულში ჩაარჭვე ხანჯალი,
მოსპე ოხერი, ფლიდიო".[1]

ლექსში „ადამიანს" პოეტი მოუწოდებს ქართველ კაცს, გამარჯვების დროშა გაშალოს, ბრძოლისუნარიანობა არ დაკარგოს, მუდამ უნდა ახსოვდეს ქვეყნის ხსნის აუცილებლობა: "გაშალე დროშა გამარჯვების, ააფრიალე, შემდგარი ძალა, ვით მანქანა, დაატრიალე... გახსოვდეს, შენ ხარ მხსნელი ქვეყნის, მებრძოლი ძალა... მხსნელის სახელი სიამაყით ქვეყნად ატარე".[2]

საკითხზე საუბარს დავასრულებთ სამსტროფიანი ლექსით „გაუმაძღარ სვავს". როგორც მართებულად შენიშნავდა ოთარ ჭურლულია, სვავის სახით (ისე როგორც ვაჟა-ფშაველას „არწივში" ყვავ-ყორნების სახით) წარმოდგენილია ბნელი ძალები, რომელთაც სურთ ობლის საბოლოო დაჩაგვრა. ეს ლექსი ალეგორიულად

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 77.
[2] იქვე. გვ. 82.

გამოხატავს დაჩაგრული ქვეყნის სვე-ბედს".[1] ლექსი დაწერილია 1908 წელს, მაშინ, როდესაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის შავი აჩრდილი დაქროდა ქალაქად და სოფლად, როდესაც ბნელეთის მოციქულები აღვირახსნილი დადიოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ დემოკრატიულ ძალებს.[2]

„გაუმაძღარი სვავის" ლირიკული გმირია ობოლი, რომელშიც ალეგორიულად მოიაზრება დავრდომილი საქართველო. გაუმაძღარი სვავი კი ცარისტული მომაკვდინებელი რეჟიმია, რომელმაც ჩვენი სამშობლო კლდეზე გადაჩეხა. ბედმა უმტყუნა ობოლს:

„სვავო ტიელო, მომწახე
გადაჩეხილი კლდეზედა,
ობოლსა ბედმა მიმტყუნა,
ლხინი გამართე ჩემზედა".[3]

მთელი XIX საუკუნის მანძილზე ცარისტულმა ხელისუფლებამ ფიზიკურად დააბეჩავა საქართველოს სხეული, ქართველობა მორალურად და ზნეობრივად ძირს დასცა, გამოფიტა ერი, ქვეყნის ორგანიზმი ლეშად აქცია. 1905 წლის რევოლუციის მოახლოებამ იმედის ცისარტყელა გამოსახა საქართველოს ცაზე, წყალწაღებულებმა ხავსს მოვუპოტინეთ ხელი, თითქოს წყვდიადში რწმენის ნათელი გაკრთა, მაგრამ ამაოდ. რევოლუცია დამარცხდა, ჩვენი იმედიც გარდაიცვალა. ლეშად ქცეული სამშობლოს სხეული აყროლებას შეუდგა. ლექსის მიხედვით, სვავი გაძღა ლეშით, გასუქდა, მომძე ყვავებს ეპატიჟება დასანაყრებლად:

„ჩემი ლეშითა მაძღარი,
ნასუქი, განაჟიჟები,
„მოდითო", ყვავებს ეძახი,
იმათაც ეპატიჟები.

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 95.
[2] იქვე.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 83.

ვიცი, რომ ყვავ-ყორნები
შენი ერთგული ძმებია
და ჩემი კვნესა-ტირილი
შენთვის სუფრულის ხმებია".[1]

ივანე გეგიამ მტრის ჯავრი და ბოღმა ვერ დაიტია გულში, სათქმელის პირდაპირი წესით გადმოცემასაც მოერიდა ფიზიკური გადარჩენის მიზნით, ამიტომ მოუხმო ალეგორიულ ხერხს. ამით აიცდინა ბნელეთის მოციქულთა მახვილი. უთქმელობას ალეგორიული ენით ლაპარაკი არჩია.

ამრიგად, ივანე გეგიას პოეზიის წამყვანი თემა პატრიოტიზმია. მასში სამშობლო მიწის სიყვარული გამძაფრებულია ცარიზმის რეჟიმის სიძულვილით. ავტორის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია გამოვლენილია როგორც სპეციალურად ეროვნულ მოტივზე შეთხზულ ლექსებში, ისე სხვადასხვა თემაზე შექმნილ ცალკეულ ნაწარმოებებში, სადაც პატრიოტულ განწყობას გვერდს ვერ უვლის. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ გადასახლებაში (ოდესაში) ყოფნისას დაწერილი თხზულებანი. შექმნილი მწვავე სიტუაციიდან გამომდინარე, პოეტს ზოგჯერ უხდება სათქმელის ალეგორიულ სამოსელში გახვევა.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 83.

„კავკასიის ქება“

ივანე გეგიას პოეტური შემოქმედების ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიდან უპირველესად მოჩანს „კავკასის ქება“ (თავდაპირველ ვარიანტში მას რქმევია „ქება კავკავის“), რომელიც დაწერილია 1880 წელს. დამწყები პოეტი თურმე ლექსებს წერდა ჯერ კიდევ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი კვალი არსად ჩანს. ასე რომ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით სწორედ პირველ ლექსად უნდა ვაღიაროთ „კავკასის ქება“. მიგვაჩნია, იგი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია მგოსნის პოეტურ ქმნილებებს შორის. მასში გამჭვირვალედ ჩანს პეიზაჟისტი პოეტის ძალისხმევა, პოეტური ალღო და ხედვა, ბუნების მომხიბვლელობის შეგრძნების უნარი, მხატვრული აზროვნების პარამეტრიც.

საერთოდ, კავკასიის მთებით დაინტერესება უძველესი დროიდან იჩენს თავს. საკმარისია გავიხსენოთ ესქილეს (525-456) „მიჯაჭვული პრომეთე“. ტრაგედიის მოქმედება წარმოებს სკვითიასთან ერთად კავკასიის მთაზე, სადაც მიჯაჭვულ იქნა პრომეთე. ამ ტრაგედიაში მოიხსენიებიან კოლხეთის მკვიდრნიც:

„კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი,
ომში მამაცნი და უშიშარნი...
მზე და მშვენება არიას ქვეყნის –
მკვიდრნი, მცხოვრებნი **კავკასინთან**“.

ზევსის ცოლი ჰერა უწინასწარმეტყველებს იოს, თუ რითი დამთავრდება მისი ტანჯვით სავსე ხეტიალი: აქედან ჯერ მომთაბარე სკვითების ქვეყანას გაივლი, შემდეგ კირითხურო ხალიბები ცხოვრობენ, მრისხანე მდინარეს რომ აჰყვები, **კავკასინის** მაღალ მთას დაინახავ...[1]

[1] ს. **ყაუხჩიშვილი**, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1971, გვ. 172.

ამ უდიდეს მთაგრეხილს ვახუშტი ბაგრატიონი „კავკასს", „კავკასიას" უწოდებდა. XX საუკუნიდან დამკვიდრდა ცნება „კავკასიონი". კავკასიის ყელის ირიბად გადამღობი თითქმის სწორხაზოვანი მთაგრეხილი (მთათა სისტემა), რომელიც თავისი ბოლოებით – ტამანისა და აფშერონის ნახევარკუნძულებით შეჭრილია, ერთი მხრივ, აზოვისა და შავ ზღვას შორის, მეორე მხრივ, კასპიის ზღვას შუა და სამხრეთ ნაწილებს შორის, შედის საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაში.[1]

კავკასიონი, კავკასია, იალბუზი, მყინვარწვერი, მუდამ წარმოადგენდა ქართველი და უცხოელი პოეტების ქება-დიდების საგანს. საკმარისია დავასახელოთ დიდი რუსი პოეტების – პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა მხატვრული ქმნილებანი, ტარას შევჩენკოს პოემა „კავკასი", ალექსანდრე ჭავჭავაძის „კავკასია", გრიგოლ ორბელიანის „საღამო გამოსალმებისა", სოლომონ რაზმაძის, მიხეილ თუმანიშვილის მიერ კავკასიაზე დაწერილი ლექსები, დიდი ილიას „აჩრდილი", „განდეგილი", „მგზავრის წერილები". მწერლების დასახელება შორს წაგვიყვანს.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „და არს ხეობა ესე მოზღუდვილი კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულით შეერცხლილი, და განჰყოფს მთა ესე თაგაურს, ჩიმსა და ხევსა. აღმოსავლეთი უძეს კუალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. დანჰყოფს მთა ესე ქისტს, ბურძუკს და ხევსა, სამხრით აქუს კუალად კავკასი, და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და ხევსა".[2]

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბ., 1980, გვ. 310.
[2] ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 357.

მყინვარწვერის სიმაღლეა 5033 მეტრი („უმაღლეს ყოვლთა კავკასთა"). იგი მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით (ხოხის) ქედზე მდინარე თერგისა და საქართველოს სამხედრო გზის მარცხენა მხარეს, ალპინისტები მყინვარწვერზე პირველად ავიდნენ 1923 წელს პროფ. გიორგი ნიკოლაძის და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით.[1] დიდი ილიას, ეტყობა, მუდამ თავისკენ იზიდავდა მყინვარწვერი. მისივე შთაგონებით შექმნა დიდებული პოემები: „აჩრდილი", „განდეგილი", უფრო ადრე კი (1861) პროზაული ბეგლი „მგზავრის წერილები", სადაც ვკითხულობთ: "დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და უმღვრევლად... მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი".

ივანე გეგიას ჩვენამდე მოღწეული პირველი ლექსი „კავკასის ქება", რომელიც 19 წლის ასაკში დაუწერია, არაფრით ჩამოუვარდება, საერთოდ, კავკასიის მთებზე, მყინვარწვერიალბუზზე შექმნილ თხზულებებს. საცილობელი არ უნდა იყოს, რომ იგი შეთხზულია იალბუზის უშუალოდ თვითმხილველი პოეტის მიერ. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ მგოსანი იცნობდა კავკასიაზე შექმნილ ნაწარმოებთა გარკვეულ ნაწილს, ვინაიდან ლექსში პოეტური ტრადიციის კეთილი ზეგავლენის კვალი ასე თუ ისე შეინიშნება. როგორც უკვე შევნიშნეთ, „კავკასის ქებაში" ნათლად გამოჩნდა პეიზაჟისტი მგოსნის პოეტური ბალისხმევა, ორიგინალური ხედვა, ბუნების მშვენიერების ესთეტიკურად შემეცნების უნარი, თავისი განწყობის მკითხველამდე ესთეტიკურად დაყვანის შესაძლებლობანი.

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VII, თბ., 1984, გვ. 240.

ლექსი იწყება პოეტური მოკრძალების ჩვენებით, ისეთი პოეტური ენის ნატვრით, რომელიც ღირსეულ ხოტბას შეასხამდა მშვენიერებით შემკულ კავკასიონს, თავწვეტიან გორებს. მაღალ იალბუზს:

„ახ, ენა მომცა საქებრად, შემკული კავკასისაო,
თავწვეტიანი გორების, მაღალ იალბუზისაო".

პოეტური თავმდაბლობის გამოჩენა ავტორთა მხრიდან ტრადიციად მოსდგამდა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ქართულ მწერლობას. თავის დამდაბლების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ქების ობიექტისთვის საკადრისი ხოტბის შესხმა თითქოს მათ შინაგან სულიერ ძალღონეს აღემატებოდა, ამიტომ ღმერთს მიმართავდნენ თხოვნით შემწეობისათვის:

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს მივსცე გონება".

ივანე გეგია იალბუზთან მიმართებაში მეტაფორულად შთამბეჭდავად უბნობს:

„მოხუცი ფეხზე მაგრა დგას, თითქოს, ცას უბჯენს წვერსაო,
დგას და უბერავს გრიგალი, არ ემონება მტერსაო".

მეტაფორული შესიტყვება "მოხუცი იალბუზი" უთუოდ შთამბეჭდავია. „მოხუცი", ცხადია, ამ ბუმბერაზი მთის სიძველეზე მეტყველებს. მაგრამ ის ისეთი მოხუცია, რომელსაც მეტი დაბერება და, რაც მთავარია, სიკვდილი არ უწერია. იალბუზი დარჩება მარად მოხუც მთად, ვიდრე სამყარო და კაცობრიობა იარსებებს. დარჩება, როგორც ამაღლებულობის და უკვდავების სიმბოლო. სწორედ ეს ხიბლავს მასში სამურზაყანოელ მგოსანს.

ივანე გეგიას ამ მეტაფორამ უნებლიედ გაგვახსენა 1947 გამოქვეყნებული არ. ქოიავას ასეთი შთამბეჭდავი სტროფი:

"ზღვის სიო დამეცა ჩურჩულით მოსული,
საყელო გამიხსნა, გულმკერდზე დამადნა,

წარმოდგა და გვლოცავს თეთრნაბადმოსხმული
ბაბუა მყინვარი – მოხუცი თამადა".[1]

საინტერესოა, რომ მიხეილ ლერმონტოვი თავის ლექსში „თერგის საჩუქრები" კასპიის ზღვას „მოხუცის" მეტაფორით მოიხსენიებს:

„აღსდგა მთელის ბრწყინვალებით
იქ მოხუცი (კასპიის ზღვა – ტ. მ.) ზვიადად
და თვალები ნამალევი
ვნებით აუწყლიანდა".[2]

იალბუზს გრიგალი უბერავს, მაგრამ ვერაფერს გახდება, ამასთან მტერს იგი არასდროს დაემონება. „სხვა მთები ამოყუნცულან, თითქოს, შიში აქვთ ღვთისაო, ამაყი რისხვით დაჰყურებს, ყაზბეგი შიშით კრთისაო". ავტორი გაპიროვნების ხერხით რეალურ სურათს ხატავს: იალბუზი თავისი სიმაღლით თუ ყველა მთასთან შედარებით უმაღლესობით ამაყია, მრისხანეც არის. „ამოყუნცული მთები" შიშით შესცქერიან მას, ყაზბეგის მთაც შიშით კრთის. იალბუზი მრისხანედ დაჰყურებს მის ქვემოთ აყუდებულ მთებს.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „უმაღლეს ყოველთა კავკასთა" იალბუზი შევერცხლილია მარადიული ყინულით, რომელსაც ივანე გეგია მეტაფორულად ალმასის ქვასთან აიგივებს".

„ყინულნი ზედ დასცქერიან, როგორც ალმასის ქვისაო".[3]

როდესაც ივანე გეგიას „კავკასის ქებაზე" ვმსჯელობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის მხატვრული წარმოსახვის ნიმუშები:

„ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი.
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი.

[1] ოქტომბრის ვარსკვლავი (ლექსების კრებული), სობუმი, 1947, გვ. 37.
[2] მ. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი, გვ. 67.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 35.

წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან.
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან"
("საღამო გამოსალმებისა");

"სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე ასულნი"
("სადღეგრძელო")

ილიას „აჩრდილიც" გვეხმიანება: „მისი (მყინვარის – ტ. მ.) ყინულით ნაკვეთი თავი მოირთო მზისა ოქროს სხივებით". აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ მიხეილ ლერმონტოვის ლექსი „კავკასია". როგორც ამ დიდი რუსი შემოქმედის ერთ-ერთი ნაწარმოების („წინასწარმეტყველი") გადმომქართულებელი ივანე გეგია უცილობლად იცნობდა ამ ლექსს, რომელიც დაწერილია 1830 წელს:

„თუმცა წამართვა მწარე ბედმა, როს ვიყავ ჩვილი,
სამხრეთის მთების მიდამონი, რაც ძვირფასია.
ქედებო, მაინც მოგონებით გული სავსეა,
როგორც სამშობლოს სიმღერები, ნაზი და ტკბილი,
მიყვარს კავკასია.
ჯერ სულ პატარამ მოალერსე დავკარგე დედა,
როცა სალამოს ვარდისფერი კაბა აცვია.
მესმის სიმღერა – დედაჩემის ხმათა მსგავსია
და მიტომ მიყვარს მწვერვალები, ნისლების სევდა,
მიყვარს კავკასია.
მახსოვს შენს მთებში ბედნიერი სიმღერის ჟღერა,
ხუთი წელია – შენი სევდით გული სავსეა.
ვნახე, ვის თვალშიც ღვთაებრივი სილამაზეა,
და გულით ამბობს, აგონდება ძვირფასი მზერა,
მიყვარს კავკასია!"[1] (თარგმანი მ. პატარიძისა)

„კავკასის ქების" მიხედვით, თუ იალბუზს ალმასის ქვასავით

[1] მ. ლერმონტოვი, ლექსები, თბ., 1944, გვ. 5.

ზევიდან ყინული დასცქერის. „ქვევით უფსკრული ჩაუდის, როგორც ჯოჯოხეთისაო", როგორც ვგრძნობთ, ივანე გეგია იალბუზის უფსკრულს ჯოჯოხეთს ადარებს, ჯოჯოხეთთან აიგივებს. „უფსკრულისა" და „ჯოჯოხეთის" სინონიმური გაგებანი ბიბლიიდან იღებს სათავეს (ფს. 62, 10; ეს. 20, 4; გოდ. იერ. 2, 9; ფს. 70, 21; 68, 16; ზირ. 1,3; მთ.18. 6). სახარებაში პირდაპირაა მითითებული ჯოჯოხეთზე, როგორც ცოდვილთა სატანჯველ ადგილზე: „და ჯოჯოხეთსა შინა აღიხილნა თვალნი თავისნი, იყო სატანჯველსა შინა" (ლუკა, 16, 23). ჯოჯოხეთის სატანჯველზე მინიშნებულია ქართულ ხალხურ მითოლოგიურ ლექსებში: „ჯოჯოხეთში შემიყვანეს, ამოდის კუპრის გენია".

ივანე გეგიას ლექსში ჯოჯოხეთი შედარების საგნად არის წარმოდგენილი, რაც ბიბლიიდან იღებს სათავეს: „აღივსო ძვირთაგან სული ჩემი და ცხორებაჲ ჯოჯოხეთსა მიეახლა" (ფს. 84, 7). „კავკასის ქებაში" იალბუზის უფსკრულის ჯოჯოხეთთან გაიგივება, ცხადია, დაცლილია ბიბლიური ქრისტიანული შინაარსისაგან, სადაც ჯოჯოხეთი აღიარებულია მარადიული ტანჯვის ადგილად, რომელიც ეშმაკის, დემონებისა და მიუნანიებელ ცოდვილთათვისაა განმზადებული".[1] ლექსში ნახსენები იალბუზის უფსკრული უნდა გავიაზროთ, როგორც წყვდიადით, ბნელით მოცული შეუცნობელი ადგილი, სადაც ცოცხალ არსებას, მითუმეტეს ადამიანს, მოხვედრა უბედურებას უქადის, იქიდან ფიზიკური გამოღწევა, როგორც ჯოჯოხეთიდან, შეუძლებელია. ამდენად, იალბუზი მიმზიდველია თავისი იგავმიუწვდომელი სიმაღლით, ყინულით შეკერცხლილი თხემით თუ მწვერვალით, გოლიათური აღნაგობით, მაგრამ, ამასთანავე, საშიშია, საფრთხეა ადამიანისათვის თავისი უფსკრულით. მის მწვერვალზე ყოფნა სიცოცხლის და მშვენიერების

[1] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, გვ. 291.

მომნიჭებელია, უფსკრულში მოხვედრა კი – სიკვდილისა. ერთი სიტყვით, ავტორის გაგებით, იალბუზი ალმასის ქვის სადარი ყინულიანი მწვერვალით სამოთხის, ზესკნელის მომცველია, ხოლო თავისი უფსკრულით – ჯოჯოხეთის, ქვესკნელისა.

სხვათა შორის, ივანე გეგია ამავე ლექსში აფიქსირებს უფსკრულის და ჯოჯოხეთის მესამე სინონიმურ სიტყვას „ქვესკნელი": „ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი, როგორც მტკვრისაო, მირბიან, მიდუდუნებენ. თითქოს, ჯავრი აქვთ მთისაო" (შდრ. ვაჟა-ფშაველას პოეტური ფორმულა: „ბნელ ხევზე მაჰყეფს მდინარე, გულამღვრეული ჯავრითა").

უფსკრული, ქვესკნელი, ჯოჯოხეთი, როგორც სინონიმური სიტყვები, მოგვეპოვება ბიბლიაში, შუა საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურაში. რად ღირს მარტო რუსთველისა და გურამიშვილის დასახელება:

„თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსა დაიურვებს";
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი";
„აგების ღმერთმან დამიხსნას ჯოჯოხეთისა მწვირითა";
„ვიქცევი, ქვესკნეთს ვარდები, მისვეტ-მიბომეო".

ქართულ მითოლოგიურ პოეზიაში ჯოჯოხეთის, ქვესკნელის სინონიმად მოგვეპოვება: „შავეთი", „სულეთი".[1] „კავკასის ქების" თანახმად, იალბუზის უფსკრულ-ქვესკნელში, ბიბლიურ-ქრისტიანული ჯოჯოხეთის შინაარსისგან განსხვავებით, „წყარონი მირბიან", „მიდუდუნებენ", იქაურობას ხმაურით იკლებენ, ე.ი. ქვესკნელში სიცოცხლე, ღელვა, ბორგვა, შფოთვა შეაქვთ; თითქოს მთის ჯავრს იყრიან, რომელმაც თავისი კლდეებიდან უფსკრულში მოისროლა წყარონი. ავტორს მთით დაქანებულ წყალთა ხმოვანება მტკვრის ტალღების ხმაურთან შეუდარებია („ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი როგორც მტკვრისაო").

[1] ქართული ხალხური პოეზია, II, გვ. 63, 64, 68, 69, 70, 72, 73, 78, 81.

ლექსის დასაწყისში ივანე გეგია ნატრობს „შემკული კავკასის თავწვეტიანი გორების" საქებარი ენის ქონას ანუ პოეტურ შესაძლებლობებს, მეორე ტაეპის ბოლო ნახევარტაეპიდან ბოლომდე კი კონკრეტულად იალბუზის ქება-დიდებას აღავლენს. მთავარ რამეს უნდა გაესვას ხაზი: გარეგნულად ჩანს, რომ პოეტი იალბუზის ძლევამოსილების და სიდიდის აღწერით არის თითქოს შემოსაზღვრული, თუმცა ღრმად თუ დავუკვირდებით და ლექსის არსის შიგნით შევაღწევთ, ირკვევა, რომ იალბუზს ავტორის მხრიდან მხრებზე აწევს სიმბოლური დატვირთვა. იალბუზი სიდიდის, სიდიადის, სიმაღლის, უძლეველობის სიმბოლოა, რომელიც არანაირ მტერს არ ემონება. სწორედ ასეთი საქართველო ენატრება მგოსანს, სწორედ ასეთი სამშობლო ეამაყება მას.

თუ „კავკასის ქებაში" ნათლად გამოიკვეთა ივანე გეგიას სახეობრივი, სურათოვანი მეტყველება, სახე-ემოციის შექმნა ბუნების სურათის აღწერის მანერაში გამოვლინდა, იგივე ვითარებას ვხვდებით ორსტროფიან ლექსში „მთის წყალი". მასში სიტყვები ქარგავენ სურათს და აღწერის ხასიათის ნათელში ეხვევიან:

„მთანი ამაყნი, მაღალნი, ვაკეებს გადმოსცქერიან,
იქიდან მონადირენი საამოთ გადმომღერიან;
ლოდები ჩამოსავარდნად წამ-წუთზე ემზადებიან,
შიშით დამფრთხალნი ნადირნი კაცის თვალს ეკარგებიან.
ზევიდან დაბლა ჩამოქუხს, წყალი ლოდებზე ჩქრიალებს,
და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს,
ქვეშ ჩაბრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს,
უცხო რამ ხდება ორ მთას შუა, თითქოს, ქვეყანა ზრიალებს".[1]

ლექსში მკითხველს იზიდავს უპირველესად სიტყვის ემოციური ტონი, რიტმის ემოციურ-ესთეტიკური ხაზგასმა. ლექსის

1 ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 70.

გაცნობიერებისას თითქოს წიგნის ფურცლებიდან იმ მთებში გადაინაცვლებ ფიზიკურად, რომლებიც ვაკეებს გადმოსცქერიან, თითქოს მონადირეთა საამურ სიმღერას მიაყურადებ, თითქოს შეგებრალება ჩამოსავარდნად გამზადებული ლოდები, რომელთაც სიმაღლე მოსწყინდათ და მიწა მონატრებიათ, თითქო ფიზიკური თვალით ზვერავ შიშით დამფრთხალ ნადირთ, რომელნიც „კაცის თვალს ეკარგებიან". გხიბლავს კლდეებიდან ჩამომქუხარი და ლოდებზე აჩქარიალებული წყალი. მიმზიდველი პოეტური წარმოსახვა გიპყრობს: „და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს". „ქვეშ ჩაძრომილი უფსკრულის" ლომისებურ ღრიალს სწორედ მთიდან დაქანებულნი წყალნი ახმოვანებენ. უმალ „კავკასის ქება" დაგიდგება თვალწინ: „ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი როგორც მტკვრისაო", შეგეხმიანება გრიგოლ ორბელიანის პოეტური ჩანგიც: „თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან".

„მთის წყალშიც", ისევე როგორც „კავკასის ქებაში", ივანე გეგია წარმოგვიდგება პეიზაჟისტ პოეტად. ორივე ლექსში პეიზაჟი თვითონ პოეტის განწყობილებების, ემოციური ტონის გამომხატველია, სულიერი განწყობის ბუნებასთან შემთანხმებელი.

„განთიადი"

ივანე გეგიას სოხუმში 1905 წლის 27 ოქტომბერს დაუწერია დიდებული პოეტური ნიმუში „განთიადი". პირველად ოთარ ჭურღულიამ დააფიქსირა, რომ ეს ლექსი უშუალოდ 1905 წლის რევოლუციისადმია მიძღვნილი. პოეტი რევოლუციას ადარებს ცისკარს, „ბნელი" და „წყვდიადი" ღამის ქვეშ იგულისხმება თვითმპყრობელობა.[1] პოეტი მაშინ გადასახლებიდან ახალი დაბრუნებული იყო. როგორც ივანე გეგიას, ასევე ყველა ქართველ პატრიოტ მოღვაწეს უხაროდა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლის გრიალი. მტკიცედ სწამდათ, რომ ამით ბოლო მოეღებოდა ცარიზმის რუსეთს და საქართველოც გათავისუფლდებოდა მისი რეჟიმისგან, გადაიგდებდა მონობის უღელს, დაიბრუნებდა საკუთარ თავს და ურჩხულისგან ღონემიხდილი მკვდრეთით აღდგებოდა. ამ სასიხარულო მოვლენას არაერთი მწერალი გამოეხმაურა ოპტიმისტური ნაწარმოებით. მათ შორის ივანე გეგიამაც თქვა ემოციური სიტყვა. მის პოეზიაში უთუოდ ერთერთი გამორჩეული ლექსი გაჩნდა, რომელსაც მორგებული სათაურიც არგუნა „განთიადის" სახით. იგი არ მორიდებია აკაკი წერეთლის კლასიკური თხზულების "განთიადის" სახელწოდების გამეორებას. ორივე პოეტურ ქმნილებას სამშობლოს თემა განსაზღვრავს. დიდმა აკაკიმ "განთიადი" მიუძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაინდს, სამშობლოსათვის თავდადებულ დიმიტრი ყიფიანს. ეს ლექსი განუმეორებელმა მგოსანმა წაიკითხა დიდი მამულიშვილის დაკრძალვის დღეს:

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 96.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს"...

ივანე გეგიას „განთიადი", როგორც ითქვა, 1905 წლის რევოლუციას მიეძღვნა, პოეტმა სათქმელი დღისა და ღამის, ნათლისა და ბნელის ჭიდილში გამოატარა. ნათლისა და ბნელის სიმბოლური განსახიერება ბიბლიიდან გადაედო ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას შუა საუკუნეებისა, XIX საუკუნის ეროვნულ ლიტერატურას. XVIII საუკუნის პოეტმა თეიმურაზ II შექმნა ვრცელი პოემა „გაბაასება დღისა და ღამისა", XIX ს. ქართული ლიტერატურიდან საკმარისია დიდი ილიას "მგზავრის წერილების" გახსენება. ლიტერატურული ტრადიციების კვალდაკვალ შეიძინა სიმბოლური დატვირთვა ივანე გეგიას „განთიადის" დღემ და ღამემ, ნათელმა და ბნელმა.

პოეტი სიტყვა „განთიადს", ლექსის სათაურად გამოტანილს, სახავს ქვეყნის გამარჯვების, სამშობლოს თავისუფლების სიმბოლოდ, რასაც ავტორი მოელოდა რევოლუციისგან. როგორც ოთარ ჭურღულია სამართლიანად შენიშნავდა: "რევოლუციის ბობოქარი ქარიშხალი პოეტს ასეთი ლამაზი პოეტური ფრაზებით აქვს წარმოსახული:

„ცა გრგვინავდა, ბობოქრობდა,
დედამიწა შიშით კრთოდა,
ელვა მარდი ყოველ წამში
ცეცხლის სვეტად გამოკრთოდა.

გრგვინვას ჰქქა ზედ დაერთო,
საზარელი ხმა ისმოდა,
ციდან მოვარდნილი წვიმა
ხმაუილითა ძირს ისხმოდა".[1]

ერთმა ქართველმა პოეტმა მოხდენილად თქვა: „ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია". ივანე გეგიასაც ამ გარდაუვალი კანონზომიერების იმედი აქვს: შეუძლებელია ვითარება არ შეიცვალოს, თვითმპყრობელობის უღელი არ მოიშოროს ერმა, არ განთავისუფლდეს ცარიზმის მომაკვდინებელი მარწუხებისაგან:

„დავაკვირდი ქვეყანაში
რა არ არის ცვალებადი?!
დღე ნათელსა ღამე მოჰყვა,
ღამეს დილა, განთიადი".[2]

„განთიადი" ამაღლებული განწყობილებით იწყება: „ცა სინათლეს იმოსავდა, ღამეს ეხვეოდა დარდი, ტურფა ქალწულს მაგონებდა მომდინარი განთიადი". ცის სინათლე, განთიადი გამარჯვების რწმენის, ნათელი მომავლის მომასწავებელია ქართველისათვის, „ღამე" ანუ თვითმპყრობელობა, მოძალადე რუსეთი დარდის ბოლში იხრჩობა, ვინაიდან წინასწარ გრძნობს დამონებული საქართველოს ხელიდან წასვლას.

ლექსის მომდევნო სტროფში ივანე გეგია გრადაციის ანუ გამოსახვის სტილისტიკური ხერხის მომარჯვებით მკვეთრად გვიჩვენებს თავისი განწყობილების გაძლიერებას:

„ვით ბრძოლის დროს მეომარი,
მოარღვევდა ბნელს ცისკარი,
ამ წყვდიადში ათასფერად
იღებოდა ზეცის კარი".

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 81; შდრ. ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 96.
[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 81.

ნაწარმოების მესამე სტროფი აშკარად გამჭვირვალედ მიგვანიშნებს, რომ პოეტი სათქმელს ალეგორიის სამოსელში ახვევს, განთიადში 1905 წლის რევოლუციას მოიაზრებს, რომელსაც ქვეყნის ანუ თავისი სამშობლოს მხსნელ მზესთან აიგივებს. ეს კი დაბადების დღეს აწყევლინებს ცარისტულ ხელისუფლებას – "ღამე ბნელს და წყვდიადს":

„ცელქ სხივებით ამობრწყინდა
ქვეყნის მხსნელი მზე დიადი.
გაჩენის დღეს იწყევლიდა
ღამე ბნელი და წყვდიადი".

ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოლოდინში პოეტთან (საერთოდ, ქართველობასთან) ერთად ბუნებაც ხარობს, მთა-ბარს, ყველაფერს დილა ანუ გამარჯვების, სიცოცხლის განახლების მოახლოება უხარია, თავმომწონე კეკლუცმა იამაც ბუჩქის ახლოს გაიხარა, დაცემული ცხვარიც იას შეჰხარის:

„ახმაურდა მთა და ბარი,
ყველას დილა უხარია,
კეკლუც იას თავმომწონედ
ბუჩქის ახლოს უხარია.
დაბლა ცხვარი დაცემული
მორცხვად იას შეჰხაროდა"...[1]

„დაბლა ცხვარი დაცემული" უნდა გავიგოთ როგორც ვაკეში გაშლილი ცხვრის ფარა. ბუნებასთან ერთად, აღტაცებული არიან ადამიანებიც, მეგობარი მეგობარს უფრო იმედიანად ესიყვარულება: „მეგობარი მეგობარსა სასოებით შეყვაროდა".

სიკვდილი რომ არ ყოფილიყო, სიცოცხლეს ნაკლები ფასი დაედებოდა, ვაჟა წერდა: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა". ასევე – უიმედობა არის იმედის

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 81.

ფასის განმსაზღვრელი, დარდი – სიხარულისა, ბნელი – ნათლისა და ა.შ. ეს გამოიკვეთა ივანე გეგიას „განთიადში", სადაც ამ თერთმეტსტროფიანი ლექსის მეშვიდე სტროფიდან მაჟორულ ტონალობას ჩაენაცვლა მინორული. გაჩნდა ეჭვი („მზე ჩავიდა"): ვაითუ ამ რევოლუციამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიოს, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მომლოდინე ქვეყნის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდეს. ამ მელანქოლიური განწყობის ღამე ჩამოწვა შემდეგ ტაეპებში:

„მზე ჩავიდა, შემოღამდა,
გაქრა ყველგან სიხარული.
ქვეყნის მნათმა თან წაიღო
ამა ქვეყნის სიყვარული.
და ასევე ბინდი ღამის
გადაჰკვროდა არე-მარეს,
შავი ძაძით დაბურული,
ჩამოგავდა ბნელ სამარეს".[1]

მაგრამ რევოლუციის ბობოქარი ტალღა კვლავ თავის თავში ახრჩობს მგოსნის მელანქოლიკას, ეჭვების გმინვას, უიმედობას, პესიმისტურ განწყობას, კვლავ ჩაენაცვლა „ღამეს დილა, განთიადი", ანუ ოპტიმიზმმა დაამხო პესიმიზმი.

რადგან „განთიადს" დაწერის თარიღად უზის 1905 წელი, ამით ივანე გეგიამ იმთავითვე მიგვანიშნა, რომ განთიადში ალეგორიულად თუ სიმბოლურად სწორედ იმ წელს მომხდარ რევოლუციას გულისხმობდა. იგი მიაჩნდა საქართველოს ხსნისა და გადარჩენის საშუალებად, ლექსი მიმზიდველია იდეურ-შინაარსობრივთან ერთად მხატვრული თვალსაზრისითაც.

[1] ო. ჟორდანია, დასახ. წერილი, გვ. 28.

„შრომითა ვჰპოვ ამ ოჩ დღეში ლუკმა პურს“

ივანე გეგიას ჩვენამდე მოღწეული პოეტური ნიმუშების გარკვეული წილი დატვირთულია სოციალური მოტივებით, რაც, საერთოდ, ერთ-ერთი განმსაზღვრელი თემა იყო XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობისათვის ე. წ. ოქტომბრის რევოლუციამდე. შორს წაგვიყვანდა იმ მწერლების დასახელება, რომელთაც სოციალურ მოტივზე უწერიათ პოეტური თუ პროზაული თხზულებანი. გამონაკლისი არც ივანე გეგია ყოფილა, რომლისავე შენიშვნითაც მის ნაწარმოებებს “თავის დროზე ფასი და პატივი ჰქონდა”.

ოთარ ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ივანე გეგია უარყოფითად აფასებდა ადამიანის ექსპლუატაციას, გლეხებისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებას. ის ოცნებობდა ბოროტების, ანგარების, შურისა და მტრობის ძლევაზე, მდიდარსა და ღარიბს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე”.[1] ქვემოთ შევეცდებით თითქმის ყველა ლექსის განხილვას, რომელიც აღნიშნული თემა – მოტივის მომცველია.

წინასწარ შევნიშნავთ: როგორც მოსალოდნელი იყო, ივანე გეგიას მიერ გაცნობიერებული გლეხის სახე საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი სოციალური სინამდვილის ნაყოფია. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც გლეხის მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება არც გაუმჯობესებულა, პირიქით, კიდევ უფრო აუტანელი გახდა. რაფიელ ერისთავის თქმისა არ იყოს, „მოხელე, მღვდელი და ერი” ყველა გლეხს შემოჰყურებს, ყველა გლეხს ჩამოჰკიდებია: მამასახლისი, გზირი, ვაჭარი...

საინტერესოა იმის გახსენება, რომ საერთოდ ქართული მხატ-

[1] ო. ჟორდანიას დასახ. წერილი, გვ. 28.

ვრული ლიტერატურის ისტორიაში გლეხის სახე პირველად გამოჩნდა ჰაგიოგრაფიაში, კერძოდ, ბასილ ზარზმელის ძეგლში – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", რომელშიც გლეხებს მიწა მიაჩნდათ თავიანთ მამამარჩენლად, ბერ-მონაზვნებს უპირისპირდებიან, რათა მათი კუთვნილი სახნავ-სათესი მიწა არ ექციათ საეკლესიო მიწებად. ამ თხზულებაში აღწერილია IX საუკუნის ამბები. მეფე-პოეტ არჩილ ბაგრატიონს (1647-1713) საქართველოს ძლიერება გლეხის გარეშე ვერ წარმოუდგენია: „თუ ამოწყდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა". ამიტომაც კრძალავდა იგი გლეხის მიმართ ძალადობას: „გლეხს ძალი მოაშორეთა". არჩილს ბრძენი მონა უგნურ, მოხუცებულ მეფეზე მაღლა დაუყენებია: „სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა". ამავე კონცეფციის გამტარებელია სულხან-საბა ორბელიანიც (1658-1725): „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა".

სოციალური მოტივი კუთვნილ ადგილს იკავებს XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ მწერლობაში. სხვა ქართველ მწერლებთან ერთად, ივანე გეგიაც საზოგადოებრივ-სოციალურ თემატიკას ხარკს უხდის, რაც მისი შემოქმედების დებიუტშივე იჩენს თავს. მაგალითად, 1883 წელს შეუთხზავს ლექსი „ნიკო გლეხის შვილი". ავტორი სათქმელს თვითონ გლეხის ენით გადმოსცემს ეფექტის გასაძლიერებლად.

ნიკო გლეხის შვილი ჰყვება: გლეხურად დავდივარ, ტანთ ძონძები მაცვია, დასანაყრებლად მჭადი მყოფნის, ღვთისგან ვითხოვ, რომ მჭადი არ მომაკლდეს, ჩემი უბედურება უსწავლელობაა, „სახლში ძლიერ მშრომელმა" „თოხი ვიცი გლეხური", ჩემს ბედს მიწის ძირში ვკითხულობ: გლეხური ცხოვრებით მდიდრებს როდი ვედრები, „თუ ამიგდებს მდიდარი, უცბათ ვიქრობ დარდებსა":

„სხვისი არა მინდა-რა, მე ჩემით ვიკვებები.
ბატონებს რაღა ვუთხრა, მომპარეს ვარიები!
მე ჩემს ძონძებს ვიცვამ, სხვისით არ ვიხრუკები.
უფროსებმა ბევრი სხვამ, დაბიეს სხვის ჩოხები".[1]

ამ სტროფში გლეხის ქილიკი იკითხება ბატონთა მიმართ, რომლებიც ისე დაცემულან, რომ გლეხის ვარიების ქურდობა დაუწყიათ. ცხადია, აქ ნახსენები „ბატონი" არ გაიგივდება ბატონყმობის პერიოდის ბატონთან. ვინაიდან ბატონყმობა უკვე ორი ათეული წლის წინანდელი გადავარდნილია. როგორც ითქვა, საგლეხო რეფორმის შემდეგაც გლეხთა სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, უარესობის გარდა. „ბატონში" ნიკო გლეხის შვილი თავის მჩაგვრელს გულისხმობს, რომელიც შერჩენია ჯერ კიდევ. ერთი სიტყვით, ივანე გეგიას ამ ლექსით იმის თქმა უნდა, რომ გლეხი, მიუხედავად სოციალური ბედუკუღმართობისა, სულით არ დაცემულა, არ დაჩაჩანაკებულა, შრომით, თოხით გააქვს თავი და ეზიდება წუთისოფლის ჭაპანს. ვინც შრომას უარი უთხრა, „ბევრიც დადის მშიერი". ლექსში გარკვევით არ ჩანს, ვის ეკუთვნის მიწა, რომელზეც გლეხი გვამცნობს:

„თოხი ვიცი გლეხური, შავი მიწის მტერი ვარ,
მიწას ძირში ამოვთხრი, მას ჩავკითხავ ჩემ ბედსა".

მიწა, ალბათ, მდიდრის კუთვნილებაა, რადგან მომდევნო ტაეპში ვკითხულობთ: „თუ ამიგდებს მდიდარი, უცბათ ვიქრობ დარდებსა".

ლექსში „მუშაობა" ივანე გეგია ისევ გლეხის ენით აღავლენს შრომის ჰიმნს. მშრომელ კაცს უხარია გაზაფხულის დადგომა და მუშა ხალხს მოუწოდებს: სახნისს გაულესონ პირი, უღელს ხარები შეაბან, ნიშა ნიკორა გამოკვებონ თივა-მარილით; შრომისთვის ხელშემწყობია მზიანი ამინდები. მშრომელებმა კარგად

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 36.

იციან: შრომა-გარჯის გარეშე შემოდგომით ბეღლების ავსება შეუძლებელია. იშრომონ ქვრივ-ობლების დასაპურებლად, ახლობლების (ბიძა, ძმები) მოსალხენად. ბოლოს ქრისტეს შეევედრება, დღეგრძელყოს მუშა ხალხი, რათა „მუდამ აქონ, ადიდონ, იმღერონ ჰარი-ჰარალე!" რამდენიმე ტაეპი ლექსიდან:

„ეჰ, დაგვიდგა გაზაფხული,
სახნისს გაულესოთ პირი;
მთა, გორა, ყველა დავთხაროთ,
ჭინჭარს ამოვუგდოთ ძირი!
ყრუ გუგულიც იძახის,
უღელს შევაბათ ხარები,
ქრისტე ღმერთმა შეგვიწყნარა,
დაგვიდგა კარგი დარები."[1]

აქაც არ არის უშუალოდ მინიშნებული გლეხის მხრიდან მიწის საკუთრებაზე, როგორც მაგალითად, რაფიელ ერისთავის „ბერუას ჩაფიქრებაშია" ნათქვამი (დაწერილია 1883 წელს) გარკვევით:

„ეს როგორ არის ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია,
მიწა სხვისია, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია".

ივანე გეგიას „ხალხურის" მიხედვით, გლეხი იწყევლის გაჩენის დღეს, ვინაიდან შეყვარებული ქალი ახლოს არ გაიკარებს, რადგან მასზე უკეთესს შენატრის:

„შენ ჩემგან ვერას გაიტან,
მე მინდა შენზე კარგიო,
შენი ხელობა სხვა არის,
კურტანს აჰკიდე ბარგიო.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 39.

თმა გაწეწილი დადიხარ,
გარე გაქვს კანი შავიო;
წადი, გამშორდი, შე წუწკო,
ქვას მიახალე თავიო![1]

კონკრეტულად არ ჩანს ლექსში ქალის წარმომავლობა – მდიდართა წრიდანაა თუ გლეხთა წიაღიდან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მისთვის ქმრად მიუღებელია, რადგან „მუშა ხარ, გლეხიო". ე.ი. გლეხი სიყვარულის ღირსიც არ ყოფილა.

ლექსიდან მარტო დაბეჩავებული გლეხის სულიერი ტრაგედია კი არ გამოსჭვივის, ქალმა რომ სიყვარულის ღირსად არ ჩათვალა, არამედ თვითონ ქალისას, რომლის ტრფიალება მხოლოდ ანგარებაზეა ორიენტირებული, და არა მიჯნურობის ჯანსაღ, რუსთველურ გაგებაზე.

გაიძვერა და არამზადა ნათავადარის სახეა ნაჩვენები ნაწარმოებში „ძველი თავადი". მან სიკვდილის წინ აღიარა (კი არ მოინანია) ჩადენილი ცოდვები, რაც სიმწარემ ათქმევინა: ვითომ სახელისთვის უმსახურია, მტრის ზარდამცემიც ყოფილა, თანაც მოძმის მოღალატე, ჯილდოსთვის გამცემი; კმაყოფილებით უხაროდა შინ მისული გლეხის ხვეწნა-მუდარა, რომელსაც თურმე თავიდანვე მაცდურად ტკბილად ეპყრობოდა ფეშქაშის გამოძალვის მიზნით; გლეხს ზოგჯერ შვილს ემახდა, ზოგჯერ ღორსაც კი, ხან გაუწყრებოდა და დაწყევლიდა; აკანკალებული გლეხი პატიებას ითხოვდა, შებრალებას: „შენი ყმა, მონა გახლავარ, რად გამრისხე ბატონოვო". დაბეჩავებული მონა შინ გაშვების საფასურად ხარს პირდებოდა, მეორე დილის საუზმედ კი – ბატკანს და დედა ცხვარს. ასე ატარებდა თავადი დროს. თუ ვინმე არ დაემორჩილებოდა, უბედურებას დაატეხდა:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 43.

„ყველას ჩემი ეშინოდა, მიძახოდნენ – დიდსა კაცსა,
მოსაკითხად მიგზავნიდნენ ხშირად ჩასუქებულ ვაცსა.
აწი შემიპყრა სიკვდილმა და ჩამიზიდა სამარემ,
გულში მალული ცოდვები მათქმევინა დღეს სიმწარემ".[1]

თხზულება დაწერილია 1885 წელს, ანუ მაშინ, როდესაც საქართველოში ბატონყმობა უკვე 21 წლის წინათ იყო გადავარდნილი. თუმცა გლეხებს ამ მოვლენებისგან არანაირი ხეირი არ მიუღიათ, ნათავადარ-ნაბატონარნი კი ბოღმით იგუდებოდნენ, მისტიროდნენ წარსულ დროს, იმჟამინდელი ტკბილი, უზრუნველი ცხოვრების მოგონებით ირთობდნენ თავს და ამაში თითქოს შვებას პოულობდნენ, აწინდელი ყოფით კი ტუქსავდნენ „წუთისოფელს მოწამლულსა".

1885 წელს შექმნილ პატარა ლექსში „შემოდგომა" ივანე გეგია კალმის ერთი მოსმით გვისურათხატებს „გლეხნი საწყლების" უნუგეშო ყოფას:

„სამშობლოს ზურგსა ანათებს მთვარე,
საღამოს დროზედ წყნარად მოარე,
რა უნახავი მაშინ მე ვნახე:
წინეთ მომედო მრავალი მახე.
გლეხნი, საწყლები სიმინდს ტეხავდნენ,
ქალები ნამგლით ჩალასა სჭრიდნენ,
მათი ბალღები მიწაზე ყრია".[2]

იმავე წელს ეკუთვნის „ახალ-მოდის ქალი". ავტორი კონკრეტულად არ მიანიშნებს თუ რომელი საზოგადოებრივი ფენიდანაა ეს ქალი, თუმცა ლექსის შინაარსიდან გამომდინარე ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ახალ-მოდის ქალი ნათავადართა წრიდანაა: „პანსიონში გაზრდილი, რუსული ჩემ

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 51.
[2] იქვე, გვ. 54.

ხელშია, ვიოტაობ ფრანციცულში". იგი არად აგდებს სოფლის ქალებს, უსწავლელ ყმაწვილთ, უარს არ ამბობს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტზე ან „გიმნაზისტებზე"; ვინც ჭკუაში არ მოსდის, არავის იკარებს ახლოს: „იცოდეთ რა არიან: ერთი ჰგავს მაიმუნსა, მეორე გაყვითლებული, არ არის ამ სოფლისა". ეზიზღება გლეხები, თუნდაც ულამაზესი იყოს („თუნდ რომ იყოს ნახატი"). საქმროდ „კნიაზს" არ დაიწუნებს, უწვრთნელიც რომ იყოს, „ყოვლისფრით შემკულ" საქმროს ეძებს, ფულით, ვერცხლით მდიდარს, თანაც გარეგნულად ანგელოზის სადარს:

„გლეხები მეზიზღება, თუნდ რომ იყოს ნახატი,
კნიაზს, თვით უწვრთნელს, მინდა რო უყო ბასტი!
საქმრო უნდა მომიხდეს ყოვლისფერით შემკული,
ფულით, ვერცხლით მდიდარი, ვით ანგელოზის მსგავსი".[1]

ასეთია „ახალ-მოდის ქალის" სახე ივანე გეგიას პოეზიის სოციალურ ნაწილში. ეს ქალი გამოიყურება დეგრადირებულ, ზნეობრივად დაცემულ, გულგრილ, უსულგულო, არაადამიანური თვისებების მატარებელ არსებად, რომელსაც მიწიერი სიყვარული ფული და ვერცხლი ჰგონია, იმის იქით ვერაფერს ხედავს. გამოირჩევა კაცთმოძულეობით, ამ მხრივ ნიშანში აქვს ამოღებული გლეხობა („გლეხები მეზიზღება").

შინაარსობრივად „ძველი თავადის" ჩივილს ემსგავსება „ენუქას სინანულიც". ლექსი ფულის ყოვლისშემძლეობის წარმოჩენას ემსახურება: თუ ფული გაქვს, წუთისოფელი სამოთხედ გეჩვენება, თუ არა გაქვს, იგი „ოხერ სოფლად" იქცევა. ფულიანი ენუქას სამოთხიდან უფულობით ჯოჯოხეთში გადაჩეხვა რეალისტურ ფერებში წარმოუსახავს ავტორს. ენუქა სინანულით იწყებს:

„როცა ეგდო ჩემს ჯიბეში გროშები.
ფეხზე მეცვა სირმიანი ქოშები.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ.56.

არ მცვდებოდა სიარულით ფეხები.
ვიძახოდი; "მომიყვანეთ დროშკები!"[1]

ტოლებში თურმე ენუქას დარი არავინ ერია, ყველა შიშით თუ რიდით ჩასცქეროდა თვალებში. მის ჯიბეში ფული ეგულებოდათ და მოხერხებით უძვრებოდნენ უბეში. მორიდებით მოიკითხავდნენ, მის გამოჩენისას ყველანი იმთავითვე ფეხზე დგებოდნენ, დაბრძანებას შესთავაზებდნენ: „მობრძანების სამღერელსაც მიმღერდნენ. ჩანგის ჟღერით ძვირფას სტუმარს მატკბობდნენ". როცა იკითხავდნენ უცნობნი ენუქას ვინაობას, პასუხად ისმენდნენ: „შვილი არის პეტრუსა მდიდარისაო". სიმღერით უზომოდ დატკბობისას, დიდკაცურად ჯიბეში ხელს ჩაიყოფდა, მომღერლებს თუმნიანებს გადაუგდებდა. ყოველივე ამის ფონზე, მუდამ დიდ პატივში იმყოფებოდა, მაგრამ:

„რა ყოფილა ეს ოხერი სოფელი,
ვცანი ახლა, რომ ყოფილა მყვლეფელი.
სიზმარშია არ მელანდება ფული.
მართალს ვიტყვი, შიმშილით მეწვის გული.
როცა მქონდა ის ტიალი ფულები,
თავზე მედგნენ დიდი კაცის შვილები"...[2]

თუმცა დრო შეიცვალა, ფული დაილია, ენუქა გაღარიბდა, ახლა მას ახლოსაც არავინ ეკარება, პირიქით, „მომშორდის" ეძახიან. ასე ცხოვრება კი ეძნელება წარსულში გაზულუქებულს, უფულობით სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, შინ და გარეთ ყველა თავის მტრად ელანდება, ცოლიც კი გაურბის:

„ღმერთმა იცის, ცხოვრება მეძნელება,
უფულობით სიცოცხლე მეძნელება,
გარე, სახლში ყველა მე მემტერება,
ვაი, რა ვქნა, ცოლიც არ მეკარება!"[3]

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 57.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 57.

„ენუქას სინანულით" ავტორი გვმოძღვრავს: შვილს მამის ქონებით არ უნდა მოჰქონდეს თავი. მამის ფულს არ უნდა იტენიდეს ჯიბეში, ამით არ უნდა იხალისებდეს ცხოვრებას, არამედ საკუთარი ძალებით და დაუღალავი შრომით აგროვებდეს ქონებას. გაკოტრდა მდიდარი მამა, გაღარიბდა უქნარა შვილიც და ეს „ოხერი სოფელი" მყვლეფელად წარმოუდგა თვალწინ. ნაწარმოებში ხაზგასმულია ფულის ყოვლისშემძლეობა.

სანიმუშო ლექსია „ობოლი". მისი ლირიკული გმირი არის მოზარდი, ადრე დაობლებული გლეხის შვილი. თუმცა ცხოვრების ავკარგში ღრმად გარკვეულია. მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთთან დაპირისპირებისას ამ უკანასკნელს უზომოდ აფასებს, მასში ხედავს სინდისს, პატიოსნებას, გულით მდიდარს, ცოდვით შენაგროვებ სიმდიდრეს ოფლის ღვრით მოპოვებული ლუკმა-პური ურჩევნია. ობოლი დასაწყისიდანვე გვაცნობს თავის ბედუკუღმართობას:

„ობოლი ვარ, ბედის მოძულებული,
დავეთრევი ქვეყნად ახირებული!
მცივა, მშია, ვინ ფიქრობს მოწყალებას,
უგრძნობლობას შეჩვევია ქვეყანა".[1]

ბოლო ტაეპით აქცენტირებულია საზოგადოების გულგრილობა: ობოლი ბავშვი არავის ადარდებს, შია თუ სცივა, არავინ ფიქრობს მის მიმართ მოწყალების გაღებაზე, რაც მოზარდის ობლობაზე ნაკლებ ტრაგედიად არ აღიქმება. საწყალს შინ არავინ ეპატიჟება, თუ ვინმეს ოჯახის კარს მიადგება, თვალწინ მიუჯახუნებენ მას:

„არვინ მეტყვის – შვილო, აქ შემოდიო,
სადაც მიველ, ყველა მიკეტს კარებსა;
სიცივეს ვუძლებ, მაგრამ შიმშილს რა ვუყო,
უჭმელობამ ცხოვრების დღე გამიყო".

[1] ი. გუგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 58.

ჯერ იმ ასაკშია, საკუთარი ხელებით სარჩო-საბადებელის მოპოვება არ ძალუძს, თუმცა უსულგულო ადამიანთა უტიფრობის გაგება არ ეძნელება, ავისა და კარგის გარჩევა არ უჭირს. გულგრილი და ბუნწი მდიდრის ბუნებაში ჩახედვა უადვილდება. მდიდარი ფულის იქით არ იხედება, არც „გვარ-ტომობა, ხორცსისხლი" ახსოვს, თავის დანიშნულება და ადამიანური მოვალეობა ფულს, სიმდიდრეს შთაუნთქავს; სიმდიდრესთან არ ახსოვს სიღარიბე. ასეთ ავყია მდიდარს პირში მიახლის დაბრძენებული ობოლი:

„სულგრძელობა შენში აღმოფხვრილია,
გულჩვილობას დაკარგვია გზა-კვალი.
მდიდარი ხარ, მაგრამ ღარიბი გულით.
ვერ ედრები გულით მდიდარ ღარიბ კაცს".[1]

ობოლი მდიდარს ასე უხასიათებს ღარიბი კაცის ბუნებას: შენებრ სხვისთვის წართმეული („წანაღლეტი") არაფერი უნდა, პატარა ქონების პატრონია, მაგრამ მისი სხვისთვის გაყოფა არ ეძნელება, კეთილია, მიმნდობი, მის არსებაში საპატიო ადგილი უკავია სინდისს და პატიოსნებას. ამას შემდეგ ლექსის ლირიკული გმირი მდიდარს ჩაახედებს სარკეში:

„თავს უჩვენებ საიმედო ძმობილად,
გულით მყრალი გროშისთვის ემოყვრები,
ასე, კაცო, ამნაირად გამდიდრდი,
რომ ამხანაგთ გროშისთვის საფლავს ყრიდი".[2]

ასეთი კაცი სინდის-პატიოსნებით ვერ დაიკვეხნის, მისი „განძი ფინთად ყარს", „გესლი არის ცოდვილთ შენაგროვები". ასეთ სიმდიდრეს სიღატაკე ურჩევნია ობოლს, ოღონდ სინდისი შეინარჩუნოს. მოზარდს მომავლის იმედი აქვს, მასაც მოელის ერთ დროს გახარება, შიმშილ-წყურვილის დაძლევა. სწამს, რომ

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 58.
[2] იქვე, 59.

ეს თავისით არ მოვა, როცა გაიზრდება, შეეჩვევა ოფლის ღვრას, ლუკმა-პურს შრომით მოიპოვებს, მინდვრად გავა სამუშაოდ, როგორც გლეხი. შეიძენს ძროხას, ხარს, მათ საკუთარი თავივით მოუვლის, ამასთანავე დაოჯახდება:

„გავიზრდები, ოჯახობას გავმართავ,
მეც შევიძენ თითოუღელ ძროხა-ხარს...
გავალ მინდვრად გლეხი სამუშაოდა,
შრომითა ვჭამ ამ ორ დღეში ლუკმა-პურს...
მაგრამ მოჯობს არ მივენდო იმედებს,
ამთავიდან შევეჩვიო ოფლის ღვრას".[1]

ივანე გეგია 1887 წელს წერს უსათაურო ლექსს („ჩამოცხა და პაპანებს ზაფხულშია ქვეყანა"), სადაც ისევ მშრომელი გლეხის სახეა გამოხატული. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში გლეხი ნამგალს ლესავს, „მოსამკალად ელის ყანა". ყანისკენ გაქანებულს პირისახე უღიმის, „უხარია მუშაობა", „შეუშრობლად ჩამოდის წურწურით ოფლის ღვარი". მის გარჯას სტიმულს აძლევს შინ დარჩენილი ერთგული მეუღლე, „პაწაწაც ბუბუს მწოვარი":

„მას გულს პაწა უმხნევებს, შრომისთვის თავდადებულს,
იცის, შვილს სწავლა უნდა, ესეთი დრო შესწრებულს".[2]

პოეტს ასეთი მშრომელი გლეხის ხალვა უხარია, უწონებს ქვეყნისთვის ერთგულებას. აღტაცებით მიესალმება მას: „გამარჯვება, მშრომელო, ერთგული ხარ ქვეყნისთვის, ოჯახობას ახარებ, ცხოვრობ წყნარად თავისთვის. იცოცხლე, გამიმაგრდეს შენი მუშა მკლავია, ვის გულით არ უყვარდე, მას მოუკვდეს თავია". სწორედ ასეთი გლეხი წარმოადგენს მგოსნის იდეალს: ქვეყნის ერთგული, ცოლ-შვილის უზომოდ მოყვარული, შრომისმოყვარე, თავისი „მუშა მკლავით" ოჯახის მარჩენალი, სინდისით და პატიოსნებით ქებული.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 59.
[2] იქვე, გვ. 62.

ამრიგად, ივანე გეგია პოეტური შემოქმედების სოციალურ ნაწილში მიუღებლად თვლის საზოგადოებრივ უთანასწორობას, არაადამიანურ ქცევებს, შურზე, ანგარებებზე, ძალმომრეობაზე დამყარებულ ბედნიერებას, მდიდარსა და ღარიბს შორის აღმართულ ყრუ კედელს. ავტორისთვის მომაკვდინებელია ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც გლეხთა ყოფითი პირობების კიდევ უფრო გაუარესება, გლეხების ღირსება-უფლებათა გათელვის შედეგად სიყვარულის ღირსადაც მათი ჩაუთვლელობა. ამავე დროს, რამდენიმე ლექსში წარმოჩენილია ნათავადართა გროტესკული სახეც, რომელთაც ხელიდან გამოცლიათ ძველი პრივილეგიები, სიმდიდრე, უზრუნველი ცხოვრება. პოეტი გლეხების ხსნა-გადარჩენას მხოლოდ შრომაში ხედავს, საქართველოს მხსნელი გმირების გამოზრდას მათივე წიაღიდან მოელის.

ივანე გეგიას პოეზიაში სიყვარულის თემატიკა, სხვა მოტივებთან შედარებით, უფერულად გამოიყურება. მიჯნურობის გრძნობა რამდენიმე ლექსში იჩენს თავს: „მილოცვა“ (1884), „გაყრა“ (1885), „ხალხური“ (1885), „ეშხით მთვრალს“ (მეორე ლექსიც ამავე სათაურით დაუწერია – 1885), „ახალ-მოდის ქალი“ (1885). როგორც ვხედავთ, „მილოცვის“ გარდა, ყველა ნაწარმოები 1885 წლით თარიღდება. ეს ლექსები უფრო მწიგნობრული ზემოქმედების ქვეშაა, ვიდრე უშუალოდ გულწრფელობით თქმული. ისინი სიყვარულის მოტივისთვის ხარკის გაღების (თანაც ხელოვნურად და არა ბუნებრივად) ნიშნითაა აღბეჭდილი. მცირე გამონაკლისის გარდა, არც მხატვრულობით გამოირჩევიან.

მგოსანი „მილოცვაში“ მეგობარ ქალს მიესალმება სიყვარულის დაგვირგვინების, ნატვრის ასრულების, სასურველი პიროვნებისთვის (მეტაფორულად „ლომი“) ცოლად გაყოლის გამო. გამჩენს ევედრება, რომ ახალდაქორწინებულთ თავის დროზე ვაჟი ეყოლოთ. უსურვებს ცოლ-ქმარს ოჯახურ სიმტკიცეს („თქვენი უღელი სულ მტკიცეთ ჰყოს ღმერთმა გამაგრებული“). მეგობარ ქალს ძმური სიყვარულით სამკაულებს უძღვნის: „ქალობა დიდებით ისმოდეს ამა ქვეყნიურ... ორივე ნაზმა გვრიტებმა იცოცხლეთ მრავალჟამიერ“.

საგულისხმოა, რომ „მილოცვა“ იწყება „ლომის“ მეტაფორით („თავმოდრეკით სალამს გიძღვნი, მოგილოცავ ლომთან წოლას“. აქ „ლომი“ ძლიერი მამაკაცის მეტაფორაა) და სრულდება „გვრიტის“ მეტაფორით („ორივე ნაზმა გვრიტებმა იცოცხლეთ მრავალჟამიერ“). „გვრიტის“ სიმბოლურ-ალეგორიულ განსახიერებას ჯერ კიდევ ბიბლიაში ვეცნობით: „ხმაჲ გუირიტისაჲ ისმა ქუეყანასა ზედა“ (ქებ. 2,12). ამ ციტატას იოანე ოქროპირი ასეთ განმარტებას აძლევს: „ეს გურიტი ახსენა ქებასა მას ქებათასა და

თქუა, ვითარმედ: ხმაი გურიტისაი ისმა ქუეყანასა ჩუენსა, ხმაი გურიტისაი მის რომელიმე ციით იყო, რამეთუ ქრისტე მოსულად იყო ზეცით და ამას გვაუწყებდა ჩუენ".[1]

ამრიგად, იოანე ოქროპირის მიხედვით, „ქება ქებათა სოლომონისას" გვრიტის ხმაში ალეგორიულად ქრისტეს ხმა მოიაზრება. იგი, ამასთანავე, გვრიტს ეკლესიის, სულიწმიდის მეტაფორადაც სახავს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იოანე შავთელის სახოტბო-საკარო პოეზიის ნიმუშ „აბდულმესიანში" თავს იჩენს „გვრიტი" მეუღლეობრივი სიყვარულის სიმბოლო-მეტაფორად: „გვრიტთა მართვისა, თვარ აქვს მართ ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა". ამ ტაეპმა აკად. ალექსანდრე ბარამიძეს საფუძველი მისცა „აბდულმესიანის" ხოტბის ობიექტთა საკითხი გაერკვია: „აბდულმესიანში" აუცილებლად ორი პიროვნებაა შექებული. თხზულებაში რომ თამარ მეფეა შექებული, ეს უეჭველია, ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ მეხოტბეს თამართან ერთად შეექო მისი ღირსეული მეუღლე და თანამეფე დავით სოსლანი... ესე იგი, თუ არა გვრიტთა ოჯახს (გვრიტების ბარტყებს), აბა სხვას ვის აქვს თქვენსავით (მშვიდი, მყუდრო და ტკბილი) მეუღლეობრივი ცხოვრებაო".[2]

მოტანილი წყაროები საშუალებას გვაძლევს იმის გასარკვევად, რომ ივანე გეგიასთვის გვრიტის მეტაფორულ-სიმბოლური შემეცნება მახლობელი ყოფილა მეუღლეობრივი ტკბილი ცხოვრების წარმოსაჩენად.

„გაყრა" სათაურიდანვე გვაკვალიანებს განუხორციელებელ ცალმხრივ სიყვარულზე. ქართულ მწერლობაში ცალმხრივი სიყვარულის მწარე შედეგების ჩვენებას პირველად თეიმურაზ პირველის (1589-1663) პოეზიაში ვეცნობით, განსაკუთრებით

[1] იოანე ოქროპირი, "გურიტისათვის", წიგნში: სინური მრავალთავი, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 226.
[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, თბ., 1940, გვ. 128.

სპარსულიდან გადმოკეთებულ ლიტერატურულ ნიმუშებში: „ვარდბულბულიანი", „შამფარვანიანი"...

ივანე გეგიას საანალიზო ლექსის („გაყრა") ლირიკული გმირი შეშფოთებულია სატრფოს გულგრილობით. ვაჟის მხურვალე სამოკიწურო ვნებათაღელვას ქალი არ თანაუგრძნობს. დაეჭვებულია, რომ ის სხვაზეა გამოკიწურებული, სხვა ვინმე უმღერის ბაიათ-მუხამბაზს. გაგულისებული ვაჟი ღვინოში კლავს დარდს და ჯავრს:

„შენ ჩემზე, სატრფო, გული არ გიძგერს,
ბაიათ-მუხამბაზს სხვა ვინმე გიმღერს;
მაშ, გამარჯვება დაუძახე მას,
მე კი სალხინოდ ვიწყებ ღვინის სმას".[1]

ღვინის სმით არ მოიწყენს, იმღერებს, იღიღინებს, მომავალშიც ასე გააგრძელებს. იმდენად განრისხებულია მიჯნურზე, რომ ბოროტ სულად, „ეშმაკებთან მომლხენად" ესახება იგი, მის უყოლობას არ შეუფერხებია „სავალი ცხოვრების დღენი":

„წადი, გამშორდი, სულო ბოროტო,
აწ ეშმაკებთან იყავ მომლხენი.
მყავდე, არ მყავდე, მაინც მიდიან
ჩემი სავალი ცხოვრების დღენი".[2]

პირველი ტაეპის წაკითხვისთანავე ნიკოლოზ ბარათაშვილის გენია შეგვახსენებს თავს: „განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო სულო ბოროტო". „გაყრის" უიღბლო შეყვარებული თითქოს ამით იყრის ჯავრს, თითქოს პესიმიზმში არ ვარდება, რადგან მისი ცხოვრების დღენი სვლას აგრძელებენ. ქვეტექსტში იგრძნობა, რომ მომავალში მაინც გამოჩნდება ვინმე, რომელიც მას გულს არ დაწყვეტს და სიყვარულში გაუგებს.

ივანე გეგიას ორი ლექსი აქვს ერთნაირი სათაურით –

[1] ი. გეგია, „გაზაფხულის მოლოდინში", გვ. 42.
[2] იქვე, გვ. 42.

„ხალხური", ორივე 1885 წელსაა შეთხზული. სახელწოდება მიგვანიშნებს ნაწარმოების ხალხურ მოტივებზე შექმნას შინაარსითაც და ინტონაციითაც. მხედველობაში გვაქვს სალექსო-მელოდიური ინტონაცია. პირველი „ხალხური" დასაწყისშივე სატრფოსთვის ანუ შეყვარებული ვაჟისთვის ზარდამცემია:

„ქალმა დამწყევლა: ყმაწვილო,
თავზე დაგეცა მეხიო!
შენ არ მინდიხარ, გამშორდი,
რადგან მუშა ხარ, გლეხიო".[1]

თურმე გლეხი, მუშა, კურტანისთვის ბარგის ამკიდებელი, თმა გაწეწილი, შავტუხა ვაჟკაცი ამ გადაგვარებული ქალის ტრფობის ობიექტად ვერასდროს იქცევა. ამ ქალის ბუნებიდან ირკვევა, მისი წარმომავლობა მდიდართა წრიდან და ისიც ამ წრიდან გამოსულთ „მიესიყვარულება" მხოლოდ. მისთვის უცხოა ჯანსაღი, ზნეობრივი სიყვარული. იგი მხოლოდ ფატმანურ მიჯნურობას ეტანება. მისთვის მთავარია დროის ტარება, გართობა, „ვარდიბულბულის მღერით" დატკბობა, ბაღში ხეტიალი მასზე გატაცებულთან ერთად, სიამოვნების გზით სიარული".

მეორე „ხალხურში" განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ავტორი ლამაზი გოგოს ნატვრა-ოცნებას გვაზიარებს გოგოსვე ენით: ენატრება გვერდით „ლოყაწითელი ქმრის" ყოლა, შავწეროსანის, შავთვალას, ტანად მაღლის, წელწვრილის, ეშხიანის, სილამაზით შემკულის:

„ლამაზი გოგო ამბობდა:
რად მინდა ჩანგი, თარიო,
ვა, რა კარგია, რომ მყავდეს
ლოყაწითელი ქმარიო.
შავწეროსანი, შავ თვალით
შემკული, დახატულიო,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 42.

წელწვრილა, ტანად მაღალი
და ეშხის ატანილიო".[1]

ლექსის გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ გასათხოვრად მომწიფებული გარეგნობით ლამაზი ქალი დაეძებს ასევე გარეგნული სილამაზით შემკულ საქმროს, მას არ აინტერესებს მომავალი მიჯნურის სულიერი მშვენიერება, კეთილშობილება, შინაგანი მისაბაძი ადამიანური თვისებები. ე. ი. მომავალში მისი სიყვარული დაეფუძნება საქმროს მხოლოდ ფიზიკურ თვალწარმტაცობას, გარეგნულ მიმზიდველობას. არ ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად სანანებელი გაუხდება ეს ყველაფერი ოცნების ახდენის შემთხვევაში. ქალისთვის შორეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგონებანი:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების,
აგრეთვე გული მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები".

„ეშხით მთვრალს" გვაცნობს „ყელ-ბროლიან, გიშრის თმიან" კატოს, რომელსაც პოეტი შთააგონებს: სიყვარულში, საქმროს არჩევანში არ შეცდეს, არ დაემონოს „ეშმაკის სულს", საქმროს ეშხით არ დათვრეს, განჭვრიტოს გონებით თუ იმ ეშხის უკან რა იმალება:

„რა უნდობი შეგითვისებს,
უსირცხვილოდ ქუდს აიხდის,
შენ დაგაგდებს, სხვას მოიმხრობს,
სამწუხაროდ დღეს გაგიხდის.
მას მიანდობს ყოველ ღონეს,
შენ გულცივად შეგიყვარებს
და მით, კატო, ტკბილ სიცოცხლეს
ნაღველივით გაგიმწარებს".[2]

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 52.
[2] იქვე, გვ. 49-50.

ლექსი დამრიგებლური ხასიათისაა, რომლის წამკითხველს მართებს გაიზიაროს კატოს მიმართ ავტორის მიერ გამოთქმული შეგონებანი, რათა დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯი ცხოვრების მანძილზე სანანებელი არ გაუხდეს.

„ახალ-მოდის ქალზე" სოციალური მოტივის განხილვისას უკვე გვქონდა საუბარი. მამონას ტყვე, ვერცხლისმოყვარე ქალის სიყვარული საქმროს გარეგნულ შემკულობას და მხოლოდ ფულს, სიმდიდრეს ემყარება. ამას მოკლებულნი მაიმუნად ესახება, ავადმყოფურად, გლეხებივით ეზიზღება.

შეიძლება დავასკვნათ, ქართული სიტყვიერი კულტურის მარად გაუხუნარი თემა ამქვეყნიური, მიწიერ-ზნეობრივი სიყვარულის გრძნობის სახით, ივანე გეგიას პოეზიაში, სხვა მოტივებთან შედარებით, უფერულად და არადამაჯერებლად მოჩანს. მიუხედავად ამისა, პოეტის ჩვენამდე მოღწეული მხოლოდ რამდენიმე სამიჯნურო ლექსი მკითხველის ინტერესის სფეროდან როდი გადის. ავტორისთვის სიამოვნების მომგვრელია შეყვარებული წყვილის სამიჯნურო განცდების ქორწინებით დაგვირგვინება, მომაკვდინებელია ცალმხრივი სიყვარული, ვისრამიანულ-ფატმანური მიჯნურობისთვის მორჩილება, სოციალური წარმომავლობის გამო ქალის მხრიდან გლეხის არჩათვლა სიყვარულის ღირსად (იგულისხმება მდიდართა წრიდან გამოსული ქალი). ასევე პოეტისთვის მიუღებელია მხოლოდ გარეგნულ სილამაზეზე დამკვიდრებული სიყვარული, სულიერი მშვენიერების იგნორირების ხარჯზე. შთამაგონებლად ჟღერს მგოსნის გაფრთხილება, რომ სიყვარულის გზაზე ნაჩქარევად და დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯი სამომავლოდ სინანულის ფასად ჯდება.

„ᲝᲨᲠᲝᲛᲔᲗ, ᲫᲔᲜᲝ, ᲛᲝᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲡ“

ივანე გეგიას ლირიკაში თავს იჩენს ფილოსოფიურ-დიდაქტიკური წიაღსვლანი, ბრძნული შეგონებანი, რჩევა-დარიგებით აწეული ტონი, რაც, საერთოდ, ჰაერივით სჭირდებოდა იმჟამინდელ მკითხველ საზოგადოებას. პოეტის შთამაგონებელ სიტყვებში იკვეთება სამშობლოს სიყვარული, ზნეობრივი სიწმინდის დაცვა, სინდის-ნამუსიანი ცხოვრება, ადამიანის მოვალეობის შეგნება, აზრისა და გონების ჩაყენება სიკეთის სამსახურში და ა.შ. ამ მხრივ გამოირჩევა: „ჭაბუკი“, „მოზარდი“, „ბაღანა“, „ადამიანს“ და სხვ.

„ჭაბუკში“ მგოსანი შთააგონებს ახალგაზრდა კაცს: სიცელქეს მოერიდოს, სიამაყეს შეეშვას, ქვეყანაზე ფიქრს მისცეს თავი, „მედროვე სიყმაწვილემ“ არ შეაცდინოს, ვინაიდან იგი „ქაფურივით გაუქრება“; სიზარმაცით ვერ დაბლევს ცხოვრებაში გასაჭირს, მთავარია შრომას მიებალოს, „შრომით გაიმაგროს ძირი“; პოეტი ჭაბუკს შეახსენებს ქართულ ანდაზას: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“. სამშობლოს გაუმართლოს მოლოდინი ხსნისა და შველისა: „შენ, ჭაბუკო, ნუ ხარ ცელქი, ამაყობა არ შეგშვენის... გულზე ლოდი დაიდევი ამა ქვეყნის“; „სიყმაწვილე მედროვეა, ვით ქაფური გაგიქრება“... იცი, სამშობლო მოელის შენგან შველას, გახარებას“. „დღეს რასაც თესავ, შემდეგში მოსამკალად ის დაგრჩება“:

„კაცო, მრავალი მოგელის
ცხოვრებაში გასაჭირი,
მცონარება არას გარგებს,
შრომით გაიმაგრე ძირი“.[1]

დიდაქტიკური ლექსია „მოზარდთ“, რაზეც გარკვეულწილად ზემოთაც გვქონდა საუბარი. ლექსი შთაგვაგონებს: ახალგაზ-

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 65.

რდობა არის ქვეყნის მომავლის მშობელი, მან წინ უნდა წაიმძღვაროს წმინდა აზრი, რომელიც მუდამ დაიცავს სიმართლეს; ახალგაზრდებმა მედგრად უნდა იშრომონ, მთავარ მიზნად ცოდნის დაგროვება უნდა დაისახონ, უპირველესად მშობლიურ ენას უნდა მიაგონ პატივი, ქართველი ერის დიდებით აღორძინებისთვის ენერგია არ დაიშუროონ, ნიჭიერება გამოიყენონ ქვეყნის სასარგებლოდ, გამოფხიზლება განაქარვებს ოხვრა-მოწყენას. ავტორის რჩევა-დარიგების გვირგვინია ბოლო ტაეპი: „მსხვერპლი იყავით სამშობლოსი და დედაენის":

„ახალგაზრდობავ, მომავლის თქვენ ხართ მშობელი,
წინ გაიყოლეთ აზრი წმინდა, მართლის მფარველი.
იშრომეთ, ძენო, მოეხმარეთ სწავლის შეძენას,
პატივი ეცით, ნუ ივიწყებთ სამშობლო ენას".[1]

„ბაღანა" ნაწილობრივ განვიხილეთ სამშობლოს თემაზე მსჯელობისას, შევეხოთ იმ ტაეპებს, საიდანაც გამოსჭვივის დედის დამრიგებლური ტონი თავისი პაწიას მიმართ: სიმართლისთვის დაჩაგრულის დაცვა, მტრის მოსასპობად საკუთარი სისხლის გაღება, ქვეყნის წარსულის შეცნობა, მომავლის გაცნობიერება, სამშობლოსთვის ერთგულება...

„სამშობლოს ერგული იყავ, ჩემო ქვეყნის მნათო...
გახსოვდეს ჩვენი წარსული, მიხვდი მომავალსო,
ყველას ერთად ნუ გაჰყვები შენს წინ მიმავალსო,
სიმართლისათვის დაჩაგრულს, შვილო, იფარვიდე,
მტრის რაზმში ჩაერეოდე, სისხლს ველად დაღვრიდე"...[2]

პატრიოტულ მოტივზე შექმნილ „გამოსალმებაში" დიდაქტიკური შეგონებანი კიაფობს. რუსეთში გადასახლებული მგოსანი, ბუნებრივია, სამშობლოსაა მონატრებული. საინტერესო ისაა, რომ ივანე გეგია მშობელ ქვეყანას ემუდარება – ადამიანური

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 67.
[2] იქვე, გვ. 69.

ნატვრანი და სურვილები აუხდინოს. სათქმელი დიდაქტიკურ ტონშია განფენილი:

„მოღალატენი ამხილე,
ჭკუით შეცდომა მათიო,
მოსპე და გაანადგურე
ორპირი, უკუღმართიო".[1]

უვადო პატიმრობაში მყოფ სამურზაყანოელ მგოსანს ეეჭვება მშობლიურ მხარეში დაბრუნება და სამშობლოს შთამაგონებელი სიტყვებით მოუწოდებს: „აღზრდიდე მხოლოდ გმირებსა, სახელოვან შვილებსო, შენზე მისეულ მტრებისთვის მეომართ გამოცდილებსო". „აღზრდიდე ერთგულ შვილებსა"...

დამრიგებლური ხასიათისაა „ადამიანს". არ არის გამორიცხული, ეს ლექსი მამია გურიელის (ფაზელის) მიბაძვით შექმნილიყო, რაც ერთობ პოპულარული ნაწარმოები იყო თავისი დროისთვის. პოეტი ადამიანს შთააგონებს: ცხოვრების ზღვის ძლიერმა ტალღამ არ შეაშინოს, ივალდებულოს დაჩაგრული მოძმის ერთგულება, მომავლისთვის მედგრად იბრძოლოს, გამარჯვების დროშა გაშალოს, ქვეყნის ხსნა-გადარჩენისთვის ძალ-ღონე არ დაიშუროს, იმოქმედოს მაღალი აზრით, კერპების ტახტი არ დაინდოს, უწმინდეს მოვალეობად მიიჩნიოს მაშვრალისთვის მძიმე ტვირთის მოხსნა:

„დაჩაგრულ მოძმის ერთგულება თავს იდევ ვალად,
ნუ შეგაშინებს ცხოვრების ზღვა, ტალღა ძლიერი...
გაშალე დროშა გამარჯვების, ააფრიალე...
გახსოვდეს, შენ ხარ მხსნელი ქვეყნის, მებრძოლი ძალა...
არ დაივიწყო შენი წმინდა მოვალეობა,
რომ მოხსნა მაშვრალს ტვირთი მძიმე, შენ გევალება,
აასხივოსნე ბნელში მყოფი მთელი სამყარო...
მხსნელის სახელი სიამაყით ქვეყნად ატარო".[2]

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 73.
[2] იქვე, გვ. 82.

როგორც მოკლე და ზოგადი განხილვიდან გაირკვა, ივანე გეგიას პოეტურ შემოქმედებას წითელ გვირისტად გასდევს დიდაქტიკური შეგონებანი, ბრძნული რჩევა-დარიგებანი. ამ მხრივ გამოირჩევა განსაკუთრებით მისი აფორიზმები. ოთარ ჭურლულია წერს: „ივანე გეგიას ხალხში შეუკრებია აფორიზმები და ანდაზები, დაუხვეწია ისინი და გამოსაცემად გაუმზადებია. სულ მის არქივში დაცულია 260 აფორიზმი და ანდაზა (საბოლოო რედაქცია), რომელთაგან ზოგიერთი საკუთარია, ავტორისეულია. ბევრი მათგანი ძალიან ზუსტი და ხატოვანია"[1] (დღეს ეს აფორიზმები აღარ არსებობს. იგი გამოუქვეყნებელი დარჩა და 1991-1992 წლების მიჯნის თბილისის ტრაგიკულმა მოვლენებმა შეიწირა, ცეცხლმა შთანთქა). გადარჩა ის ნიმუშები, რომელნიც ოთარ ჭურლულიას თავის „ნარკვევებში" საილუსტრაციოდ დაუმოწმებია. ჩვენც მთლიანად გადმოვწერეთ ისინი:

შური – მტრობის სათავე ბოროტებაა.

გონიერი ბრმა უფრო შორს იხედება, ვიდრე უგნური საღი თვალით.

იძულებით მიძღვნილი საჩუქარი იგივე ქრთამია.

სხვისი ბევრი ნუ გშურს, შენი ცოტა ნუ გძულს.

ხარბი კაცი სიცოცხლეში დღემუდამ მშიერია.

უზომო ამპარტავნობის საფუძველი გადამეტებული თავმოყვარეობაა.

სიყმაწვილე ოცნებაა, სიბერე კი სინამდვილე.

პატრონის მოღალატე ძაღლი მტრის წაგდებული ლუკმით იქრთამება.

სულელ მეგობარს ჭკვიანი მტერი გერჩიოს.

ხალიჩის საუკეთესო ოსტატი ხშირად დაცვეთილ ჭილოფზე კვდება.[2]

---

[1] ო. ჭურლულია, ნარკვევები, გვ. 96.

[2] იქვე, გვ.97.

„რა ძნელია ეს ოხერი სოფელი"

დროის ულმობლობის განცდაც ესოდენ მახლობელია ივანე გეგიას პოეტური სულისთვის. ეს მომენტები განსაკუთრებით გამოსჭვივის მგოსნის რამდენიმე ნაწარმოებიდან: „მოგონება", „ძველი თავადი", „ენუქას სინანული", „ჭაბუკი", „სინამდვილე".

„მოგონებაში" პოეტი იხსენებს: პატარაობისას ტოლებში ცეკვა-ხტომით დავრბოდი, „ხან კეკელუას დავყავდი, ხან დედას – მკლავზე ჯდომითა. საღამო ჟამზე სიცელქით, ამხანაგთ ჩავერეოდი, ზოგი უწყალოდ დამცემდა, ზოგს ხერხით მოვერეოდი". მგოსანი იგონებს თუ ბურთივით დილით როგორ გაგორდებოდა ნამიან მწვანე ბალახზე, როგორ ხელყოფდნენ პატარები ბელურის ბუდეს: „მაშინა უნდა გენახათ ბარტყების ჟივილ-ჭყივილი და დედა ჩიტის მოწყენით საზარი გალობა-წივილი". ამასთანავე, ტკივილით აგონდება შუადღისას მდინარის წყალში ჩაყვინთვა-ჩაყურყუმალავება, ცურვა, როგორც იხვები ტბაშია". ყოველდღე სიმღერა-თამაშით, ლაზღანდარობით, ხუმრობით გაჰქონდათ თავი ბავშვებს. მაგრამ ულმობელი დრო სანთელივით გაქრა, წავიდა ბავშვობის ხანა, რომელიც მუდამ სანატრელია. გაფრინდა სიყმაწვილე ისე, რომ არასოდეს მობრუნდება. იგი ამჯერად მხოლოდ მოგონებებში ცხოვრობს („მოგონება" დაწერილია 1885 წელს, როცა ივანე გეგია 24 წლისა იყო):

„იგი დრო ახლა მენატრის,
გამიქრა, ვითა სანთელი,
გაფრინდა, აწი ვერ ვნახავ,
გლოვაა წუთი სოფელი.
დრო ბავშვობისა კაცისთვის
ოხვრითა მოსაგონია,

ან უტკბესს კაცი რას ნახავს,
მახსოვს და გამიგონია".[1]

24 წლის ჭაბუკმა პოეტმა ბავშვობასთან გამოთხოვებით აღძრული სევდა წუთისოფლის გლოვასთან გააიგივა. ბავშვობის ხანა ოხვრით მოსაგონია იმდენად, რამდენადაც მისი სიტკბოება არასოდეს დაბრუნდება, რაც მხოლოდ ხსოვნა-მოგონებაშია ჩაფერფლილი.

ივანე გეგიამ ყოფილ თავადს, ნათავადარს („ძველი თავადი") ათქმევინა „მოწამლული წუთისოფლის" რაობის შესახებ. მასაც აგრძნობინა სიკვდილის წინ ცხოვრების, საწუთროს წარმავლობის სიავენი, ამიტომაც აღიარებინა ჩადენილი ცოდვები:

„ამ ყაიდით ვატარებდი წუთისოფელს მოწამლულსა"...
„აწი შემიპყრა სიკვდილმა და ჩამიზიდა სამარემ,
გულში მალული ცოდვები მათქმევინა დღეს სიმწარემ".[2]

ენუქა („ენუქას სინანული") წუთისოფლის გმობამდე მიიყვანა ძველი პრივილეგიების დაკარგვამ, უფულობამ. სიმწრით იგონებს განვლილ დროს მამის სიმდიდრით გაამპარტავნებული ენუქა, როცა ჯიბეზე სავსე ჰქონდა ფულით, როცა „ფეხზე ეცვა სირმიანი ქოშები", დაპარპაშებდა „დროშკებით", როცა ყველას ერიდებოდა მისი, ჩანგ-სიმღერებით ხვდებოდნენ, მომღერლებს თუმნიანებით ასაჩუქრებდა; დიდი კაცის შვილებიც მოკრძალებით ეპყრობოდნენ. ეს ყველაფერი უკვე შავმა წყალმა წალეკა, წავიდა ის დროს, სოციალური ვითარება შეიცვალა, ენუქა გაღატაკდა, ადრე სწამდა, რომ ეს სოფელი ბოლომდე გაუტკბებოდა, მწარედ მოტყუვდა. ახლა კი საწუთროს გმობით იოხებს გულს:

„რა ყოფილა ეს ოხერი სოფელი,
ვცანი ახლა, რომ ყოფილა მყვლეფელი.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 44.
[2] იქვე, გვ. 51.

სიზმარშიაც არ მელანდება ფული,
მართალს ვიტყვი, შიმშილით მეწვის გული"...[1]
„ღმერთმა იცის, ცხოვრება მეძნელება,
უფულობით სიცოცხლე მეძნელება.
გარე, სახლში ყველა მე მემტერება,
ვაი, რა ვქნა, ცოლიც არ მეკარება".[2]

პოეტი ახალგაზრდა კაცს („ჭაბუკი") მოძღვრავს: „სიყმაწვილე მედროვეა, ვით ქაფური გაგიქრება"; „დამიჯერე, სიყმაწვილე სულ ბოლომდინ არ შეგრჩება". ე. ი. სიყმაწვილეც ისეთივე წარმავალია, როგორც, საერთოდ, ამქვეყნიური ცხოვრება, ეს ოხერი წუთისოფელი. ამიტომაც ადამიანი ვიდრე ფიზიკურად არსებობს, შრომისთვის თავი არ უნდა დაზოგოს, დროულად დათესილს დროულადვე მოიმკის, მისი ბრძოლის და გარჯის მთავარი მიზანი სამშობლო უნდა იყოს.

1928 წელს დაწერილ ლექსში („სინამდვილე") ივანე გეგია მოხდენილად ამბობს, თუ როგორ აზრობს ვარდს ყინვა („ვარდსა ყინვა დააზრობდა„). მეტაფორულად ნათქვამია, რომ ტიალ საწუთროში ვარდს სილამაზე ბოლომდე არ შერჩება, ანუ ადამიანის ფიზიკურ მშვენიერებას სიბერე უღებს ბოლოს („ყინვა აზრობს"). ლექსი აფორიზმით სრულდება: „სიჭაბუკე ოცნებაა, სიბერე კი – სინამდვილე". ეს ლექსი იმედგაცრუების აღიარებაა.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 51.
[2] იქვე, გვ. 57.

ივანე გეგიას პოეზიას პესიმისტური განწყობაც არ მოკლებია. მართალია, მისი ლირიკის მთლიანობაში გაცნობიერებისას მგოსნის ოპტიმიზმში ეჭვიროდი შეგეპარება, მაგრამ, სამწუხაროდ, სევდა-ნაღველიც, მელანქოლიურობაც აჩრდილივით სდევს თან. ეს არც მოულოდნელია და არც გასაკვირველი. XIX საუკუნის II ნახევარში, XX საუკუნის დასაწყისში და შემდეგაც – პოეტის სიკვდილამდე. იმდენი რამ გადახდა თავს ჩვენს ქვეყანას, ქართველ ხალხს, რომ შეუძლებელი იყო მას პოეზიაში მკვეთრი და მწარე გამომახილი არ მოჰყოლოდა.

ცარიზმის რეჟიმის უღელქვეშ დამონებული საქართველო, დაბეჩავებული, დავრდომილი და წელში გატეხილი ქართველი ხალხი იყო ივანე გეგიას და მისი მსგავსი პატრიოტი მწერლების სადარდებელი და სასევდიანო. ამას ემატება ქართველთა გარკვეული ნაწილის გაორება, გადაგვარება, ადამიანური თვისებებისგან შორს ყოფნა, გადარჩენის მიზნით ყველაფერზე წასვლა, ცარისტული ხელისუფლებისგან მონიჭებული პრივილეგიების გამო საშშობლოს ინტერესების იგნორირება, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირე და ა.შ. ქართველთა მორალური და ზნეობრივი დაცემა იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა სამურზაყანოელი მგოსნისათვის, რომ ამ ქვეყნად არაფერი ახარებს:

„არ მახარებს ოქრო-ვერცხლი, ფულები.
არც ოჯახი, არც ცოლი და შვილები.
ყოველ წამზედ გულს ჯავრი მებადება,
ჩემს დარდებთან სხვისიც მე მემატება“.[1]

რაოდენ ასატანია ძმის მიერ ძმისთვის სამარის გათხრის ხილვა, ძმის შეუბრალებლობით მონიჭებული ბედნიერების, ტკბობის განცდა, ადამიანის მოვალეობის უგულებელყოფა, მედიდუ-

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 48.

რობის აღზევება, ღონიერის მიერ უძლურის დაჩაგვრა:

„თვალწინ ვხედავ ძმა ძმას უთხრის სამარეს,
არ იბრალებს, შიგ აგორებს მწუხარეს.
სურვილს მორჩა კაცი, ბედნიერია,
უძლურებთან აწი ღონიერია".[1]

ამის შემყურე პოეტი დასტირის ამნაირ უბედურ დროს: ძმის გამწირავი და სამარეში გამსტუმრებელი კარგ კაცად ინათლება, მისი ნამოქმედარი საამაყო საქციელად ირაცხება: „გამართულა, ამაყად აცქირდება, გასდგომია ტანში მედიდურება; იძახიან – კარგი კაცი არისო, გემოც იცის სიტკბო და სიმწარისო, გაჭირვებულს სიტყვით შეიწყნარებსო". თუმცა ამისთანა არამზადის მაქებრებმა კარგად უწყიან, რომ „საქმით ბოლოს კი ამწარებსო". მისთანანი ამნაირ შვილს ნატრობენ. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ტყუილი ფასობს, სიმართლე კი გაუფასურებულია: „ამნაირი უნდა გყავდეს შვილიო, ახლანდელ დროს ჯობს სიმართლეს ტყუილიო". არაკაცების შემფასებელთა სიტყვების მოსმენა მგოსანს თრგუნავს, გრძნობს, რომ ისინი ქრისტეს მოძღვრებიდან შორს დგანან:

„ახლო ვიდექ ამ სიტყვების გამგონი,
არვინ იყო ქრისტეს სიტყვის მომგონი
ვინ ატარებს ამ ქვეყანას რიგითა?
ღორიც კაცობს თავის გრძელი დინგითა".[2]

ასეთ გრძელდინგიან ორფეხა ღორების შემყურე პოეტი, ცხადია, პესიმიზმს ვერ დააღწევდა თავს. ლექსში "შეხვედრა" ყმაწვილი უჩივის უბედობას. მიმხვდარია, რომ გულის შეჭირვება და ცრემლთა დენა არაფრის მომტანია. იგი უფლის მიმართ საყვედურით იქარვებს ნაღველს, ბედს უჩივის, რომ გმირი ვერ გახდა მტრის დასამარცხებლად და სახელის მოსახვეჭად:

„რომ ჩემთვის ღმერთსა კარგი ნდომოდა,
ენა დაბმული არც მექნებოდა,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 48.
[2] იქვე.

ჩემებრ გრილს ნაღველს მით ვიქარვებდი,
რომ ცუდსა რამეს მაგრად ვკადრებდი".[1]

როგორ გავიგოთ ან შევაფასოთ ყმაწვილი კაცის მხრიდან ღმერთის მიმართ ასეთი დამოკიდებულება? თავის უბედობაში უფლის ხელს ხედავს. ეს უკიდურესად გულშეჭირვებულის ჩივილია, ეს წუთიერი გულისწყრომის გამოხატულებაა და არა უფალზე ხელის აღება. მითუმეტეს, ლექსის შუა ნაწილში ყმაწვილის ნათქვამს დაეჯერება: „ღმერთს არ ვკადრებ მუდამ გმობასა".

ბედის მოძულებული ობლის ჩივილს სხვა ლექსებშიც („ობოლი") ვხვდებით. მას გული სტკივა, რომ „უგრძნობლობას შეჩვევია ქვეყანა", ადამიანში „სულგრძელობა აღმოფხვრილია", გულჩვილობამ გზა-კვალი დაკარგა. ობოლს ადარდებს მდიდრის უსულგულობა, თუმცა აიმედებს ღარიბის სინდისი და პატიოსნება. სხვისთვის წართმეული ქონებით გამდიდრება („ამხანაგს გროშისთვის საფლავს ყრიდი") „ცოდვით შენაგროვებ გესლად" ესახება. თუმცა ობოლი პესიმიზმიდან მიზანმიმართულად იკვლევს გზას ოპტიმიზმისაკენ. სჯერა, რომ „ერთი დრო" მასაც მოელის. მაგრამ ისიც იცის, რომ ეს თავისით არ მოვა. ობლის ოპტიმიზმი მედგარ შრომაში და ოფლის ღვრაშია ჩაკირული.

მგოსნის ოპტიმისტური განწყობა ამქვეყნიური ცხოვრების მიმართ იმის შეგნებაშია, რომ ადამიანის და ქვეყნის ხსნის მუხტი არ შენელდეს მასში, რაც ჭირის და სიამის განმსაზღვრელია, დაღონებული ფიქრით გულის შეხუთვა დროებითია და წარმავალი, ჭირს სამომავლოდ აუცილებლად ჩაენაცვლება ლხინი, „საიმედო ცხოველი სვეტის" აღმმართველია დაკარგული მოძმის შველით გულის აძგერება:

„იმ ლხენის დროს აღვმართავ მე
საიმედო ცხოველ სვეტსა,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 48.

ჩემი ჭირის და სიამის
განმსაზღვრელს და გადამწყვეტსა.
დაკარგული მოძმის შველა
ამიძგერებს მაშინ გულსა,
ვუჩვენებ მას გაბრწყინებით
სიმართლის გზას დაკარგულსა".[1]

ეს სიტყვები და სულიერი შემართება ასოცირდება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანთან": „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი თავის ბედის წინ გამოუქროლდეს". ლექსის („მიჯობს ფიქრმა დამაღონოს", 1887 წ.) დასასრულს სამურზაყანოელი მგოსანი გულწრფელად აღიარებს ოცნებებით გულში მწუხარების ჩაქრობას, მაგრამ მომავლისა ეიმედება:

„თუმცა დღეს კი ოცნებითა
გულში ვაქრობ მწუხარებას,
ვფიქრობ, ეგებ მეცა შევხვდე
მომავალში გახარებას".[2]

1887 წელს შექმნილ უსათაურო ლექსში („ისარ-მახვილად ჩემს სიყმაწვილეს") 26 წლის ივანე გეგიას ნიკოლოზ ბარათაშვილისეული სევდის აჩრდილი გადაუვლის: გულს არ შორდება მარადიული ტკივილი, მის სიყმაწვილეს „ისარ-მახვილად გრძნობის ტალღები გულს ესობიან", ამღვრეული და მღელვარე ფიქრები „მომავალ იღბალს ვერ ენდობიან". ბედისგან მოითხოვს წუხილის და სევდის გაცამტვერებას („და მომეხიდოს ცხოვრების ხიდად"). პოეტს საუკეთესოდ ესმის, რომ ბედიც თავისით არ მოდის, მას თვით ადამიანი უნდა შეეხიდოს, ოხვრით მძინარმა უნდა გამოიღვიძოს და მაშინ მისივე წილი ხვედრიც შეეშველება, რითაც ეჭვით შემოსილ სიყმაწვილესაც მდინარი ცრემლიც ადრე შეაშრება, უსიამოვნო ფიქრებსაც ბოლო

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 60.
[2] იქვე.

მოელება („მაშ, დაბოლოვდეს ფიქრის საზღვარი") და გულიც ტკივილისაგან განთავისუფლდება:

„დაჰკარი, ხვედრო, ჩემს ფიქრს ლახვარი
და გამაღვიძე ოხვრით მძინარი,
რომ ჩემს ნორჩობას, ეჭვით შემოსილს,
შეაშრეს ადრე ცრემლი მდინარი.
მაშ, დაბოლოვდეს ფიქრის საზღვარი,
კეთილი იყოს ჩემი სურვილი,
დაე, გათავდეს მოსარჩომელი
და გულს მოშორდეს მარად ტკივილი".[1]

„ჭაბუკის" თანახმად, ადამიანს ცხოვრებაში არაერთი განსაცდელი და გასაჭირი მოელის, რისი დამძლევი და დამთრგუნველიცა შრომითი საქმიანობა, სიზარმაცე კი, პირიქით, ჭირზე ისევ ჭირის ლოდის დადებაა: „კაცო, მრავალი მოგელის ცხოვრებაში გასაჭირი, მცონარება არას გარგებს, შრომით გაიმაგრე ძირი".

ოთარ ჭურღულია წერს: „უსათაურო ლექსში – „ნეტა რათ არის მაგრე სუსტი კაცის გონება" (1888), ივანე გეგია ფილოსოფიურ ასპექტში განიხილავს ადამიანის იმედისა და უიმედობის, რწმენისა და სიყვარულის რთულ საკითხებს".[2] ლექსში ავტორი უჩივის ადამიანის გონების სისუსტეს, გონების უკმარისობას. მას დღევანდელი რამ ხვალ არ ახსენდება, დღევანდელი წუხილი ხვალისთვის უკვე დავიწყებული აქვს; წუთიერი სიამოვნება ანიჭებს ბედნიერებას („მაგრამ ამ წუთით ბედნიერნი, იმ წუთზედ ვდნებით"); მცირე იმედიც კი მოლხენის საშუალებას აძლევს, მომავალზე არ ფიქრობს, არ ადარდებს მყოფადის ქადილი, მხოლოდ ოცნებითაა შემოსაზღვრული. წარმოდგენასაც კი არ იქმნის იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს პრაქტიკულად მისი ცხოვრება. ეს ლექსი სულ ორსტროფიანია:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 63.
[2] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 94.

„ნეტავ, რად არის აგრე სუსტი კაცის გონება,
დღეს რაც გვაწუხებს, ხვალ არ არის მისი ხსენება.
უცბად ივსება გული ჩვენი სიამოვნებით,
მაგრამ ამ წუთით ბედნიერნი, იმ წუთზედ ვდნებით.
რაკი ინათებს ნაპერწკალი მცირე იმედის,
კაცი უზომოდ თავს იფასებს, ლხენაში შედის;
აღარ ფიქრობს, რას უქადის მას მომავალი,
ოცნება არის მისი დროშა წინ მიმავალი".[1]

ივანე გეგიას 1902 წელს სოფ. უწერაში დაუწერია მტკივნეული ლექსი „სულით დატანჯული", რომელიც ასე იწყება: „სულით დატანჯული განდეგილი დავდივარ მარტო"... ამ დასაწყის ტაეპს რელიგიურ განწყობასთან საერთო არაფერი გააჩნია. სულიერებისკენ მიდრეკილნი და ხორცის უარმყოფელი ასკეტები სწორედ განდეგილობაში, საწუთროსგან, ამქვეყნიური ცხოვრებასთან გამოთხოვებაში პოულობდნენ შვებას, სულის ლხენას, დღეკეთილობას და თავისუფლებას. მათ ღმერთის იქით სხვა საფიქრალი თუ სადარდებელი არაფერი ჰქონდათ, დღე და ღამეს წირვა-ლოცვაში ატარებდნენ.

ივანე გეგიას ცხოვრებას როდი გაურბის, ის წუთისოფელშია დარჩენილი და იბრძვის ამქვეყნიური ცხოვრების კეთილშობილებისათვის. მას ყველაზე მეტად ამწუხრებს მშობელი ქვეყნის აუტანელი ხვედრი, მშობელი ხალხის ტანჯული ცხოვრება. იმიტომ დაიარება დატანჯული სულით, რომ ვერ ახერხებს ჩანაფიქრის პრაქტიკულ განხორციელებას. დროებით განმარტოებაში პოულობს რაღაც შვებას, შინაგანი წონასწორობის შენარჩუნებას, ღონემიხდილობით სანუგეშო ცრემლის გადმოყრას:

„სულით დატანჯული განდეგილი დავდივარ მარტო,
რომ მოდუნებულ მაჯისცემას სიმხნე შავმატო.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 68.

ღონის მიმშრალმა სანუგეშოდ ცრემლი ვიდინო,
წარსული დრონი აწმყოს იღბლად წარმოვიდგინო".[1]

მესამე ტაეპი ასოცირდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ განწყობასთან: „აქ ლბილ მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით, აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით". სულით დატანჯული ივანე გეგია ნატრობს ჩვენი წარსული დიდების აწმყოში დაბრუნებას. იგი მოწოდებულია მშვიდობა მის ძიებაში ჰპოვოს, ასევე ენატრება კაცთა შორის სათნოებისა და თავისუფლების პოვნა:

„მუდამ ვეძიო და ოდესმე ვპოვო მშვიდობა,
ვპოვო კაცთ შორის სათნოება, თავისუფლება".[2]

მსოფლიო სევდით შეპყრობილ მგოსანს თავისი სურვილები და ნატვრანი ბოდვად ეჩვენება იმის გათვალისწინებით, რომ ერთ დროს ყველაფერს ბოლო მოეღება, ყველაფერი აღიგვება პირისაგან მიწისა და გაქრება:

„მაგრამ რას ვბოდავ! ვიცი, ყველა ნატვრად დარჩება,
რასაც ვხედავ, აღიგვება, ყველა გაქრება".[31]

ამ სიტყვებში ნიკოლოზ ბარათაშვილის სული ქრის: "მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს, მაშინ ვინღა თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს". თუმცა გენიოს პოეტს აქ არ დაუსვამს წერტილი. თუ ამ ქვეყნად ადამიანად გავჩნდით, წუთისოფლის ბინადრად ვიქეცით, იქვე უნდა დავრჩეთ, „მივსდიოთ მას", ცოცხალი არსებანი მკვდრებს ნუ დავემსგავსებით, ამქვეყნიური ცხოვრების გაუმჯობესებისთვის უნდა ვიზრუნოთ:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არღა იზრუნვოს".

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 72.
[2] იქვე.
[31] იქვე.

სახარება ქადაგებს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ივანე გეგიას ეეჭვება "სულით დატანჯულის" მიხედვით, რომ კაცთა შორის სათნოება მუდმივად ვერ შეინარჩუნებს თავს, მისი დაჯერება უფრო ზღაპარსა ჰგავსო. ამაში კი ადამიანის ბუნების მოუსვენრობას, არამდგრადობას და ცვალებადობას ადანაშაულებს:

„თუნდაც დრო-ჟამი გადაბრუნდეს, ფერი იცვალოს,
კაცობრიობამ მოუსვენრად ბევრიც იწვალოს,
მუდმივ კაცთ შორის სათნოება არის ზღაპარი,
რადგან კაცშია თვით ბუნება მოუსვენარი".[1]

ყოველივე ამის შეგნება ტანჯავს პოეტის სულს, ამიტომაც უწოდა ლექსს „სულით დატანჯული". აქ არ არის აღძრული პირადული სევდა, იგი მსოფლიო ხედვაა, საკაცობრიო წუხილია: რად გინდა მშვიდობის მოპოვება, კაცთა შორის სათნოების და თავისუფლების დამკვიდრება, თუ ერთ დროს ყველაფერს გაქრობა უწერია, თუ რაღაც ძალა სამუდამოდ ბოლოს მოუღებს კაცობრიობას. აი, ეს აწვალებს ადამიანის სულს, აი, ეს ტანჯავს მის სულს, რაც მისივე ბუნების მოუსვენრობის აღმძვრელია, მსოფლიო სევდის განმამტკიცებელი. თუმცა საწუთროს მკვიდრი თითოეული ადამიანი უნდა მოქმედებდეს და ხელმძღვანელობდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგონებით, რათა ამ საკაცობრიო სევდას თავი დააღწიოს.

„ნატვრაში" ივანე გეგია წინ წამოსწევს ამქვეყნად ადამიანის მთავარ მოვალეობას: ბოროტების, შურის, ანგარების, მტრობის მოსპობა, თითოეულ ადამიანში მეგობრობის გრძნობის ჩანერგვა, გულის ძმურად აძგერება, ბედის უმადურისთვის სიამოვნების მინიჭება, მტერ-მოყვარის თანასწორ წარმატებებზე ზრუნვა. ეს ყველაფერი გამოიწვევს ქვეყანაზე სრული ნეტარების დამყარებას, მაშინ გაიგებს ადამიანი სიამის და გახარების ფასს.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 72.

ორი „ბაღანა“

ივანე გეგიას ეკუთვნის ორი ლექსი ერთი და იგივე სათაურით „ბაღანა“. პირველი „ბაღანა“ დაწერილია 1883 წელს, მეორე კი – 1889 წელს. ვლადიმერ ალფენიძის სამართლიანი შენიშვნით. „ბაღანა“ მე-19 საუკუნეში დაწერილი „სამურზაყანული იავნანაა“.[1] ამ ლექსებზე ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა ივანე გეგიას ეროვნულ-მოქალაქეობრივ პოზიციასთან დაკავშირებით. კვლავ გავიმეორებთ, რომ „ბაღანა“ მხოლოდ პატრიოტული მოტივით იფარგლება. აკაკი წერეთლის „იმერულ ნანინაში“ ძირითადად სოციალური პრობლემაა წინ წამოწეული. მთლიანად დავიმოწმებ აკაკის ამ სახელგანთქმულ ლექსს. იგი ვრცელია და ვამჯობინეთ პროზული ფორმით წარმოვადგინოთ: „გაბუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო! აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო? დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო... დაიძინე ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!.. დედა ეტყვის: გენაცვალოს შენი მშობელიო. ბუძუებში ჩაგივლია პაწია ხელიო! შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო! მამაშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო. შენი ვარსკვლავი სხვა არის, ბედმა გიცინაო! იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო! ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო, შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო, დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო! სხვებ რა გიჭირს, რომ შეიტყვე, ბატონი არ გყავსო! რისთვის შეჰკრთი? მართალია! რამ შეგაშიანო?!. იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!.. გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო, ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო. შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო; ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო! ხომ გიამა, გენაცვალე, მან გაგიცინაო? იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-

[1] ვლ. ალფენიძე, ფიქრიანი გზები, გვ. 411.

ნანინაო! დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდით მიუჯდებიო, აბა, შენ იცი, ბიჭო ჯან, როგორ ეცდებიო; ძველ ბატონის შვილს სკოლაში ნუ ჩამორჩებიო!.. შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო. იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო! ჩინოვნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო, ჩვენს საქმეზე მივალთ, გვეტყვიან: „ხვალეო", და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი – „მალეო!" ამას შენ ვეღარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო, რომ ვეღარ დაგიბრიყვებენ, თუ რო თავი სცნაო. იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო! პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო, დღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო? და თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო? მაშ, ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო! შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო! იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!"[1]

როგორც დავინახეთ, „იმერულ ნანინაში" ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი რეალისტური სურათია დახატული. ავტორი სათქმელს იმერელი (ზოგადად ქართველი) დედის ენით გადმოსცემს. მომავალ თაობას უკეთეს ცხოვრებას უწინასწარმეტყველებს: უბატონოს, თავისუფალს. მოუწოდებს ახალგაზრდობას ცოდნის დაგროვებისკენ, სწავლა-განათლებისკენ, რომლის შესაძლებლობის დროც დაუდგებათ. გათავსუფლდებიან ჩინოვნიკების წნეხისაგან. ახალმა თაობამ დაჩაგრულნი უნდა იხსნას, ღმერთი იწამოს, მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, გააცნობიეროს ქვეყნის ღირსება, უნდა გაუგოს "ამა სოფლის ცრუ გამოცანას".

როგორც ვთქვით, ივანე გეგიას ორივე „ბაღანა" დამუხტულია ეროვნულ-პატრიოტული გრძნობებით. შედარების გაკეთების მიზნით დავიმოწმებთ ორივე ნაწარმოებს, რათა მკითხველმა თავად გამოიტანოს დასკვნა?

1. „პაწაწა შვილო! გაჩუმდი, რაღათა ჰყავი აკვანში, მამულის

[1] აკ. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1988, გვ. 74-75.

ავი და კარგი ჯერ აღარ იბრძვის შენს გულში. დედაშენს გაეზარდე გულისა მანათობელად. სახით პაწია ტურფა ხარ, ვარგიხარ წინამდგომელად. თოფი და ხმალი გიყვარდეს და მისი ტკაცა-ტკუცია, მამულს შენ მაინც უშველე, თათრებს იგი დაუცია. თათრისა სისხლი სასმელად გერჩივნოს წითელ ღვინოსა, რომ ბოლოს შენსა მამულზე თათრებმა არ ილხინოსა. ესე ისმინე ყველაი, პაწაო, პაწას ჭირიმე, თორემ ინანებ ბოლოსა, რომ მოგადგება სიმძიმე. ხსენება შენი გმირობის ზღაპრად ისმოდეს ქვეყნიერ სიმრთელე, მკლავის სიმარჯვე, ურიცხვი მრავალჟამიერ" (1883):[1]

2. „იძინე, ჩემო პაწია, შენი ჭირიმეო. როცა მოგშივდეს, სიცოცხლე, ტირილით მიხმეო; შენ გაეზარდე დედაშენს მომვლელ პატრონათო. სამშობლოს ერთგული იყავ, ჩემო ქვეყნის მნათო. ჯერ იძინე, ჩემო ტურფავ, გიმღერ ნანასაო, ნუ შეკრთები, ვარდო, ძილში, ნუ მკრავ დანასაო; გახსოვდეს ჩვენი წარსული, მიხვდი მომავალსო, ყველას ერთად ნუ გაჰყვები შენს წინ მიმავალსო, სიმართლისათვის დაჩაგრულს, შვილო, იფარვიდე, მტრის რაზმში ჩაერეოდე, სისხლს ველად დაღვრიდე. ჯერ ჩვილი ხარ, ჩემო ტურფავ, გიმღერ ნანასაო, ნუ შეკრთები, ვარდო, ძილში, ნუ მკრავ დანასაო!" (1889).[2]

აკაკი წერეთლის „იმერული ნანინა" დაწერილია 1864 წელს, ივანე გეგიას მეორე „ბაღანა" კი 1889 წელს. ამ უკანასკნელს აშკარად ეტყობა „იმერული ნანინას" გავლენა. იგი მის ხმაზეა შექმნილი (შდრ. ჩვილი ბავშვის „ვარდად" მოხსენიება: „იავნანა, ვარდო-ნანა"... „ნუ შეკრთები, ვარდო, ძილში"...). კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: „იმერულ ნანინას" მსჭვალავს სოციალური პრობლემატიკა. ეს გასაგებიცაა, რადგან იგი ავტორს შეუთხზავს

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 37.
[2] იქვე, გვ. 69.

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის წელსვე. ივანე გეგიას ორივე „ბაღანა" კი მხოლოდ ეროვნული თემატიკითაა გაჯერებული.

საგულისხმოა, რომ მელიტონ გობეჩიას 1910 წელს დაუწერია ლექსი „მეგრული ნანა", რომელიც სოციალურ და ეროვნულ ტკივილზეა აგებული. ლექსი აკაკი წერეთლის „იმერული ნანინას" უშუალო მიბაძვითაა შექმნილი, თუმცა არანაკლებ იგრძნობა ავტორისავე პოეტური მაჯისცემა: „იავ ნანა, ვარდო ნანა, შვილო, იავ ნანინაო! ტკბილი ძილი ანგელოზმა შენთვის მოაყვანინაო... აკვანს გირწევ. ჩონგურს გიკრავ, ზედ დავმღერი სიმებსაო. ბადრი მთვარე და ვარსკვლავნი გიგზავნიან სხივებსაო. ბინდის ნამმა ნორჩ ყვავილებს პირი დააბანინაო. იავ ნანა, ვარდო ნანა, შვილო, იავ ნანინაო... დაინახე, რომ ცხოვრება არ აამებს ყველასაო, ჩაგრულნი და დავრდომილნი თხოულობენ შველასაო. მამა შენმა ამ ყოფაში ადრე სული დალიაო. მისის აღთქმის აღსრულება შენი წმინდა ვალიაო... დაინახავ განდევნილსა ჩვენს ტკბილ დედაენასაო, უღვთოდ დასჯილ ხალხის შვილთა, მშობელთ ცრემლის დენასაო. სამშობლოსთვის საბრძოლველად გლოცავ, საიმედო შვილო, გამარჯვება ან სიკვდილი, ვინძლო აღარ გამაწბილო... ჯერ წალკოტი ნეტარო, ძილმა მოგაზმანინაო, იავ ნანა, ვარდო ნანა, იავნანიაო! განახლების წამი დაჰკრავს, აჰყვავდება მამულიო, ერი განთავისუფლდება, ბნელის ჯაჭვით დაბმულიო... მერმე, დეე, ღმერთმა ქვეყნად თუ არ დამახანანინაო, იავ ნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო!"[1]

საცილობელი არ უნდა იყოს, რომ ივანე გეგიას „ბაღანა" და მელიტონ გობეჩიას „მეგრული ნანა" დაწერილია აკაკი წერეთლის „იმერული ნანინას" მიბაძვით და შთაგონებით, რაც ავტორებს დასჭირდათ ეროვნული სულისკვეთების გადმოსაცემად.

[1] ქართული პოეზია, XI, შეადგინა სოლ. ხუციშვილმა, თბ., 1980, გვ. 316-319.

იგავ-ალეგორიული ლექსები

ივანე გეგიას „გაზაფხულის მოლოდინში" მოთავსებული ლექსების ერთი ნაწილი იგავურ-ალეგორიული ხასიათის მატარებელია: „ვირის და ბაყაყის ომი", „ჩემს ვარსკვლავს", „უმადური მურია", „განთიადი", „გაუმაძღარ სვავს". ამათგან ბოლო ორი ლექსი უკვე თვის ადგილას განვიხილეთ და მათზე საუბარს აქ არ გამოვუდგებით.

„ვირის და ბაყაყის ომი" თუთხმეტსტროფიანია. იგავი ემსახურება იმის დამტკიცებას თუ როგორ დაკარგავს საკუთარ თავს რეგვენი, „თუ ჯინზე სხვისის მდომია". იგავი 1885 წელსაა შექმნილი. ლექსის დასაწყისი:

„ერთხელ ვირი ომში გახლდათ,
სარდლობდა ჯორის ჯარშია,
მუტრუკი ყვირის, ყროყინებს
ხმამაღლა თავის გვარშია:
აქ მოდით, შვილნო, სოროში
და ნახეთ მტრისა ჯარია,
ვერ დაგვდგომია კარგი დღე,
თუმცა მზე ნათობს, დარია".[1]

სოროში გამაგრებული მტრის ჯარს თურმე ბევრი სურსათი ჰქონია თან, დარაჯნიც ჰყოლიათ, გასასვლელი გზაც შეუკრავთ. „არსით გვაქვს სწორგზით სავალიო". ვირმა თავისიანებს ასეთი გეგმა გააცნო:

„მაგრამ ერთ ღონეს მივმართოთ,
თუ გავა ჩვენი ძალიო,
ჩავთხაროთ მიწა სიღრმეში
არ ქონდეს ასავალიო.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 46.

როცა მოვთხაროთ იქამდი,
საცა ბანაკის ძირია,
ბაყაყთა მეფეს ვუხვედროთ
მხედრები, თან სადგურია".

ვირის ჩანაფიქრი მოეწონათ, სურვილიც მალე აისრულეს და შიგ ჩახტნენ ვირის ჯარები. ბაყაყმა ამის გაგებისას ბზიკებს თხოვა დახმარება, „საომრად აბჯარს, შუბებს თან". დროზე მოფრინდა ბზიკის ჯარი, „ჩაფრინდნენ ყველა ორმოში":

„დაჰკრეს ნაღარა ბზუილით,
უფრენენ ჯორებს ყურებში,
ატყდა ყროყინი, წიხლის კვრა
ვინ არის ჭკვაზე ყრუებში".

ლეწავენ ერთმანეთს, ამოსავალს პოულობენ იქიდან, სადაც „თვითონვე თავი ჩაიბეს". სარდალი ვირი შეშინდა „ბაყაყთა უცხო ყიყინით". ვირმა საკუთარი თავის და ჯარის ამოსავალი გზა ვერ იპოვა, რეგვენს თავბრუ დაესხა, გაჯავრებულმა არც იცის, რა ქნას. „ბზიკები შუბით ომობენ, ერთმანეთს ლეწენ ჯორები". ასე დასრულდა ამ ორი „გმირის" ომი. ლექსსაც ასე ამთავრებს მგოსანი: „რეგვენი თავის დაკარგავს, თუ ჯინზე სხვისის მდომია".[1]

სიმბოლურ-ალეგორიული ლექსია „ჩემს ვარსკვლავს" (1887 წ.). სწორად შენიშნა ოთარ ჟორდანიამ, რომ ვარსკვლავი ცარიზმის ალეგორიას წარმოადგენს.[2]

„უგრძნობი ხარ, ვარსკვლავო, ცბიერად მომცინარი,
სიბნელის მოარშიყე, სინათლის მეომარი".[3]

პოეტის განწყობა ოპტიმისტურია: „ხანგრძლივად მომღიმარნი" ვარსკვლავს მალე გაქრობა ელოდება. მისი ცნობიერების მზე ჩაესვენება, მას ზიზღით მოიგონებენ მომავალში:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 47.
[2] ო. ჟორდანიას დასახ. ნარკვევი, გვ. 30.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 61.

„ბევრი ხანი ვერ გასტანს,
მზე მალე დაგაბნელებს
და ცხონებით მოხარულს
გაგაქრობს, დაგანელებს".

ივანე გეგიას მტკიცედ სჯერა ცარისტული ხელისუფლების დასამარებისა, თავისუფლების მზის მალე ამოსვლისა, ივერიის კვლავ გაბრწყინებისა:

„გაჰქარდი და დაბნელდი, მზემ სხივ მომაფინოს,
სიმართლე დაბურული გამოჩნდეს, გამიცინოს!"

„უმადური მურია" გადასახლებაში შეუქმნია ივანე გეგიას ოდესაში 1905 წელს. მურიას სიბერემ დარია ხელი, ყურებჩამოშვებული დადის, უკვე არავინ ეალერსება, გულის-მომკვლელია საყვედურების მოსმენაც:

„დაბერდა ძაღლი მურია,
ძირს ჩამოუშვა ყურები;
ალერსის ნაცვლად ყოველდღე
გულს უკლავს საყვედურები".

„წამხდარ მურას" ზედ აფურთხებენ, ეზიზღებათ მის ტანზე ქეცი, ბალანგაცვენილი კუდი: "მთელ ტანზე ქეცი მოედო, გასცვივდა კუდზე ბალანი; „წახდა მურაო", ამბობენ, ზედ აფურთხებენ ყველანი". მურიაზე უკვე არავინ ფიქრობს, არავინ დარდობს შია თუ სწყურია. მასზე, სამწუხაროდ, პატრონმაც აიღო ხელი, ძაღლს არ დაუფასდა ნამსახურობა: „არავინ კითხულობს მურიას რომ მუდამ შია, სწყურია; პატრონმაც ხელი აიღო, ეკარგვის ნამსახურია". მურია ტოლებში მამაცობით გამოირჩეოდა, ახლა კი უკვე ფეხებზე ვეღარ დგება, მუდამ ნადირით გამაძღარს უკვე შიმშილი კლავს: „ერთ დროს მამაცი ტოლებში, დღეს ფეხზე ვეღარ დგებოდა; მუდამ ნადირით მაძღარი, ახლა შიმშილით კვდებოდა". ოჯახის და ეზო-კარის მომვლელი მუ-

რას ამაგი უკვე არავის ახსოვდა, მურასი, რომელსაც დღე-ღამე არ ეძინა, პატრონის ეზოს და სახლს ათასჯერ შემოირბენდა: "ვის ახსოვს მურას ამაგი, ოჯახს და ეზოს უვლიდა; დღე-ღამე აღარ ეძინა, ათასჯერ შემოუვლიდა". დაღონებული მურია ბედს ემდუროდა, გულგატეხილი იყო პატრონის უმადურობით:

„დაღონდა, ბედსა ემდურის
გულგატეხილი მურია.
მოკვდა ერთგული მსახური
პატრონის უმადურია".

ივანე გეგიას ამ ლექსში ალეგორიულად მიგვანიშნებს, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი უბედურება ადამიანის ამაგის დაუფასებლობა, უმადურობა მომაკვდინებელი სენია, მითუმეტეს, ბერიკაცისთვის საკადრისი პატივის მიუგებლობა ზნეობრივი დაკნინებაა, მორალური დეგრადაციაა. შეუძლებელია ამ ლექსის გაცნობისას არ მოგაგონდეს აკაკი წერეთლის „პატარა მურია" (1888 წ.). „უმადური მურიას" და „პატარა მურიას" იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვა რადიკალურად განსხვავებულია. საერთოობა მხოლოდ რითმათა თამაშში შეინიშნება: მურია-სწყურია-უმადურია. საფიქრებელია, რომ ივანე გეგია იცნობდა აკაკი წერეთლის ლექსს და ოდესაშიც ახსოვდა იგი. დიდი აკაკი „პატარა მურიაში" ალეგორიულად გვაცნობს კუდქიცინა ადამიანს, რომელიც გამორჩენის მიზნით იმას ჰმონებს, ვისგანაც რაღაცას მოელის. "მურიაში" უნდა ვეძიოთ ლაქუცა კაცი, ლუკმა პურისთვის ყველაფრის მკადრებელი და სასაცილო მდგომარეობაში მყოფი სალახანა. მთლიანად დავიმოწმებ ამ ლექსს:

„რას წუწუნებს ის პატარა მურია? ხომ არ ჰშია და
ან ხომ არ სწყურია?

ვისი არის და ან სადაურია? ქუცი, ქუცი!
კუდქიცინა მურია!
რომ არ მოდის?!. თითქოს უმადურია! რა ყოფილა,
ხედავთ, ბრიყვი მურია?!
კიდეც რომ ჰყეფს?!. რაღაც უცნაურია! თათი, თათი,
სალახანავ, მურია!
მისი ყეფა მხოლოდ მარტო შურია... ვის აშინებს
სასაცილო მურია?!
მაგის ხერხი – ერთი ლუკმა პურია, გადაუგდებს,
გაჩუმდება მურია.
ვინც გააძღებს, მისი შინაურია, იმას ჰმონებს
და კუდს უქნევს მურია.
ან კი რა ქნას? ბუნებით უძლურია! ქუცი, ქუცი,
საცოდავო მურია!..
ლაქციაა კუდქიცინა მურია, თუ არ ჰშია და
ან არცა სწყურია".[1]

ქართულ სიტყვიერ კულტურაში იგავთქმანი პირველად „ბალავარიანში" გვხვდება, ამას მოსდევს ნათარგმნი „ქილილა და დამანა", განუმეორებელი „სიბრძნე სიცრუისა". ეს ტრადიცია გადაედო XIX საუკუნის ქართულ მწერლობას. როგორც ვნახეთ, ამან გამოძახილი ჰპოვა სამურზაყანოელი მგოსნის ლირიკაშიც.

[1] აკ. წერეთელი, თხზულებანი, თბ., 1980, გვ. 165.

ვოდევილი „სიყვარულის მონა"

„სიყვარულის მონა" ივანე გეგიას ერთადერთი ვოდევილია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. იგი დათარიღებული არ არის. ერთი რამ ცხადია. ეს ერთმოქმედებიანი პიესა შექმნილია 1890 წლამდე, ვინაიდან ავტორს არ შეუტანია პოეტური ნაწარმოებების პირველსავე კრებულში „ლექსთა კონა", რაც თბილისში დაისტამბა ამავე წელს.

ვოდევილს (კომედიის სახე, დრამატული ჟანრის მცირე ფორმის მინიატურული ნაწარმოები) „სიყვარულის მონა" ოთხი მოქმედი პირი ჰყავს: ლიზა და ზაალი (ცოლ-ქმარი), ნიკიფორე (ლიზას საყვარელი) და მათე: იგივე მათია (ლიზას მსახური). თხზულებას „სიყვარულის მონა" იმიტომ ჰქვია, რომ ზაალი დაუმონებია ლიზას სიყვარულს. დაუმონებია და დაუბრმავებია კიდეც, რადგან ვერ ხედავს, ვერ ხვდება ცოლის ღალატს მანამდე, ვიდრე ამაში პრაქტიკულად არ დარწმუნდება, საკუთარი თვალებით არ დაინახავს ღალატის შედეგს.

ავტორი ლიზას „ვისრამიანული" სამიჯნურო ბუნების ფარდას ხდის კალმის ერთი მოსმით:

„საყვარლის სიყვარული ძნელია,
ეს ქვეყანა უმიჯნუროდ ბნელია"...[1]
„მიჯნურებთან ცხოვრება რა კარგია.
თუმცა ერთი მყავს, მარტო ის რას მარგია".[2]

ივანე გეგია ლიზას შინაგან ბუნებას ვოდევილის დასაწყისშივე გვაცნობს, რითაც წინასწარ გვამზადებს თუ როგორ მივადევნოთ თვალყური მის უზნეო საქციელს, რაც გამოიხატება შიშველ სქესობრივ ლტოლვაში, ცხოველურ ვნებაში, ცოლქმრულ ღალატში.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 97.
[2] იქვე, გვ. 95.

ლიზა წუხს საცოდავად „უსისხლებში ჩავარდნის" გამო, სადაც „ერთიც არ ყმაწვილობს, ყველას ყურები ჩამოუყრიათ". იგი ქალების ძაგებაშია: „ქალები ვართო, დაცახცახებენ, რის ეშინიათ იმ გასაწყვეტლებს". ზნეობრივი ყოფაქცევის ქალებს უწუნებს სიყვარულში კაცების ყურმოჭრილ ყმებად ქცევას, მათ შეახსენებს: „განათლებულ ქვეყნებში თურმე ქალები კაცებს წინ მიუძღვიან". ლიზას თანამედროვე ქალებმა თურმე არ იციან, რომ „ეს წუთ ქვეყანა მარტო კაცთათვის არ გაჩენილა". ლიზა თურმე ყოველივე ამას ადრე მიმხვდარა: „ჩემს სახლში ქმარზე უფალი მე ვარ". მისი ქმარი ზაალი კარგ კაცად ესახება (აქ უფრო ირონიულ წარმოდგენასთან გვაქვს საქმე), ვინაიდან ცოლს არ უშლის სეირნობას, სრულ თავისუფლებაში ჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში: „ვაჩვენებ მაშინ ღალატი-მტრობას, მთლად ავუმტუტებ შინაურობას".

ზაალი ცოლის მიმნდობია, მოსიყვარულე, მის გულს ოდნავადაც არ ეკარება ღალატზე ფიქრი. თავს ბედნიერ კაცად თვლის და ლიზას ერთგულებას არ აკლებს. ემადლიერება გამჩენს ღირსეული, თავმდაბალი, ერთგული ცოლის ყოლის გამო:

„მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის,
სწორედ რომ ღირსი ცოლი მაჩუქა.
ერთგული ჩემი და თავმდაბალი,
მტრედია, მტრედი, ცით მონაფრენი".[1]

ზაალი ანგარიშს არ უწევს მთავარ გარემოებას: იგი ფიზიკურად და ასაკობრივადაც შეუფერებელი ქმარია ლიზასი, ავადმყოფია, უძლური, თავისი წარსულით მოაქვს თავი, ყმაწვილკაცობისას ცხენის ჯირითის მოგონებით, რაც თურმე საარაკოდ ყოფილა აღიარებული. რატომ უნდა გაჰყოლოდა ასეთ ბებერ და სნეულს ცოლად სიცოცხლით სავსე ლამაზი ქალი? ეს ქორწინება ანგარებაზეა დაფუძნებული. ლიზა გატაცებულა ზაალის ქონე-

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 89.

ბით და არა მისი სიყვარულით ან მამაკაცობით. ნატრობს უკვე ქმრის სიკვდილს, რათა თავის საყვარელთან (ნიკიფორე) ერთად დაეუფლოს ზაალის ავლა-დიდებას:

„ვინ იცის, ეგებ, ღმერთმა გვიბრალოს,
მალე ჩაბაღლდეს იმ შავ მიწაში,
მერე მაგ ოხრის ავლა-დიდება
ხელში გვექნება საპატრონოდა".[1]

ნიკიფორე სულმოუთქმელად უდასტურებს: „ნამდვილსა ბრძანებთ ფულიც კარგია, სულ ამისთანა ქესატ დროშია". „ცით მონაფრენმა მტრედმა" ლიზამ თავისი გარეგნული თვალწარმტაცობა, ქალური ღირსება, ზნეობა და მორალი უმსხვერპლა ფულის, ქონების სიყვარულს. ამან აქცია იგი ცბიერ, მეძავ და ქმრის მოღალატე არსებად. შესანიშნავად გადმოსცემს პოეტურად ივანე გეგია ამ ტიპის ქალის შინაგან ავლა-დიდებას, გაიძვერობას, ყველაფრის კადრებას მიზნის მისაღწევად. თვალყური გავადევნოთ ლიზას და ზაალის დიალოგს.

ზაალი გვიან ბრუნდება შინ და მოუბოდიშებს ცოლს, რომელსაც თავის „გულთან" აიგივებს („ხომ ჩემზე, გულო, არ ხარ გამწყრალი"). ფარისეველი ლიზა თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს შიშით იყო გაგუდული „სნეულიანი კაცის" დროზე მოუსვლელობით. იქნებ ვინმეს შუა ღამეში თხრილში ჩაეჩეხა და სიცოცხლე მოესწრაფა, მაშინ ვითომ რა უნდა ექნა ქმრის სიყვარულით „გადამკვდარ" ქალს: „მერე სად ხრამში გადავისროლო დასაწყლებული ოხერი თავი". ზაალი უმტკიცებს, მოსაკლავად ვინ გამიმეტებდაო:

„სხვა იქით იყოს, სუყველამ იცის
ჩემი წარსული, ყმაწვილკაცობა.
ჩემი ჯირითი, ცხენით ნავარდი
განა აქ მარტო თქმულა არაკად".[2]

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 101.
[2] იქვე, გვ. 88.

ლიზა უფრო ღრმად არწმუნებს ზაალს, რომ თითქოს უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია („და შენს საფლავში მეც ჩამიტანე"). ამით ნიადაგს ამზადებს ქმრის კიდევ ერთხელ გასაბრიყვებლად („გასაცურებლად"). საყვარელთან (ნიკიფორე) გართობა მოენატრა, ქმრის წინაშე თავი მოიმკვდარუნა, გაგზავნა იგი ექიმის („დოხტური") მოსაყვანად:

„სულ ბაზრის ბოლოს რომ დოხტური დგას,
წადი, მიშველე და მომიყვანე.
ეგებ გიბრალოს, ბეჩავო, ღმერთმა
და არ მომიკვდე ამ ორ დღეშია".[1]

ლიზამ სიზმრის მოყოლით კიდევ უფრო დაზაფრა ქმარი: ჩემი ძმა მიხა, რომელიც შარშან გარდამეცვალა, სასუფეველში მოსეირნედ ვნახე, გაიხარა ჩემთან შეხვედრით, უკან გაშვებას არ მიპირებდა, „მთავარანგელოზსაც ვთხოვე გაშვება. ოჯახი, ქმარი მიტირის-მეთქი, მაგრამ იმანაც არ გაიგონა ჩემი ვედრება, ოხვრა, ქვითინი". ქმრის განწყობა კიდევ უფრო დაამძიმა ლიზამ:

"მან (მთავარანგელოზმა – ტ.მ.) მითხრა –
შენ თვით არ მოსუ-ლიყავ,
ან ხვალ ან ზეგ მე მოგიყვანდი."
მაგრამ კარგი ჰქენ, უჩემოდ მოდი.
გეპატიება მრავალ ცოდვაო.
მას შემდეგ: ზაალო, არ ვიცი რისთვის,
სრულად მომესპო ცხოვრების გემო.
მეც აღარ ვატყობ ჩემს თავს სიკეთეს,
არ ვფიქრობ აწი მე დღე ვიგემო".[2]

ზაალს ცუდად ენიშნა სიზმრის შინაარსი, თითქოს ზეცა დაემხო თავზე, ვერ გაბედა ცოლის მარტო დატოვება და გადაწყვიტა მსახური მათე გაეგზავნა ექიმთან. ეს კი ლიზას არ

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 90.
[2] იქვე, გვ. 93.

აწყობდა, რადგან ქმრის მოსაშორებლად ქსოვდა ობობის ბადეს. დაარწმუნა ქმარი, რომ თითქოს მათეს არ გამოჰყვებოდა ექიმი. ზალი ექიმისკენ გაეშურა. მარტო დარჩენილი ლიზა დადის და მღერის: „ჩემი ქმარი ბებერია, ბარგია, საალერსოდ მე ის აღარ მარგია".

ლიზამ როგორც კი „ჭირი" მოიშორა ზაალის სახით, მათე სასწრაფოდ გაგზავნა საყვარელთან – ნიკიფორესთან: „უთხარი – ახლავ მოვიდეს ჩემთან, მარტოხელია, ეშინია-თქო". მათია ბუტბუტით გადის: „ჯანდაბა შენ და იმ ნიკიფორეს". ტექსტში ვკითხულობთ: „ლიზა პირს იბანს, სარკეში იხედება, უმარილს იცხებს, ტურნერს იკეთებს, კაბას იცვამს, თმას ივარცხნის, მივა სტოლთან და ბანქო გამოაქვს ყუთიდან, შლის".[1] დადის და მღერის:

„საყვარლის სიყვარული ძნელია,
ეს ქვეყანა უმიჯნუროდ ბნელია.
სასეირნოდ მთა რად მინდა, ველი მე,
შესაქცევად ნიკიფორეს ველი მე".[2]

როგორც იქნა, ნიკიფორე ესტუმრა ლიზას. ახლა საჭირო იყო მეორე „ჭირის" მოშორება მათიას სახით. ისიც „გაისტუმრა" ზაალის მოსაძებნად „ვოკზალში". მარტო დარჩენილ ლიზას და ნიკიფორეს შორის დიალოგი გაიმართა, რომელიც ნიკიფორემ წამოიწყო:

„თქვენებრ გონებამახვილნი
ქალი ძვირია ამ ჩვენს მხარეში,
სწორედ მე მიკვირს თქვენი ქალობა
ზაალი ოხერს რომ ემონება".[3]

ნიკიფორე გულს იოხებს ზაალის გინებით, თითქოს ამით სურს ლიზას კიდევ უფრო შეაბულოს ქმარი:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 97.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 100.

„მართლა დღეს იყო, არ ვიცი, გუშინ,
სამიკიტნოში ეგდო დამთვრალი,
გრძნობა-გონება მთლად დაჰკარგვოდა,
ძაღლი ულოკდა ცხვირ-პირს დათითხნილს".[1]

ცბიერი ნიკიფორე ლიზას მოუწოდებს ასეთ ქმართან გაყრისკენ, რათა გაუადვილდეს მასთან ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა: „მერე მე და შენ უფრო გვექნება თავისუფალი დრო, მისვლა-მოსვლა". ლიზა თავის საყვარელს მოთმინებას ურჩევს: იქნებ გაყრა-გაცლა სულ არ დამჭირდეს, მანამდე ზაალი „ჩაძაღლდეს იმ შავ მიწაში", ხოლო ჩვენ შეგვრჩებაო მისი („მაგ ოხრის") ავლა-დიდება საპატრონოდო.

ამასობაში ლიზამ იგრძნო ზაალის დაბრუნება („ხედავ, პირშავი აღარ წასულა"), მოჰკიდა ხელი ნიკიფორეს და ტახტის ქვეშ დამალა, იმ პირობით, რომ შეეცდებოდა ქმრის მოტყუებას და ამით შეუქმნიდა ხელსაყრელ მომენტს გასაპარად.

ლიზამ თბილად მიიღო ზაალი, „გამოჯანსაღებულად" მოაჩვენა თავი. ქმარმა ცოლს აუხსნა ექიმის მოუყვანლობის მიზეზი:

„სოფელში, თურმე, ავად გამხდარა
ვიღაცა დიდ თავადის შვილი,
გუშინ მისულან, წაუყვანიათ,
ბარე სამი დღე იქ დარჩებაო".[2]

ლიზა არწმუნებს უექიმოდაც „გამოჯანმრთელებაში": „უდოხტუროდაც, ღვთით, კარგადა ვარ". ლიზას სხვა „გასაჭირი" აქვს: რამეფრად აქედან გააპაროს ნიკიფორე. მათიაც არ ჩანს. ლიზა მოუწოდებს ზაალს, მინდვრად უპატრონოდ დარჩენილი ძროხა და ხარი დააბინავოს. ქმარს უხარია ცოლის კარგად ყოფნა და საქონელი არც ადარდებს: „რა უშავს მერე, შენ სანაცვლოდა მგელს შაეჭამოს იმათი თავი". ლიზა ზარმაცად წამოიწევა ლოგინიდან

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 100.
[2] იქვე, გვ. 103.

ზაალისთვის იმის მოსაჩვენებლად, თითქოს თვითონ აპირებდა ხარ-ძროხის დამწყვდევას. ქმარმა დაუშალა და თვითონ გადაწყვეტს წასვლას, ამ დროს გამოჩნდება მათე, რომელსაც რბილად გაკილავს ლიზა, მერე ზაალს ურჩევს მათეს დაეხმაროს საქონლის დაბინავებაში. ამ „გაწამაწიაში" იყო ცოლ-ქმარი, როცა „ნიკიფორე ძალაუნებურად იცხვინკებს". ლიზამ ქმარს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ეს მას მოუვიდა: „მე დამეცხვინკა, სურდო მჭირს ძრიელ". ზაალი მიხვდა, რომ ლიზა ცრუობდა: „ღმერთმა გიშველოს, შე ევა, შენა, რამდენი ახლა შენ დაიცხვინკე". ცოლმა ქმარს ეჭვებისგან გათავისუფლება ურჩია.

ზაალმა მიმოიხედა აქეთ-იქით, შეიხედა ტახტის ქვეშ და ლიზას სეტყვასავით დააყარა კითხვები:

„ნუღარ ფიცულობ, შე ბოზო, შენა!
უფალმა ღმერთმა შენ შეგაჩვენა,
ეს ვინღა არის, იუდას კერძო,
განა გაყავი ჩემი სიცოცხლე?"[1]

გაცოფებული ნიკიფორე ნადირივით გამოვარდება ტახტიდან და ზაალს შეუტევს:

„გაჩუმდი, თორემ სულს ამოგაძრობ,
ხედავ რაღაებს კიდევ ყაყანებს.
ცოდვა არ არის ზუთხივით ქალი
შენს გამხმარ გვერდებს რომ უწვებოდეს".[2]

ასე სრულდება ვოდევილი „სიყვარულის მონა". ივანე გეგიას იდეური ჩანაფიქრი ნათელია: მშვენიერებით შემკული ქალი არ უნდა ქორწინდებოდეს გარეგნულად და ასაკობრივად შეუფერებელ კაცზე. ამასთანავე, ანგარებაზე, ქონებრივ სიმდიდრეზე აგებული სიყვარული და ქორწინება „წარმავალია, ცვალებადი და უმტკიცები".

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 109.
[2] იქვე, გვ. 109.

ივანე გეგია და ლერმონტოვის „წინასწარმეტყველი"

ივანე გეგიას ბიოგრაფიიდან გავიხსენოთ თუ როგორ შეძლო მან მშობლიურ ოჯახში ბიბლიოთეკის დაარსება. დასაწყისშივე თავი მოუყარა ხუთასამდე წიგნს, რომელთა შორის იყო მიხეილ ლერმონტოვის წიგნები. იგი, ცხადია, ამასთანავე ამ წიგნების მკითხველიც იყო. როგორც ჩანს, დაინტერესებულა ლერმონტოვის ლექსით „წინასწარმეტყველი" და გადმოუქართულებია ეს თხზულება. ვინ იცის, იქნებ, ჰქონდა კიდეც ლერმონტოვის სხვა ნაწარმოებებიც თარგმნილი, ან სხვა რუსი მწერლებისა, რომელთა წიგნები ამშვენებდა მის ბიბლიოთეკას (პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი...).

„წინასწარმეტყველის" თარგმნისას ივანე გეგია სიტყვა-სიტყვით მისდევს დედანს, მცირეოდენი კორექტივებით. აღსანიშნავია, რომ ლერმონტოვის ეს თხზულება, ივანე გეგიას გარდა, ნათარგმნი აქვთ მოგვიანებით ცალ-ცალკე კოლაუ ნადირაძეს და შოთა ნიშნიანიძეს. საცილობელი არ უნდა იყოს, რომ მათთვის უცნობი იქნებოდა ივანე გეგიასეული თარგმანი. გადავწყვიტეთ, აქვე წარმოვადგინოთ „წინასწარმეტყველის" დედანი, შემდეგ კი გეგიას, ნადირაძის და ნიშნიანიძის თარგმანები, რათა მკითხველმა განსაჯოს სამურაყანოელი მგოსნის მიერ შესრულებული თარგმანის ღირსება. თარგმნის თარიღია 1889 წლის 10 ივლისი.

ჯერ გავეცნოთ მიხეილ ლერმონტოვის ლექსს:

С тех пор как вечный судия
Мне дал всеведенье пророка,
В очах людей читаю я
Страницы злобы и порока.

Провозглашать я стал любви
И правды чистые учениья:
В меня все ближние мои
Бросали бешено каменья.
Посыпал пеплом я главу,
Из городов бежал я нищий,
И вот в пустине я живу,
Как птицы, даром божьей пищи;
Завёт предвечного храня,
Мне тварь покорна там земная;
И звезды слушают меня,
Лучами радостно играя.
Когда же через шумный град
Я пробираюсь торопливо,
То старцы детям говорят
С улыбкою самолюбивой:
«Смотрите: вот пример для вас!
Он горд был, не ужился с нами:
Глупец, хотел уверить нас,
Что бог гласит его устами!
Смотрите ж, дети, на него:
Как он угрюм, и худ, и бледен!
Смотрите, как он наг и беден,
Как презирают все его!»

ახლა კი გავეცნოთ ივანე გეგიას ნათარგმნ ტექსტს:

წინასწარმეტყველი

(ლერმონტოვიდან)

მას შემდეგ, რაც რომ ყოვლის მსაჯულმა
მაჩუქა ცნობა მომავალისა;

მერე ვკითხულობ კაცების შუბლზე
მტყუანსა აზრებს ნაცვლად მართლისა!
მე ვალიარე ქვეყნად მშვიდობა,
ჭეშმარიტებით ქადაგებანი,
მაგრამ მოყვასთაც მესროლეს ქვები
და მომაყენეს დიდი ვნებანი...
მე გავეცალე, დავტოვე მხარე,
სად მართალს ნაცრით მივსებდნენ თვალებს,
დავდივარ მარტო, ვცხოვრობ უდაბნოდ,
ცრემლის ღვრით ვიხდი ღვთიურსა ვალებს.
აღთქმას ვასრულებ მე უკვდავისას,
იქ მემონება ყველა ქმნილება;
ჩემსას ისმენენ ზეცით ვარსკვლავნი,
მთვარეც, მცენარეც მეალერსება.
როცა გავიარ მე ქალაქისკენ,
წუთს არ ვჩერდები, გავეჩქარები;
მოხუცნი ბავშვებს ეუბნებიან,
ხარხარ-სიცილით, თავმოყვარენი:
„აი, უცქირეთ თქვენთვის მაგალითს,
ის კაცი ქვეყნად რას გვაგონებდა.
რეგვენს უნდოდა ჩვენ დავერწმუნეთ,
რომ მისი პირით ღმერთი ბრძანებდა!
შეხედეთ, ძენო, რა მრისხანეა
გააფრთებული სახე გამხდარი,
უცქირეთ, აჰა, ფეხშიშველ ღარიბს,
როგორ გამხდარა ქვეყნის საზარი!"[1]

ქვემოთ გვინდა წარმოვადგინოთ კოლაუ ნადირაძის თარგმანი:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 85.

„ოდეს მომმადლა მსაჯულმან ცისა
წინასწარმთქმელის ყოვლის შეგრძნობა.
მას შემდეგ თვალში ადამის ძისა
ვკითხულობ ბოროტ ვნებას და მტრობას.

ვიწყე ღაღადი სიყვარულისა
და სიმართლისა სპეტაკი მცნების,
მოყვასთა ჩემთა, ნიშნად შურისა,
მე დამიშინეს სიბრაზით ქვები.

გადავიფრქვიე ნაცარი თავზე,
გავექეცთ ქალაქთ მე მწირი გლახა.
და ვით ფრინველი, ღვთის კმაყოფაზე
უდაბნოს შინა ვარსებობ ახლა.

დამცველი მცნების უზენაესის
იქ ყველა არსი დამმონებია.
ჩემი ღაღადი ვარსკვლავებს ესმის,
თვალნი ღიმილით რომ ანთებიათ.

მაგრამ როდესაც ჩქარი ნაბიჯით
გავლევდი ქალაქს მშფოთვარეს, ხმიანს,
დამცინავ სახით მოხუცნი დინჯად
შეკრებილ ბავშვებს ეუბნებიან:

ჰა, მაგალითი ნათელი თქვენთვის!
იყო ამაყი ჩვენს შორის ერთი:
ამ უგნურს სურდა ცხად ეყო ჩვენთვის,
რომ მისი ბაგით მეტყველებს ღმერთი!

შეხედეთ: რარიგ არის ვაგლახი,
პირქუში, მკრთალი და მოქანცული.
შიშველ-ტიტველი და გაძარცული.
რაოდენ ზიზღით უცქერის ხალხი!"[1]

[1] **მ. ლერმონტოვი,** ლექსები, თბ., 1944, გვ. 87.

„წინასწარმეტყველის" შოთა ნიშნიანიძისეული თარგმანი ასე გამოიყურება:

„მას შემდეგ, რაც კი დამბადებელმა
მომცა წინასწარმეტყველის ნიჭი,
ვარ გამკითხველი და ბრალმდებელი
კაცთა ყოველთა ნაკლის და ხინჯის.
როცა სიმართლის და სიყვარულის
და სათნოების ვიწყე მოძღვრება,
ქვა დამიშინეს აურზაურით
შინაურებმა და ახლობლებმა.
და მწირი ქალაქს გავექეც ბოლოს,
გატანჯულ ყოფას ვგმობდი ცოცხალი,
დღეს უდაბნოში ჩიტივით ვცხოვრობ
ღვთის მოწყალებით და საბოძვარით.
ღვთის ანდერძს ვიცავ გულითადობით,
უცხოა ეჭვი და შეჭირვება.
უდაბნოს მკვიდრი თუ ცის მნათობი
ყველა ჩემს ნებას ემორჩილება.
და როცა ზოგჯერ მწირი სათხოვრად
ქალაქისაკენ მოვეშურები,
მოხუცნი ბავშვებს ჩემით აფრთხობენ
და დამცინიან მოღუშულები:
„ბავშვებო, აი, გლახა, შეხედეთ,
გონს ვერ მოეგო იგი აქამდე,
სულელს ეგონა დაუჯერებდნენ,
რომ ღმერთი მისი ბაგით ღაღადებს.
რა დამართნია, ერთი შეხედეთ,
როგორ მომტყდარა შიმშილ-წყურვილით.
და ჩამოძონძილს ყველა შემხვედრი
გაურბის ზიზღით და სიძულვილით."[1]

[1] მ. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1987, გვ. 86.

რადგან მიხეილ ლერმონტოვის "წინასწარმეტყველზე" გვქონდა საუბარი, საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღების გამახვილება დიდი პოეტის მეორე ლექსზე "წინასწარმეტყველება". მას ჩვენს საკითხთან საერთო არაფერი გააჩნია; მაგრამ სხვა მხრივ გვაინტერესებს იგი:

„დადგება ხანი, რუსეთისთვის შავბნელი ხანი,
დაემხობიან როს გვირგვინნი ხელმწიფისანი;
დაავიწყდებათ სიყვარული მისადმი ბრბოებს,
და სისხლს და სიკვდილს თავის საზრდოდ მრავალი ჰპოვებს;
როდესაც ბავშვებს და უმწეო, უცოდველ ქალებს
ქვესკნელს დანთქმული სამართალი არ შეიბრალებს:
როდესაც ირგვლივ მკვდართა გროვა სიმყრალეს მოჰფენს.
ჭირი წანწალით გადაუვლის ნაღვლიან სოფლებს.
ქოხმახებიდან რომ ხალხს უხმობს, ის მანდილს გაშლის,
უბედურ მხარეს ღრღნას დაუწყებს შიმშილი მაშინ...
მდინარეთ ტალღებს მეწამული დაჰკრავს იერი
და იმ დღეს ქვეყნად მოვლინდება კაცი ძლიერი,
და იმ ძლიერ კაცს შენ შეიცნობ, მიხვდები თანაც,
მას რად უპყრია ამართული პირბასრი დანა;
ვაი, შენ მაშინ! – შენი ცრემლი, შენი გოდება
მას სიცილს მოჰგვრის და არავინ შეეცოდება;
ექნება სული საშინელი და მეტად ჭუფრი,
როგორც მისივე მოსასხამი ამაყი შუბლით".[1]

თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა

მიხეილ ლერმონტოვის ნაწინასწარმეტყველევი ახდა. რუსეთს დაუდგა „შავბნელი ხნა", დაემხო „გვირგვინი ხელმწიფისანი", დაავიწყდათ მისადმი სიყვარული ბრბოებს... მაგრამ ქვეყანას მოევლინა „კაცი ძლიერი", ოღონდ არა რუსი, არამედ ქართველი

[1] მ. ლერმონტოვი, რჩეული ლექსები, თბ., 1944, გვ. 8.

ჯუღაშვილი, შემდეგში გასტალინებული, რომელმან შექმნა რუსეთის გაფართოებული უზარმაზარი იმპერია სსრკ-ს სახით. ამ „ძლიერ კაცს" სხვათა შორის, პასპორტში ეწერა თურმე: ეროვნება – ქართველი, მშობლიური ენა – რუსული ენა. დაემხო ეს უზარმაზარი იმპერიაც, ასევე „გვირგვინნი სტალინისანი". რუსეთს ისევ დაუდგა „შავბნელი ხანა". გონს მოსასვლელად კვლავ მოევლინა „ძლიერი კაცი" პუტინის სახით. მას მედგრად უპყრია „ამართული პირბასრი დანა" სხვათა ტერიტორიების მისასაკუთრებლად და დასაჭანონებლად. ამ „პირბასრი დანის" მსხვერპლნი ვართ ქართველები. პუტინს ჩვენი „ცრემლი და გოდება" სიცილს ჰგვრის დღემდე, გვზაფრავს მისი "სული საშინელი და მეტად ჭუფრი". ღმერთმა ქნას, კვლავ ახდეს ლერმონტოვის წინასწარმეტყველება, რომ რუსეთს კვლავ დაუდგეს „შავბნელი ხანა", რათა თავისუფლებისმოყვარე ერებმა შვება იგრძნონ, მათ შორის – უპირველესად ქართველებმაც.

ივანე გეგიას, ცხადია, წაკითხული ექნებოდა ლერმონტოვის „წინასწარმეტყველება"... ვინ იცის, იქნებ, ჩვენსავით ნატრობდა იგი ამ წინასწარმეტყველების ახდენას ჯერ კიდევ მაშინ, როცა „წინასწარმეტყველს" თარგმნიდა (1889). ალბათ, ამ წინასწარმეტყველების ახდენად იგულვებდა სამურზაყანოელი მგოსანი 1905 და 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, რაშიც საქართველოს გათავისუფლების კონტურებს ხედავდა, მაგრამ ამაოდ. ამიტომაც დაიჩივლა მოგვიანებით:

„იმედები გამიცრუვდა, დავრჩი ბოლოს მაჩანჩალა,
ოცნებით გატაცებულსა გამომევლო პირში ჩალა".[1]

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 84.

ივანე გეგიას ლირიკის პოეტიკისათვის

ივანე გეგია თავის ლექსებში სათქმელს გამომსახველობითი საშუალებებით გადმოსცემს. თუმცა უფრო მიდრეკილია იდეურ-შინაარსობრივი მხარის აქტივობისკენ, აზრების აქტუალობის წარმოჩენისკენ. ერთ სიტყვით, ტექსტის იდეურ-თემატური შინაარსი გარკვეულწილად (თუ უმეტესწილად არა) ფარავს მხატვრული აზროვნების სანახებს. ავტორი ტაეპებს არ ტვირთავს პოეტური სამკაულებით, ტროპის სახეებს მიმართავს მაშინ, როდესაც მისი გამოყენების აუცილებლობა დგება, ოღონდ მიმართავს ზომიერად, გადაუჭარბებლად, უბრალოდ და მარტივად. პოეტის ტროპული მეტყველებიდან მეტნაკლებად გამოირჩევა: მხატვრული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა და გაპიროვნება.

მხატვრული შედარება. მხატვრული ხერხებიდან ივანე გეგია მეტწილად სარგებლობს პოეტური შედარებებით. მივყვეთ წიგნის ფურცლებს თანმიმდევრულად. „კავკასიის ქებაში" იალბუზის მთის მწვერვალის ყინული შედარებულია ალმასის ქვასთან: „ყინულიანი ზედ დასცქერიან, როგორც ალმასის ქვისაო". იალბუზის უფსკრული გაიგივებულია ჯოჯოხეთთან: „ქვევით უფსკრული ჩაუდის, როგორც ჯოჯოხეთისაო". ამავე მთის ქვესკნელში მქუხარე წყალში პოეტს მტკვრის ხმაური ჩაესმის: „ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი როგორც მტკვრისაო".

„მილოცვის" ლირიკული გმირი ახალდაქორწინებულთ მისალოც ბარათს უგზავნის, თანაც სამკაულებსაც და შესთხოვს, ამ საქციელით „გადაკრულს" არ შეადარონ: „გთხოვ ეგეთი ჩემი ქცევით არ მადარო გადაკრულსა". „მოგონებაში" მგოსანი იხსენებს ბავშვობის ხანას: დილით ბალახზე ბურთივით კოტრიალს, მდინარეში ცურვას. თუმცა ეს დრო თვალდახელშუა გაქრა:

„დილით ნამიან მწვანეზე
ბურთივით გავგორდებოდი;"
„შიგ ვყვინთაობდით, ვცურავდით,
როგორც იხვები ტბაშია";
„იგი დრო ახლა მენატრის,
გამიქრა, ვითა სანთელი".

მგოსანი კატოს (საერთოდ გასათხოვარ ქალს) ურჩევს, არჩევანში არ შეცდეს, „ეშხით მთვრალს" გრძნობები არ მოერიოს, შეუფერებელს, „უნდობს" არ გაყვეს ცოლად, რომელსაც "დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა". ლექსში „ეშხით მთვრალს" ვკითხულობთ:

„მას მიანდობს ყველა ღონეს,
შენ გულ-ცივად შეგიყვარებს
და მით, კატო, ტკბილ სიცოცხლეს
ნაღველივით გაგიმწარებს".

გაიძვერა ნათავადარი („ძველი თავადი") მწარედ იხსენებს წარსულში მისივე ფუფუნებით ცხოვრებას, ასევე იმასაც თუ როგორ ეპყრობოდა გლეხს, რომელსაც ზოგჯერ ღორსაც ეძახდა: „ვუწყრებოდი და ვწყევლიდი, როგორც დედამთილი რძალსა". ლექსში „ქრისტე აღსდგა" ავტორი მეგობარს რელიგიურ დიდ დღესასწაულს ულოცავს, შრომაში გამართლებას უსურვებს: „ღმერთმა შრომა აგიყვაოს, ვით ბაღში რგული ყვავილი, დიდს და პატარას უყვარდე, ვით დედას თავის გაზრდილი".

პანსიონში გაზრდილი ქალი („ახალ-მოდის ქალი"), რომელსაც უსწავლია რუსული და ფრანგული ენები, იკვეხნის, რომ ბევრი მოტრფიალე მახვევიაო თავს. მათგან ზოგიერთს მაიმუნს ადარებს, გლეხები კი ეზიზღება: „იცოდეთ რა არიან: ერთი ჰგავს მაიმუნსა, მეორე გაყვითლებულა, არ არის ამა სოფლისა, გლეხები მეზიზღება, თუნდა რომ იყოს ნახატი". იგი შენატრის ყოველ-

მხრივ შემკულ საქმროს, რომელიც ანგელოზის სადარი იქნება. თანაც ფულით, ვერცხლით მდიდარი: „საქმრო უნდა მომიხდეს ყოველისფერით შემკული, ფულით, ვერცხლით მდიდარი, ვინ ანგელოზის მსგავსი".

ობოლი („ობოლი") მდიდარს ასე მიმართავს:

„სულგრძელობა შენში აღმოფხვრილია
გულჩვილობას დაკარგვია გზა-კვალი,
მდიდარი ხარ, მაგრამ ღარიბი გულით,
ვერ ედრები გულით მდიდარ ღარიბ კაცს.
შენებრ იმას წანაღლეტი არ უნდა".

ჭაბუკს („ჭაბუკი") უნდა ახსოვდეს, რომ სიყმაწვილე დროებითია და ქაფურივით გაქრება: „სიყმაწვილე მედროვეა, ვით ქაფური გაგიქრება". ივანე გეგია ლოდებზე მოჩქრიალე წყალს („მთის წყალი") თუ ნაკადულს ადარებს ჰაერში ორთქლის ტრიალს, ხოლო ქვეშ „ჩაძრომილ უფსკრულს", სადაც ეს წყალი ჩაედინება – გაბრაზებული ლომის ღრიალს:

„ზევიდან დაბლა ჩამოჰქუხს, წყალი ლოდებზე ჩქრიალებს
და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს,
ქვეშ ჩაძრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს,
უცხო რამ ხდება ორ მთას შუა, თითქოს, ქვეყანა ზრიალებს".

რუსეთში გადასახლებული ივანე გეგია („გამოსალმება") თავის სამშობლოს ყვავილოვან წალკოტს ადარებს: „აგრე მოსთქვამდა დევნილი, გულს ჯავრი ემატებოდა, ყვავილოვან წალკოტად სამშობლო ეხატებოდა". უცხოეთში დევნილს მზის სხივი ჩრდილად ელანდებოდა, ჩრდილს კი საფლავის წყვდიადს ადარებდა: „მზის სხივი ჩრდილი ეგონა, ჩრდილი – საფლავის წყვდიადი". ოდესაში დაღონებული მგოსანი „ლტოლვილი დაეხეტება", თვალწინ უდგას მშობლიური სანახები. სამშობლო ედემთან აქვს შედარებული:

„რომელი კუთხე ცის ქვეშა
მას შევადარო მშვენებით,
სწორედ რომ ედემი არის,
მჭუხარე შადრევანებით".

თავისი სამშობლო ქართლი პირველად ედემთან ანუ სამოთხესთან გააიგივა XVII საუკუნის პოეტმა გარსევან ჩოლოყაშვილმა: „ქართლია მოთხე, ვითა სამოთხე, ავნი არ სჭირან, ვით საამოთ ხე, მდინარის პირას დგანან სამ-ოთხე, ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია". ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „განთიადი" ალეგორიული ნაწარმოებია. ივანე გეგია ტურფა ქალწულს ადარებს „მომდინარ განთიადს": „ცა სინათლეს იმოსავდა, ღამეს ეხვეოდა დარდი, ტურფა ქალწულს მაგონებდა მომდინარი განთიადი". ან კიდევ: „ვით ბრძოლის დროს მეომარი, მოარღვევდა ბნელს ცისკარი". აქვე ვკითხულობთ: „და ასევე ბინდი ღამის გადაჰკვროდა არე-მარეს, შავი ძაძით დაბურული, ჩამოგავდა ბნელ სამარეს". ლექსში „ადამიანი" ვკითხულობთ: „შემდგარი ძალა, ვით მანქანა, დაატრიალე".

ვოდევილიდან „სიყვარულის მონა" ამოვიწერე მხატვრული შედარების მაგალითები: „ჩემებრ ერთგულსა ცოლს ვერ იშოვი"; „ცოდვა არ არის ზუთხივით ქალი შენს გამხმარ გვერდებს რომ უწვებოდეს".

ახლა კი გავეცნოთ საილუსტრაციოდ მოტანილი მხატვრული შედარებების შინაარსს და ფუნქციებს. შესადარებელ-შედარებული საგნები გამოყენებულია ფიზიკური საგნების სახით. შედარების ობიექტად პოეტს ნახმარი აქვს: ჯოჯოხეთი, მტკვარი, ბურთი, იხვი, სანთელი, ნაღველი, მაიმუნი, ანგელოზი, ქაფური, ორთქლი, ლომი, წალკოტი, ჩრდილი, ედემი, ქალწული, მეომარი, სამარე, მანქანა, ზუთხი. შესაბამისად შესადარებელი საგნები ასე გამოიყურება: უფსკრული, წყარო, ყმაწვილი, დრო, შრომა,

დედა, მეტრფე, საქმრო, სიყმაწვილე, ნაკადული, დევნილი, მზის სხივი, ჩრდილი. სამშობლო, განთიადი, ცისკარი, ბინდი, ძალა. შესადარებელ საგნებში კონკრეტულთან ერთად გარეულია აბსტრაქტული სახელებიც.

სულიერი საგანი შედარებულია სულიერთან: „შიგ ვყვინთაობდით, ვცურავდით, როგორც იხვები ტბაშია"; „ვუწყრებოდი და ვწყევლიდი, როგორც დედამთილი რძალსა"; „დიდს და პატარას უყვარდე, ვით დედას თავის გაზრდილი"; „იცოდე რა არიან (იგულისხმებიან მოტრფიალენი – ტ. მ.): ერთი ჰგავს მაიმუნსა"; „ფულით და ვერცხლით მდიდარი (საქმრო – ტ. მ.), ვით ანგელოზის მსგავსი"; "შენ ედრები გულით მდიდარ ღარიბ კაცს"; „ცოდვა არ არის ზუთხივით ქალი შენს გამხმარ გვერდებს რომ უწვებოდეს."

უსულო საგანი შედარებულია უსულოსთან: „ქვევით უფსკრული ჩაუდის, როგორც ჯოჯოხეთისაო, ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი როგორც მტკვრისაო;" „და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს"; „და ასევე ბინდი ღამის გადაჰკროდა არემარეს, შავი ძაძით დაბურული ჩამოგავდა ბნელ სამარეს";

სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან: „და მით, კატო, ტკბილ სიცოცხლეს ნაღველივით გაგიმწარებს";

უსულო საგანი შედარებულია სულიერთან: „ქვეშ ჩაბრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს"; „ტურფა ქალწულს მაგონებდა მომდინარი განთიადი"; „ვით ბრძოლის დროს მეომარი, მოარღვევდა ბნელს ცისკარი";

აბსტრაქტული საგანი შედარებულია კონკრეტულთან: „იგი დრო ახლა მენატრის, გამიქრა, ვითა სანთელი"; „ღმერთმა შრომა აგიყვავოს, ვით ბაღში რგული ყვავილი"; „სიყმაწვილე მედროვეა, ვით ქაფური გაგიქრება"; „ყვავილოვან წალკოტად

ქვეყანა ეხატებოდა"; „სწორედ რომ (იგულისხმება სამშობლო – ტ.მ.) ედემი არის, მჭუხარე შადრევანებით"; „შემდგარი ძალა, ვით მანქანა, დაატრიალე";

ახლა შევეხოთ მხატვრული შედარების ფორმის ნიმუშებს. ივანე გეგიას ლირიკისათვის დამახასიათებელია მხოლოდ მარტივი შედარების ნიმუშები: „დილით ნამიან მწვანეზე ბურთივით გავგორდებოდი"; „იგი დრო ახლა მენატრის, გამიქრა, ვითა სანთელი"; „ტკბილ სიცოცხლეს ნაღველივით გაგიმწარებს"; „ღმერთმა შრომა აგიყვავოს ვით ბაღში რგული ყვავილი"; „და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს" და ა.შ.

შედარების გამოსახატავად გამოყენებულია კავშირები:

ვით: „იგი დრო ახლა მენატრის, გამიქრა, ვითა სანთელი"; „ღმერთმა შრომა აგიყვავოს, ვით ბაღში რგული ყვავილი"; „დიდს და პატარას უყვარდე, ვით დედას თავის გაზრდილი"; „ფულით და ვეცხლით მდიდარი, ვით ანგელოზის მსგავსი"; „სიყმაწვილე მედროვეა, ვით ქაფური გაგიქრება"; „ქვეშ ჩაბრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს"; „შემდგარი ძალა, ვით მანქანა, დაატრიალე";

როგორც: „ქვევით უფსკრული ჩაუდის, როგორც ჯოჯოხეთისაო"; „ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი როგორც მტკვრისაო"; „შიგ ვყვინთაობდით, ვცურავდით, როგორც იხვები ტბაშია"; „ვუწყრებოდი და ვწყევლიდი, როგორც დედამთილი რძალსა";

ებრ: „შენებრ იმას წანაღლეტი არ უნდა"; „ჩემებრ ერთგულსა ცოლსა ვერ იშოვი".

თანდებული „ვით" შეზრდილია სახელთან: „დილით ნამიან მწვანეზე ბურთივით გავგორდებოდი"; „და მით კატო, ტკბილ სიცოცხლეს ნაღველივით გაგიმწარებს"; „და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს"; „ცოდვა არ არის ზუთხივით ქალი"...

შედარების გადმოცემა ზმნის შემცველი კონსტრუქციით: „იცოდეთ რა არიან: ერთი ჰგავს მაიმუნსა"; „შენ ედრები გულით მდიდარ ღარიბ კაცს"; „ტურფა ქალწულს მაგონებდა მომდინარი განთიადი"; „და ასევე ბინდი ღამის... ჩამოგავდა ბნელ სამარეს".

პრეპოზიციური შედარება: „ვით ბრძოლის დროს მეომარი, მოარღვევდა ბნელს ცისკარი";

პოსპოზიციური შედარება: „იგი დრო ახლა მენატრის, გამიქრა, ვითა სანთელი"; „ღმერთმა შრომა აგიყვავოს, ვით ბაღში რგული ყვავილი"; „ფულით და ვერცხლით მდიდარი, ვით ანგელოზის მსგავსი".

ეპითეტურენოვანი მეტყველება. ივანე გეგიას პოეტური შემოქმედებიდან ამოვიწერეთ ყველა ლოგიკური და მხატვრული განსაზღვრანი, თან დავალაგეთ ანბანის რიგის მიხედვით: ამაყი, ანკარა, ავი, აგებული, ამნაირი, ატანილი, ახალი, ახირებული, აქაფებული; ბნელი, ბედნიერი, ბეჩავი, ბოროტი, ბევრი, ბეჯითი, ბედშავი, ბებერი; გამაძღარი, გლეხური, გამაგრებული, გადაკრული, გულკრული, გრძელი, გიშრისთმიანი, გამცემი, გასუქებული, გულკეთილი, გაზრდილი, გმირი, გრილი, გაყვითლებული, გატაცებული, განმსაზღვრელი, განდეგილი, გულწრფელი, გამოცდილი, გულგატეხილი, განაჟიები, განათლებული, გამწყრალი, გონებამხვილოვანი, გაღებული, გამხმარი; დაქანცული, დაულეველი, დიდი, დახატული, დაბმული, დიდკაცური, დაკარგული, დაბურული, დევნილი, დაჩაგრული, დარული, დატანჯული, დიადი, დაცემული, დათითხნილი, დამთვრალი, დაღლილი; დასაწყლებული; ერთგული; ზანტი, ზარდამცემი; თავწვეტიანი, თმაგაწეწილი, თავდადებული, თანასწორი, თავმომწონე. თავმდაბალი, თავისუფალი; კარგი, კმაყოფილი, კეთილი, კეკლუცი; ლამაზი, ლოყაწითელი, ლტოლვილი, ლაქია, ლოთი; მაღალი, მადლიერი, მდიდარი, მშიერი,

მცირე, მხიარული, მხსნელი, მახარობელი, მოსისხლე, მოყვარე, მოღალატე, მრგვალი, მწუხარე, მოსილი, მთვრალი, მოტყუებული, მოხარული, მოწყალე, მოწამლული, მალული, მგლოვიარე, მაგარი, მყვლეფელი, მართალი, მობულებული, მყრალი, მოზარდი, მოღიმარი, მკვდარი, მძინარი, მომცინარი, მოარშიყე, მღელვარე, მდინარი, მედროვე, მორწმუნე, მფარველი, მნათი, მოდუნებული, მიმშრალი, მოუსვენარი, მოქანცული, მოღალული, მოკლე, მორცხვი, მარდი, მოვარდნილი, მხნე, მებრძოლი, მაშვრალი, მძიმე, მაჩანჩალა; ნაზი, ნამიანი, ნახატი, ნიჭიერი, ნასუქი; ობოლი, ოხერი, ორპირი; პაწაწა, პატარა, პირნათელი, პირშავი; რეგვენი; საწყალი, საზარი, სპეტაკი, სრული, საეშმაკო, საქებარი, სირმიანი, სათაყვანო, საიმედო, სუსტი, საამო, სანუგეშო, სახელოვანი, სალი, საამური, საზარელი, სნეულიანი, სულგრძელი, საცოდავი; ტურფა, ტკბილი, ტრიალი; უბედური, უფროსი. ურიცხვი, უღმრთო, უჩინო, უწყალო, უტკბესი, უცხო, უძლური, უჭკუო, უგრძნობელი, უნდობი, უსირცხვილო, უპირატო, უბრალო, უსწავლელი, ურწმუნო, უსინდისო, უზომო, უკუღმართი, უმადური; ფუჭი, ფარული, ფლიდი, ქვრივი, ქესატი; ღონიერი; ყრუ, ყელბროლიანი, ყვავილოვანი, ყურმოჭრილი; შემკული, შავი, შემკობილი, შავწვეროსანი, ჩაძრომილი; ჩვილი; ცუდი, ცოცხალი, ცბიერი, ცელქი; ძლიერი, ძმური, ძველი, ძვირფასი, ძვირი; წითელი, წუწკი, წვრილწვრილა, წყნარი, წვრილი, წმინდა, წასული, წყეული; ჭეშმარიტი; ხმოვანი, ხანგრძლივი.

მარტივი ეპითეტები: „ამაყი რისხვით დაჰყურებს"; „სახით პაწია, ტურფა ხარ"; „გერჩივნოს წითელ ღვინოსა"; „ხომ დავრჩები ბედნიერი"; „თან ეძლევა ფუჭ ოცნებას"; „მამულის ავი და კარგი ჯერ აღარ იბრძვის შენს გულში"; „ორივე ნაზმა გვრიტებმა იცოცხლეთ მრავალჟამიერ"; „ყრუ გუგულიც იძახის"; „ავავსოთ ძველი ბეღლები".

რთული ეპითეტები: „თავწვეტიანი გორების, მაღალ იალბუზისაო"; „გულმოსილსა შავი ფიქრით, საიდუმლო მიმხილდება"; „ჩემს მოყვარე ყმაწვილ კაცსა არ გავუშვებ გულკრულადო"; „თმაგაწეწილი დადიხარ, გარე გაქვს კანი შავიო"; „აწ მერმისად თავს დავუკრავ სამშვიდობოდ ტურფა კატოს, ყელ-ბროლიანს, გიშრისთმიანს, მოტყუებულს, უპირატოს"; „ათას აწმყოს დაესწარი, გულკეთილო, საქებარო"; „შინ სახლის მომვლელი ჰყავს, პაწაწაც ძუძუმწოვარი"; „გულგატეხილი მურია"; „იყვნენ მონები, ყურ-მოჭრილ ყმები"; „რადგან სულგრძელი ქალი ბრძანდებით"; „თქვენებრ გონებამახვილოვანი ქალი ძვირია ამ ჩვენს მხარეში".

მაქებარი ეპითეტები. „იძახიან – კარგი კაცი არისო"; „ლალ-ზურმუხტით შემკობილი კაცმა როგორ გამოხატოს"; „ერი კეთილი, ერი ჯვარისა, შენი ერთგული და ფეხთა მტვერი"; „ამრავლე ერი შენი მმოსავი"; „გაიმართენით, გათამამდით, ხართ ნიჭიერი"; „ჯერ იძინე, ჩემო ტურფავ, გიმღერ ნანასაო"; „მთანი მაღალნი, ამაყნი, ვაკებს გადმოსქერიან"; „მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, კეკლუცო, ტურფა მხარეო"; „და ყვავილოვან წალკოტად სამშობლო ეხატებოდა";

მაძაგებელი ეპითეტები: „წადი, გამშორდი, სულო ბოროტო, აწ ეშმაკებთან იყავ მომლხენი"; „წადი, გამშორდი, შე წუწკო, ქვას მიახალე თავი"; „მას, უჭკუოს, ამ ნეტარ დროს უგრძნობელად მიეძინა"; „რომ ცუდ რამესა მაგრად ვკადრებდი"; „გულით მყრალი გროშისთვის ემოყვრები"; „ნეტავ რად არის აგრე სუსტი კაცის გონება"; „შიშით დამფრთხალნი ნადირნი კაცის თვალს ეკარგებიან"; „ქვეშ ჩაძრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს"; „მოსპე და გაანადგურე ორპირი, უუკუღმართია;" „გულში ჩაარჭვე ხანჯალი, მოსპე ოხერი, ფლიდიო".

ფსიქოლოგიური ეპითეტები. „მგლოვიარე ხარ თავის ბედი-

თა"; „სულით დატანჯული განდეგილი დავდივარ მარტო"; „თვალები ცრემლში ცურავენ მოქანცულ-მოღალულები"; „დაღონდა, ბედსა ემდურის გულგატეხილი"..., „ხომ ჩემზე, გულო, არ ხარ გამწყრალი"; „მე ღმერთგამწყარლი რა ბოდიშს ვეტყვი".

თვითმახასიათებელი ეპითეტები. „მარტო მით ვარ უბედური, რომ არა ვარ ნასწავლი"; „თოხი ვიცი გლეხური, შავი მიწის მტერი ვარ"; „თავს შევაკლავ ჩემს მესისხლეს რომ დავრჩები ბედნიერი"; „ობოლი ვარ, ბედის მოძულებული, დავეთრევი ქვეყნად ახირებული"; „სულით დატანჯული განდეგილი დავდივარ მარტო"; „დავღონებულვარ ბედშავი"; „იმედები გამიცრუვდა, დავრჩი ბოლოს მაჩანჩალა"; „ჩემებრ ერთგულსა ცოლსა ვერ იშოვი".

ფერის გამომხატველი ეპითეტები. ფერებიდან თითოჯერ არის მოხმობილი „წითელი" და „ყვითელი", ხოლო ბევრჯერ - „შავი". „შავი მიწის მტერი ვარ"; „გულმოსილსა შავი ფიქრით"; „გარე გაქვს კანი შავიო"; „შავწვეროსანი, შავ თვალით შემკული"; „შავი ძაძით დაბურული ჩამოგავდა შავ სამარეს"; „მაგრამ ცახცახი რა შავი ქვაა?" „ხედავ, პირშავი აღარ წასულა"... „თათრისა სისხლი სასმელად გერჩივნოს წითელ ღვინოსა"; „მეორე გაყვითლებულა, არ არის ამ სოფლისა".

ზედსართავი სახელით გამოხატული ეპითეტები. „გამაგრდი, როგორც სალი კლდე"; „თან, მოჩუხჩუხე მაღლიდან ანკარა ნაკადულები"; „შენ, ჭაბუკო, ნუ ხარ ცელქი"; „მით მექნებოდა სახელი დიდი"; „წელწვრილა, ტანად მაღალი და ეშხის ატანილიო"; „ლამაზი გოგო ამბობდა"; „თან ეძლევა ფუჭ ოცნებას"; „ლორიც კაცობს თავის გრძელი დინგითა"; „თავს დავუკრავ სამშვიდობოდ ტურფა კატოს"; „რეგვენს თავბრუ ესხმება".

არსებითი სახელისგან წარმოებული ეპითეტები. „დილით ნამიან მწვანეზე ბურთივით გავგორდებოდი"; „სურვილს მორჩა

კაცი, ბედნიერია"; „უძლურებთან აწი ღონიერია"; „მას, უჭკუოს, ამ ნეტარ დროს... მიეძინა"; „თუ გინდ ვიყო ურწმუნო"; „ნუ შეგაშინებს ცხოვრების ზღვა, ტალღა ძლიერი"; „გახსოვდეს, შენ ხარ მხსნელი ქვეყნის, მებრძოლი ბალა".

მიმღეობისგან წარმოებული ეპითეტები. „თქვენი უღელი სულ მტკიცედ ჰყოს ღმერთმა გამაგრებული"; „მე დაქანცულმა მივწექი, გავიხსენ ღვედის სარტყელი"; „გაჭირვებულს სიტყვით შეიწყნარებსო"; „ტურფა კატოს... მოტყუებულს..." „ამ ყაიდით ვატარებდი წუთისოფელს მოწამლულსა"; „ვა, რა კარგია, რომ მყავდეს ლოყაწითელი ქმარიო, შავწვეროსანი, შავ თვალით შემკული, დახატულიო"; „დიდკაცურად ჯიბეში ხელს ვიყოფდი"; „ობოლი ვარ, ბედის მოძულებული".

ეპითეტი – გასარითმავი ერთეული. ივანე გეგია ეპითეტების მცირე ნაწილს გასარითმავ ერთეულად იყენებს. ყველა ნიმუში ამოვწერეთ:

„ობოლი ვარ, ბედის მოძულებული,
დავეთრევი ქვეყნად ახირებული";
„ხანგრძლივად მომღიმარი,
უფრო მეტად მძინარი";
„უგრძნობი ხარ, ვარსკვლავო, ცბიერად მომცინარი,
სიბნელის მოარშიყე, სინათლის მეომარი";
„მას გულსა პაწა უმხნევებს, შრომისთვის თავდადებულს,
იცის, შვილს სწავლა უნდა, ესეთი დრო შესწრებულს";
„ნუ შეგაშინებს ცხოვრების ძღვა, ტალღა ძლიერი,
არცა გრიგალი, ქარიშხალი, მხნე, ღონიერი";
„საყვარლისა სიყვარული ძნელია,
ეს ქვეყანა უმოჯნუროდ ბნელია".

ამრიგად, ივანე გეგიას პოეზიაში ფართოდ მოგვეპოვება ლოგიკური და მხატვრული მსაზღვრელნი. ასევე მეტნაკლები

სიმრავლით წარმოდგენილია: მარტივი, რთული, მაქებარი, მაძაგებელი, ფსიქოლოგიური, თვითმახასიათებელ, ფერის გამომხატველი ეპითეტები. საკმაოდ გვხვდება ზედსართავი სახელით გამოხატული ეპითეტები, არსებითი სახელისაგან წარმოებული ეპითეტები, ასევე მიმღეობისაგან წარმოებული. ეპითეტების მცირე ნაწილი გამოყენებულია გასარითმავ ერთეულად.

მეტაფორული ფერნაკლულობა. ივანე გეგიას პოეზია მეტაფორული აზროვნების სიმწირეს განიცდის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოპოვება შევძელით. დაფიქსირდა შემდეგი მეტაფორული სახეები: ლომი, გვრიტი, მტრედი, ბროლი, გიშერი, ვარდი, მოხუცი.

„კავკასის ქებაში" სიტყვა „მოხუცი" იალბუზის მთის მეტაფორაა, მის მარადიული სიბერის წარმოსაჩენად: „მოხუცი ფეხზე მაგრა დგას, თითქოს, ცას უბჯენს წვერსაო". საუკუნეების მანძილზე მხატვრულ აზროვნებაში, „ლომი" აღიქმებოდა ძლიერების მეტაფორად, ფიზიკური ძლიერების სიმბოლოდ. ეს ტრადიციები მახლობელი ჩანს სამურზაყანოელი მგოსნისთვის. იგი მეგობარ ქალს ულოცავს („მილოცვა") დაქორწინებას. მილოცვის ტექსტის დასაწყისშივე ხაზი გაესმის ძლიერ მამაკაცზე ქალის გათხოვებას, რასაც უწონებს და ამას ახერხებს ლომის მეტაფორის მოხმობით: „თავმოდრეკით სალამს გიძღვნი, მოგილოცავ ლომთან წოლას; ჩემს გამჩენს შევევედრები მალე თქვენი ვაჟის ყოლას".

„მილოცვა" სრულდება ასე: „ორივე ნაზმა გვრიტებმა იცოცხლეთ, მრავალჟამიერ". „გვრიტის" სიმბოლურ-მეტაფორულ განსახიერებაზე ბიბლიაში და სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში, ასევე საერო ლიტერატურაში ზემოთ ვისაუბრეთ და აქ არ განვმეორდებით. თუმცა გვერდს ვერ ავუვლით კვლავ იმ ფაქტს, რომ პირველად ქართულ საკარო-სახოტბო პოეზიაში

(„აბდულმესიანი") თავს იჩენს „გვრიტის" მეუღლეობრივი სიყვარულის მეტაფორად აღქმა. გამოდის, რომ ივანე გეგია იცნობს ლიტერატურულ ტრადიციას გვრიტის მეტაფორაზე მეუღლეობრივი ტკბილი ცხოვრების წარმოსაჩენად.

ვოდევილში „სიყვარულის მონა" ზაალი განადიდებს თავის ცოლს (ლიზა) და ამისთვის მტრედის მეტაფორას მიმართავს: "მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის, სწორედ ღირსი ცოლი მაჩუქა, ერთგული ჩემი და თავმდაბალი, მტრედია, მტრედი, ცით მონაფრენი". სხვა საკითხია, მკითხველი თუ ამას ირონიულად აღიქვამს, ვინაიდან ქმრის მოღალატე მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ამ მეტაფორას არ იმსახურებს. დავჯერდეთ იმას, რომ ეს ასე სწამს ლიზას ბებერ და სნეულ ქმარს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც შევნიშნავთ, რომ გვრიტი ტყის ფრინველია მტრედების ოჯახისა (ქეგლ). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩავიხედოთ: „გვრიტი ფრინველია მტრედისნაირთა რიგისა, გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში. საქართველოში მრავალგან გვხვდება. მტრედისნაირნი ფრინველთა რიგი ტანად პატარაა. საქართველოში ოთხი სახეობაა გავრცელებული: გარეული მტრედი, გვიძინი, ქედანი, გვრიტი". სათანადო წყაროები ადასტურებენ: შუა საუკუნეების ქართული სიტყვიერ კულტურაში „გვრიტი" და „მტრედი" სინონიმური ცნებებია და წარმოსახულია ქრისტეს, წმ. მარიამის, ეკლესიის უმანკოების, სულიწმიდის, ასევე ხსნის მეტაფორა-სიმბოლოა.[1]

ლექსში „ეშხით მთვრალს" ივანე გეგია ქალის მშვენიერი ყელის გამოსახატავად „ბროლის" მეტაფორას მიმართავს, ხოლო შავი თმებისა – „გიშერს". ცხადია, აქ პოეტი უპირველესად რუსთაველის გავლენის ქვეშაა. „ბაღანაში" პოეტი პაწია, ჩვილი

[1] შდრ. ტ. მოსია, ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა-სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი, 1997, გვ. 62-64.

ბავშვის ანგელოსური სილამაზის წარმოსახვის მიზნით იყენებს „ვარდის" მეტაფორას ტრადიციისამებრ: „ჯერ იბინე, ჩემო ტურფავ, გიმღერ ნანასაო, ნუ შეკრთები, ვარდო, ბილში ნუ მკრავ დანასაო". გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „იმერული ნანინა": „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო".

ეს არის და ეს. ამით ამოიწურება ივანე გეგიას მეტაფორული აზროვნების ნიმუშების ჩვენებანი.

გაპიროვნების სიმწირე. ივანე გეგიას პოეზიაში მეტაფორას-თან ერთად შეინიშნება გამოსახვის ისეთი ხერხის ნაკლებობა, როგორიცაა გაპიროვნება (პერსონიფიცირება). ეს მხატვრული ხერხი აქა-იქ იჩენს თავს. ყველა მოძიებულ მასალას მოვუყარეთ თავი: „სხვა მთები ამოყუნცულან, თითქოს, შიში აქვთ ღვთისაო"; "ამაყი რისხვით დაჰყურებს, ყაზბეგი შიშით კრთისაო"; „ყინულნი ზედ დასცქერიან, როგორც ალმასის ქვისაო"; „ქვესკნელს წყარონი მირბიან"; „მირბიან (წყარონი – ტ. მ.), მიდუდუნებენ, თითქოს ჯავრი აქვს მთისაო"; „მთანი მაღალნი, ამაყნი, ვაკეებს გადმოსცქერიან"; „ქვეყანა, ყინვით დაზრული, იცოცხლებს, მოვა გრძნობასა"; „აიწია ქვეყნის მნათი, სამხრეთისკენ გადიხარა".

ა) **სტროფი.** როგორც ცნობილია, ქართული სტროფიკის ძირითადი სახეები 2-დან 10 ტაეპის ფარგლებში ტრიალებს, სხვა სახეები სპორადულად (დრო და დრო, აქა-იქ) გვხვდებიან.[1] ივანე გეგიას ლირიკაში ძირითადად მოგვეპოვება ორტაეპიანი და ოთხტაეპიანი სტროფები. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ოთხტაეპიან სტროფს ჩაენაცვლება ორტაეპიანი, და ამ ჩანაცვლებით სრულდება ლექსი.

ჯერ განვიხილოთ ორტაეპიანი სტროფი. ქართულ პოეზიაში ორტაეპიანი სტროფის შემომღებია არჩილ ბაგრატიონი (1947-1713). გავიხსენოთ მისი თხზულება „ლექსნი ასნი ორმუხლიანი". აქ ცნება „ლექსი" გამოყენებულია „სტროფის" მნიშვნელობით. ცნობილია, რომ სიტყვა „ლექსი" XIX საუკუნის I ნახევრამდე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. სიტყვა; 2. ტაეპი; 3. სტროფი; 4; ლექსი (ცმუხ); 5. ლექსის სახეობა – ორტაეპიანი ლექსი.[2] არჩილისეული ტერმინი „ორმუხლიანი" ნიშნავს ორტაეპიანს.

ორტაეპიანი სტროფები, ეტყობა, პირველად ქართული ხალხურ პოეზიაში გაფორმდა. ამ შემთხვევაში, ჯონდო ბარდაველიძის შენიშვნით, მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა რითმას. მიჯრითი რითმა ადვილი აღსაქმელია და ხალხური პოეზიის ხასიათისთვის სავსებით შესაფერისი.[3] აღსანიშნავია, რომ ორტაეპედი (ორკარიანი ხანა) სპარსული პოეზიის კლასიკურ ფორმას წარმოადგენდა. ივანე გეგიას ლექსებშიც ორტაეპედს ქმნის მიჯრითი რითმა, იგივე მოსაზღვრე თუ პარალელური რითმა. ამის საფუძველზე ვაღიარებთ მათ სტროფებად. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

[1] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1965, გვ. 384.
[2] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 33.
[3] ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსები, თბ., 1979, გვ. 105.

„მოხუცი ფეხზე მაგრა დგას, თითქოს, ცას უბჯენს წვერსაო,
დგას და უბერავს გრიგალი, არ ემონება მტერსაო";[1]
„თოფი და ხმალი გიყვარდეს და მისი ტკაცა-ტკუცია,
მამულს შენ მაინც უშველე, თათრებს იგი დაუცია";[2]
„ახლო ვიდექ ამ სიტყვების გამგონი,
არავინ იყო ქრისტეს სიტყვის მომგონი";[3]
„ღარიბთა ბედი გიცნია, გინდა მოუმართო ხელი;
ღმერთმა აგასრულებინოს, რომ დაგრჩეს ბოლოს სახელი";[4]
„სამშობლოს ზურგსა ანათებს მთვარე,
საღამოს დროზედ წყნარად მოარე".[5]

ივანე გეგიას ლირიკაში რაოდენობრივად დომინირებს ოთხტაეპიანი სტროფი. თუ ორტაეპიანი სტროფით 15 ლექსია დაკომპლექტებული, ოთხტაეპიანი სტროფის შემცველია 25 ლექსი. მხოლოდ ორიოდე ნიმუშს დავაფიქსირებთ:

„ქალმა დამწყევლა: ყმაწვილო,
თავზე დაგეცა მეხიო!
შენ არ მინდიხარ, გამშორდი,
რადგან მუშა ხარ, გლეხიო";[6]
„ლამაზი გოგო ამბობდა:
რად მინდა ჩანგი, თარიო,
ვა, რა კარგია, რომ მყავდეს
ლოყაწითელი ქმარიო".[7]

სამი ლექსი დაწერილია ავტორის მიერ ასეთი ფორმით:

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 35.
[2] იქვე, გვ. 37.
[3] იქვე, გვ. 48.
[4] იქვე, გვ. 53.
[5] იქვე, გვ. 54; შდრ. გვ. 35, 36, 37, 38, 48, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 62, 63, 72, 82.
[6] იქვე, გვ. 43.
[7] იქვე, გვ. 52; შდრ. გვ. 40, 41, 42, 43, 45, 46-47; 49-50; 52, 60, 63, 64, 65, 66, 67, 68, 70, 71, 73-74; 75-76; 77, 78, 79, 80-81; 83, 84.

ლექსი იწყება ოთხტაეპიანი სტროფით, მას მოსდევს ორტაეპიანი სტროფი. ამ მონაცვლეობით სრულდება ნაწარმოები:

„ეჰ, დაგვიდგა გაზაფხული,
სახნისს გავულესოთ პირი;
მთა, გორა, ყველა დავთხაროთ,
ჭინჭარს ამოვუგდოთ ძირი!
ნიშა ნიკორას ვაჭამოთ ბლომად თივა და მარილი,
გასუქდება გუთნისდედა, შეიქმნება მხიარული.
ყრუ გუგულიც იძახის,
უღელს შევაბათ ხარები,
ქრისტე ღმერთმა შეგვიწყნარა,
დაგვიდგა კარგი დარები.
ძმებო, ძალზე გავისარჯოთ, ავავსოთ ძველი ბეღლები,
ჩარჩებს ბედი გაეხსნებათ, მაგრამ დავსთხაროთ თვალები.
ქვრივი, ობლები გავაძღოთ,
ვალხინოთ ბიძა და ძმები.
ზანტებმა წელი აგრძელონ,
ეს არის მათი წესები.
ქრისტე ღმერთო, გევედრები, მუშა ხალხის დღე ამრავლე,
რომ მუდამ გაქონ, გადიდონ, იმღერონ ჰარი-ჰარალე!"[1]

ივანე გეგიას გააჩნია ერთადერთი ლექსი („ძველი თავადი"), რომელიც აგებულია ოთხტაეპიან სამ სტროფზე და ორტაეპიან ექვს სტროფზე. მთლიანად დავიმოწმებ ამ ლექსს:

„სახელისთვის ვმსახურობდი,
მტერის ვიყავ ზარდამცემი.
ზოგჯერ მომმის, ჯილდოსათვის,
მოღალატე და გამცემი!
მაშინ ვიყავ კმაყოფილი და ბედითა მოხარული,
როცა შემხვდებოდა გლეხი, ჩემდა ხვეწნად შინ მოსული.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 39; შდრ. გვ. 44, 61.

ჯერე ტკბილად ვეპყრობოდი,
მერე ხელსა მოვუჭერდი,
სანამ ფეშქაშს არ მომცემდა,
ხომ უბრალოდ დავიჭერდი.
ზოგჯერ შვილსა ვუმახოდი, ზოგჯერ ღორს და...
ვუწყრებოდი და ვწყევლიდი, როგორც დედამთილი რძალსა.
კანკალითა შემახებდა:
შემიბრალე, ბატონოვო,
შენი ყმა, მონა გახლავარ,
რად გამრისხე, ბატონოვო.
თუ გამიშვებთ, მოწყალეო, დღეს გაახლებთ ერთსა ხარსო
და საუზმედ ხვალ დილისთვის ბატკანსა და დედა ცხვარსო.
ამ ყაიდით ვატარებდი წუთისოფელს მოწამლულსა.
და ვინც ჩემსას არ ისმენდა, აღვუგზნებდი ცოდვის ლუდსა.
ყველას ჩემი ეშინოდა, მიძახოდნენ – დიდსა კაცსა,
მოსაკითხად მიგზავნიდნენ ხშირად გასუქებულ ვაცსა.
აწი შემიპყრა სიკვდილმა და ჩამიზიდა სამარემ,
გულში მალული ცოდვები მათქმევინა დღეს სიმწარემ".[1]

ბ) **მეტრიკული სტრუქტურა.** ივანე გეგიას ლირიკული ნაწარმოებების სალექსო ტაეპები გაწყობილია სხვადასხვა საზომებით, რომელთაგან 25 ლექსი 8-მარცვლიანი მეტრით არის დაწერილი, 16-მარცვლიანი საზომით – 6 ნაწარმოები; 14-მარცვლიანით – 7; 10-მარცვლიანით – 7 (ერთი თარგმნილი ლექსის ჩათვლით), 11-მარცვლიანით – 3; 7-მარცვლიანით – 2. ვოდევილი „სიყვარულის მონა" 10-მარცვლიანი საზომით შეუთხზავს ავტორს, თუმცა მასში ორგან 11-მარცვლიანი სალექსო ტაეპები გაურევია. გავეცნოთ თითოეული მათგანს ცალ-ცალკე.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 51.

1. **შვიდმარცვლიანი საზომი.** მხოლოდ ერთი ლექსია („ჩემს ვარსკვლავს") 7-მარცვლიანი მეტრით შექმნილი. იგი 6-სტროფიანია, აქედან სამი სტროფის სალექსო ტაეპი 7-მარცვლიანია, დანარჩენი სამი სტრ‹ფი კი – 14-მარცვლიანი:

„განთიადის ვარსკვლავი,
ხანგრძლივად მომღიმარი,
ხან მკვდარი, ხან ცოცხალი,
უფრო მეტად მძინარი".

ლექსის ამ დასაწყისს მოსდევს ორტაეპედი – 14-მარცვლიანი საზომით შექმნილი:

„უგრძნობი ხარ, ვარსკვლავო, ცბიერად მომღიმარი,
სიბნელის მოარშიყე, სინათლის მეომარი".[1]

ცნობილია აღმოსავლური სალექსო ფორმა, რომელსაც **„ბაითი"** ჰქვია. მიაჩნიათ, რომ იგი თურქული სიტყვიდანაა წარმომდგარი და შვიდეულს ნიშნავს. ტიპიური ბაითი 8-სტროფიანი ლექსია, სტროფი ოთხტაეპიანია. ტაეპი კი – შვიდმარცვლიანი. ერთმანეთთან გარითმულია I, II და IV ტაეპნი, მესამე კი გაურითმავია. ამ სახის ლექსი ქართულ პოეტურ სინამდვილეში ჩნდება XVIII საუკუნეში (შდრ. დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის ბაიათები). ბაიათი გადმოდის XIX საუკუნეშიც (ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ბულბული ვარდზედ"; აკაკი წერეთელი: „კინტო"; „კინტოს სიმღერა"; ილია ჭავჭავაძე: „ძველს მოყვარეს"). ნამდვილი ბაიათის კომპოზიციურ წესებს ზუსტად არ იცავდნენ ქართულში.[2] ამ წესებს არც ივანე გეგია იცავს. საგულისხმოა, რომ ის იცნობს ამ სალექსო ფორმას და ერთ-ერთ ლექსში ასახელებს კიდეც. მგოსნის ლექსი „გაყრა" ასე იწყება:

[1] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 61.
[2] შდრ. **ა. ჭილაია,** ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971, გვ. 70-71.

„შენ ჩემზე, სატრფო, გული არ გიძგერს,
ბაიათ-მუხამბაზს სხვა ვინმე გიმღერს"[1]

2. **რვამარცვლიანი საზომი.** როგორც ითქვა, ივანე გეგიას პოეზიაში სწორედ ეს მეტრია ყველაზე უფრო პოპულარული. ჩვენამდე მოღწეული და „გაზაფხულის მოლოდინში" შესული 44 ლექსიდან 25 შეთხზულია 8-მარცვლიანი ქორე-დაქტილური ლოგაედისა და ქორეულ-პეონური პოლიმეტრის (მაღალი და დაბალი შაირის) ნახევარტაეპების სახით, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებელი საზომის ნიშნებითაა აღჭურვილი (რითმა, ინტონაციური დამოუკიდებლობა და სხვ.).[2] ორიოდე ნიმუშს დავასახელებთ:

„დაფა, ზურნაც მოვიწვიოთ,
და დავუკრათ ყველამ ტაში;
ვინ მოგვიგებს კახელებსა
მოლხენა და ღვინის სმაში";

„დაკარგული მოძმის შველა
ამიძგერებს მაშინ გულსა,
ვუჩვენებ მას გაბრწყინებით
სიმართლის გზას, დაკარგულსა".[3]

3. **ათმარცვლიანი საზომი.** აკაკი გაწერელიას თვალსაზრისით, ეს საზომები უმთავრესად ოცმარცვლიანი ქორე-დაქტილური ლოგაედის ნახევარტაეპების სახითაა გავრცელებული ქართულ ლექსში. თანდათან ათმარცვლიანი საზომი დამოუკიდებელ ინტონაციურ თვისებებს იძენს. ივანე გეგიას 6 ლექსი ამ მეტრითაა დაწერილი. ამავე საზომით გადმოუქართულებია ლერმონტოვის „წინასწარმეტყველი". ვოდევილი „სიყვარულის მონა", მცირე

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 42.
[2] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (1), თბ., 1981, გვ. 240-241.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 60; შდრ. გვ. 39, 41, 43, 44, 45, 46-47; 49-50; 51, 59, 60, 65, 71, 73-74; 77-78; 79, 80-81; 83, 84.

გამონაკლისის გარდა, მთლიანად ამ მეტრითაა შეთხზული. კერძოდ, მხედველობაში მაქვს 342 სალექსო ტაეპი. ლექსებიდან რამდენიმე საილუსტრაციო მასალას გავეცნოთ:

„დაჰკარი, ხვედრო, ჩემს ფიქრს ლახვარი
და გამაღვიძე ოხვრით მძინარი,
რომ ჩემს ნორჩობას, ეჭვით შემოსილს,
შეაშრეს ადრე ცრემლი მდინარი".[1]

"ნებას არ მივცემ ჩემს გულის სურვილს,
რომ ცბიერებას ის ემსახუროს,
ჭეშმარიტ აზრსა, შურით დევნილსა,
კარი გაუგდოს, ბნელში დახუროს".[2]

4. **თერთმეტმარცვლიანი საზომი.** ეს მეტრი დავით გურამიშვილმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში, შემდეგში იგი გაამრავალფეროვნა საიათნოვამ, ბესიკმა. სათავე მაინც ხალხური პოეზია უნდა იყოს: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო". ამ საზომით ივანე გეგიას სულ სამი ლექსი დაუწერია:

„როცა ეგდო ჩემს ჯიბეში გროშები,
ფეხზე მეცვა სირმიანი ქოშები,
არ მცვდებოდა სიარულით ფეხები,
ვიძახოდი: "მომიყვანეთ დროშკები";[3]
„ობოლი ვარ, ბედის მოძულებული,
დავეთრევი ქვეყნად ახირებული.
სულგრძელობა შენში აღმოფხვრილია,
გულჩვილობას დაკარგვია გზა-კვალი".

ვოდევილში „სიყვარულის მონა" ივანე გეგიას ჩაურთავს ამავე მეტრით თხზული ორი სტროფი (ოთხ-ოთხტაეპიანი). ქმრის მოღალატე მეძავი ლიზა იტყვის:

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 63.
[2] იქვე, გვ. 64; შდრ. გვ. 42, 54, 55, 66, 85.
[3] იქვე, გვ. 57.

„მიჯნურებთან ცხოვრება რა კარგია,
თუმც ერთი მყავს, მარტო ის რას მარგია,
ჩემი ქმარი ბებერია, ბარგია,
საალერსოდ მე ის აღარ მარგია...[1]
საყვარლისა სიყვარული ძნელია,
ეს ქვეყანა უმიჯნუროდ ბნელია.
სასეირნოდ მთა რად მინდა, ველი მე.
შესაქცევად ნიკიფორეს ველი მე".[2]

5. **თოთხმეტმარცვლიანი საზომი.** ქართულ პოეზიაში ამ მეტრის დამკვიდრება უკავშირდება XVIII საუკუნის პოეტის მამუკა ბარათაშვილის სახელს. მხედველობაშია მისი ლექსი „შეწყობილი". მას ფართოდ მიმართავდა, მამუკას წაბაძვით, დავით გურამიშვილი. სწორედ ამ დიდმა პოეტმა მოუპოვა პოპულარობა აღნიშნულ სალექსო ფორმას. შემდეგ კი მისი ახალი, ორიგინალური და ამჟამად გავრცელებული ფორმის დამამკვიდრებელია ბესიკი. სწორედ ამ მეტრით იქმნებოდა მუხამბაზი, როგორც ლექსის ერთ-ერთი სახეობა. მუხამბაზი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ხუთეულს. ტიპიური მუხამბაზი ხუთსტროფიანია, თითოეული სტროფი – ხუთტაეპიანი, 14-მარცვლიანი. ზემოთაც შევნიშნეთ, რომ ლექსის ამ სახეობას იცნობს ივანე გეგია და ასახელებს კიდეც: "ბაიათ-მუხამბაზს სხვა ვინმე გიმღერს".

ივანე გეგიას 14-მარცვლიანი საზომით შვიდამდე ლექსი დაუწერია. ამათგან 4 ლექსი შექმნილია ბესიკური ფორმით:

„ჯვალად დიდებით აღადგინეთ ქართველი ერი,
გაიმართენით, გათამამდით, ხართ ნიჭიერი,
გამოიღვიძეთ, დრო აღარ გვაქვს ოხვრა-მოწყენის,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 95-96.
[2] იქვე, გვ. 97.

მსხვერპლი იყავით სამშობლოსი და დედაენის".[1] (5+4+5)

სხვა ტიპის 14 მარცვლიანი ლექსია:

„იძინე, ჩემო პაწია, შენი ჭირიმეო,
როცა მოგშივდეს, სიცოცხლე, ტირილით მიხმეო";[2] (5+3+6)

„ჯერ იძინე, ჩემო ტურფავ, გიმღერ ნანასაო,
ნუ შეკრთები, ვარდო, ძილში, ნუ მკრავ დანასაო".[3] (4+4+6)

„ნიკო გლეხის შვილი ვარ, ტანთ მცვია ძონძები,
გლეხურათა დავდივარ, მდიდრებს არ ვედარები".[4] (7+7)

ეს უკანასკნელი თავისუფლად შეგვიძლია გავყოთ ორ თანაბარ – 7-მარცვლიან ნახევარტაეპად, ანუ იგი რომ დავშალოთ, მივიღებთ 7-მარცვლიან ლექსს.

6. **თექვსმეტმარცვლიანი საზომი.** თექვსმეტმარცვლიანი საზომი, ანუ რუსთველური შაირის მეტრი ივანე გეგიას გამოუყენებია 6 ლექსის შესაქმნელად. აკაკი გაწერელიას მიხედვით, თექვსმეტმარცვლიანი საზომი ერთ-ერთი ძირითადი მეტრია ქართული კლასიკური ლექსისა XI-XVIII საუკუნეებში; თანაც იგი უძველეს საზომად უნდა ჩაითვალოს საერთოდ ქართულ პოეზიაში. თუმცა ლიტერატურულად დამოწმებულია შედარებით გვიანდელ ძეგლებში.[5]

შაირის მეტრის ორი სახეობა არსებობს: მაღალი და დაბალი შაირი. ივანე გეგიას 6 ლექსიდან 4 დაწერილია დაბალი შაირით, 2 კი – მაღალი შაირით. ივანე გეგიას ჩვენამდე მოღწეული პირველი ლექსი „კავკასის ქება" (1880 წ.) სწორედ დაბალი შაირის მეტრითაა შეთხზული:

„ახ, ენა მომცა საქებრად, შემკული კავკასისაო,
თავწყვეტიანი გორების, მაღალ იალბუზისაო.

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 67; შდრ. გვ. 68, 72, 82.
[2] იქვე, გვ. 69.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 36.
[5] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (I), თბ., 1981, გვ. 231-232.

მოხუცი ფეხზე მაგრა დგას, თითქოს, ცას უბჯენს წვერსაო,
დგას და უბერავს გრიგალი, არ ემონება მტერსაო".[1] (5+3+3+5)
მაღალი შაირის ნიმუში:
„ქრისტეს შობას მოგილოცავ, ჩემო ახალ მეგობარო;
ათას აწმყოს დაესწარი, გულკეთილო, საქებარო".[2] (4+4+4+4)
„თავმოდრეკით სალამს გიძღვნი, მოგილოცავ ლომთან წოლას,
შენს გამჩენს შევევედრები, მალე თქვენი ვაჟის ყოლას".[3]

ამრიგად, ივანე გეგიას პოეზიის მეტრიკული სტრუქტურა მეტნაკლებად მრავალფეროვანია. ავტორს არაერთი სალექსო ტაეპის საზომი გამოუყენებია, კერძოდ, შვიდმარცვლიანი, რვამარცვლიანი, ათმარცვლიანი, თერთმეტმარცვლიანი, თოთხმეტმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი.

გ) **რითმა. წინასწარ** ვიტყვით: ივანე გეგია არ გამოირჩევა რითმის შესანიშნავი ოსტატობით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შევეხოთ მგოსნის რითმას, როგორც „სიგნალს სტრიქონის მეტრული დასრულებისას", როგორც „გარკვეული კომპოზიციური დანიშნულების შემსრულებელს თითოეული ტაეპის ცალკეულ ერთეულად გამოყოფისას". დაკვირვების ობიექტად გავიხადეთ: გარითმვის ხერხები, რითმების ნაირსახეობის ჩვენება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, რითმის ევფონია, რითმის მორფოლოგია.

დაბალი შაირის რითმები. „კავკასის ქება" დაბალი შაირის მეტრითაა შექმნილი, სტროფები ორ-ორ ტაეპიანია, დამახასიათებელია მხოლოდ გარეგანი რითმა. ლექსი, საერთოდ, ათტაეპიანია. აქედან 7 ტაეპში სამმარცვლიანი რითმისთვის ოდენ სამმარცვლიანი სიტყვაა გამოყენებული.

რითმა „**ისაო**": ღვთისაო-კრთისაო-ქვისაო, მტკვრისაო, მთისაო;

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 35.
[2] იქვე, გვ. 53.
[3] იქვე, გვ. 38.

რითმა „ერსაო": წვერსაო, მტერსაო.

სხვა შემთხვევაში: სამმარცვლიანი რითმისთვის ხუთმარცვლიანი სიტყვა („კავკასისაო"), სამმარცვლიანი რითმისთვის – 6-მარცვლიანი სიტყვები: "იალბუზისაო", "ჯოჯოხეთისაო":

„ახ, ენა მომცა საქებრად შემკული კავკასისაო,
თავწვეტიანი გორების, მაღალ იალბუზისაო,
მოხუცი ფეხზე მაგრა დგას, თითქოს ცას უბჯენს წვერსაო,
დგას და უბერავს გრიგალი, არ ემონება მტერსაო.
სხვა მთები ამოყუნცულან, თითქოს შიში აქვთ ღვთისაო,
ამაყი რისხვით დაჰყურებს, ყაზბეგი შიშით კრთისაო,
ყინულნი ზედ დასცქერიან, როგორც ალმასის ქვისაო!
ქვევით უფსკრული ჩაუდის, როგორც ჯოჯოხეთისაო,
ქვესკნელს წყარონი მირბიან, ხმოვანი როგორც მტკვრისაო,
მირბიან, მიდუდუნებენ, თითქოს ჯავრი აქვთ მთისაო".[1]

„მხედარი" 8-სტროფიანია, სტროფი ორტაეპიანი. შეიცავს მხოლოდ გარეგან რითმას. აქედან 8 ტაეპში რითმისთვის მხოლოდ სამმარცვლიანი სიტყვაა გამოყენებული. რითმა „ზედა": გზაზედა-მხარზედა; რითმა „ნელია"; მხსნელია-ბნელია; რითმა: „შია": სახლშია- წამშია; რითმა: „თელი"; სანთელი-ნათელი:

„შორით მოარე მხედარსა შემომაღამდა გზაზედა, –
ხმალი უკუღმა ვიქციე, თოფი შევიდგე მხარზედა;
ცხენსა გავკარი დეზები, გავქუსლე ჩემი მხსნელია;
მირბის და მირბის მერანი, არე და მარე ბნელია.
აღარ გასულა შუა ღამე, – მოველ ნათლიის სახლშია,
ბეჩუნა! უცბად შევმახე, კარი გამიღო წამშია.
შევედით ერთად ფაცხაში, აანთო ქონის სანთელი,
პირში შემხედეს, რა მიცნეს, ყველას დაადგა ნათელი."

რითმა: „მელი": საჭმელი-სასმელი:

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 35.

„საათიც აღარ გასულა, მზად არის სუფრა, საჭმელი,
მჭადი, ღომი და შავ-პური, ღვინოთ არს ტკბილი სასმელი".

გასარითმავად გამოყენებულია ხუთმარცვლიანი სიტყვა. რითმა „ევარი": "ნამუშევარი-შემწევარი.

„გულს მიტკბობს და მახალისებს ბეჩუნას ნამუშევარი,
ვსვი და დავცალე ზედიზედ უფლისა შენაწევარი".

ერთ სტროფში გასარითმად ნახმარია 5-მარცვლიანი და 3-მარცვლიანი სიტყვა. რითმა "ებსა": შინაურებსა-თვალებსა:

"ბეჩუნა, მახაროზელი, აღვიძებს შინაურებსა,
ნათლისდედა ხელებს მავლებს, ნათლი მიკოცნის თვალებსა".

ასევე ერთ სტროფში ერთმანეთთან გარითმულია 2 და 3-მარცვლიანი სიტყვა. რითმა „ყელი": ყელი-სარტყელი:

„ციკანსა ხელი მოავლეს, გამოსჭრეს საწყალსა ყელი,
მე დაჟანცულმან მივწექი, – გავიხსენ ღვედის სარტყელი".[1]

დახვეწილი ლექსია „მთის წყალი", ორსტროფიანი, სტროფი – ოთხტაეპიანი. აგებულია გარეგან რითმებზე. პირველ და მეორე ტაეპს კრავს გარეგანი რითმა „ერიან". გასარითმავი სიტყვა კი ხუთმარცვლიანია: გადმოსცქერიან-გადმომღერიან:

„მთანი ამაყნი, მაღალნი, ვაკეებს გადმოსცქერიან,
იქიდან მონადირენი საამოდ გადმომღერიან".

მესამე და მეოთხე ტაეპის გასარითმად სიტყვებიც ხუთმარცვლიანია: ემზადებიან-ეკარგებიან, რითმა „ებიან":

„ლოდები ჩამოსავარდნად წამ-წუთზე ემზადებიან,
შიშით დამფრთხალნი ნადირნი კაცის თვალს ეკარგებიან".[2]

მეორე სტროფის ოთხივე ტაეპის გასარითმავი ყველა სიტყვა სამმარცვლიანია, რითმა „რიალებს":

"ზევიდან დაბლა ჩამოქუხს, წყალი ლოდებზე ჩქრიალებს
და ნაკადული ორთქლივით, მაღლა ჰაერში ტრიალებს.

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 40.
[2] იქვე, გვ. 70.

ქვეშ ჩაბრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს,
უცხო რამ ხდება ორ მთა შუა, თითქოს ქვეყანა ზრიალებს".[1]

მაღალი შაირის რითმები. როგორც ითქვა, მაღალი შაირის მეტრით დაწერილი მხოლოდ ორი ლექსი მოეპოვება სამურზაყანოელ მგოსანს – „მილოცვა" და „ქრისტე აღსდგა". ორივე ლექსის სტროფები ორ-ორ ტაეპიანია. „მილოცვის" დასაწყისი ტაეპები ორმაცვლიანი სიტყვებით ერითმება ერთმანეთს: წოლა-ყოლა, რითმა **„ოლა"**:

„თავმოდრეკით სალამს გიძღვნი, მოგილოცავ ლომთან წოლას,
ჩემს გამჩენს შევევდრები, მალე თქვენი ვაჟის ყოლას".

ამავე ლექსის მესამე სტროფში ოთხმარცვლიანი სიტყვებია გარითმული: სიყვარულსა-გადაკრულსა, რითმა **„რულსა"**:

„გიძღვენი მცირე სამკაულებს, – მასთან ძმურსა სიყვარულსა,
გთხოვ, ეგეთი ჩემი ქცევით, არ მადარო გადაკრულსა".

ბოლო სტროფში სამმარცვლიანი სიტყვა („ქვეყნიერ") ერითმება ხუთმარცვლიანი („მრავალჟამიერი"), რითმა **„იერ"**:

„ქალობა თქვენი დადებით ისმოდეს ამა ქვეყნიერ...
ორივე ნაზმა გვრიტებმა იცოცხლეთ, მრავალჟამიერ".[2]

ლექსში „ქრისტე აღსდგა" პირველი სტროფის ორივე ეტაპი გარითმულია ოთხმარცვლიანი სიტყვებით: მეგობარო-საქებარო. რითმა **„ბარო"**:

„ქრისტეს შობას მოგილოცავ, ჩემო ახალ მეგობარო;
ათას აწმყოს დაესწარი, გულკეთილო, საქებარო".

მეორე სტროფის ტაეპები სამმარცვლიანი სიტყვებითაა გარითმული (თუ ამას რითმა ჰქვია): ყვავილი-გაზრდილი, რითმა **„ილი"**:

„ღმერთმა შრომა აგიყვაოს, ვით ბაღში რგული ყვავილი;
დიდს და პატარას უყვარდე, ვით დედას თავის გაზრდილი".

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 53.
[2] იქვე, გვ. 70.

ბოლო სტროფის პირველი ტაეპის ორმარცვლიანი სიტყვა („ხელი") გარითმულია მეორე ტაეპის სამმარცვლიანთან („სახელი"), რითმა „ხელი":

„ღარიბთა ბედი გიცნია, გინდა მიუმართო **ხელი**;
ღმერთმა აგასრულებინოს, რომ დაგრჩეს ბოლოს **სახელი**".[1]

ვაჟური რითმა. აკაკი გაწერელიას შენიშვნით, წმინდა ვაჟური რითმა ქართულ ლექსში ძალიან იშვიათია... ვაჟური რითმის ასეთი სიმცირე ქართული აქცენტუაციის თვისებებით. მეცნიერის მითითებით, XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერების აქცენტუაციის ზეგავლენით დავით გურამიშვილი, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა ქართულ ენას, სამმარცვლიანი სიტყვის უკანასკნელ ხმოვნებს აძლიერებს ვაჟური რითმის მისაღებად.[2] მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავს ივანე გეგია ვაჟურ (ერთმარცვლიან) რითმას:

„აშ გამარჯვება დაუძახე მას,
მე კი სალხინოდ ვიწყებ ღვინის სმას";
„დავცლი ზედიზედ ახშივარდის თქმით
და შემოვძახებ იადონის ხმით";[3]
„მეც შევიძენ თითო უღელ ძროხა-ხარს,
მათ მოვუვლი, შევიყვარებ, როგორც თავს".[4]

ქალური (ორმარცვლიანი) რითმა.

თექვსმეტმარცვლიანი ლექსი:

„თავმოდრეკით სალამს გიძღვნი, მოგილოცავ ლომთან წოლას,
ჩემს გამჩენს შევევედრები მალე თქვენი ვაჟის ყოლას".[5]

თოთხმეტმარცვლიანი ლექსი:

„ერთხელ თუ გაჰყევ შემდგარ გზასა მოშორდი კვალად,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 53.
[2] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (I), გვ. 162-163.
[3] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 42.
[4] იქვე, გვ. 59.
[5] იქვე, გვ. 38.

დაჩაგრულ მოძმის ერთგულება თავს იდევ ვალად".[1]

თერთმეტმარცვლიანი ლექსი:

„სიზმარშიაც არ მელანდება ფული,
მართალს ვიტყვი, შიმშილით მეწვის გული".[2]

ათმარცვლიანი ლექსი:

„ღმერთო, შემოსე ძლიერებითა
შენი მორწმუნე ივერის ერი.
ერი კეთილი, ერი ჯვარისა,
შენი ერთგული და ფეხთა მტვერი".[3]

რვამარცვლიანი ლექსი:

„ეჰ, დაგვიდგა გაზაფხული,
სახნისს გავულესოთ პირი;
მთა, გორა, ყველა დავთხაროთ,
ჭინჭარს ამოვუგდოთ ძირი".[4]

დაძტოლშრი ანუ სამმარცვლიანი რითმა.

თექვსმეტმარცვლიანი ლექსი:

„შორით მოარე მხედარსა შემომაღამდა გზაზედა, –
ხმალი უკუღმა ვიქციე, თოფი შევიგდე მხარზედა;
ცხენსა გავკარი დეზები, გავქუსლე ჩემი მხსნელია,
მირბის და მირბის მერანი, არე და მარე ბნელია".[5]

თოთხმეტმარცვლიანი ლექსი:

„თუნდაც დრო-ჟამი გადაბრუნდეს, ფერი იცვალოს,
კაცობრიობამ მოუსვენრად ბევრიც იწვალოს"...[6]
„აასხივოსნე ბნელში მყოფი მთელი სამყარო,
რომ ერთი აზრით, ერთი მიზნით ყველა შევყარო".[7]

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 82.
[2] იქვე, გვ. 57.
[3] იქვე, გვ. 66.
[4] იქვე, გვ. 39.
[5] იქვე, გვ. 40.
[6] იქვე, გვ. 72.
[7] იქვე, გვ. 82.

თერთმეტმარცვლიანი ლექსი:

„როცა ეგდო ჩემს ჯიბეში გროშები,
ფეხზე მეცვა სირმიანი ქოშები.
არ მცვდებოდა სიარულით ფეხები,
ვიძახოდი: "მომიყვანეთ დროშკები!"[1]

ათმარცვლიანი ლექსი:

„ამრავლე, მამავ, თან დააყოლე
უშიშრად, მაგრად ფეხზე დადგომა...
და ნუღარ დასცემ მრავალ ჭირნახულს,
რომ ვერ შეიძლოს კვალად ადგომა".[2]

რვამარცვლიანი ლექსი:

„ყმაწვილნი ბევრნი სტკბებიან
შორახლო ჩემის ცქერითო
და გეუბნებით – მატკბობენ
ვარდი-ბულბულის მღერითო".[3]

„საცაა გაზაფხულდება,
თოვლიც დაიწყებს დნობასა,
ქვეყანა, ყინვით დაზრული,
იცოცხლებს, მოვა გრძნობასა".[4]

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც სარითმო ერთეულში თავს იყრის ქორე და დაქტილი:

„ციკანსა ხელი მოავლეს, გამოსჭრეს საწყალსა ყელი,
მე დაქანცულმან მივწექი, – გავიხსენ ღვედის სარტყელი".[5]

„ძველებურად გავფოლადეთ,
მოღალატეს დავცეთ ზარი;
ვაქციოთ სისხლი, ვაქციოთ,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 57.
[2] იქვე. გვ. 66.
[3] იქვე. გვ. 43.
[4] იქვე. გვ. 71.
[5] იქვე. გვ. 40.

დავაყენოთ დღე საზარი".[1]

„სამშობლოს ზურგსა ანათებს მთვარე,
საღამოს დროზედ წყნარად მოარე".[2]

ზედაძტილურ-ჰიპერდაძტილური ანუ ოთხმარცვლიანი ზომა

თექვსმეტმარცვლიანი ლექსი:

„ქრისტეს შობას მოგილოცავ, ჩემო ახალ მეგობარო;
ათას აწმყოს დაესწარი, გულკეთილო, საქებარო".[3]

თოთხმეტმარცვლიანი ლექსი:

„ჯერ იძინე, ჩემო ტურფავ, გიმღერ ნანასაო,
ნუ შეკრთები, ვარდო, ძილში, ნუ მკრავ დანასაო".[4]

თერთმეტმარცვლიანი ლექსი:

„ყოველ წამზედ გულს ჯავრი მებადება,
ჩემს დარდებთან სხვისიც მე მემატება".[5]

ათმარცვლიანი ლექსი:

„ისარ-მახვილად ჩემს სიყმაწვილეს
გრძნობის ტალღები გულს ესობიან.
მრავალ ფიქრები, ფერად მღელვარნი,
მომავალ იღბალს ვერ ენდობიან".[6]

რვამარცვლიანი ლექსი:

„თუმცა დღეს კი ოცნებითა
გულში ვიქროზ მწუხარებას,
ვფიქრობ, ეგებ მეცა შევხვდე
მომავალში გახარებას".[7]

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 45.
[2] იქვე, გვ. 54.
[3] იქვე, გვ. 53.
[4] იქვე, გვ. 69.
[5] იქვე, გვ. 49.
[6] იქვე, გვ. 63.
[7] იქვე, გვ. 60.

შვიდმარცვლიანი ლექსი:

„ბევრი ხანი ვერ გასტანს,
მზე მალე დაგაბნელებს
და ოცნებითმოხარულს
გაგაქრობს, დაგანელებს".[1]

ხუთმარცვლიანი რითმები.

თექვსმეტმარცვლიანი ლექსი:

„დედაშენს გაეზარდე გულისა მანათობელად,
სახით პაწია, ტურფა ხარ, ვარგიხარ წინამდგომელად".[2]

თოთხმეტმარცვლიანი ლექსი:

„გაშალე დროშა გამარჯვების, ააფრიალე,
შემდგარი ძალა, ვით მანქანა, დაატრიალე".[3]

თერთმეტმარცვლიანი ლექსი:

„სურვილს მორჩა კაცი, ბედნიერია,
უძლურებთან აწი ღონიერია".[4]

ათმარცვლიანი ლექსი:

„მწამს, ვემონები, ვისაც სინდისი
ნამუსის ქუდად დაუხურია;
ქვეყნიერების წინ წასაწევად
ვის აზრს კეთილად უმსახურია".[5]

რვამარცვლიანი ლექსი:

„ნიავი შენი სიცოცხლეს
მიმატებს, მაღორძინებსო,
ნეტარებაში ჩამაგდებს,
დამატკბობს, დამაძინებსო".[6]

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 61.
[2] იქვე, გვ. 37.
[3] იქვე, გვ. 82.
[4] იქვე, გვ. 48.
[5] იქვე, გვ. 64.
[6] იქვე, გვ. 73.

რითმის ადგილი ტაეპსა და სტროფში. ივანე გეგიას ლექსებისთვის, საერთოდ უცხოა შინაგანი რითმა, ანუ ადგილი არა აქვს გარითმვას ტაეპის შიგნით. ასევე არსად არ გვხვდება შინაგან-გარეგანი რითმა, არც რკალური რითმა, არც ჯვარედინი რითმა. მგოსნის მიერ სხვადასხვა მეტრით (შვიდმარცვლიანი, რვამარცვლიანი, ათმარცვლიანი, თერთმეტმარცვლიანი, თოთხმეტმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი) დაწერილი ლექსებისთვის დამახასიათებელია მხოლოდ მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმები, ასევე მეორე ტაეპის გარითმვა მეოთხე ტაეპთან. რამდენიმე ნიმუშს მივმართოთ.

გარეგანი რითმა:

„ზევიდან დაბლა ჩამოქუხს, წყალი ლოდებზე ჩქრიალებს
და ნაკადული ორთქლივით მაღლა ჰაერში ტრიალებს.
ქვეშ ჩაძრომილი უფსკრული, ვით ბრაზი ლომი ღრიალებს,
უცხო რამ ხდება ორ მთას შუა, თითქოს ქვეყანა ზრიალებს".[1]

მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმა:

„შენ ჩემზე, სატრფო, გული არ გიძგერს,
ბაით-მუხამბაზ სხვა ვინმე გიმღერს".[2]
„სურვილს მორჩა კაცი, ბედნიერია,
უძლურებთან აწი ღონიერია".[3]
„ქრისტეს შობას მოგილოცავ, ჩემო ახალ მეგობარო;
ათას აწმყოს დაესწარი, გულკეთილო, საქებარო".[4]

მეორე ტაეპის გარითმვა, მეოთხე ტაეპთან. ივანე გეგიას ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ფორმით იწერება:

„სპეტაკ მორთულ ძვირფას ტახტზე
ემთქნარება ნაზსა კატოს,

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 70.
[2] იქვე, გვ. 42.
[3] იქვე, გვ. 48.
[4] იქვე, გვ. 53.

ლალ-ზურმუხტით შემკობილი
კაცმა როგორ გამოხატოს?!"[1]
"მზის სხივი ჩრდილი ეგონა,
ჩრდილი – საფლავის წყვდიადი,
სიცოცხლით მოქანცულიყო,
მზე გაქრობოდა დიადი".[2]

რითმის ევფონია. ევფონია არის მოძღვრება ლექსითი მეტყველების ბგერითი შედგენილობის თაობაზე. ევფონიის მხრივ ქართულ კლასიკურ ლექსში ცნობილია შემდეგი რითმები: ზუსტი, ღრმა, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია, დახურული. ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ივანე გეგიას პოეზიაში.

ზუსტი რითმა. ზუსტ რითმას ვეძახით ისეთს, სადაც ადგილი აქვს ბგერების სრულ დამთხვევას, გამეორებულია კლაუზულის ყველა ბგერა უცვლელად. იალებს: ჩქრიალებს-ტრიალებს-ღრიალებს-ზრიალებს (ი-ა-ლ-ე-ბ-ს); ერსაო: წვერსაო-მტერსაო (ე-რ-ს-ა-ო); არგიო: კარგიო-ბარგიო (ა-რ-გ-ი-ო); ოშები: გროშები-ქოშები (ო-შ-ე-ბ-ი); ინარი: მძინარი-მდინარი (ი-ნ-ა-რ-ი); ახუროს: ემსახუროს-დახუროს (ა-ხ-უ-რ-ო-ს); იქრება: ჩაფიქრება-გაგიქრება (ი-ქ-რ-ე-ბ-ა).

მდიდარი რითმა. მდიდარ რითმაში კლაუზულის ყველა ბგერასთან ერთად მეტრული მახვილის მქონე ხმოვანის წინა, საბჯენი თანხმოვანიც (ზოგჯერ თანხმოვნებიც) გამეორებულია (აკაკი გაწერელია). კავკასისაო-იალბუზისაო-ღვთისაო-კრთისაო-ჯოჯოხეთისაო-მტკვრისაო-მთისაო. აქ რითმაში საბჯენი ხმოვანი ბგერაა "ს"; გზაზედა-მხარზედა. საბჯენი ხმოვანია "ზ", დაგაბნელებს-დაგანელებს. აქ – "ნ";

ღარიბი რითმა. ე.წ. ღარიბი რითმით ერთობ მდიდარია

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 49.
[2] იქვე. გვ. 74.

ივანე გეგიას ლექსები: ძონძები-ვედარები; გიწყრები-ვიხრები; ვიხრუკები-ჩოხები; ჭირიმე-სიმძიმე; გქონდეს-მეფობდეს; მარილი-მხიარული; ბეღლები-თვალები; მოვილხინოთ-შევიძინოთ; მწუხარეს-სამარეს; მიეძინა-მოევლინა; ყვავილი-გაზრდილი; ვიქარვებდი-ვკადრებდი; მომღიმარი-მძინარი;

ნაკლული ანუ არაზუსტი რითმა. იგი ხასიათდება კლაუზელის მარცვლებში რომელიმე ბგერის ნაკლებობით. აკაკი გაწერელიას მიხედვით, არაზუსტი რითმის ზოგიერთი სახეობა ისტორიულად გარკვეულ პროგრესულ დანიშნულებას ასრულებდა და ის ყოველთვის არ უნდა მივიჩნიოთ ლექსის დეფექტად.

ესობიან-ენდობიან; მშვიდობა-დანდობა; ზღაპარი-მოუსვენარი; მშვენებით-შადრევანებით; ჭაღარა-გამძღარი; ბოროტება-წარმატება; ბალანი-ყველანი; ცვალებადი-განთიადი; სამყარო-შეყარო; გაიტანო-ატარო; გავახილე-სინამდვილე.

ღია რითმები. გვაქვს შემდეგი ხმოვნებით დასრულებული რითმები.

ა. ტკაცა-ტკუცია-დაუცია; ღვინოსა-ილხინოსა; გზაზედა-მხარზედა; მხსნელია-ბნელია; სმითა-ხმითა; ჯარშია-გვარშია; მებადება-მემატება; ბედნიერია-ღონიერია; უბედობასა-გმობასა; მოწყენა-დენა; გულსა-დაკარგულსა; ქვეყანა-ყანა; გონება-ხსენება; დნობასა-გრძნობასა; სალამურისა-საამურისა.

ე. ამრავლე-ჰარი-ჰარალე; მთვარე-მოარე; დაიმსახურე-გაანადგურე; გვახილე-სინამდვილე.

ი. პირი-ძირი; ყელი-სარტყელი; ღონიერი-ბედნიერი; მომლხენი-დღენი; ზარი-საზარი; ჭირი-ვსტირი; ზარდამცემი-გამცემი; ხელი-სახელი; გროშები-ქოშები-დროშკები; ჯიბეში-უბეში; სოფელი-მყვლეფელი; ფული-გული; შვილები-მილები; მოძულებული-ახირებული; მომღიმარი-მძინარი; ერი-მტვერი.

ო. მეხიო-გლეხიო; ცქერითო-მღერითო; კარგიო-ბარგიო;

შავიო-თავიო; მეგობარო-საქებარო; თვალითო-ხვალითო; თარიო-ქმარიო; ნანასაო-დანასაო; პატრონათო-მნათო; მომავალსო-მიმავალსო; მხარეო-გაიხარეო; მცირეო-შემიწყნარეო; მათიო-უკუღმართიო; შვილებსო-გამოცდილებსო; დიდიო-ფლიდიო.

ორი ღია მარცვლის ნიმუშები:

ა. წყალშია-ტბაშია; ჯარშია-გვარშია; ჯარია-დარია; ომია-მდომია; ბედნიერია-ღონიერია; მკლავია-თავია; დაუხურია-უმსახურია; სწყურია-ნამსახურია; მურია-უმადურია; ძმებია-ხმებია;

დახურული ანუ თანხმოვნებით დამთავრებული რითმები.

„დ" თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები: კვალად-ვალად; მანათობელად-წინამდგომელად;

„თ" თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები: გრიალით-ჩქრიალით; მოლხენით-მოდენით; მოვილხინოთ-შევიძინოთ;

„მ" თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები: სამარემ-სიმწარემ;

„ნ" თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები:ესობიან-ენდობიან; ემზადებიან-ეკარგებიან; გადმოსცქერიან-გადმომღერიან;

„რ" თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები: ქვეყნიერ-მრავალჟამიერ;

„ს" თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები: გქონდეს-მეფოდეს; გიმღერს-გიმგერს; სამარეს-მწუხარეს; კატოს-გამოხატოს; ოცნებას-მონებას; აიხდის-გაგიხდის; შეგიყვარებს-გაგიმწარებს; სიმღერას-ძგერას; მწუხარებას-გახარებას; დაგაბნელებს-გაგანელებს; ემსახუროს-დახუროს; აღსარებას-გახარებას; შედის-იმედის; ჩქრიალებს-ტრიალებს-ღრიალებს-ზრიალებს; იწვალოს-იცვალოს.

რითმის მორფოლოგია

სახელები **სახელობით ბრუნვაში** (ზოგჯერ პროსოდიული **ა** და **ო** ხმოვნის დართვით):

პირი-ძირი; ხარები-დარები; სანთელი-ნათელი; ყელი-სარტყელი; ღონიერი-ბედნიერი; მეხიო-გლეხიო; კარგიო-ბარგიო; შავიო-თავიო; ზარი-საზარი; ჯარია-დარია; თარიო-ქმარიო; ხელი-სახელი; გროშები-ქოშები; ფული-გული; ქვეყანა-ყანა; მკლავი-თავი; გასაჭირი-ძირი; ერი-მტვერი; წყვდიადი-დიადი; დიდიო-ფლიდიო; ყურები-საყვედურები; მაჩანჩალა-ჩალა.

მიცემით ბრუნვაში

(ზოგჯერ ა და ო პროსოდიული ხმოვნის დართვით): მტვერსაო-წვერსაო; ბედსა-დარდებსა; ხმასა-მკვდარსა; სამარეს-მწუხარეს; ოცნებას-მონებას; ხარსო-ცხვარსო; კაცსა-ვაცსა; ხარს-თავს; ნანასაო-დანასაო; დნობასა-გრძნობასა;

ნათესაობით ბრუნვაში

(პროსოდიული ა და ო ხმოვნის თანხლებით)

კავკასისაო-იალბუზისაო; ღვთისაო-ქვისაო; ჯოჯოხეთისაო-მტკვრისაო; ვირისა-გმირისა;

მოქმედებით ბრუნვაში (პროსოდიული ა ხმოვნის თანხლებით)

ცეცხლითა-მჭადითა; დიდებითა-მონებითა; ჯარითა-ჯავრითა; გრიალით-ჩქრიალით.

ვითარებით ბრუნვაში (პროსოდიული ო ხმოვნის დართვითაც)

კვალად-ვალად; მინდვრადო-სტუმრადო.

თანდებულიანი რითმები (პროსოდიული ა ხმოვნითურთ)

გზაზედა-მხარზედა; სახლშია-წამშია; წყალშია-ტბაშია; ჯიბეში-უბეში; ტოლებში-თვალებში; კლდეზედა-ჩემზედა; ქვეყნისთვის-თავისთვის.

სახელისა და ზმნის კომბინაცია

კატოს-გამოხატოს; ჭირი-ვსტირი; იმედის-შედის; ღვინოსა-ილხინოსა; ძონძები-ვედრება; ვარიები-ვიხრუკები; სიამოვნებით-ვდნებით; განაჟიჟები-ეპატიჟები; ტკაცა-ტკუცია-დაუცია; ჩაფიქრება-გაგიქრება.

ზმნური რითმები

გიწყრები-ვიხრები; გიმღერს-გიძგერს; მოსაგონია-გამიგონია; მებადება-მემატება; შეიწყნარებსო-ამწარებსო; აიხდის-გაიხდის; შეგიყვარებს-გაგამწარებს; მეძნელება-მემტერება; რა ვუყო-გამიყო; გამდიდრდი-ყრიდი; დაგაბნელებს-დაგანელებს; ესობიან-ენდობიან; ემსახუროს-დახუროს; დაუხურია-უმსახურია; დაგრჩება-შეგრჩება; გადმოსცქერიან-გადმომღერიან; ემზადებიან-ეკარგებიან; ჩქრიალებს-ტრიალებს-ღრიალებს-ზრიალებს; ემა-ტებოდა-ეხატებოდა; გაიხარეო-გაითხარეო; გადიხარა-გადიყარა; ისმოდა-ისხმოდა.

ჩითმის მორფოლოგია. სახელები სახელობით ბრუნვაში (ზოგჯერ პროსოდიული ა და ო ხმოვნის დართვით):

პირი-ძირი; ხარები-დარები; სანთელი-ნათელი; ყელი-სარტყელი; ღონიერი-ბედნიერი; მეხიო-გლეხიო; კარგიო-ბარგიო; შავიო-თავიო; ზარი-საზარი; ჯარია-დარია; თარიო-ქმარიო; ხელი-სახელი; გროშები-ქოშები; ფული-გული; ქვეყანა-ყანა; მკლავი-თავი; გასაჭირი-ძირი; ერი-მტევრი; წყვდიადი-დიადი; დიდიო-ფლიდიო; ყურები-საყვედურები; მაჩანჩალა-ჩალა.

მიცემით ბრუნვაში

(ზოგჯერ ა და ო პროსოდიული ხმოვნის დართვით): მტევრისაო-წვერსაო; ბედსა-დარდებსა; ხმასა-მკვდარსა; სამარეს-მწუხარეს; ოცნებას-მონებას; ხარსო-ცხვარსო; კაცსა-ვაცსა; ხარს-თავს; ნანასაო-დანასაო; დნობასა-გრძნობასა;

ნათესაობით ბრუნვაში

(პროსოდიული ა და ო ხმოვნის თანხლებით)

კავკასისაო-იალბუზისაო; ღვთისაო-ქვისაო; ჯოჯოხეთისაო-მტკვრისაო; ვირისა-გმირისა;

მოქმედებით ბრუნვაში (პროსოდიული ა ხმოვნის თანხლებით)

ცეცხლითა-მჭადითა; დიდებითა-მონებითა; ჯარითა-ჯავრითა; გრიალით-ჩქრიალით.

ვითარებით ბრუნვაში (პროსოდიული ო ხმოვნის დართვითაც)

კვალად-ვალად; მინდვრადო-სტუმრადო.

თანდებულიანი რითმები (პროსოდიული ა ხმოვნითურთ)

გზაზედა-მხარზედა; სახლშია-წამშია; წყალშია-ტბაშია; ჯიბეში-უბეში; ტოლებში-თვალებში; კლდეზედა-ჩემზედა; ქვეყნისთვის-თავისთვის.

სახელისა და ზმნის კომბინაცია

კატოს-გამოხატოს; ჭირი-ვსტირი; იმედის-შედის; ღვინოსა-ილხინოსა; ძონძები-ვედრება; ვარიები-ვიხრუკები; სიამოვნებით-ვდნებით; განაჟიჟები-ეპატიჟები; ტკაცა-ტკუცია-დაუცია; ჩაფიქრება-გაგიქრება.

ზმნური რითმები

გიწყრები-ვიხრები; გიმღერს-გიძგერს; მოსაგონია-გამიგონია; მებადება-მემატება; შეიწყნარებსო-ამწარებსო; აიხდის-გაიხდის; შეგიყვარებს-გაგამწარებს; მეძნელება-მემტერება; რა ვუყო-გამიყო; გამდიდრდი-ყრიდი; დაგაბნელებს-დაგანელებს; ესობიან-ენდობიან; ემსახუროს-დახუროს; დაუხურია-უმსახურია; დაგრჩება-შეგრჩება; გადმოსცქერიან-გადმომღერიან; ემზადებიან-ეკარგებიან; ჩქრიალებს-ტრიალებს-ღრიალებს-ზრიალებს; ემატებოდა-ეხატებოდა; გაიხარეო-გაითხარეო; გადიხარა-გადიყარა; ისმოდა-ისხმოდა.

ივანე გეგია იყო პოეტი, პედაგოგი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბურჯი აფხაზეთში, დიდი ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი. მან ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დამდეგის აფხაზეთის თვალსაჩინო მოღვაწეთა გვერდით, როგორებიც იყვნენ: გიორგი შარვაშიძე, დავით ჩქოტუა, თედო ჟორდანია, პეტრე ჭარაია, ამბროსი ხელაია, თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია და სხვ.

ივანე გეგია აფხაზეთში თედო სახოკიას მიერ დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციის „ქართული პარტიის" ერთ-ერთი წამყვანი წევრი იყო ანთიმოზ ჯუღელთან, გრიგოლ კანდელაკთან, ივანე ბურჭულაძესთან, ფარნა დავითაიასთან, სპირიდონ ნორაკიძესთან ერთად. მათ მხარს უმშვენებდნენ სასულიერო პირებიც: დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), მღვდელი აქვსენტი სახოკია, მღვდელი იოანე ჩხენკელი.

ივანე გეგიას დამფასებლები მეტნაკლებად არც სიცოცხლეში აკლდა და არც გარდაცვალების შემდეგ. ესენი არიან: თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე, ოთარ ჭურღულია, ოთარ ჟორდანია, სოლომონ ცაიშვილი, ტ. ხუნდაძე, ნოდარ შონია, ვლადიმერ ალფენიძე, ვალერიან ზუხბაია, აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, ოთარ აკიშბაია, ლ. გოდერიძე, თამარ ცაცუა (მათგან განსაკუთრებით უნდა გამოირჩეს ოთარ ჭურღულიას და ოთარ ჟორდანიას ღვაწლი და ამაგი).

ივანე გეგიამ სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, უმაღლესი განათლება არ მიუღია, იყო თავითნასწავლი აგრო-

ნომიც. ეწეოდა სასკოლო-პედაგოგიურ საქმიანობას, ოქუმში სცენისმოყვარეთა დასის დამფუძნებელია, მშობლიურ სოფელში ბიბლიოთეკის დამაარსებელი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების გამგედაც იღვაწა, მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში. „ქართულ პარტიაში" აქტიური საქმიანობის გამო არ ასცდა რუსეთში გადასახლება. რევოლუციებს (1905 წლის, 1917 წელის ბურჟუაზიული რევოლუცია) იმედით შეხვდა, რაშიც ცარიზმის რუსეთის მონობიდან საქართველოს გამოხსნის გზას ხედავდა, თუმცა ამაოდ. 1918-1921 წლებში იყო გალის რაიონის ერობის წევრი და განაგებდა სასწავლო ნაწილს.

ივანე გეგია იყო სამურზაყანოს პირველი ქართველი მგოსანი. უფრო მეტიც. როგორც ირკვევა, იგი დგას, საერთოდ, აფხაზეთის ქართული მწერლობის სათავესთან – აფხაზეთის პირველი ქართველი პოეტია. ამისი წინაპირობა აღმოჩნდა მის მიერ 1890 წელს თბილისში დასტამბული პირველი (და უკანასკნელი) პოეტური კრებული „ლექსთა კონა". მანამდე კი 1885 წელს თბილისში ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში „ციცინათელა, ანუ ლექსთა კრება" შეტანილია მგოსნის 10 ლექსი. 1887 წელს ივანე კერესელიძის გაზეთმა „ცისკარმა" დაბეჭდა სამურზაყანოელი პოეტის ერთი ლექსი. 1890 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა „ქართველი პოეტების ლექსთა კრებული", სადაც შეტანილია ივანე გეგიას რამდენიმე პოეტური ნიმუში.

თავის პოეტურ ნაწარმოებებში ივანე გეგია ეხმაურებოდა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული სიტყვიერ კულტურისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებს მოტივებს, როგორიცაა: სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, სოციალური თემატიკა, ეკონომიკური სიდუხჭირე, მიწიერი

სიყვარული, ამსოფლიური უკუღმართობანი, პესიმისტური განწყობილებანი, უსამართლობის განცდა, დიდაქტიკურ-ფილოსოფიური შეგონებანი, ადამიანის მოვალეობის გაცნობიერება და ა.შ.

ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობით გაჯერებულია სპეციალურად სამშობლოსადმი მიძღვნილი რამდენიმე ნაწარმოები, ასევე სხვა მოტივებზე დაწერილი ლექსებიც. ერთი სიტყვით, ივანე გეგიას პოეზიაში განფენილია მამულიშვილური სიყვარული. მისი იდეალი და ოცნებაა საქართველოს დახსნა ცარიზმის რეჟიმის მონობისგან, ღვთის მორწმუნე ქართველი ერისთვის ძლიერების მინიჭება, სულის მშვიდობის დამკვიდრება, ღვთის მცნებების განმტკიცება, ერის გამრავლება, ქართველებში ძმობისა და ურთიერთდანდობის გამყარება, ივერიის მტკიცედ დადგომა ფეხზე, ქართული ენის დაცვა და გადარჩენა, ქვეყნის სამსახურში კეთილი აზრის ჩაყენება, მისთვის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა. შექმნილი ავისმომასწავებელი ვითარებიდან გამომდინარე. პოეტს ზოგჯერ უხდება სათქმელის, პატრიოტული გულისტკივილის ალეგორიულ სამოსელში გახვევა.

პოეტური შემოქმედების სოციალურ ნაწილში ავტორისთვის მიუღებელია საზოგადოებრივი უთანასწოროება, ადამიანური მოვალეობის იგნორირება. არაადამიანური გამოვლინებანი, გლეხების დუხჭირი და აუტანელი ყოფა, შურზე, ანგარებაზე, ძალმომრეობაზე დამაგრებული ბედნიერება, მდიდარსა და ღარიბს შორის ურთიერთობის მოსარღვევად აღმართული ყრუ კედელი. მგოსანი ჯერ ვერ ეგუება ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც გლეხების ყოფა-ცხოვრების გაუარესებას, მამასახლისის, გზირის, ვაჭრის, მოხელის, მღვდლის ჩამოკიდებას გლეხთა კისერზე (როგორც ამას რაფიელ ერისთავი იტყოდა). გლეხთა ღირსება და უფლებანი ისე გათელილა ფეხქვეშ, რომ სასიყვარულოდ ქალე-

ბი არ ეტანებიან („თუნდა რომ იყოს ნახატი"). პოეტი, ამასთანავე, წარმოაჩენს ნათავადართა გროტესკულ სახეს, რომელთაც ხელიდან გამოცლიათ პრივილეგიები. სიმდიდრე, გაზულუქებული ცხოვრება. მორალურად იმდენად ჩამოქვეითებულან, რომ შინ და გარეთ ყველა მტრად ელანდებათ, ცოლებიც კი გაურბიან. პოეტი გლეხების ხსნა-გადარჩენას მხოლოდ შრომაში ხედავს, საქართველოს მხსნელი გმირების გამოზრდას მათივე წიაღიდან მოელის.

ქართული მწერლობის შემამკობელი მარად გაუბუნარი თემა ამქვეყნიური, მიწიერ-ზნეობრივი სიყვარულის გრძნობის სახით, ივანე გეგიას პოეტურ მემკვიდრეობაში, სხვა მოტივებთან შედარებით, უფერულად გამოიყურება, უფრო ალბომურ ხასიათს ატარებს. მიჯნურობის მოტივზე შექმნილი ეს რამდენიმე ლექსი მწიგნობრული ზემოქმედებით უფრო გამოირჩევა, ვიდრე უშუალო გულწრფელობით ნათქვამი. ისინი რამდენადმე სიყვარულის გრძნობისათვის ხელოვნურად ხარკის გაღების ნიშნითაა აღბეჭდილი, მხატვრული ფერუმარილის სიმწირითაც.

ავტორისათვის დამახასიათებელია სიყვარულით აღტკინების ქორწინებით დაგვირგვინება, მომაკვდინებელია ცალმხრივი სიყვარული, ვისრამიანულ-ფატმანური სიყვარულისთვის მორჩილება, გლეხის უგულებელყოფა სოციალური წარმომავლობის გამო და მიჯნურობის ღირსად მისი არჩათვლა. ასევე პოეტისთვის მიუღებელია მხოლოდ გარეგნულ სილამაზეზე დამყარებული სიყვარული, სულიერი მშვენიერებით დაუინტერესებულობის ბარჯზე. გასათვალისწინებელია შეყვარებულ წყვილთა მხრიდან მგოსნისეული შეგონება, რომ სიყვარულის გზაზე დაუფიქრებლად და ნაჩქარევად გადადგმული ნაბიჯი სამომავლოდ სინანულის საწინდარია.

ივანე გეგიას ლირიკაში თავს იჩენს ფილოსოფიურ-დი-

დაქტიკური წიაღსვლანი, ბრძნული შეგონებანი, რჩევა-დარიგებანი, აწეული აფორისტული ტონი. ეს იმჟამინდელი ქართველი საზოგადოებისათვის ჰაერივით იყო საჭირო. პოეტის შთამაგონებელ სიტყვებში ნათლად იკვეთება ეროვნული თვითშეგნების მადლი. სამშობლოს სიყვარული, ქართული ენის დაცვა, ზნეობრივი სიწმინდის დაცვა, სინდისნამუსიანი ცხოვრება, ადამიანის მოვალეობის შეგნება, აზრისა და გონების ჩაყენება სიკეთისა და ქვეყნის სამსახურში.

დროის ულმობლობის განცდა ესოდენ მახლობელია ივანე გეგიას პოეტური სულისათვის. მის წინაშე ქედდრეკილია ნებისმიერი რანგის ადამიანი. სიჭაბუკეშივე გებადება მწარე განცდა ბავშვობის ხანის განუმეორებლობაზე, სიბერეში კი – სიჭაბუკის ხანისა. ეს ოხერი წუთისოფელი სიცოცხლეშივე გვაჩვევს წარმავლობის განცდას, რაც ადამიანმა შრომით, დაუდეგარი მოღვაწეობით უნდა გაანეიტრალოს.

„გაზაფხულის მოლოდინში" მონაცვლეობს პესიმისტური და ოპტიმისტური განწყობილებანი. პესიმიზმის საფუძველი იყო ცარისტული ხელისუფლების მიერ დამონებული სამშობლო, გაორებული ქართველობა, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირე, საზოგადოების ერთი ნაწილის მორალურ-ზნეობრივი დეგრადირება, ადამიანის მოვალეობის უგულებელყოფა, ბმათა შეუბრალებლობით მონიჭებული სიამოვნება, „უგრძნობელობას შეჩვეული ქვეყანა". პოეტში ოპტიმიზმს აღვივებს იმის შეგნება, რომ ქვეყანაში მამულის და ადამიანის ხსნის მუხტი არ შენელდება, ცხოვრება ასე აღარ გაგრძელდება; ყოველგვარი უსიამოვნებანი წარმავალია, სიმართლე იზეიმებს, უსიამოვნო ფიქრებს და გულისტკივილს ბოლო მოეღება, გაიმარჯვებს იმედი, რწმენა და სიყვარული, კაცთა შორის დაისადგურებს სათნოება და თავისუფლება.

ივანე გეგია მედგარი და უშიშარი ადამიანი იყო, უშუალოდ ამხელდა ცარიზმის რეჟიმის ბოროტებას, თუმცა გარკვეული მიზეზებით ლავირების ხერხსაც მიმართავდა, იგავურ-ალეგორიულ სამოსელში ხვევდა სათქმელს. ამას მისი თანამედროვე დიდი პოეტებიც ახორციელებდნენ.

მგოსანმა მხოლოდ ერთი ვოდევილი - „სიყვარულის მონა" - დაგვიტოვა. იგი თეთრი ლექსის ფორმითაა შექმნილი. ნაწარმოებების იდეური ჩანაფიქრი ითვალისწინებს შემდეგს: გარეგნობით ლამაზი ქალი არ უნდა ქორწინდებოდეს გარეგნულად და ასაკობრივად შეუფერებელ კაცზე, დამღუპველია ანგარებაზე, ქონებრივ უპირატესობაზე აგებული სიყვარული და ამ მიზნით შექმნილი ოჯახი; ქმრის მოღალატე ქალის უკეთურება ბოლომდე გასაიდუმლოებული აღარ დარჩება.

ივანე გეგია პოეტურ ტაეპებს არ ტვირთავს მხატვრული სამკაულებით. მხატვრულ ხერხებს მიმართავს ზომიერად. ტროპის სახეებიდან მეტნაკლებად გამოირჩევა მხატვრული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა და გაპიროვნება. სხვა გამომსახველობითი საშუალებანი არც დასტურდება "გაზაფხულის მოლოდინში". ნაწარმოებები მთლიანად აგებულია სტროფიკის თვალსაზრისით ოთხტაეპიანი და ორტაეპიანი სტროფებით. არც თუ იშვიათად ერთსა და იმავე ლექსში ოთხტაეპიან სტროფს ჩაენაცვლება ორტაეპიანი და ამ მონაცვლეობით სრულდება იგი.

ივანე გეგიას ლირიკული ნიმუშების სალექსო ტაეპები გაწყობილია სხვადასხვა საზომით, რომელთაგან 25 ლექსი 8-მარცვლიანი მეტრითაა დაწერილი; 6 ნაწარმოები – 16-მარცვლიანით, შვიდი თხზულება – 14-მარცვლიანით, შვიდი ლექსი – 10-მარცვლიანით (ერთი ნათარგმნი ლექსის ჩართვით), 3 ლექსი – 11-მარცვლიანით, ერთი ლექსი კი – 7-მარცვლიანით. ვოდევილი „სიყვარულის მონა" 10-მარცვლიანი საზომითაა დაწერილი,

თუმცა მასში ორგან 11-მარცვლიანი სალექსო ტაეპები გაურევია.

სამურზაყანოელი მგოსანი არ გამოირჩევა რითმის შესანიშნავი ოსტატობით. მის ლექსებში თავს იჩენს ვაჟური, ქალური, დაქტილური, ზედაქტილური (ჰიპერდაქტილური), ასევე ხუთმარცვლიანი რითმებიც. ავტორი იყენებს მხოლოდ გარეგან რითმებს, გარკვეულწილად ხმარობს მოსაზღვრე ან პარალელურ რითმებს. ჯვარედინი რითმების ნიმუშები საერთოდ არ მოგვეპოვება. უმეტესწილად პოეტის ლექსების სტროფთა მეორე ტაეპი ერითმება მეოთხე ტაეპს. ევფონიის თვალსაზრისით, ადგილი აქვს ზუსტი, მდიდარი, ღარიბი, არაზუსტი, ღია და დახურული რითმების ხმარებას.

რაც შეეხება რითმის მორფოლოგიას, ივანე გეგია მიმართავს სახელების სახელობით, მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში გამოყენებას, გვხვდება თანდებულიანი რითმები, ზმნური რითმები, სახელისა და ზმნის კომბინაციის ნიმუშები.

წყაროები და ლიტერატურა

ა) წყაროები

1. ივ. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გამოსაცემად მოამზადეს: მერი გაბედავამ, ირმა ზაქარაიამ, ოთარ ჟორდანიამ, ოთარ ჟორდანიას საერთო რედაქციით, თბ., 2011;
2. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1940;
3. დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული („დავითიანი"), თბ., 1980;
4. ა. ენგურელი, წერილი სამურზაყანოდან, გაზ. „ივერია", N237, 1893;
5. გაზ. „ერთობა", №11, 10 აპრილი, 1917;
6. თამუზის სიზმარი (ძველი შუამდინარული პოეზია), შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ, თბ., 1969;
7. იოანე ოქროპირი, „გურიტისათვის", წიგნში: სინური მრავალთავი, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959;
8. ლექსთა კონა, თქმული ივანე გეგიას მიერ, თბ., გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1890;
9. მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, შეადგინეს გვ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2005;
10. ოქტომბრის ვარსკვლავი (ლექსების კრებული), სოხუმი, 1947;
11. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961;

12. თ. სახოკია, „პიროვნების ცხოვრება (აფხაზეთი)", ჟურნ. „მოამბე",. 111, 1895;
13. ქართლის ცხოვრება, IV, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973;
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბ., 1979;
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბ., 1980;
16. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VII, თბ., 1984;
17. მ. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1987;
18. მ. ლერმონტოვი, ლექსები, თბ., 1944;
19. ქართული ხალხური პოეზია, II, შემდგენელნი: მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე, თბ., 1973;
20. ქართული პოეზია, XI, შეადგინა სოლ. ხუციშვილმა, თბ,. 1980;
21. გაზ. „ცისკარი", N7, 22 იანვარი, 1997;
22. ციცინათელა ანუ ლექსთა კრება, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, 1885;
23. აკ. წერეთელი, თხზულებანი, თბ., 1980;
24. აკ. წერეთელი, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1988;
25. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რ. კუსრაშვილმა, თბ., 1987.

ბ) ლიტერატურა:

26. ო. აკიმბაია, გალი, თბ., 2001;
27. ვლ. ალფენიძე, სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის შესახებ, გაზ. „ლენინელი" (გალი), 5 სექტემბერი, 1972;

28. ვლ. ალფენიძე, ფიქრიანი გზები, თბ., 1973;
29. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945;
30. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ,. 1975;
31. ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსი, თბ., 1979;
32. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005;
33. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1965;
34. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (I), თბ., 1981;
35. ლ. გოდერიძე, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბ., 2005;
36. ვ. ზუხბაია, „ივანე გეგია"; გაზ. „აფხაზეთის ხმა", 14 აგვისტო, 1998; შდრ. გაზ. „მახარია", 2004;
37. გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974;
38. ტ. მოსია, ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა-სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი, 1997;
39. ტ. მოსია, წერილები ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაზე, თბ., 2012;
40. ვლ. ნორაკიძე, „დავით გურამიშვილი" (ფსიქოლოგიური პორტრეტი), თბ., 1980;
41. ო. ჟორდანია, ივანე გეგია – პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წიგნში: ივ. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, თბ,. 2011;
42. ო. ჟორდანია, ივანე გეგიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან, ცხუმ-აფხაზეთის მეცნ. აკადემიის შრომები, I, თბ., 2011;
43. ო. ჟორდანია, ლექსი არ იწვის, გაზ. „ჩემი აფხაზეთი", N14, ივნისი, 2011; შდრ. გაზ. „24 საათის" დამატება, 29 ივნისი, 2011;

44. ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნარკვ. II, თბ., 1999;
45. ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1971;
46. ნ. შონია, ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავებზე. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 10 იანვარი, 1970;
47. თ. ცაცუა, შეხვედრა წარსულთან, თბ., 2008;
48. სოლ. ცაიშვილი, „ივანე გეგია", სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული პირველი, ვ. ქაჯაიას რედაქციით, თბ., 1953;
49. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ, თბ., 2006;
50. მ. ჭელიძე, მითოსიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ, თბ., 1977;
51. ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971;
52. ო. ჭურლულია, ერთი უცნობი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, სოხუმი, 1964;
53. ო. ჭურლულია, ნარკვევები, სოხუმი, 1966;
54. ტ. ხუნდაძე, „თედო სახოკია", წიგნში: „თედო სახოკია", თბ., 1969;
55. ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, თბ., 1985.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
ივანე გეგიას ცხოვრების გზა 31
ივანე გეგიას პოეზია 66
„ჩემი ლოცვა" 75
„მსხვერპლი იყავით სამშობლოსი და დედაენის" 100
„კაჭკასის ქება" 118
„განთიადი" 128
„შრომითა ჭკვამ ამ ორ დღეში ლუკმა პური" 133
„შენ ჩემზე, სატრფო, გული არ გიძგერს" 145
„ოშრომეთ, ძენო, მოეხმარეთ სწავლის შეძენას" 151
„რა ყოფილა ეს ოხერი სოფელი" 155
„ჩემს დარდებთან სხვისიც მემატება" 158
ორი „ბალანა" 166
ობავ-ალეგორიული ლექსები 170
პოდვიილი, „სიყვარულის ძონა" 175
ივანე გეგია და ლეგმონტოვის „წინასწარმეტყველი" 182
ივანე გეგიას ლირიკის პოეტიკისათვის 189
ივანე გეგიას ლექსი 203
ზოგადი დასკვნები 228
წყაროები და ლიტერატურა 235

ტიტე მოსია

ფიქრები ივანე გეგიას პოეზიაზე

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com